

მანანა სოხუმის

# გაგრატიონები

უტყუარი მტკიცებულებანი დოკუმენტების  
გამყალბებლებისა და თვითმარქევიების  
ნინაალმდეგ

ესანა ხომალი

# ბაგრატიონები

უტყუარი მტკიცებულებანი დოკუმენტების  
გამყალბებლებისა და თვითმარქების  
წინააღმდეგ



გამოცემალია გიორგი

თბილისი  
2020

UDC (უაკ) 929.73(479. 222,1)  
b-716

ტექნიკური რედაქტორი  
მანანა ფირანიშვილი

Technical editor  
MANANA PIRANISHVILI

წიგნი ქვეყნდება ავტორის ხარჯით, არაკომერციული მიზნით.  
მისი გაყიდვა იკრძალება.

**The book is published at the author's expense, for non-profit purposes.  
Its sale is prohibited.**

© მანანა ხომერიკი

ISBN 978-9941-480-65-2

## ეძღვნება ჩემს დიდ ბებიას, ანასტასია ბაგრატიონი-ერისთავისას

კრებულში შესულია მანანა ხომერივის გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებული კრიტიკული წერილები. მათი მთავარი თემაა ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების გამოვლენა (XIX-XXI საუკუნეები), უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დოკუმენტებისა და ისტორიის გამყალბებლების მხილება.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ბაგრატიონთა დინასტიის მეთაურად და ტახტის მემკვიდრედ აღიარებული პ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, არც დოკუმენტებით და არც დნმ-ით ბაგრატიონი არ არის. აქედან მოდის მისი და მისი დაჯგუფების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ბაგრატიონებისადმი, რაც მათ დამცირებაში, ცილისნამებასა და იგნორირებაში გამოიხატება. ამ საკითხს ეძღვნება წერილი „ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოებისა და მეფეების მიმართ პ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების არაკეთილსინდისიერების რამდენიმე მაგალითი“, რომელშიც მოყვანილია რვა მაგალითი. მეორე მხრივ, მიმდინარეობს ბაგრატიონთა რიცხვის ხელოვნურად ზრდა იმ საგვარეულოების ხარჯზე, რომლებსაც ბაგრატიონებთან არაფერი აკავშირებთ (თავადი ბაბადიშები, აზნაური დავითიშვილები). ყოველივე ეს დაჯგუფებისგან მოითხოვს ისტორიის დამახინჯებას და დოკუმენტების გაყალბებას, რასაც მათი ისტორიკოსი, იოსებ ბიჭიკაშვილი ახორციელებს. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფება კი მხარს უჭერს მას და იცავს ყოველგვარი ერიტიკისაგან. ი. ბიჭიკაშვილი და დაჯგუფების წევრები წერენ კოლექტიურ წერილ-პასკვილებს და ხელს აწერინებენ ცნობილ პიროვნებს, რომლებიც ბაგრატიონთა ავტორიტეტს ენდობიან და როგორც ჩანს, გულდასმით არ ამონებენ მათ პუბლიკაციებს. სწორედ ამ გზით შეიქმნა ე. წ. „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმი, რომელიც გაყალბებულ დოკუმენტებს ემყარება. ზოგი მტკიცნეული საკითხის წამონევა ავტორისთვისაც არ იყო ადვილი, მაგრამ შექმნილ ვითარებაში აუცილებელი გახდა დუმილის დარღვევა, რადგან ბაგრატიონის გვარის ავტორიტეტს ამოფარებულმა გამყალბებლებმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯეს. საარქივო დოკუმენტების გაცნობა მკითხველს შესაძლებლობას მისცემს თავად გამოიტანს სწორი დასკვნა ამა თუ იმ საკითხზე.

დაწყებულია და მიმდინარეობს გაბაგრატიონების უმართავი პროცესი. არა-კეთილსინდისიერად გაბაგრატიონებული საგვარეულოების წარმომადგენელი ქალბატონები თავიანთ შვილებს და შვილიშვილებს უკვე კანონიერად გადასცემენ ამ ისტორიულ გვარს. მდგომარეობა კატასტროფულია და სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს სამთავრობო დონეზე.

ვფიქრობთ, ბაგრატოვანთა სახელოვანი დინასტია იმას იმსახურებს, რომ შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც ობიექტურად გადაამონმებს ნაშრომში მოყვანილ ფაქტებს და წერტილს დაუსამს გამყალბებლების ქმედებებს, გადაარჩენს ჩვენს ისტორიას გამყალბებლებისგან და დაიცავს ჩვენს ქვეყანას თვითმარქები-საგან.

## **MANANA KHOMERIKI**

*Dedicated to my great grandmother,  
Anastasia Bagrationi-Eristavi*

### **THE BAGRATONIS INDISPUTABLE EVIDENCE AGAINST THE FALSIFIERS OF DOCUMENTS AND IMPOSTORS**

The collection includes Manana Khomeriki's published and unpublished critiques. Key topic of these critiques is the manifestation of inaccuracies concerning the Bagrationis family and based on unequivocal evidence, divulgation of the falsifiers of the documents and history (XIX-XXI).

It is shown in the book that Mr. Nugzar Bagrationi-Gruzinski, recognized as the Head of the Bagrationi dynasty and the heir to the throne, is neither Bagrationi in documents nor in DNA. That's where it comes from the dishonest attitude of him and his gangs towards the Bagrationis, which is reflected in their humiliation, slander and ignorance. An article entitled "Several Examples of the Dishonesty of Mr. Nugzar Bagrationi-Gruzinski's Cluster Towards Kings and Different Branches of the Bagrationis dynasty"- is devoted to this issue, in which eight examples are given. On the other hand, there proceeds an artificial increase in the number of Bagrationis owing to the families who have nothing to do with the Bagrationis (Princes Babadishis, Noblemen Davitishvili). All this requires from the mentioned in-group to distort history and falsify documents, which are being carried out by their historian, Ioseb Bichikashvili. Nugzar Bagrationi-Gruzinski's cluster supports him and defends him from any criticism. I. Bichikashvili and the members of the in-group are writing collective letters-libels which are signed by the famous people who trust the authority of the Bagrationis and do not seem to be attentively checking their publications. Likewise, the so-called Memorandum of 2006 of the "Bagrationis House" was created, which is based on forged documents. It was not easy for the author to raise some painful issues, but in the current situation it became inevitably necessary to break the silence, because the falsifiers, who are hidden behind the authority of Bagrationi's family, crossed all allowable limits. Familiarity with archival documents will allow the reader to draw the right conclusions on this or that issue.

The uncontrolled process of turning to Bagrationi has begun and is underway. Women, representing such unscrupulous Bagrationis' families are already legally giving their children and grandchildren this historical surname. The situation is catastrophic and requires an urgent response at the governmental level.

I think that the famous Bagrationis' dynasty deserves forming of a competent commission that will objectively verify the facts presented in the book and put an end to the actions of falsifiers, save our history from falsifiers and protect our country from impostors.

## სარჩევი

წინათქმა.....	9
ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის წარმომავლობის შესახებ.....	13
On Ancestry of Nugzar Bagrationi-Gruzinski.....	27
სრულიად საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოსა და ბ-ნი იური ჩიქოვანის მიმართ ცილისწამების გამო.....	33
ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოებისა და მეფეების მიმართ ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების წევრების არაკეთილსინდისიერების რამდენიმე მაგალითი:	
1. არაკეთილსინდისიერება მეფე სოლომონ II-ის მიმართ.....	40
2. არაკეთილსინდისიერება ქართლის მეფეების მიმართ.....	47
3. არაკეთილსინდისიერება დავით ბატონიშვილის (1767-1819) მიმართ.....	47
4. არაკეთილსინდისიერება ბატონიშვილი ვახტანგ ბაგრატიონის მიმართ.....	48
5. არაკეთილსინდისიერება გენერალ-მაიორ ალექსანდრე იმერეტინსკის მიმართ.....	67
6. არაკეთილსინდისიერება როსტომ ბაგრატიონისა და ბ-ნი ირაკლი ბაგრატიონის სხვა წინაპრების მიმართ.....	69
7. არაკეთილსინდისიერება ქ-ნი ია ბაგრატიონ-მუხრანელის მიმართ.....	72
8. არაკეთილსინდისიერება ქ-ნი მარიამ ბაგრატიონ-მუხრანსკის (1910-1992) და მისი ოჯახის წევრების მიმართ.....	73
იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ (გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნეში“, 2017, №2).....	82
About the Inaccuracies Concerning the Imeretian Bagrationis Summery.....	96
О неточностях в связи с имеретинской ветвью Багратиони. Резюме.....	97
ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკისა და მისი დაჯგუფების აღმფოთების ნამდვილი მიზეზი (დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 18 სექტემბერი, №182).....	98
ჩემი პასუხი შეჩერებული რეგისტრაციის მქონე საზოგადოება „ბაგრატო- ვანთა სახლის“ მსწრაფლშეშფოთებად წევრებს:	
1. „ბაგრატოვანთა სახლის“ რაობა, წარსული და აწმუო.....	108

2. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების წევრების ყველაზე კომიკური ბრალდება.....	115
3. რამდენიმე შეკითხვა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკისა და მისი დაჯგუფების ზოგიერთ წევრს.....	118
„ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმი გასაუქმებელია (გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 22 ნოემბერი, №437).....	141
ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის საპასუხო წერილის გამო (გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „მაცნე“ 2019, №2).....	149
Regarding Mr. I. Bichikashvili's response article. Summery (in English).....	164
По поводу ответной статьи г-на И. Л. Бичикашвили, Резюме.....	165
დანართი, რომელიც ჟურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნებული არ ყოფილა.....	166
ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის სადამსჯელო ქმედებები ჩემ მომართ.....	170
ჩემი პასუხი ქ-ნი ნინო ბაგრატიონის და არა „ბაგრატიონი-იმერეტინსკის“ ოჯახის წევრებს.....	173
ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის არაკეთილსინდისიერი და არაკომპეტენტური პასუხის გამო.....	182
ვინ მფარველობდა ბაგრატიონთა ოჯახს – ლავრენტი ბერია თუ მაქსიმ გორკი? (გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2016, 14 მაისი).....	230
Кто покровительствовал семье Багратиони – Лаврентий Берия или Максим Горький? (было опубликовано в газ. „Сакартвелос республика“, 14 мая 2016 года).....	241
ახალი ბაგრატიონები	
1. ბაგრატიონი-ბაბადიშებთან დაკავშირებული უზუსტობებისა და მათი Y-DNA ტესტის შედეგის შესახებ.....	247
2. რამდენიმე შეკითხვა ე. წ. ბაგრატიონი-დავითიშვილების აზნაურულ შტოსთან დაკავშირებით.....	251

## CONTENT

Preface.....	9
On Ancestry of Nugzar Bagrationi-Gruzinski.....	13
On Ancestry of Nugzar Bagrationi-Gruzinski (English translation).....	27
Because of the Defamation Against Mr. Juri Chikovani and the All Georgian Assembly of Princes and Nobles.....	33
Several Examples of the Dishonesty of Mr. Nugzar Bagrationi-Gruzinski's Cluster Towards Kings and Different Branches of the Bagrationis Dynasty:	
1. Dishonesty towards King Solomon the II.....	40
2. Dishonesty towards Kings of Kartli.....	47
3. Dishonesty towards Crown Prince David (1767-1819).....	48
4. Dishonesty towards Royal Prince Vakhtang Bagrationi.....	54
5. Dishonesty towards Major-General Alexander Imeretinski.....	67
6. Dishonesty towards Rostom Bagrationi and Mr. Irakli Bagrationi's other ancestors.....	69
7. Dishonesty towards Mrs Ia Bagratiashvili-Mukhraneli.....	72
8. Dishonesty towards Mrs Maria Bagrationi-Mukhranski and her Family members.....	73
About the Inaccuracies Concerning the Imeretian Bagrationis (Was published in the journal of Academy of Sciences of Georgia "Matsne", 2017, №2).....	82
About the Inaccuracies Concerning the Imeretian Bagrationis Summary (in English).....	96
Неточностях в связи с имеретинской ветвью Багратиони. Резюме.....	97
About the Real Reason for the Indignation of Nugzar Bagrationi-Gruzinski and His In-group. (was published in the newspaper „Sakartvelos Respublika“ 2018, September 18 №182).....	98
My Response to Rapidly Reacting Members of Society with Suspended registration – "The Bagrationi House"	
1. The essence, past and present of the "Bagrationi House".....	108
2. The most comical accusation of Nugzar Bagrationi.....	115
3. Several questions to Nugzar Bagrationi-Gruzinski and some members of his in-group.....	118
The Memorandum of 2006 year of the „Bagrationi House“ Should be Abrogated	

(published in "Sakartvelos Respublika", 2018, 22 November, №437).....	141
Regarding Mr. I. Bichikashvili's Response Article... (Was published in "Matsne", the journal of Academy of Sciences of Georgia "Matsne", 2019, №2).....	149
Regarding Mr. I. Bichikashvili's Response Article, Summery (in English).....	164
По поводу ответной статьи г-на И. Л. Бичикашвили. Резюме.....	165
An Appendix that Was not Published in the journal "Matsne" .....	166
Mr. Nugzar Bagrationi-Gruzinski's Punitive Actions Against Me.....	170
My Response to the Family Members of Mrs. Nino Bagrationi and not Bagrationi-Imeretinski.....	173
Because of Mr. Ioseb Bichikashvili 's Unscrupulous and Incompetent Answer....	182
Who Protected the Bagrationi Family – Lavrenti Beria, or Maxim Gorki (published in the newspaper „Sakartvelos Respublika”, 2016, 14 May).....	230
Кто покровительствовал семье Багратиони – Лаврентий Берия или Максим Горький? (было опубликовано в газ. „Сакартвелос республика“, 14 мая 2016 года).....	241
New Bagrationis	
1. About the Inaccuracies Related to Bagrationi-Babadishi and Their Y- DNA Test Results.....	247
2. Several Questions concerning the so-called Bagrationi-Davitishvili's Noble Branch.....	251

## ცინათქმა

2018 წლის 5 ოქტომბერს, ჩატარდა პრეზენტაცია იოსებ ბიჭიკაშვილის წიგნისა „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, რომელშიც შევიდა ჩემს წინააღმდეგ მომართული 4 პუბლიკაცია: 1. „ბაგრატოვანთა სახლის“ ოფიციალური პაუხი ქ-ნ მანანა ხომერიკას“ [დასახ. წიგნი, გვ. 3]. 2. ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეტინსკის ოჯახის წევრების პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიკას“ [დასახ. წიგნი, გვ. 44]. 3. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“ [დასახ. წიგნი, გვ. 58]. 4. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის წიგნზე „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“ [დასახ. წიგნი, გვ. 72]. ასეთი შემოტევა განპირობებული იყო 3 ძირითადი ფაქტორით: 1. 2012 წელს, მე, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით, გამოვეცი მონოგრაფია „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტზე დაყრდნობით, გავმიჯნე იმერეთის ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოები, რამაც ეჭვქვეშ დააყენა „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმის კანონიერება, სადაც ეს შტოები მიზანმიმდართულად არის არეული. 2. მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნეში“ გამოვაქვეყნე წერილი „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“ [2017 წლის №2]. 3. 2018 წელს გამოვაქვეყნე წიგნი „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“. უნდა აღვნიშნო, რომ ბაგრატიონ-დავითიშვილების ე. წ. აზნაურულ შტოსთან არაფერი მაკავშირებს და არც არაფერი მქონდა დაწერილი მათ შესახებ. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ი. ბიჭიკაშვილის ავტორობით შეკონინებული წიგნი, რომელშიც აზნაური დავითიშვილების თავად ბაგრატიონ-დავითიშვილებთან ხელოვნურად მიბმის მცდელობა მოცემული, მასალის სიმცირის გამო, ჩემი კრიტიკით შეავსეს.

წინამდებარე ნაშრომში ზემოდასახელებულ ოთხივე წერილსა თუ განცხადებაზე გაცემულია პასუხი. გარდა ამისა, დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია, რომ ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის გარემოცვა, რომელიც დაჩარებული ტემპით ზრდის ბაგრატიონთა რიგებს, ამავე დროს, არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ავლენს სხვადასხვა შტოების წარმომადგენელი ბაგრატიონებისა და მეფეების მიმართაც კი, ცილს სწამებს იმ პირებს, ვისი ნააზრევიც მათთვის მისაღები და ხელსაყრელი არ არის, აყალბებს დოკუმენტებს, ამახინჯებს ისტორიას. ამას ძირითადად, მათი ისტორიკოსი, ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილი სჩადის, რომლის თანამზრახველებად გვევლინებიან მისი დამცველი პირები: ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, გიორგი ბაგრატიონი-ჯაფარიძე, ჯანსულ (ჯანო) ბაგრატიონი-დავითიშვილი, ნოდარ ბაგრატიონი-დავითიშვილი, მიხეილ ბაგრატიონი-ბაბადიში, გიორგი ბაგრატიონი-ბაბადიში, მარიამ დიმიტრის ასული ბაგრატიონი-მუხრანელი,

ნინო ბაგრატიონი-დავითიშვილი, ნათია ბაგრატიონი-დავითიშვილი, გიორგი ბაგრატიონი-რამაზიშვილი, მამუკა ბაგრატიონი-დავითიშვილი, გიორგი ბაგრატიონი-დავითიშვილი, ნოდარ ბაგრატიონი-დავითიშვილი. მათი გათვლა მარტივია: იციან, რომ ისტორიის დამახინჯების გამო, არ დაისჯებიან, რადგან სასამართლო ფაქტობრივად, სამეცნიერო დავებში ვერ ერევა.

იმედს ვიტოვებ, რომ წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი დოკუმენტების გაყალბების კონკრეტული მაგალითების გაცნობის შემდეგ მაინც შეიქმნება კომპეტენტური კომისია, რომელიც ბოლოს მოუღებს დილეტანტების და გამყალბებლების ზეობას.



ბატონი ევგენი პეტრეს ძე გრუზინსკი (1947-2018) – ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის უკანასკნელი შთამომავალი (მამობითი ხაზით) Y-დნმ ტესტის სერტიფიკატით.  
Mr. Evgeni Petre Gruzinski (1947-2018) – the last descendant (on the male line) of King George XII of Kartli-Kakheti with the Y-DNA test certificate.

„უპრეტენდიოდ იცხოვრა. გარდაიცვალა ისე, რომ ერთი წუთითაც არ შეუწევდია არავინ. ფოტოზე ჩანს, როგორ სათუთად უჭირავს ის სერთ-იფიკატი, რომელმაც დაადასტურა, ჩატარებული გენეტიკური კვლევის (დნმ-ის) საფუძველზე, მისი ბაგრატიონობა, თუმც ამაში ეჭვი არც არავის შეპპარვია. მის მიერ ჩატარებულმა ამ გენეტიკურმა კვლევამ აჩვენა სხვა ბაგრატიონებთან მისი გენეტიკური იდენტობა. მარჯვენა ხელზე უკეთია ჩვენი პატრიარქის მიერ საკუთარი ხელით ნაჩუქარი სამაჯური, მისივე დალოცვის ამსახველი წარწერით“.

**იური ჩიქოვანი (1937-2018)**

საქართველოს გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე  
4 აგვისტო, 2018



ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი და მისი მომხრეები ახალი რაინდის ინვესტიტურაზე  
Nugzar Bagrationi-Gruzinski and his supporters at a new knight's investiture

## **ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ნარმომავლობის შესახებ**

ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ოჯახი ათწლეულების განმავლობაში ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის მემკვიდრე სამეფო ოჯახად ითვლებოდა. მეფობის 200 წლიანი წყვეტის შემდეგ, ტახტის მემკვიდრედ მოვლენილი პირისთვის არავის არავითარი მტკიცებულება არ მოუთხოვია, თუმცა, მისი სამეფო ნარმომავლობის თაობაზე ბევრს ეჭვი ეპარებოდა. ნუგზარის მამის, პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის დაბდების მოწმობა არავის ჰერინდა ნანახი. ითვლებოდა, რომ ის ოჯახს სუკ-მა ჩამოართვა. ისეა, თუ ასე, საბუთის გარეშე არაფრის მტკიცება არ შეიძლებოდა. დრო იცვლებოდა. გაჩნდა ახალი საშუალება, რომელიც დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაშიც კი დაამტკიცებდა ბაგრატიონთა საგვარეულოსადმი კუთვნილებას. ეს საშუალება გახლავთ ყ-დნმ ტესტი, რომლის ჩატარებაზეც ბ-ნი ნუგზარი ჯიუტად უარს ამბობდა.

2006 წელს, ქეთევან ქუჩუკაშვილის რედაქტორობით, მცირე ტირაჟით დაიბეჭდა ქალბატონი ქეთევან სირაძე-გრუზინსკის (ცნობილი პოეტის პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის პირველი მეუღლის) წიგნი „ზოგიერთი ფრაგ-მენტი თბილისური ცხოვრებიდან“. ჩვენ ახლა საშუალება გვეძლევა გავეცნოთ ამ მოგონებების ნაწილს, რომელიც ძირითადად პოეტის დედას ეხება: „თბილისში ცხოვრობდა დეკანოზიშვილების ოჯახი, ჰყავდათ ვაჟი ვახტანგი და ორი ქალი თამარი და ნინო. კარგად იყვნენ აღზრდილნი და შესანიშნავი ბუნებისანი. უფროსი და თამარი ისეთი ლამაზი ყოფილა ახალგაზრდობისას, რომ მას ქალაქში თამარ მეფეს ეძახოდნენ. თამარი შეუყვარდა რევოლუციონერ საშა ობოლაძეს, ახოვანებით გამორჩეულ ვაჟკაცს (დღეს მის ქუჩას მთავრინდაზე სხვა სახელით იხსენიებენ). ქართველები რუსებივით ვიქცევით და პატივს არ ვცემთ წარსულს. თამარი მას ცოლად გაჰყვა, მაგრამ რევოლუციონერი, როგორც წესი მალე დააპატიმრეს. ბევრი ირბინა თამარმა რომ გადაერჩინა ქმარი, მაგრამ ამაოდ. მას ურჩიეს სათხოვნელად მისულიყო ბრნყინვალე თავადთან პეტიკო ბაგრატიონ-გრუზინსკისთან. ოჯახშიც თანხმობა განაცხადეს. თამარმა ქმარი ვერ გაათავისუფლა, მაგრამ მოხდა კურიოზი, მას და პეტიკო ბაგრატიონ-გრუზინსკის ერეკლე მე-II-ს პირდაპირ შთამომავალს ერთმანეთი შეუყვარდათ. პეტიკომ გადაწყვიტა თამარის შერთვა, მაგრამ შინაურები აუმსედრდნენ და ნათესაობიდან გარიყვით დაემუქრნენ. პეტიკო გატყდა. მაშინ შეურაცხყოფილმა თამარმა თავის მოკვლა განიზრახა, სადღაც იშოვნა იარაღი და ისროლა, დაჭრილი თამარი მიიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში. ბედზე იმ დროს თამარის მეგობარი ქირურგი იყო მორიგე, რომელმაც დაადგინა, რომ ჭრილობა არ იყო სასიკვდილო. თამარი გონს რომ მოვიდა, სთხოვა მეგობარ ქირურგს გაევრცელებინა ხმა, რომ მისი (თამარის) მდგომარეობა ძალზედ მძიმე იყო, საეჭვო იყო გადარჩენა. რასაკვირველია, ამ ხმამ პეტიკომდეც მიაღწია. იგი

დაუყოვნებლივ მივიდა შეყვარებულის სანახავად. თამარმა ხერხი იხმარა და პეტიკოს „**Честное слово**“ გამოსტყუა, თუ გადავრჩები – შემირთავო. იცოდა თამარმა, ის „**Честное слово**“-ს შეასრულებდა. როცა თამარი გამოკეთდა, მათ ჯვარი დაიწერეს თბილისის ერთ-ერთ ეკლესიაში. გრუზინსკები ცხოვრობდნენ კრილოვის ქუჩა 10-ში, ბერეკოვიჩის სახლში, „ნითელი ჯვრის“ შენობის მოპირდაპირე მხარეს...ამ თავიდან მე თხრობას განვაგრძობ პირველ პირში, რადგან ჩემი ბედი გრუზინსკების ოჯახს დავუკავშირე. დიდხანს არ გაგრძელებულა თამარისა და პეტიკოს ერთად ცხოვრება. მათ შეეძინათ ორი ვაჟი კონსტანტინე და თეიმურაზი. როცა თეიმურაზი ორი წლის გახდა, პეტიკო გარდაიცვალა. თეიმურაზს გადაარქვეს სახელი და პეტრედ მონათლეს, თუმცა შინაურები და მეგობრები მას დღესაც ძველებურად „თეზიკას“ ეძახდნენ. პეტიკოს გარდაცვალების შემდეგ თამარი მესამედ გათხოვდა ცნობილ გეოლოგ ვიქტორ ხეჩინაშვილზე (სხვათაშორის ბაჟურიანის ანდეზიტი მისი აღმოჩენილია), რომელმაც თამარის ორივე შვილს უპატრონა... ვიქტორ ხეჩინაშვილის მამა იყო შორეული ნაოსნობის კაპიტანი. სიბერეში თავისი პოლონელი მეუღლით დასახლდა ჩაქვში მაღალ მთაზე და იქიდან გასცექროდა თავის საყვარელ ზღვას. როდესაც ვაპირებდი პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონზე გათხოვებას, მაშინ თამარი უკვე ვიქტორ ხეჩინაშვილის ცოლი იყო და ცხოვრობდნენ გრუზინსკების ბინაში. 1938 წელს ვიქტორ ხეჩინაშვილი დააპატიმრეს და დახვრიტეს, თამარი ბინიდან გაასახლეს და შორეულ აღმოსავლეთისკენ გზას გაუყენეს. მთელი გრუზინსკების ბარგი (ავლადიდება) სად წაიღეს არავინ უწყის, მათ სამ ოთახში კი შეასახლეს პროკურორი ბახანოვი. ბახანოვის გამონაცვალი ბინა, ვერცხლის ქუჩაზე, რომელიც ტყვავის ქარხნის თავზე იყო, სადაც აუტანელი სუნი იდგა, გრუზინსკებს მისცეს. თამარმა როგორლაც მოახერხა შორეულ აღმოსავლეთიდან ხმა მიეწვდინა მოსკოვში თავის ახლო მეგობრის აბელ ენუქიძისათვის. იგი თამარს დაეხმარა – დააბრუნა თბილისში და დაუბრუნა თავისი ძეელი ბინაც. თამარმა ჩამოსვლისთანავე უჩივლა ბახანოვს. მან დაამტკიცა, რომ ბინა ეკუთვნოდა პეტიკო გრუზინსკის და არა ვიქტორ ხეჩინაშვილს, პეტიკოს კი შთამომავალი დარჩა და ბინაც მისი უნდა ყოფილიყო. მაშინ თბილისში ყველა ამ პროცესზე ლაპარაკობდა...“ [ქეთევან სირაძე-გრუზინსკი, „ზოგიერთი ფრაგმენტი თბილისური ცხოვრებიდან“, თბ., 2006, გვ. გვ. 14, 15]. ძალზე მნიშვნელოვანი და გულწრფელი მონათხობია. უპირველეს ყოვლისა ქალბატონი თამარ დეკანზიშვილის პირველი მეუღლის, ალექსანდრე (საშა) ობოლაძის ვინაობაზე შევაჩერებთ უურადღებას. ცნობილია, რომ ის 1905-06 წლებში მონაწილეობდა სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძარცვაში. 1906 წელს სათავეში ჩაუდგა სამხედრო-ტერორისტულ ორგანიზაციას. გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით. 1922 წელს ოზურგეთში შეიქმნა ბანდიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხუთეული, რომელსაც ობოლაძე ხელმძღვანელობდა. როგორც ისტორიკოსი ლევან ჯიქია წერს, ობოლაძემ კარგად გამოიყენა თავისი უფლებები და ბანდიტებისათვის ხელშეწყობის

ბრალდებით ბევრი უდანაშაულო ადამიანი დახვრიტა [ლევან ჯიქია, „1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, (ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“], 2012, გვ. 109]. 1923 წელს ის თავად გახდა მკვლელობის მსხვერპლი. საშა ობოლაძის მკვლელობის შესახებ შეიქმნა ხალხური ლექსი:

„ატყდა სროლა კვაჭალათზე  
ჩააძალლეს ობოლაძე  
გურიაში რა გინდოდა  
თუ სიკვდილი არ გინდოდა“.

ვფიქრობ, ალექსანდრე ობოლაძის შესახებ ეს მცირე ინფორმაციაც კი გასაგებს გახდის, თუ რატომ „აუმსედრდნენ შინაურები“ თავად პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის, როდესაც თამარ დეკანოზიშვილის ცოლად შერთვა გადაწყვიტა. როგორც მოგონებებიდან ჩანს, თამარი ჯერ კიდევ საშა ობოლაძის მეუღლე იყო. არავინ იცოდა, რას მოიმოქმედებდა ტერორისტი ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ჩნდებოდა მეორე საშიშროებაც: ხომ არ იყო ეს ქალბატონი შემოგზავნილი სამეფო ოჯახის შთამომავლის წრეში? პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი ხომ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შთამომავლის, ალექსანდრე გრუზინსკის და თავადის ასულ თამარ თარხან-მოურავის ვაჟი იყო. მოგონებებმა ნათლად დაგვანახა, რომ ქ-ნმა თამარმა სარისკო ხრიკებს მიმართა თავადის ხელში ჩასაგდებად. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ვინც გულწრფელად უყვართ, იმას არ ატყუებენ. 1915 წლის 14 მაისს, თბილისის ნავთლულის წმ. ბარბარეს ეკლესიაში უგანათლებულესმა თავადმა პეტრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიმ (57 წლისამ), პირველი ქორწინებით და ობოლაძესთან განქორწინებულმა თამარ დაკანოზიშვილმა (23 წლისამ) ჯვარი დაიწერეს [სეა, ფონდი 489, ალწერა 7, საქმე 1965] (იხ. სურათი №1). ნიშანდობლივია, რომ ჯვრისწერა ქალაქის ცენტრიდან მოშორებით ჩატარდა და მოწმეებად ორივე მხრიდან პატარძლის ნათესავი ფურცელაძეები იყვნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სასიძოს ახლობლებს ამ ტყუილზე დაფუძნებულ ჯვრისწერაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ექვსნახევარი თვის შემდეგ, იმავე 1915 წლის 2 ნოემბერს წყვილს ვაჟი შეეძინა, რომელიც 6 ნოემბერს მონათლეს და კონსტანტინე უნდღეს. არსებობს საეკლესიო ჩანაწერი [სეა, ფონდი 489, ალწერა 7, საქმე 1967] (იხ. სურათი №2). კონსტანტინე შემდგომში, 1939 წლის 19 დეკემბერს გარდაიცვალა. მეორე ბავშვი 1920 წელს დაიბადა. ის პატრე ალექსანდრეს ძემ, გონივრული ეჭვის საფუძველზე, შვილად არ სცნო. ის ერთხელ ხომ უკვე მოატყუეს. ბავშვს თეიმურაზი დაარქვეს. 1922 წლის 4 თებერვალს ხანშიშესული თავადი გარდაიცვალა [უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ცნობა AA2018026785-03 (17.10.2018)] (იხ. სურათი №3). ცნობაში აღნიშნულია, რომ ის 68 წლის იყო, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ის ჯერ 65 წლისაც არ იქნებოდა. როგორც ცნობის საარქივო დანართიდან ჩანს, პეტრე ალექსანდრეს ძის გარდაცვალების შესახებ ისევ მისი ცოლის ნათესავ-

ებმა განაცხადეს (იხ. სურათი №4). საკვირველი არ არის, რომ მათ ზუსტი ასაკი არც სცოდნოდათ. პატარა თეიმურაზი მონათლეს და ახალი სახელი – პეტრე უნიდეს. ერთი ჟურნალისტი აზუსტებს: ეს იმიტომ მოხდა, რომ ბავშვის მამა ძალიან ახალგაზრდა გარდაცვალა! 4 თვის შემდეგ, პატარა პეტრეს დაბადების მოწმობა აუდეს და გარდაცვლილ თავადს მიაწერეს შვილად. მიცვალებული კი ცოცხლად გამოაცხადეს და ასაკიც მიუთითეს, მამა – 68 წლის, დედა – 30 წლის [უახლესი ისტორიის არქივის ცნობა AA2018026368-04] (იხ. სურათი №5). საჯარო რეესტრში აღებული ცნობის გარდა, საარქივო ცნობის დედანს გავეცანი [ქსე, ფონდი 723, აღწერა 3, საქმე 390, ფ. 14] (იხ. სურათი №6). როდესაც მამა ცოცხალი არ არის, მაშინ ბავშვის დარეგისტრირება უკვე სასამართლოს ექვემდებარება. პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის დაბადების მოწმობაზე მითითებულია, რომ გაიცა დეკრეტი №28-ის თანახმად. ეს დეკრეტი მიღებული იქნა 1921 წელს. დაწესდა, რომ ბავშვის დაბადების შესახებ მშობლებს ერთი თვის განმავლობაში უნდა განცხადებინათ. ორივეს თავისი ხელმოწერით უნდა დაედასტურებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ შესრულდა. დავუშვათ, ამ დადგენილი წესის დარღვევას რაიმე საპატიო მიზეზი მოვუძებნეთ, მაგრამ ასევე ხელი უნდა მოეწერათ მოწმებს. ჩვენ კი ვხედავთ, რომ მოწმებისთვის განკუთვნილი გრაფა ცარიელია. ცრუმოწმეობა არავინ ისურვა. ბაგრატიონი, რომლის მოტყუებაც ვერ შეძლეს, გარდაცვალების შემდეგ ცოცხლად გაასაღეს და სავარაუდოდ, მას სხვისი შვილი მიაწერეს. ჩემი განცხადების პასუხად, არქივმა მაცნობა [№02-3/141393], რომ 1922 წლის სააქტო ჩანაწერში, „ინფორმაცია 1920 წლის 28 მარტს დაბადებული პეტრე გრუზინსკის 1922 წელს რეგისტრაციის საფუძვლის შესახებ არ არის მითითებული.“

მთავარი ის არის, რომ გარდაცვლილი პიროვნება ცოცხლად არის გამოცხადებული! საქმე რიგით მოქალაქეს რომ ეხებოდეს, მაშინ ამგვარი თემის წამოწევა უხერხული და საზოგადოებისთვის ინტერესს მოკლებული იქნებოდა, მაგრამ საქმე ეხება ოჯახს, რომელიც 200 წლიანი წყვეტის შემდეგ, ტახტის მემკვიდრის სტატუსზე აცხადებს პრეტენზიას.

მკითხველის ყურადღება ქ-ნი ქეთევან სირაძის მოგონებებში აღწერილ ერთ ფაქტზე მინდა შევაჩერო. ავტორი მოგვითხრობს, რომ მისი დედამთილი, ქ-ნი თამარი 1938 წელს დააპატიმრეს, შემდეგ მან შორეული აღმოსავლეთიდან როგორდაც ხმა მიაწვდინა მოსკოვში თავის ახლო მეგობარს, აბელ ენუქიძეს. იგი თამარს დაეხმარა – დააპრუნა თბილისში და დაუბრუნა თავისი ძველი ბინაც. თამარმა ჩამოსვლისთანავე უჩივლა ბახანოვს. ავტორის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება. ბუნებრივია, რომ ქ-ნი თამარი და აბელ ენუქიძე ახლო მეგობრები ყოფილიყვნენ (აბელ ენუქიძე 1906 წლიდან ეწეოდა პარტიულ მუშაობას, ცხადია, ის და თამარ დეკანოზიშვილის ყოფილი მეუღლე – ალექსანდრე ობოლაძე ერთ წრეში ტრიალებდნენ), მაგრამ საქმე ის არის, რომ 1937 წელს აბელი შპიონაჟისა და სამშობლოს

ლალატის ბრალდებით დახვრიტეს. ამდენად, ის ვეღარავის დაეხმარებოდა. ქ-ნმა თამარმა ნამდვილი მშველელის ვინაობა ვერ გაამხილა და რძალს აპელ ეწუქიძე დაუსახელა. ვის შეეძლო ასეთი არნახული დახმარების განევა – გადასახლებიდან დაბრუნება და პროკურორი ბახანოვის დამარცხება? სწორედ 1938 წელს, საბჭოთა კავშირის „ჩეკას“ უფროსის, ეჭოვის დაპატიმრების შემდეგ, მიიღო ლავრენტი ბერიამ მისი ადგილი. აი, ვის შეეძლო ქ-ნი თამარისათვის დახმარების განევა! დავაზუსტებთ, რომ იმ დროისთვის ის უკვე გრუზინსკაია-ხეჩინოვას გვარს ატარებდა, როგორც ეს საარქივო დოკუმენტიდან ჩანს. იმავე ცნობაში მითითებულია, რომ ის 1941 წელს დააპატიმრეს [საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ფონდი №6. საქმე № 19818-60; საარქივო სამმართველო. ფონდი №6, საარქივო №45 285, ტომი 6/1, №78, გვ. 1] (იხ. სურათი №7). საგულისხმოა, რომ მოგვიანებითაც, 1945 წელს, როდესაც პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი დააპატიმრეს, როგორც დისიდენტი მარი აბრამიშვილი წერს, ქ-ნი თამარი შვილის გადასარჩენად ლავრენტი ბერიასთან ნასულა: „...ორიოდე დღის შემდეგ პეტრე საერთოდ გაიყვანეს ციხიდან და ფსიქიატრიულ საავად-მყოფოში მოათავსეს. როგორც შემდეგ შევიტყვე, დედამისი ჩაფრენილა მოსკოვში, ბერია უნახავს და მშვენიერი გამოსავალიც მოუფიქრებათ. პეტრე მალე გამოვიდა საავადმყოფოდან, ჩვენ კი გადაგვასახლეს“ [მარი აბრამიშვილი, „ბედისწერის განაჩენი“, თბ., 2016, გვ. 76]. ზემოთ ნახსენებ, 1945 წლის საარქივო დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ პეტრე გრუზინსკი 1942 წელსაც იყო დაპატიმრებული, მაგრამ პატიმრის საქმე არ იძებნება... (იხ. სურათი №7).

წლების განმავლობაში ვრცელდებოდა ვერსია, თითქოსდა პეტრე გრუზინსკის დაბადების მოწმობა ოჯახს თავის დროზე, უშიშროებამ ჩამოართვა. მის საარქივო საქმეში დაბადების მოწმობა არ აღმოჩნდა, მაგრამ ერთმანიუანსმა მიიქცია ჩემი ყურადღება. პეტრე გრუზინსკის შესახებ ნათქვამია: „რომელიც თავს ასაღებს საქართველოს უკანასკნელი მეფის მემკვიდრედ“ – „который выдает себя за наследника последнего царя Грузии“ [საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ფონდი №6. საქმე № 19818-60; საარქივო სამმართველო. ფონდი №6, საარქივო №45 285, ტომი 6/1, №78, გვ.303-304 (იხ. სურ. 8)]. ზემოდასახელებული ვერსიის გათვალისწინებით, ჩნდება ეჭვი: მართლა ხომ არ გაეცნო მაშინდელი შინსახკომი პეტრე ბაგრატიონი-გრუზინსკის დაბადების მოწმობას, რომლიდანაც ჩანს, რომ ის ორი წლის იყო, როდესაც გარდაცვლილ თავად პატრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის მიაწერეს შვილად?

ისმის კითხვა: არის თუ არა ბ-ნი წუგზარი – ბაგრატოვანთა გენის მატარებელი? ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ დოკუმენტები მის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. რჩება დამტკიცების ერთადერთი გზა – დნმ ტესტი. უგანათლებულეს თავად პეტრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის პატარა თეიმურაზი თავის შვილად რომ ეცნო, მაშინ ეს უკანასკნელი რა გენის მატარე-

**ბელიც არ უნდა ყოფილიყო, ბაგრატიონად ჩაითვლებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა.** ქართლ-კახეთის წარმომადგენელი ბაგრატიონების: ბაგრატიონ-მუხრანების, თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების და მოსკოვში მცხოვრები გრუზინსკების – კერძოდ, ან გარდაცვლილი ბ-ნი ევგენი პეტრეს ძე გრუზინსკის ჰაბლოჯგუფი დადგენილია და ემთხვევა ერთმანეთს. ჰაბლოჯგუფი Q1b – L939 მეტად იშვიათია, საქართველოში მხოლოდ ბაგრატიონები არიან მისი მატარებლები, რაც აადვილებს ამოცანას. ნებისმიერ შემთხვევაში ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ტყუილი უნდობლობას ბადებს. რატომ მალავდა, რომ მას 2010 წელს „ეთნოგენეტიკური კვლევის სამეცნიერო ცენტრმა“ ტესტირება ჩაუტარა, „იბუტებოდა“ და უარს აცხადებდა ტესტირებაზე. ასეც გააგრძელებდა, მაგრამ დასახელებული ცენტრის ხელმძღვანელმა, ბ-ნმა გიორგი ანდრიაძემ სატელევიზიო გამოსვლის დროს, ნებით, თუ უნებლიერ, გასცა ის საიდუმლო, რომ ბ-6 ნუგზარს ჩატარებული აქვს Y-დნმ ტესტი და რომ ის ქართული გენის მატარებელი აღმოჩნდა. ბ-ნი გიორგი ანდრიაძე რადიო თავისუფლებასთან კომენტარში ამბობს: „... რაც შეეხება ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის დნმ კვლევის შედეგებს, ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა ბაგრატიონებსა და ჩემ შორის. ვადას-ტურებ, რომ მას აქვს უძველესი ქართული გენი“. ეს ნიშნავს, რომ მისი დნმ-ი ისეთივე ჰაბლოჯგუფს ეკუთვნის, როგორსაც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის დნმ-ი და არა საქართველოში უიშვიათეს ჰაბლოჯგუფს – Q1b – L939, რომლის მატარებლებიც საქართველოში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბაგრატიონები ჩანან. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ბიოლოგიური მშობლობის დადგენის ტესტი კეთდება. ის 99,9 %-იანი სიზუსტისაა და მის შესამოწმებლად საჭიროა ორივეს – სავარაუდო მშობლისა და სავარაუდო შვილის – გენეტიკური მასალა. ამ შემთხვევაში ეს გენეტიკური მასალა მცხეთაშია. პეტრე უმცროსი და პეტრე უფროსი სვეტიცხოვლის ტაძარში არიან დაკრძალულნი. „მათი ექსპურაციისთვის ჯერ ბაგრატიონ-გრუზინსკების ოჯახის, შემდეგ კი იუნესკოს თანხმობაა საჭირო.“ ეს ადვილი არ იქნება. ახლა გასაგებია, რისი იმედი აქვს ბ-6 ნუგზარს, მაგრამ იმედი უნდა გავუცრუო: არ არის საჭირო მისი მამისი ბიოლოგიური მშობლის ვინაობის დადგენა. საკითხი უფრო მარტივად დგას. ამოცანა გვეკითხება, მიეკუთვნება თუ არა თავად ბ-ნი ნუგზარი ბაგრატოვანთა საგვარეულოს. როგორც უკვე ვთქვით, ჰაბლოჯგუფი Q1b – L939 საქართველოში მხოლოდ ბაგრატიონებს აქვთ, ამიტომ საკმარისია Y ტესტის ჩატრება, რომ ჰაბლოჯგუფის მიხედვით დადგინდეს ბაგრატიონთა საგვარეულოსადმი მისი კუთვნილება. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამ მხრივ ბაგრატიონთა საგვარეულო გამონაკლისია, თავისი იშვიათი ჰაბლოჯგუფის წყალობით, საკუთარი საგვარეულოსადმი კუთვნილების დადგენის მიზნით, მათ ბიოლოგიური მშობლის ვინაობის დადგენის ტესტის ჩატარება არ სჭირდებათ. კიდევ ერთხელ გასაგებად ვიმეორებ: აღმოსავლეთ საქართველოს (დასავლეთ საქართველოს ბაგრატიონების ჰაბლოჯგუფი შესწავლილი

არ არის) წარმომადგენელი ბაგრატიონების ჰაპლოჯგუფია – Q1b – L939, რომელიც ბ-6 ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის არ აღმოაჩნდა.


პირადად მე, როგორც ისტორიკოსი, უფრო დოკუმენტებს ვეყრდნობი. ბატონ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის თავისი წარმომავლობის დამტკიცება დოკუმენტურად რომ შეძლებოდა, მაშინ საერთოდ არ დადგებოდა დნმ ტესტირების საკითხი. ან დოკუმენტი, ან ტესტი! მესამე გზა არ არსებობს – *Tertium non datur!* ბ-6 ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის საკმარისი დრო ჰქონდა იმისთვის, რომ ბაგრატიონთა საგვარეულოსადმი თავისი კუთვნილების რაიმე უტყუარი მტკიცებულება წარმოედგინა საზოგადოებისთვის, რომელიც ათწლეულების განმავლობაში შეცდომაში შეჰვავდა, მაგრამ მან ვერაფერი მოიძია. აქედან გამომდინარე, ის ბაგრატიონი არ არის და ყველა მისი პრეტენზია უსაფუძვლოა.



## МЕСТРЫЧСКОЙ КНИГИ · II

Сирія	Алжир	Бейрут, Зах. Сирия, фундук і зернові культури макуру, і квітучі рослини.	1973	Бейрут, Зах. Сирия, фундук і зернові культури макуру, і квітучі рослини.	1973
23	116	Цінніші види трав'янистих рослин із земельного фонду республіки та провінції. Види, необхідні справжні	1973	Розбіжені в усіх областях, окрім засушливих північно-західних районів Ізраїлю та південних районів Ізраїлю та його околиць, що відносяться до пустельного поясу.	23

სურ. №1. პეტრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის და თამარ დეკანოზიშვილის ჯვრისნერის სახელლესიო ზანანერი [სევა, ფონდი 489, აღნერა 7, საქმე 1965].



## МЕТРИЧЕСКОЙ КНИГИ НА

Номер пом.	Женщина имя,	Сколько роди- шихся.		Имена родившихся.	Возраст, имя, отчество и фамилия родителей, и какогод- вропе появления.
		роде- ние имя,	пред- имя,		
65		1915	29 б	Надежда Константина Григорьевна	Одногодичный. Живет в Багратионовке - Тбилисской губернии. Родился 11.11.11. Родители Константина Александровна и Григорий Григорьевич Григорьевы.

სურ. №2. კონსტანტინე პეტროს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის დაბადების საეკლესიო ჩანაწერი სახ. ფრთხილი 489, ალექსანდრე 7, საქამია 1967].

საქართველოს იუსტიციის  
სამინისტრო  
საქართველოს ურიდიული  
პირი  
საქართველოს ეროვნული  
არქივი  
უახლესი ისტორიის ცენტრალური  
არქივი

332-ა-სა-კა-ლა-ა-1  
ტელ.: (032) 2 37 63 33, ფაქსი: (032) 2372801  
ელ-ფოსტა: info@archives.gov.ge



MINISTRY OF JUSTICE OF  
GEORGIA  
LEGAL ENTITY OF PUBLIC  
LAW  
THE NATIONAL ARCHIVES OF  
GEORGIA  
Central Archive of  
Contemporary History

1. Vazha-Pshavela.  
TEL: (032) 2 37 63 33, FAX: (032) 2372801  
EMAIL: info@archives.gov.ge

AA2018026785-03

17.10.2018 13:46:55

### საარქივო ცნობა

უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ნაწილების განცხადება (№: AA2018026785:16/10/2018  
17.38.22 განცხადების მაჩვანე სიმძინე: მიმღები 01017010826; მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დამიტრი  
ყაფავაშვილის ქ. 9); ერთადებით მოთხოვნილია გარდაცვალების შესაბამის ცნობის მომზადება—აავტო, შემთხვევა  
მონაცემების მიხედვით:

სახელი: პერებ  
კანონი: გუბერნიუმი (დაგენერირები)  
მარიან სახელი: ალექსანდრეებ ძე  
დაბის ასახული:  
გარდაცვალების თარიღი: 1922 წლის (დაგენერალი)  
საძირკო პერიოდი: 1921-1923 წლები  
გარდაცვალების რეგისტრაციას ადგილი: თბილისი, თბილისის შთავარი გმინი

თბილისის დიდების ნაძალადევის მმართველის 06.02.1922 წლის სააქტო ჩანაწერის მიზეზვთ პეტრ  
ალექსანდრეეს ძე გრიგორის გარდაცვალა 1922 წლის 4 თებერვალს (ათას ცხრაას აუდარით წლის  
თბილის უცხოვალი) ნო ნლის ასაკი...

სურ. №3. პერტე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის გარდაცვალების ცნობა [უახლესი ისტორიის  
ცენტრალური არქივის ცნობა AA2018026785-03 (17.10.2018)]



სურ. №4. პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის გარდაცვალების ცნობა, სადაც მისი ასაკი შეცდომით არის მითითებული – 68 წელი, ნაცვლად 65 წლისა.

საქართველოს იუსტიციის  
სამინისტრო  
საკარო სამართლის იურიდიკული  
პირი  
საქართველოს ეროვნული  
არქივი  
უახლესი ისტორიის ცენტრალური  
არქივი

ვაჟა-ფშაველას 1  
თელ.: (032) 2 37 63 33, ფაქსი: (032) 2372801  
ელ-ფოსტა: info@archives.gov.ge



MINISTRY OF JUSTICE OF  
GEORGIA  
LEGAL ENTITY OF PUBLIC  
LAW  
THE NATIONAL ARCHIVES OF  
GEORGIA  
Central Archive of  
Contemporary History

1. Vazha-Pshavela.  
TEL.: (032) 2 37 63 33, FAX: (032) 2372801  
EMAIL: info@archives.gov.ge

AA2018026368-04

15.10.2018 17:12:54

საარქივო ცნობა

უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის წარედგანა განცემულება № AA2018026368.11/10/2018  
13 56.01: განცემული მანანა ხომისრი ი. 010170104828, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ფიმიტრია  
ყაფის ქართული სახელი დაბადების შესახებ ქმნის მომზადება-გაცემა, შემოვალის მონაცემების  
შესხვათ.

სახლი: ჭირი  
დაბარი: გრიშინის გარემონ-გრიშინსკი  
მიმმართებელი: ჭირი  
ფულის სახელი: თამარ  
ფულის გვარი: გამბოვაძემდე დაკანონისმეობით (დაკანონის)  
უახლესი თარიღი: 1920 წლის 28 მარტი  
დაბალების ადგილი: ბოლოლი, ჩალაქი, სასოფლო საბჭო: თბილისი  
განშეორებით დაბალების შესახებ ქონა. დაბალების სააქტორიან დოკუმენტი რის საუკეთესო გარემონტის  
განშეორებით დაბალების შესახებ.

თბილის დოკუმენტი დაბალების შესახებ ქონა. დაბალების სააქტორიან ან დოკუმენტი რის საუკეთესო გარემონტის  
განშეორებით დაბალების შესახებ.

სურ. №5. პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის დაბადების ცნობა [უახლესი ისტორიის  
არქივის ცნობა AA2018026368-04].

ფორმა № 1

დეკადი № 28 გვ-4 გვალის დაცენი

დაბადებათა ჩასაწერი წიგნი 27/1 - 22

წელი.

შეკვეთის დროის განვითარების აუტომატიზაციის განვითარება

რეკოლექციის კომიტეტის

1. წერის № 071

2. დაბადების თვე და იუნი 28 გვერდი 1990 წ.

3. დაბადების აღილი ქართველი ქ. ა. რ. ი. 10

4. საცხოვის სკოლა გამარჯვებული

5. ბავშვის სახელი და გვარი ქ. ე. ქ. ე. ქ. ე. ქ. ე.

6. გვალის სახელი, პატის სახელი, გვარი ქ. ე. ქ. ე. ქ. ე. ქ. ე. ქ. ე. ქ. ე.

აღმას უყვალებელი მუხლი განვითარება

აღმას უყვალებელი

7. ბავშვის ეროვნება ქ. ე. ქ. ე. ქ. ე.

8. გვალის გვალი ბინადრობა ასევე 68-30

9. გვალის წლივანობა

10. აღმას უყვალებელი გვალი ბავშვი ქ. ე. ქ. ე.

11. განსაკურებული შეინცვენი

1

ხელის პატერა

1) იმ პირისა, რომელმაც აუნობა

2) მოწმეთა

2

3) თანამდებობის პირის, რომელმაც ჩასწერა

სურ. №6. პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის დაბადების ჩანაწერი, სადაც გარდაცვლილი თავადი პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი (ცოცხლიად არის გამოცხადებული, ხოლო მონმეების გრაფა ცარიელია [ქსე, ფონდი 723, აღნერა 3, საქმე 390, ფ. 14].

**П О В Е С Т К А**

к заседанию особого совещания при Народном Комиссариате Внутренних Дел СССР.

№ п/п:	Фамилия доносящего и должность	№ дел	Фамилия, имя, отчество обвиняемого, год рождения, уроженец, соц. положение, гражданство, партийность, последнее место работы	С какого времени и где содержалась под стражей	Постановил
I	ОВИНИЯТОЙ в том, что -	210	ГРУЗИНСКИЙ-БАГРАТИОНОПетр Петрович, 1920 г.р., рож. п. Тбилиси, грузин, гр-и СССР из быв. класс. с вышим образованием, быв. рт. замешанный в заражении за ППУ-37г. по ст. 16-170 УК РСФСР, 211-42г. по ст. 75 ч. II УП ССР, привлекался к ответственности ЗПП-42г. по ст. 55-3 в архиве дела не найдено, решение неизвестно). Его мать - ГРУЗИНСКАЯ-ХЕЧИНОВА Гамара Александровна - возвращенка из ссылки, в 1941 г. была осуждена Особным Совещанием НКВД СССР по ст. 58-10 УК ГССР к 5 годам лишения свободы; момент ареста без определенных занятий, -	27.III-45г. во внутренней тюрьме НКВД Грузии.	

სურ. №7. ამონარიდი პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის 1945 წლის „საქმიდან“, სადაც ნათქვამია, რომ ის 1942 წლის იურ დაპატიმრებული, მაგრამ საქმე არ იძებნება... [საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საარქოვო სამმართველო, ფონდი №6, საარქოვო №45 285, ტომი 6/1. №78].

## О ЖУРНАЛЕ "АНАФЕМА"

(КРАТКИЙ ОВЗОР )

Само название "Анафема" без комментарий говорит о том, что создатели указанного журнала - обвиняемые по следделу № 210: ГРУЗИНСКИЙ-БАГРАТИОНИ П.П., МЧЕДЛИШВИЛИ Ш.З., АВРАМИШВИЛИ М.И., АГНИАШВИЛИ Л.П. и ШАЦИАШВИЛИ Т.В. проклинали советский строй, а равно и современную поэзию.

Эта пятерка, на зборицах своего залона, "открыто и наизусть" читала свои явно а|зов. этихи, сочиненные ими без всякой маскировки, а в указанном журнале писали - действовали только под маской, в завуалированных строках и между этих строк.

ГРУЗИНСКОМУ-БАГРАТИОНИ П.И. известно, что следствие не разполагает зборником (альбомом) его этихов (не удалось обнаружить), наряду с этим он убежден, что его а|зов. этихи, помещенные в "Анафеме", зугубо завуалированы и поэтому не признает, что он является автором а|зов. этихов, говоря, что у него, якобы, имеются только идеологически невыдержаные этихи, увлекался устарелой лирикой, символизмом и девушками, которых воспевал.

Известными обстоятельствами диктуется необходимость, на основании его собственных завуалированных этихов, изобличить ГРУЗИНСКОГО-БАГРАТИОНИ П.П. во лжи.

В первом номере "Анафема" ГРУЗИНСКИЙ-БАГРАТИОНИ П.П. говорит своим единомышленникам, что он ранее был доволен своей судьбой, но сегодня у него сердце опалилось в черный цвет:

..... ი ძ თ ლ კ ც ს ი ზ ა ხ ე ლ უ რ ი ლ ი ს  
3 ლ ყ , 6 ბ ლ ხ რ 3 7 ლ ხ რ 0 2 7 ს 7  
ლ ც 1 2 დ გ მ ლ ა რ 2 7 დ უ 5 3 7 6 7 0 9  
2 3 3 4 0 ჩ ა გ 2 7 3 2 გ 7 უ 5 7 უ 5 0 ...  
" ... Сердце мое когда-то  
было чисто, как этот снег,  
Сердце, - ненавистью, отвращением  
ныне опаленное в черный цвет...  
(эм. прил. л. 27).

А что случилось в Грузинском?

Дело в том, что у ГРУЗИНСКОГО, который выдает себя за наследника последнего царя Грузии и которому стало известно, что во Франции воспитывали какого-то лже-БАГРАТИОНИ для престола "будущей монархической Грузии" (из показаний обвиняемых: ШАЦИАШВИЛИ, АГНИАШВИЛИ и замогого ГРУЗИНСКОГО) и душа начала бушевать и, не только сердце, но и кровь опалилась в ревности к лже-БАГРАТИОНИ, в мечте о царском престоле.

სურ. №8. ამონარიდი 1945 წლის „საქმიდან“, სადაც აღნიშნულია, რომ პეტრე გრუზინსკი საქართველოს ბოლო მეფის მემკვიდრედ „ასაღებს თავს“ [საქართველოს სახელმწიფო უმიმროების სამინისტროს საარქოვო სამართველო, ფონდი №6, საარქივო №45 285, ფონი 6/1. №78].

## ON ANCESTRY OF NUGZAR BAGRATIONI-GRUZINSKI

For decades, Nugzar Bagrationi-Gruzinski's family was considered to be the heir royal family to the throne of the last king of Kartl-Kakheti, George XII. Since interruption of 200 years of reign, no one has demanded any evidence from the person who turned to be the heir to the throne, although, many doubted his royal origin. No one has seen the birth certificate of Nugzar's father – Peter Bagration-Gruzinski. It was considered to have been taken away from the family by the KGB. One way or another, nothing can be proven without a document. Times were changing. A new tool has emerged that, even in the absence of documents, would corroborate his belonging to the Bagrationi family. This tool is a Y-DNA testing that Nugzar Bagrationi-Gruzinski stubbornly refused to conduct.

In 2006, a book of Ketevan Siradze-Gruzinski (ex-wife of the famous poet Peter Bagration-Gruzinski) entitled: "Some Fragments from Tbilisi Life" was published in small editions under the editorship of Ms Ketevan Kuchukashvili. We now have the opportunity to get acquainted with some of those memories, which mainly concern the poet's mother: "The Dekanozishvili's family lived in Tbilisi and had a son Vakhtang and two daughters Tamar and Nino. They were well brought up and warm hearted children. The elder Sister-Tamar was so beautiful that they called her "Queen Tamar" in the city. Revolutionary Sasha Oboladze, a handsome and manly fellow (today his street on Mtatsminda is mentioned by another name) (we, Georgians behave like Russians and do not respect the past) fell in love with her. Tamar married him, but the revolutionary, as it used to happen, was arrested soon. Tamara tried a lot to save her husband but in vain. She was advised to turn to the prince Petiko Bagration-Gruzinski for help. The family supported her also, but Tamara could not release her husband. Then a queer thing happened; she and Petiko Bagration-Gruzinski, the direct descendant of Erekle II, fell in love with each other. Petiko decided to marry Tamar, but his family set against their marriage and threatened to outcast him from the family. Petiko was broken down and gave himself up. Then, Tamar who felt very insulted, decided to commit suicide. She found a gun somewhere and fired it. The wounded Tamar was taken to Michael's hospital. Luckily for her at that time, Tamar's friend who was a surgeon, was on duty. He diagnosed that the wound was not fatal. When Tamar regained her consciousness, she requested her friend – the surgeon to spread the information that her (Tamar's) condition was very serious, it was doubtful that she would survive. Of course, this voice reached Petiko as well. He immediately went to see his girlfriend. Tamar embraced opportunity and asked Petiko to give his word of honor to her, that if she survived, he would marry her. Tamar was sure he would keep his promise.

When Tamar recovered, their marriage ceremony was performed in one of the churches in Tbilisi. The Gruzinskis used to live at 10 Krylov Street, in Berekovich's

house, on the opposite side of the Red Cross building ... From this chapter on, I will continue the story in the first person, as by some quirk of fate I connected my life with the Gruzinskis' family. Tamar and Petiko's cohabitation did not last long. They had two sons, Constantine and Teimuraz. Petiko passed away when Teimuraz turned two years old. Teimuraz was renamed and baptized as Peter, though his family and friends still call him "Tezika" as they called before. After Petiko's death, Tamar got married for the third time to the famous geologist Victor Khechinashvili (by the way, he is the discoverer of andesite in Bakuriani), who took care of Tamar's children ... Viktor Khechinashvili's father was a deep-sea master. In his old age, he and his Polish wife settled in Chakvi on a high mountain, and from there he sailed to his beloved sea. When I was going to marry Peter son of Peter Bagrationi, then Tamar had been married to Victor Khechinashvili and they lived in Gruzinski's apartment.

In 1938, Viktor Khechinashvili was arrested and shot. Tamar was evicted from her apartment and deported to the Far East. Nobody knows what happened to the whole family possessions of the Gruzinskis. Instead, the Prosecutor Bakhanov was settled in their three rooms. Bakhanov's former lodgings at Silver Street, which situated on the top of a leather factory releasing unbearable smell, was given to the Gruzinskis. Tamar somehow managed to reach out a voice from the Far East to her close friend Abel Enukidze in Moscow, who helped Tamar to return to Tbilisi and retrieve her old apartment. As soon as Tamar arrived, she made a claim against Bakhanov. She confirmed that the apartment belonged to Petiko Gruzinski and not to Viktor Khechinashvili, and therefore, the Gruzinskis' apartment had to be returned to Petiko's descendant. At that time everybody had topical interest in that process in Tbilisi" ..." [Ketevan Siradze-Gruzinski, "Some Fragments from Tbilisi Life", Tbilisi, 2006, p. P. 14, 15]. This is a very valuable and candid story.

First of all, our attention will be focused on the identity of Tamar Dekanozishvili's first husband, Alexander (Sasha) Oboladze. It is known that he participated in the robbery of an agricultural bank in 1905-06. In 1906 he headed the military-terrorist organization. He was known for his cruelty. In 1922 a group of five was formed against banditry under the guidance of Oboladze in Ozurgeti. According to historian Levan Jikia, Oboladze exercised his rights well and shot many innocent people on charges of aiding and abetting bandits [Levan Jikia, "Uprising of the 1924 in Western Georgia (work to obtain an academic degree in Doctor of History), 2012, p. 109]. In 1923, he himself became a victim of murder. A folk poem was created about the murder of Sasha Oboladze:

"Shooting on Kvachalati started.

Oboladze was shot like a dog

What did you want in Guria?

If you didn't want to die."

I think even this small piece of information about Alexander Oboladze will

make it clear why the family opposed the Prince Petre Bagration-Gruzinski when he decided to marry Tamar Dekanozishvili. As can be seen from the memories, by that time Tamar was still Sasha Oboladze's wife. No one knew what the terrorist would have done after he had been released from prison. There was another threat: was the woman sent intentionally in the inner circle of descendant's royal family? After all, Petre Bagration-Gruzinski was the son of Alexander Gruzinski, a descendant of the last king of Kartli-Kakheti, George XII, and Princess Tamar Tarkhan-Mouravi. The memories made it clear that Mrs. Tamar had resorted to risky tricks to capture the prince. I would probably not be wrong to say that people don't lie to those who they sincerely love.

On May 14, 1915, the first marriage ceremony of his highness Prince Peter, the son of Alexander Bagration-Gruzinski (57 years old) with divorced with Oboladze – Tamar Dakanozishvili (23 years old) was held at St. Barbara's Church in Navtlughi [National archive of Georgia, fund 489, discr.7, case1965] (see Figure 1). It is noteworthy, that the ceremony was held away from the city center and the witnesses from both sides were the bride's relatives – the Purtseladzes, which points to the fact that the relatives of the bridegroom did not take part in the wedding ceremony based on lies. Six and a half months later, on November 2, 1915, the couple gave birth to a son, who was baptized on November 6 and named Constantine. There is an ecclesiastical record National archive of Georgia [National archive of Georgia, Fund 489, Description 7, Case 1967] (see Figure 2). Constantine died on December 19, 1939.

The second child was born in 1920. Peter Alexander Bagration-Gruzinski did not recognize him as a son due to reasonable suspicion, as he had already been deceived once. The child was named Teimuraz. In his declining years, the prince died on February 4, 1922 [Certificate of Central Archives of Recent History AA2018026785-03 (17.10.2018)] (see Figure 3). The notice states that he was 68 years old, which is not true. He would not have been 65 yet. According to the archival appendix, the death of Peter Alexander again was announced by his wife's relatives (see Figure 4). Not surprisingly, they were not aware of Peter's exact age. Little Teimuraz was baptized and given a new name – Peter. One journalist clarifies: This happened because the child's father died very young! Four months later, a birth certificate of little Peter was taken and he was ascribed to the deceased prince as a son. The deceased was announced alive and his age was pointed: the father – 68 years old, the mother – 30 years old. [Certificate of Recent History Archive AA2018026368-04]. (see Figure 5). In addition to the notice taken in the public registry, I got acquainted with the original of the archival reference [KSE, Fund 723, Description 3, Case 390, p. 14] (see Figure 6). When the father is not alive, then registration of a child is already the subject to trial. The birth certificate of Peter, Peter Bagration-Gruzinski's son, was issued in accordance with the decree 28. This decree was adopted in 1921. Due to the decree the parents were obliged to make

a declaration about the birth of a child within a month and both parents had to certify it by their signature. But in this case regulations were not observed. Suppose if we could find any honorable reason for violating this established rule. It's worth mentioning that witnesses had to certify it too. We even detected that the graph for witnesses is empty. No one wanted to be a perjured witness. It's evident that Bagrationi, who they could not deceive, after death was declared alive and presumably someone else's son was attributed to him. In response to my statement, the archives informed me [(# 02-3 / 141393] that the records of 1922 did not identify the grounds for registration of Peter Gruzinski, born March 28, 1920, registered in 1922."

The main thing is that the dead person was declared alive! If the case concerned an ordinary citizen, then raising such a topic would be embarrassing and uninteresting for the public, but it is a case of a family claiming the status of heir to the throne after a 200-year hiatus.

I would like to draw the reader's attention to one of the facts described in Ketevan Siradze's memoirs. The author tells us that her mother-in-law, Mrs. Tamar, was arrested in 1938. She somehow gave voice from the Far East to her close friend Abel Enukidze in Moscow. He helped Tamar to return to Tbilisi and get back her old apartment. As soon as Tamar arrived, she complained about Bakhanov. I have no doubt in the sincerity of the author. Naturally, Mrs. Tamar and Abel Enukidze could have been close friends (Abel Enukidze had been working for the party since 1906, obviously he and Tamar Dekanozishvili's ex-husband, Alexander Oboladze, belonged to the same circle), but the fact is that in 1937 Abel was shot dead on charges of treason and espionage. So, he could not help anyone. Mrs. Tamar could not divulge information about the real rescuer and instead, she named Abel Enukidze to her daughter-in-law. Who could provide such unprecedented assistance – return from exile and defeat Prosecutor Bakhanov? In 1938 after the arrest of Ezhov – the head of the Soviet Cheka, Beria was appointed in this post. This is the very person who could help Tamar! The archival document corroborates that by that time her family name was – Gruzinskaya-Khechinova [Fund of Ministry of State Security of Georgia N6. Case 19818-60; Archival Division. Fund N6, archival N45 285, volume 6/1, N78, p. 1] (see figure 7). The above mentioned document points that she was arrested in 1941. It is noteworthy that later, in 1945, when Peter Bagration-Gruzinski was arrested, according to dissident Marie Abramishvili, Tamar went to Beria to save her son: "... a few days later, Peter was taken from prison to a psychiatric hospital. Afterwards I learned that his mother had fled to Moscow; she had seen Lavrenti Beria, and they had come up with a wonderful solution. Peter soon left the hospital, as for us, we were deported" [-Mari Abramishvili "The judgement of fate" Tbilisi., 2016, p.76]. In the mentioned above archival document of 1945 year is said, that Peter Gruzinski was also arrested in 1942, but his prisoner's case could not be found... (see figure 7).

Over the years, there was a rumor that Peter Gruzinski's birth certificate had been confiscated by KGB from his family. No birth certificate was found in the archive of Ministry of State Security of Georgia, but one nuance caught my attention. Peter Gruzinski was said "to take himself to be the heir to the throne of the last king of Georgia" („который выдает себя за наследника последнего царя Грузии") [Fund of Ministry of State Security of Georgia N6. Case 19818-60; Archival Division. Fund N6, archival N45 285, volume 6/1, N78 pp. 303-304] (see figure 8). Doubt arises: whether or not People's commissariat for internal Affairs was acquainted with Peter Bagration-Gruzinski's birth certificate, from which it appears that he was two years old when he was attributed as a son to the deceased Peter Alexander Gruzinski?

There is a question whether Mr. Nugzar Bagrationi-Gruzinski is a carrier of the Bagrations' gene. We have already seen that the documents speak against him. The only way to prove it is to have a DNA test. If his highness Prince Peter Alexander Bagration-Gruzinski had recognized little Teimuraz as his son, then the latter, no matter what gene he carried, would have been considered Bagrationi, but this did not happen. The haplogroup of the representatives of Bagrationis of Kartl-Kakheti: Bagration-Mukhranelis, Prince Bagration-Davitashvilis and settled in Moscow Gruzinskis, namely, newly deceased Evgeni Peter Gruzinski – has been identified and coincides with each other. Haplogroup Q1b – L939 is very rare, only Bagrationis are its carriers in Georgia, which simplifies the task. In any case, Mr. Nugzar Bagrationi-Gruzinski's lie causes distrust. It's interesting to know why he hid the fact that in 2010 was tested by the Ethno genetic Research Center. He always used to grumble and refuse to take DNA tests. He would continue to behave so, but Mr. Giorgi Andriadze, the head of the above mentioned center, in a televised speech had intentionally or otherwise revealed that Mr. Nugzar had undergone a Y-DNA test and that he was carrying a Georgian gene. Mr. Giorgi Andriadze commented on Radio Liberty: "...He said: "... As for the results of Nugzar Bagration-Gruzinski's DNA research, this is a confidential information between Bagrationi and me. I confirm that he has an ancient Georgian gene." This means that his DNA belongs to the same haplogroup as the DNA of the majority of the Georgian population, and not to the rarest haplogroup Q1b – L939 in Georgia, whose carriers in Georgia so far are only Bagrationis. Samkharauli National Bureau of Expertise is conducting a test to determine the biological parenting. It is 99.9% accurate and requires genetic testing of both the probable parent and the probable child. In this case, this genetic material is in Mtskheta. Peter the Junior and Peter the Elder are buried in Svetitskhoveli Cathedral. "For their exhumation, first the Bagration-Gruzinski's family should give their consent and then UNESCO." It will not be easy. It is now clear what Mr. Nugzar hopes for, but I must disappoint him: it is not necessary to identify his father's biological parent. The issue is simpler. The major challenge is to clarify whether he belongs to the Bagrationi family. As it has been mentioned,

the carriers of Q1b – L939 haplogroup in Georgia are only the Bagrationis, therefore, it is enough to pass Y testing to determine his belonging to the Bagrationis family. I would like to emphasize that in this respect the Bagrationi family is an exception. Owing to their rare haplogroup, in order to establish belonging to their own family, they do not need to take a biological parent test to determine their ancestry. I repeat again: the haplogroup of the Bagrationis of Eastern Georgia (the Haplogroup of Western Georgian Bagrationis has not been studied yet) is – Q1b – L939, which was not found in Mr. Nugzar Bagration-Gruzinski's test.

Personally, as a historian, I rely more on documents. If Mr. Nugzar Bagrationi-Gruzinski had been able to prove his origin in a documented manner, then the issue of DNA testing would not have arisen at all. A document, or a test! There is no third way – Tertium non datur! Mr. Nugzar Bagrationi-Gruzinski had ample time for presenting the authentic evidence on his belonging to the Bagrationi family to the public, who had been misled for decades, but he could search for nothing. Consequently, he cannot be Bagrationi and all his claims are unfounded.

## სრულიად საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოსა და პ-ნი იური ჩიქოვანის მიმართ ცილისნახების გამო

გამოიცა მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ 2019 წლის II ნომერი, რომელშიც შესულია იოსებ ბიჭიკაშვილის წერილი „ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გენეალოგიის დაზუსტებისათვის (XV ს.)“. როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორმა ახლაც გააყალბა დოკუმენტი, ამჯერად – ან განსვენებული გენეალოგის, ბ-ნი იური ჩიქოვანის მიერ შედგენილი ერთი გენოგრამის ფრაგმენტი. ი. ბიჭიკაშვილი ჯერ წერს, რომ რუს გენეალოგ სტანისლავ დუმინს, 2009 წელს გამოგზავნილ წერილში, ქართლის მეფე კონსტანტინე II საქართველოს მეფის ვახტანგ IV-ის შვილად ჰყავს წარმოდგენილი. (ეს წერილი არ მინახავს და ვერაფერს ვიტყვი). შემდეგ, ი. ბიჭიკაშვილი იწყებს ცილისწამებას: „სამწუხაროდ, ამ აბსურდულ ვერსიას, რატომდაც იმეორებს „თავად-აზნაურთა საკრებულო“, რომელიც 2016 წელს, სახელმოდგებით „საქართველოს თავად-აზნაურთა წინამდლოლის დავით თარხან-მოურავის გენოგრამა“, გამოსცემს გენეალოგიურ ტაბულას, სადაც ქართლის მეფე კონსტანტინე II აქაც საქართველოს მეფის ვახტანგ IV შვილად არის წარმოდგენილი, ხოლო დემეტრე ალექსანდრეს ძე საერთოდ არ არის ტაბულაში მოყვანილი. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ასეთი უცნაური ვერსია არცერთ, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მკვლევარს არ შემოუთავაზებია ბოლო 200 წლის მანძილზე...[ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გენეალოგიის დაზუსტებისათვის (XV ს.) (ქართლის სამეფო შტოს პირველი მეფის, კონსტანტინე II-ის წარმომავლობის დადგენისათვის)“, ჟურნალი „მაცნე“, 2019, №2, გვ. 20].

ახლა კი ზემოთ დასახელებულ გენოგრამაში ჩავიხედოთ, რომელსაც შემდგენლის ვინაობა აწერია: „თავად-აზნაურთა საკრებულოს გენეალოგი, ქართული გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე იური ჩიქოვანი“. გენოგრამაში მამებსა და შვილებს შორის გენეტიკური კავშირი ნაჩვენებია ვერტიკალური სწორი ხაზით, ყოველგვარი დამატებითი განმარტების გარეშე. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვხედავთ გამონაკლისს. ვახტანგ IV-ის შემდეგ წერია: „ვახტანგ IV-ის მემკვიდრე კონსტანტინე II ქართლის მეფე 1447-1505“. ვაქვეყნებთ გენოგრამის ფრაგმენტს (იხ. სურ. 1). კონსტანტინე II-ის მამად მიჩნეული დემეტრე ალექსანდრეს ძე პროვინციის მეფე იყო. ამიტომ, ბ-ნმა იური ჩიქოვანმა დაასკვნა, რომ კონსტანტინე ტახტზე ადის, არა როგორც დემეტრეს შვილი, არამედ როგორც „მეფე ვახტანგ IV-ის მემკვიდრე“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სიტყვა „მემკვიდრეს“ არ დაურთავდა. ი. ბიჭიკაშვილი ეთანხმება საკითხისადმი ამგვარ მიდგომას, თუ არა – მას დაწერილის გადასხვაფერების უფლება არ ჰქონდა. ამავე დროს, მან კარგად იცოდა, რომ ბ-ნ იური ჩიქოვანი კონსტანტინე II-ის მამად ვახტანგ IV-ს ვერ და არ გამოაცხადებდა, ვინაიდან ამ საკითხზე ახალი ვერსია მათ ერთად ჰქონდათ შემუშავებული. 2016 წელს გამოცემულ ნაშრომში ვკითხუ-

ლობთ, რომ კონსტანტინე ॥-ის წარმომავლობის შესახებ მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა და რომ „მკვლევართა (იური ჩიქოვანი და იოსებ ბიჭიკაშვილი) მიერ დაგეგმილია ამ საკითხზე ახალი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, რაც ქართული მეცნიერებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი კვლევა იქნება...“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“ „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“, შემდგენლები: კახა ქორიძე, იოსებ ბიჭიკაშვილი, თბ., 2016, გვ. 96]. ამავე წიგნში დამოწმებულია შემდეგი ფაქტი: ჯერ კიდევ 2012 წლის 27-28 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ჩატარებულ კონფერენციაზე „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარემ – იური ჩიქოვანმა და „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსმა – იოსებ ბიჭიკაშვილმა გამოთქვეს ეჭვი, რომ ქართლის მეფე – კონსტანტინე ॥ გენეალოგიური გამოთვლით ვერ იქნებოდა გიორგი VIII-ის ძმის – დემეტრე ბატონიშვილის შვილი და საქართველოს მეფის – ალექსანდრე I დიდის შვილიშვილი. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქართლის მეფე კონსტანტინე ॥-ის მამა უნდა იყოს საქართველოს მეფის – ბაგრატ V-ის უმცროსი შვილის, პროვინციის მეფის – დავითის ვაჟი დემეტრე“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“, შემდგენლები: კახა ქორიძე, იოსებ ბიჭიკაშვილი, თბ., 2016, გვ. 192]. იმავე წიგნიდან მოგვყავს უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ ბ-ნმა იურიმ კონსტანტინე ॥ მიიჩნია პროვინციის მეფე დავითის ძის, დემეტრეს შვილად, რაზედაც მან ი. ბიჭიკაშვილთან ერთად, 2015 წლის 26 ივნისს მოაწერა ხელი (იხ. სურ. №2 და სურ. №3). და ეს არ იცოდა ი. ბიჭიკაშვილმა? ბ-ნი იური გარდაიცვალა და პასუხს ვერ გასცემს. ი. ბიჭიკაშვილმა ამით ისარგებლა: დაამახინჯა ბ-ნ იური ჩიქოვანის ნააზრევი და მის მიერ შედგენილი გენოგრამის ფრაგმენტი. არ ვიცი გარდაცვლილზე ცილისნამება რომელ წრეებშია მიღებული, ის კი ვიცი, რომ ამ მეთოდს მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქეს.

ი. ბიჭიკაშვილი ასევე წერს: „ხოლო დემეტრე ალექსანდრეს ძე საერთოდ არ არის ტაბულაში მოყვანილი“. ჯერ ერთი, ეს არის გენოგრამა, რომელიც გარდა იმისა, რომ ტაბულისგან განსხვავებით, ილუსტრირებულია, მასში ნაჩვენები არიან არა ყველა ის პირები, ვინც ჩვეულებრივ გენეალოგიურ ტაბულაში უნდა იყვნენ შეეყვანილი, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც უშუალოდ გენოგრამის ადრესატთან არიან დაკავშირებული.

მართალია, ი. ბიჭიკაშვილი გენოგრამის შემდგენლის გვარს არ ასახელებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მთელ თავად-აზნაურთა საკრებულოს დასწამოს ცილი. ამის მცდელობა ადრეც იყო.

2019 წლის მაისში გამოქვეყნდა „ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთობლივი საჯარო განცხადება“, რომელშიც ვკითხულობთ: „ძნელია ერთ განცხადებაში ყველა იმ ცრუინფორმაციას გამოვექმაუროთ, რასაც ბინძური კამპანიის „სცენარისტები“ თხზავენ საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად, თუმცა ერთ-ერთს

აუცილებლად უნდა გავცეთ პასუხი, კერძოდ, ბატონიშვილი ნუგზარი და მისი ოჯახის ყველა წევრი ყოველთვის მზადაა ნებისმიერი ტესტირებისა თუ დნმ ანალიზის ჩასატარებლად, რომელიც მიმართული იქნება მისი უშუალო წინაპრებთან ნათესაური კავშირის სანდოდ და უტყუარად დასადასტურებლად, თუმცა ეს ვერ მოხდება შპს „თავად-აზნაურთა საკრებულო“ებში (უკაცრავად, მაგრამ სწორი ფორმაა: „თავად-აზნაურთა საკრებულოებში“ – მ.ხ.) და სხვა მსგავს არასანდო და არასაექსპერტო დაწესებულებებში (რომელთა უკან სწორედ დავით მუხრანელი და მის კმაყოფაზე მყოფი რამდენიმე პირი ერთიანდება) და არა იმ მეთოდოლოგით, რომელსაც არც ერთი საექსპერტო დაწესებულება არ იყენებს წინაპართან ნათესაური კავშირის დასადგენად. მათი პოპულისტური განცხადებები დნმ-ის ტესტირებაზე, გათვლილია საექსპერტო მეთოდოლოგიებში ნაკლებად გარკვეული საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად“. ეს არის ცილისმნამებლური განცხადება, რომელზეც რამდენმა ადამიანმაც არ უნდა მოაწეროს ხელი, სიმართლედ ვერ იქცევა. პირადად მე ი. ბიჭიკაშვილის სტილი („გვსურს გამოვეხმაუროთ“) და ბრჭყალების გამოყენების წესი („თავად-აზნაურთა საკრებულო“ებში) მეცნო, მაგრამ ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მინდა ერთი შეკითხვა დავსვა: ვინ არის დავით მუხრანელი? ასეთი პიროვნება ცნობილი არ არის. ნუთუ, ბ-6 დავით ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილს გულისხმობენ, რომელიც 2003 წელს გამოცემულ კრებულში „ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“ შეყვანილია მე-8 ტაბულაში „მუხრან-ბატონთა და ბაგრატიონ-მუხრანელთა გენეალოგია“. მას შემდეგ, როდის და ვის მიერ ჩამოერთვა მას ბაგრატიონის გვარი? ოფიციალურ წერილში დაუშვებელია ხელმომწერების მიერ, პიროვნების მოხსენიება, მათი საკუთარი სურვილით შერქმეული გვარით. ასეთი არასერიოზულობა დოკუმენტს ყოველგვარ იურიდიულ ძალას აკარგვინებს.

ხელმომწერთა შორის ჩნდება ვინმე მარიამ დიმიტრის ასული ბაგრატიონ-მუხრანელი, რომელიც 2003 წელს, ზემოდასახელებულ ტაბულაში შეყვანილიც არ ყოფილა, მაგრამ ხელმომწერთათვის დღეს მისი ორმაგი გვარი სავსებით მისაღებია, მაშინ, როდესაც დავით ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილს, თვითნებურად, მხოლოდ „მუხრანელად“ იხსენიებენ!


ასევე, აღსანიშნავია, რომ განცხადებაში მოხსენიებული ადვოკატი ლევან ჩხეიძე, რომელიც თავად-აზნაურთა საკრებულოს წევრია, მოცემულ შემთხვევაში საადვოკატო საქმიანობას თავად-აზნაურთა საკრებულოსგან დამოუკიდებლად ახორციელებდა.

თავად-აზნაურთა საკრებულოს პასუხი რომ მოეთხოვა კოლექტიური განცხადების ხელმომწერთათვის, ასეთ შემთხვევაში, ეს უკანასკნელები როგორ დაამტკიცებდნენ, რომ რამდენიმე პირი „დავით მუხრანელის“ კმაყოფაზეა? ვინ არიან მის კმაყოფაზე მყოფი პირები? ვინ დაინახა, რომ დავით „მუხრანელი“ თავად-აზნაურთა საკრებულოს რამდენიმე წევრს ფულს უხდიდა? რა თანხაზეა საუბარი და ა. შ. რა მტკიცებულებებს წარმოადგენდ-

ნენ პატივცემული ბაგრატიონები, მეცნიერები და საზოგადო მიღვაწეები, გარდა საკუთარი ფანტაზიებისა? ასევე, მათ უნდა მიეთითებინათ, რომელ დოკუმენტში წერია, რომ თავად-აზნაურთა საკრებოლო არის „შპს“. მთავარი და ყველაზე კომიკური ის არის, რომ თურმე, ბ-ნი ნუგზარი და მისი ოჯახის ყველა წევრი ყოველთვის მზად ყოფილან ნებისმიერი ტესტირებისა თუ დნმ ანალიზის ჩასატარებლად, მაგრამ... ვინ შეუშალათ ხელი? ვინ მოსთხოვა მათ, რომ თავად-აზნაურთა საკრებულოში ჩატარებინათ ტესტირება? – ამას კი ხელმომწერები ვერ ასაბუთებენ. რატომ ცრუობენ და არ ამბობენ, რომ როგორც ბ-ნმა გიორგი ანდრიაძემ აღიარა, ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის ტესტირება დიდი ხნის წინ ჰქონია ჩატარებული „ეთნოგენეტიკური კვლევის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თავად-აზნაურთა საკრებულოსთან.

საჯარო განცხადებას ერთვის ხელმომწერთა ორი სია, რომელთაგან პირველი – „ბაგრატოვანთა სახლის“ ნამდვილი წევრების სია. რა იურიდიული უფლება აქვთ მათ, რომ იმ საზოგადოების სახელით მოაწერონ ხელი, რომელსაც დიდი ხანია შეჩერებული აქვს რეგისტრაციის ვადა, ანუ ასეთი იურიდიული პირი აღარ არსებობს. სწორდ ამ მიზეზით არ გამოცხადდა „ბაგრატოვანთა სახლი“ როგორც მოპასუხე სამოქალაქო საქმეზე №2/21413-17. როდის დაირღვა კანონი, ახლა, თუ სასამართლო პროცესზე? ღია წერილი, გარდა იმისა, რომ შეიცავს შეუმოწმებელ ფაქტებს, იურიდიული ძალის არმქონეა.

# საქანთველოს თა



სურ. №1. საქართველოს თავადა-აზნაურთა წინამდლოლის დავით თარხან-მოურავის გენო-გრამის ფრაგმენტი, რომელშიც კონსტანტინები ॥ ქართლის მეცე დაფიქსირებულია, როგორც ვახტანგ IV-ის მემკვიდრე (და არა როგორც შვილი).

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ  
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО  
Грузия  
0160, Тбилиси, ул. Шартава 14а, кв. 11



GEORGIAN  
GENEALOGICAL SOCIETY  
Georgia  
14a, Shartava str. 0160, Tbilisi

საქართველო, 0160, შარტავა ქ. 14ა, სახ. 11. ტელ: (+995 32) 374 919 E-mail: chikovani@mail.ru

№ 25


26.06. 2015

ც ნ ო ბ ა

„ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ისტორიულ-გენეალოგიური გამოკვლევის თანახმად, ქართლის მეფე ქონსტანტინე II (1478-1505 წწ.) ჩამოვლად არის დემეტრე ბატონიშვილის (ჩახს 1405-1425 წწ.) შპალი, პროვიციის შეუც დავითის (ჩახს 1370-1440 წწ.) შვილი შვილი, საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის (1360-1393 წწ.) შვილთაშვილი და არა საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) ვაჟის დემეტრე ბატონიშვილის შვილი, რასაც ვადასტურებთ. აქედან გამომდინარე, ქართლის მეფე ქონსტანტინე II იყო საქართველოს მეფის გორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) არა ძმის შვილი, არამედ გარე ბიძა შვილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მეფე გიორგი VIII-ის პირდაპირი მემკვიდრეები და შთამომავლები გენეალოგიურად უფროსი შტოა ბაგრატიონთა დინასტიაში. ცნობას (ცალკე ფურცელზე), თან ერთვის ქართლის მეფე ქონსტანტინე II-ის წინაპრების გენეალოგიური ფრაგმენტი.

საზოგადოების თაგმჯდომარე



საზოგადოების თაგმჯდომარეს  
მოადგილე

სურ. №2. ამონარიდი წიგნიდან [„საქართველოს სამეცნ სახლის კანცელარია“ „ბაგრატიონები სამეცნ ტახტის მემკვიდრე“, შემდგენლები: კახა ქორიძე, იოსებ ბიჭიკაშვილი, თბ., 2016, გვ. 210].

კარტული გენეალოგიური საზოგადოება

**ГРУЗИНСКОЕ  
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО**  
Грузия  
0160, Тбилиси, ул. Шартава 14а, кв. 11




**GEORGIAN  
GENEALOGICAL SOCIETY**  
Georgia  
14a, Shartava str. 0160, Tbilisi  
E-mail: chikovani@mail.ru

№ 25

26.06. 2015.

ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გენეალოგიური ცრაგმენტი  
(XIV-XV სს.).

ბაგრატ V დიდი  
(1360-1393) 7-1393



საზოგადოების თავმჯდომარე

საზოგადოების თავმჯდომარეს  
მოადგილე



ური წიქვანი

იოსებ ბიჭიგაშვილი

სურ. №3. ამონარიდი წიგნიდან [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“ „ბაგრატიონების სამეფო ტახტის მემკვიდრე“, შემდგენლები: კახა ქორიძე, იოსებ ბიჭიგაშვილი, თბ., 2016, გვ. 211].

**პაგრატიონთა სხვადასხვა შტოებისა და მაფების მიმართ  
ბ-ნი ცუგზარ პაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების ცივრების  
არაკეთილსიღისიერების რამდენიმე მაგალითი**

**1. არაკეთილსინდისიერება მეფე სოლომონ II-ის მიმართ**

2006 წელს დაიწერა „ბაგრატოვანთა სახლის“ მემორანდუმი, რომელსაც ბაგრატიონების დიდმა ნაწილმა და ცნობილმა ისტორიკოსებმა მოაწერეს ხელი. დოკუმენტი ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის შედგენილია, რასაც თავადაც არ უარყოფს. მან მოხერხებულად შეიყვანა შეცდომაში მემორანდუმზე ხელმომწერნი. როგორც ჩანს, ისტორიკოსებს ბაგრატიონების სახელით შექმნილი დოკუმენტის შემოწმება მოერიდათ, რასაც მემორანდუმში არსებული ფაქტოლოგიური შეცდომები, გაყალბებული დოკუმენტები და იურიდიული ხასიათის ლაფუსუსები მაფიქრებინებს. ამჯერად, მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ერთ კონკრეტულ დოკუმენტზე – საქართველოს მთავარმმართველი 6. ფ. რტიშჩევის 1813 წლის პატაკზე, რომლის დედანიც ადრე ჩემთვის ხელმისაწვდომი არ იყო. 2006 წლის „მემორანდუმში“ ვკითხულობთ: „**მე-XIX (სწორია – XIX- მ.ხ.)** – საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში რამდენიმე აჯანყებამ იფეთქა. ყველა ამ აჯანყების ორგანიზატორები, რომლებიც მიზნად საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენას ისახავდნენ, მეფობის კანდიდატებად ყოველთვის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს ასახელებდნენ, კერძოდ საქართველოს მთავარმმართველის (სწორია – მთავარმმართველი – მ. ხ.) 6. ფ. რტიშჩევის (1812-1816) ცნობის თანახმად: „ქართლ-კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს სამეფო თუ სამთავრო გვარეულობის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობენ საქართველოს სამეფოს აღდგენას. მათი გადაწყვეტილებით მეფე გიორგი XII-ის შვილები დავით (XII) ბატონიშვილი უნდა გამეფებულიყო ქართლ-კახეთში, ხოლო იოანე ბატონიშვილი – იმერეთში“. ამონარიდ ბრჭყალებში ზის, მითითებულია წყარო „(Российский Центральный Государственный Военно-Исторический Архив (РЦГВИА), фонд ВУА, дело 4270 (1813 г.) – Докладная записка Главноуправляющего Грузией, генерал-лейтенанта Н. Ф. Ртищева)“ [„ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმი, წიგნში: „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. გვ.228, 229]. აქ აშკარა შეუსაბამობას ვხედავთ: ჯერ საუბარია საქართველოს ტახტის აღდგენაზე, ანუ საქართველოს გაერთიანებაზე და ამავე დროს, დაკონკრეტებულია ორი სამეფოს მეფობის ორი კანდიდატის ვინაობა: „მეფე გიორგი XII-ის შვილები დავით (XII) ბატონიშვილი უნდა გამეფებულიყო ქართლ-კახეთში, ხოლო იოანე ბატონიშვილი – იმერეთში“. ამ შეუსაბამობას ისტორიის მეტ-ნაკლებად მცოდნე ნებისმიერი ადამიანი შეამჩნევს, თუ ყურადღებით წაიკითხავს, მაგრამ სამწუხაროდ, შეუსაბამობა შეუმჩნეველი დარჩა და ვერავინ მიხვდა,

რომ დოკუმენტის გაყალბებული თარგმანი იყო წარმოდგენილი. ამ დოკუმენტიდან მოხმობილი ამონარიდის გადამოწმება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც რუსეთის სამხედრო-საისტორიო არქივიდან დოკუმენტის ასლი მივიღე. დედანში ნათქვამი ყოფილა: „Князь Палавандов объявил мне зделанныя им вовсе время (?) свои замечания что некоторыя из членов царского Грузинского, Имеретинского и Мингрельского домов неперстовая помышлять о царствовании постановили якобы между собою, чтобы царевичу Давыду управлять Грузией а царевичу Иоану Имеретию, и в 1811 году царевич Иоанн отправляя в Грузию бывшего при нем в Санкт-петербурге восем лет высланного князя Зазу Андronикова снабдил его деньгами для приведения в действие своих предприятий“ [Российский Центральный Государственный Военно-Исторический Архив (РЦГВИА), фонд ВУА, дело 4270 (1813г.) Докладная записка Главноуправляющего Грузией, генерал-лейтенанта Н. Ф. Ртищева, с. 5] (იხ. სურ.1). თარგმანი: „თავადმა ფალავანდოვმა გამომიცხადა მის მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებული შენიშვნები, რომ საქართველოს, იმერეთისა და სამეგრელოს სამეფო სახლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, არ წყვეტდა რა მეფობაზე ფიქრს, ვითომდა, ურთიერთშორის დაადგინა, რომ ბატონიშვილმა დავითმა მართოს საქართველო (ქართლ-კახეთი – მ.ხ.), ხოლო ბატონიშვილმა იოანემ – იმერეთი, და 1811 წელს ბატონიშვილმა იოანემ გაისტუმრა რა საქართველოში სანკტ-პეტერბურგში რვა წელი თავისითან მყოფი გადასახლებული თავადი ზაზა ანდრონიკოვი, მოამარავა იგი ფულით თავისი წამოწყებების მოქმედებაში მოსაყვანად“. ახლა კი შევადაროთ ი. ბიჭიკაშვილისეულ თარგმანს. დედანში სამეგრელოს სამთავრობო სახლის წევრები შეცდომით მიკუთვნებული და გაიგივებული არიან სამეფო სახლის წევრებთან, რაც ი. ბიჭიკაშვილმა თვითნებურად ჩაუმატა: „თუ სამთავრო გვარეულობის წარმომადგენლები.“ მან ციტატაში ასევე დაამატა „მეფე გიორგი XII-ის შვილები დავით (XII)...“ (ასევე, შეცვალა დრო. დედანში მომავალი დრო იგულისხმება: „მართოს“, თარგმანში კი – წარსული – „უნდა გამეფებულიყო“). ახლა კი უფრო მნიშვნელოვანი ფალისიფერი უნდა აღვნიშნოთ: დედანში „საქართველოს სამეფოს აღდგენა“ ნახსენები არ არის. ეს ი. ბიჭიკაშვილმა თავად ჩაუმატა. ამავე დროს, მან თარგმანში გამოტოვა სიტყვა **Якобы** (თითქოს, ვითომდა), რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ თავად ნ. ფ. რტიშჩევი არ იყო დარწმუნებული იმ ინფორმაციის სისწორეში, რომელსაც ზემდგომს მოახსენებდა. ნ. ფ. რტიშჩევის დაქვების გამომხატველი სიტყვის მიზანმიმართულად გამოტოვებით, ი. ბიჭიკაშვილმა ინფორმაციას მტკიცებითი ფორმა მიანიჭა. გავარკვიოთ ინფორმაციის არასაიმედოობის მიზეზი. ნ. ფ. რტიშჩევი თავის მოხსენებით ბარათში (და არა „ცნობაში“) გადმოგვცემს თავადი ფალავანდოვის დასმენას, რომელშიც დასახელებული ფაქტები არც ერთ სხვა დოკუმენტში არ გვხვდება. დამოწმებული ამონარიდის დედნიდან ჩანს, რომ ფალავანდოვს იოანე ბატონიშვილთან ერთად, თავადი ზაზა ან-

დრონიკაშვილი და სხვებიც დაუბეზღებია.

ნუთუ დასაჯერებელია, რომ იოანე ბატონიშვილი იმერეთის ტახტის მიტაცებას აპირებდა მაშინ, როდესაც იმერელი ბატონიშვილები არსებობდნენ? გავიხსენოთ საქართველოს გაერთიანების მის მიერ შედგენილი პროექტი: „და არც ეს იქმნება ურიგო და მართლა ქვეყნის შესამატი საქმე, თუ რითაც ღონით შეიძლებოდეს თანხმობა იმერთა და ქართველთა მეფეთა შორის, რომელ შეერთდნენ ეს სახედ: ოდეს ერთ-ერთი მეფე გარდიცვალოს ქართლისა ანუ იმერეთისა უნინ, დაშთომილი მეფე დასონ საზოგადოდ ქართველთა და იმერთა შემდგომ მეფისა. იყოს მიმოგდებით: ხან აქეთური მეფის ძე და ხან იქითური მეფის ძე დაჯდებოდნენ მეფეთ, შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა...[იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტი), თბ., 1957, გვ. 33]. იოანე ბატონიშვილი თანაბარ პატივს მიაგებდა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრებს და ერთიან საქართველოში მათი მონაცევლეობით გამეფებას ვარაუდობდა. შესაძლოა, ეს პროექტი არარეალური იყო, მაგრამ იმერეთის ტახტის მემკვიდრეთა იგნორირებას არ გულისხმობდა. ფალავანდოვის დასმენის გარდა, სად, რომელ საბუთში ნახა ი. ბიჭიკაშვილმა, რომ იოანე ბატონიშვილი 1810-იან წლებში, იმერეთის ტახტის დაკავებას აპირებდა?

ახლა თავადი ფალავანდოვის ვინაობა დავადგინოთ. ჩემი აზრით, ეს ის იასე ფალავანდიშვილი უნდა იყოს, რომელმაც მოგვიანებით, 1832 წლის შეთქმულება გასცა [მანანა ხომერიკი, „1832 წლის შეთქმულების მონაწილე ფილადელფიოს კინკაძე“, თბ., 1999, გვ. 84]. იქამდე კი დეზინფორმაციით იყო გატაცებული და დაკავებული. ახალგაზრდობაში ის ახალციხეში ჩავიდა, სადაც თავისი ევროპული ჩაცმულობის გამო, ჯაშუშად მიიღეს, მაგრამ ვახტანგ ბატონიშვილმა დაიცვა და თან წაიყვანა ტრაპიზონში. აქედან იასე 1826 წელს ჩავიდა სტამბოლს და რუსეთის რწმუნებულს ოდესაში გამგზავრება სთხოვა, რათა იქ სამხედრო საიდუმლო გაემხილა. ოდესაში იასემ თავის ჩვენებაში განმარტა, რომ დადიანს საიდუმლო კავშირი ჰქონდა ოსმალეთში მყოფ ვახტანგ ბატონიშვილთან. მისი დასმენის სიცრუე დადგინდა [მ. ბერძნიშვილი, „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“, თბ., 1983, გვ. 190]. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ვახტანგ ორბელიანმა განაცხადა: „ფალავანდოვმა თქვა, მე თუ დავინახე ვისიმე ხელით ნაწერი, მაშინვე მოვამსგავსებ; ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილთან გასაგზავნ წერილებზე ყველა თავადის ხელმოწერას შევძლებო...[სცე, ფონდი 1457, რვეული XV, 2800]. ი. ბიჭიკაშვილმა იასე ფალავანდოვის (1813 წლის) დასმენა, რის მიმართაც თვით საქართველოს მთავარმმართველი ნ. ფ. რტიშჩევი სკეპტიკურად იყო განწყობილი, ამ უკანასკნელის მტკიცებად გაასაღა და შესაბამისად, შეცდომაში შეიყვანა როგორც 2006 წლის მემორანდუმზე ხელმომწერნი, ისე მთელი საზოგადოება.

„მემორანდუმში“ დოკუმენტების გაყალბების შემდეგ, დაუსჯელობით წახალისებულმა ი. ბიჭიკაშვილმა 2016 წელს დასტამბულ ნაშრომშიც გაიმ-ეორა, რომ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, საქართველოში მომხდარი ყველა აჯანყების ორგანიზატორები, მეფობის კანდიდატებად ყოველთვის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის (ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის) ნარმომად-გენლებს ასახელებდნენ [„ბაგრატიოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრა-ტიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016, გვ. 30]. ამ ახალ ნაშრომში მან უფრო დააზუსტა, რომ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრებში მხოლოდ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ოჯახის წევრებს გულისხმობდა. ბ-მა ი. ბიჭიკაშვილმა საქართველოს ისტორიიდან უკვალოდ გააქრო იმერეთის 1810 წლის აჯანყება. სამოქალაქო საქმეზე №2/21413-17 ნარდგენილ შესაგებელში №2112305 კი მან ამ საკითხთან და-კავშირებით, შემდეგი არგუმენტები მოიყვანა: „ჯერ დავიწყოთ იმით, რომ მე-XIX საუკუნის I მეოთხედი მოიცავს წლებს 1801-დან 1825 წლამდე. შესა-ბამისად, ვამტკიცებ, რომ ისტორიის ამ კონკრეტულ პერიოდში, საქართვე-ლოში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყებების დროს (1802 წლის კახეთის აჯანყება; 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში; 1812 წლის აჯანყება კახეთში; 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთში) მეფობის კანდიდატებად ასახელებდნენ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ოჯახების წარმომადგენლებს“. ამის შემდეგ ის ცალ-ცალკე განიხილავს დასახელებულ აჯანყებებს. ჩვენ ი. ბიჭიკაშვილს აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი 1802, 1804 და 1812 წლების აჯანყებების გამო კი არ ვედავებით. გვაინტ-ერესებს, რა უფლებით ამოაგდო საქართველოს ისტორიიდან იმერეთის 1810 წლის აჯანყება? გარდა იმისა, მან 1819-1820 წლების აჯანყებაში იმერეთის ბაგრატიონების როლი დააკნინა, რაც ცალკე თემაა. ი. ბიჭიკაშვილის მიერ საგულდაგულოდ დამალული 1810 წლის აჯანყება – იმერეთის მეფის, სოლო-მონ II-ის ტახტიდან ჩამოგდებას მოჰყვა, სწორედ მის დაპრუნებას ისახავდა მიზნად და არა ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის ოჯახის წარმომადგენლების გამეფებას. 1810 წლის 10 ივნისს სიმონოვიჩი გენ. ტორმასოვს ქუთაისიდან სწერდა, რომ როგორც აღმოჩნდა, მთელ ხალხს უკიდურესად სურს, კვლავ სოლომონი ჰყავდეს მეფედო. ოღონდ კი კვლავ სოლომონი გაემეფებინათ, იმერლები იმის პირობასაც კი იძლეოდნენ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მეფედ აღარავის დასვამდნენ [აქტე, თ. IV, № 365, ც. 287]. იმერეთი თავისი მეფის, სოლომონ II-ის დასაბრუნებლად იპრძოდა. აღნიშნულ აჯანყებას ერთი ქვეთავი ეძღვნება ჩემს წიგნში [მანანა ხომერიკი, „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლები აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, თბ., 2012, გვ. გვ. 140-162]. ამჯერად, დავიმოწმებ 2012 წელს დასტამბულ ნაშ-რომს „საქართველოს ისტორია ოთხ ტომად“, რომლის IV ტომის ერთ-ერთი ქვეთავი ასეა დასათაურებული: „რუსეთის აგრესის გაფართოება დასავ-ლეთ საქართველოს მიმართულებით. იმერეთის მეფე სოლომონ II ქართული სახელმწიფოებრიობის შენაჩუნებისათვის ბრძოლის სათავეში“ [„საქართვე-

ლოს ისტორია ოთხ ტომად“, ტ. IV, თბ., 2012, გვ. 16]. მომყავს შესაბამისი ამონარიდები: „...გენერალმა ტორმასოვმა კი 1810 წლის 20 თებერვალს იმერეთში გაავრცელა რუსეთის ხელისუფლების განკარგულება სოლომონ II-ის სამეფო ტახტიდან გადაყენების შესახებ. რუსული ჯარის პოლკები გაიგზავნა ვარციხის (სადაც სოლომონი იყო გამაგრებული), ჩხარისა და რაჭისაკენ. მიუხედავად უხეში ზენოლისა, მოსახლეობამ უარი თქვა რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიციზე და ტყეში გამაგრდა“ [„საქართველოს ისტორია ოთხ ტომად“, ტ. IV, თბ., 2012, გვ. 18]. „ყოფილი მეფის მოწოდებას აჯანყებისკენ უამრავი ხალხი გამოეხმაურა, სახალხო ლაშქარში ქუდზე კაცი გამოვიდა, იმერეთის ქალაქებსა და ციხეებში გამაგრაბული რუსთა გარნიზონი ალყაში აღმოჩნდა“ [„საქართველოს ისტორია ოთხ ტომად“, ტ. IV, თბ., 2012, გვ. 19].

თურქეთში, პრემიერ-მინისტრის ოსმალურ არქივში მივაკვლიერ იმერელი თავადების მიერ მეფე სოლომონისთვის გაგზავნილ წერილებს: „ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის სრულიად იმერთა მეფის სოლომონის ჭირი მისცეს მათს ერდგულს ყმას იმერეთის თავადს ერთობით წულუკიძეს აგიაშვილს მიქელაძეს ნიუარაძეს ლორთქიფანიძეს და სხვას ერთობით იმერეთის ხალხს. ჩვენს ხელმწიფეს ვთხოვთ წყალობას თქვენის ბედნიერათ ბრძანების ამბავი გვიბრძანოთ.... თუ ძალით მოხვალთ კაცობას და თქვენზედ ჩვენს ერდგულობას მაშინ გამოვაჩენთ.... [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1105]. წერილს დარტყმული აქვს შვიდი ბეჭედი. უთარილოა. 1814 წელს უნდა იყოს დაწერილი, რადგან იმავე არქივში აღმოჩნდა 1814 წლით დათარიღებული მსგავსი შინაარსის წერილები. 4 აპრილს მანუჩარ დადიანი სწერს მეფეს, რომ ხალხს უკვირს, რატომ არ ჩამოდის ის ფოთში. იმავე დღეს არის გაგზავნილი „გურიის ხალხის თხოვნა იმერეთის მეფისადმი“, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი: „ჩვენამდე მოაღწია ახალმა ამბავმა ჩვენს ქვეყანაში თქვენი მომავალი ჩამოსვლის შესახებ. ჩვენ ყველანი, თავადაზნაურობა და ლარიბები შევიკრიბეთ გარკვეულ ადგილზე და ველოდებით თქვენს ბრძანებებს. რას გვიბრძანებთ? თუ თქვენ დაბრუნება გსურთ, ჩვენ მზად ვართ თქვენი ბრძანება შევასრულოთ, პატივი გცეთ და ერთგულება გიჩვენოთ. თქვენი ყველა ქვეშვერდომი მზად არის თავი განიროს თქვენთვის...“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1105/446615-P]. 1814 წლის 18 მაისს, მეფე სოლომონის ამაღის წევრებს სულთნისთვის ბეჭედდასმული და ხელმოწერილი წერილები გაუგზავნიათ, რაც ოსმალურ არქივში აღმოჩნდა დაცული: „.... ჩვენ ყველანი მეფე სოლომონის მორჩილნი და ერთგულნი ვართ...გთხოვთ მიიღოთ ჩვენი თხოვნა. გარდა ამისა, მეფის სიძე და ნარჩინებული – მალხაზი, ზეპირად გადმოგცემთ ამ საკითხებს. ჩვენ ველოდებით თქვენს წყალობას“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1105/446614-D]. როგორც ოსმალური დოკუმენტებიდან ჩანს, მეფეს გამოწვევა მიუღია და ფოთში ჩასულა. 1814 წლის 19 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში, რომელიც

თურქული მხარის წარმომადგენელს ეკუთვნის, ნათქვამია: „...ქართველი ხალხი ზემოხსენებულ მეფეს უჭერს მხარს... ხსენებული მეფე ამჟამად ფოთში იმყოფება და უდიდებულესობის ბრძანებას ელოდება“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1105/446615-D].

მეფე სოლომონ II 1815 წელს, დევნილობაში გარდაიცვალა. ერთ იმა-ვდროულ ოსმალურ დოკუმენტში ნათქვამია: „საგანგებო სიგელი ადრევე, სამი თუ ოთხი წლის წინ, განსვენებულ მეფეს მისი ფუნქციების ვადის გასაგრძელებლად გაეგზავნა ბერგთან ერთად“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1105/44599]. სოლომონი გარდაცვალებამდე მეფედ რჩებოდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილს იმერეთის 1810 წლის აჯანყებისა და მეფე სოლომონ II-ის შესახებ არაფერი სმენია, რის გამოც ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი და მისი გარემოცვის წევრები აღტა-ცებას ვერ მალავენ.

Свою въ Санкт-петербургъ гользудъ расплодилъ и некотораго рода довереностію Царевичей, стараясь  
 Узнать между прочимъ и сиюю иже вразумлениемъ  
 Грузинъ и собственно настоящаго гользуда; бывши  
 однажды възвѣданъ россійскими правителями  
 и удостоенъ Получить милости отъ Императорскаго  
 Членомъ Вашего Императорскаго Вели-  
 чества по преданности своей и усердію Наполеону ауди-  
 ёнъ, отъ Князя Палавандовъ обѣявъ мнѣ Зурагани  
 или въсе времѧ свои Замѣткаго: что некоторыи  
 изъ членовъ Царскаго Грузинскаго, Имеретинскаго и ин-  
 дрѣльскаго земель Непреставахъ Помышленіи Царемъ  
 Бакини Постановили Якобы Меридъ себѣ, чтобъ Царе-  
 вицу Давиду управляемъ Грузинъ, а Царевичу Бакину  
 Имеретину, и въ 1811<sup>го</sup> году Царевичъ Бакинъ отправ-  
 ляя въ Грузинъ съвѣшалъ пригнать въ Санкт-петербургъ  
 Своиъ Легиъ, Сочиницкаго Князя Заву Андronикова  
 да спадчихъ Ею дѣлами для приведенія вселенскіе  
 Своиъ предпріятіи. Последствія его отправленія  
 Позволяютъ частію удостовѣриться въсѣмъ пред-  
 Помощеніемъ; ибо вънѣшнѣхъ 1812<sup>го</sup> года вводно времѧ  
 Постанови Грузинъ Свѣрисхъ Мѣстныхъ испуганія  
 Непрестава, какъ Сопорони Непреставскихъ поку-  
 шеніи такъ и Сопорони видѣреніе возмушенія,  
 и Главнѣйшии Свѣрисхъ оклевались Князья Андronикова.  
 Между тѣмъ, когда Царевичъ Бакинъ Непреставъ  
 далъ падѣрады въ Успехъ первого своего наморенія, то  
 Предпринялъ другое средство посвященію управителю

№1. ამონარიდი საქართველოს მთავარმმართველის ბ. ფ. რტიშევის მოხსენები-  
 თი ბარათიდან [Российский Центральный Государственный Военно-Исторический Архив  
 (РЦГВИА), фонд ВУА, дело 4270 (1813г.) Докладная записка Главноуправляющаго Грузией,  
 генерал-лейтенанта Н. Ф. Ртищева, с. 5].

## 2. არაკეთილსინდისიერება ქართლის მეფეების მიმართ

ი. ბიჭიკაშვილი ამკვიდრებს ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილ სამეფოთა და მათი ბაგრატოვანი მეფეების მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულაბას, რაც მიზნად ისახავს ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის საამებლად, კახეთის მეფეების წინ წამოწევას და სხვების დამცირებას, ან იგნორირებას. მოვიყან ერთ აღმაშფოთებელ მაგალითს. ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის ყველაზე ძველ ნიმუშად ი. ბიჭიკაშვილი კახეთის მეფის, ლევან I-ის მეუღლის საფლავის ქვაზე ამოტვიფრულ გერბს მიიჩნევს. 2003 წელს გამოცემულ კრებულში მან გამოაქვეყნა წერილი „ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის საგვარეულო ჰერალდიკა“, სადაც ვკითხულობთ: „პირველი საგვარეულო გერბი განეკუთვნება ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. ის ცნობილია კახეთის მეფის ლევან I-ის მეუღლის – დედოფალ თინათინის საფლავის ქვიდან“ [„ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“, თბ., 2003, გვ. 476]. თინათინ დედოფალი იყო გურიის მთავრის, მამია I-ის ასული და მეუღლე კახეთის მეფე ლევან I-ისა, რომელიც 1504-1574 წლებში მეფობდა. ახალი შუამთის მონასტერი დედოფალი თინათინის ინიციატივით აშენდა. ის 1529 წლიდან მონაზვნად აღიკვეცა და გარდაცვალებამდე (1591 წ.) სასულიერო ცხოვრებას ეწეოდა. ახალი შუამთის მონასტრის აგების შემდეგ, იქ მოღვაწეობდა და იქვე დაკრძალეს. ამის აღსანიშნავად ტაძრის კედელში ჩასმულია მარმარილოს ქვა ქართული წარწერით (წუსხური შრიფტით): „აქა მდებარე არს გვამი კახთა მეფის ლევანის მეუღლის თინათინისა, ამა მონასტრის აღმაშენებლისა 1519-1534“. ამ წარწერის ზედა წარმოდგენილია გერბი – ბაგრატიონთა დინასტიისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი ჰერალდიკური სიმბოლოებითა და ფსალმუნებით. ი. ბიჭიკაშვილის მიერ მონოდებული ინფორმაციის თანახმად გამოდის, რომ უძველესი ქართული საგვარეულო გერბი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს ეკუთვნის. ძალიან სასიამოვნო ინფორმაციაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მემორიალური ქვა, რომელზედაც გერბია აღბეჭდილი, დამზადებულია თინათინ დედოფლის დაკრძალვიდან თითქმის სამი საუკუნის შემდეგ! ქართველი მეცნიერები ადასტურებენ, რომ ის 1889 წელს გააკეთებინა ალავერდის იმდროინდელმა ეპისკოპოსმა და ახალი შუამთის მონასტრის წანამდღვარმა კირიონმა (1855-1918), რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო 1917-1918 წლებში [თ. დვალი, მ. ვაჩინაძე, „ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი“, წიგნში: „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“, თელავის მუნიციპალიტეტი, თამაზ დვალის რედაქციით, ტომი 1დ-II, . 2015, გვერდი 191]. მაშასადამე, ი. ბიჭიკაშვილმა მოახდინა ფალსიფიკაცია და XIX საუკუნის საფლავის ქვა – XVI საუკუნის საფლავის ქვად გაასაღა!

ახლა, გავარკვიოთ, თუ რა და ვისი გერბია ქვაზე ამოტვიფრული. ზემოხსენებული გერბი ძალიან ჰგავს ქართლის მეფე ქაიხოსრო I-ის (1674-

1711) გერბს. ეს უკანსკნელი მეფედ ითვლებოდა 1709-1711 წლებში, თუმცა იმხანად, სპარსეთის შაჰინშაჰის მოთხოვნით, ავღანეთში იმყოფებოდა. ქაიხოსრო I-ის გერბი დაფიქსირებულია მისი უმცროსი ძმის – ვახტანგ VI-ის (1675 -1737) ქართლში ჯანიშინობის ანუ მეფისნაცვლობის (1703-1712) პერიოდში, 1710 წელს თბილისის სტამბაში გამოცემულ წიგნში. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც თინათინ დედოფლის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ახალი შუამთის მონასტრის ტაძრის კედელი ეპისკოპოსი კირიონის დავალებით დამზადებული მემორიალური ქვით დაამშვენეს, მასზე წარმოდგენილი გერბის გამოსახულება მეფე ქაიხოსროს I-ის 1710 წლით დათარიღებული გერბიდან იქნა გადატანილი. ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელთა გერბის ნიმუშებმა ჩვენამდე ქართლის მეფისნაცვალ (მომავალში მეფე) ვახტანგ VI-ის ძალისხმევით, 1709 წელს თბილისში დაფუძნებული პირველ ქართულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების მეშვეობით მოაღწია. ჰერალდიკოს თორნიკე ასათიანის მონოგრაფიაში გამოქვეყნებულ ილუსტრაციებს შორის არის „ვახტანგ VI-ისეული გერბის ერთ-ერთი ვარიანტი [თორნიკე ასათიანი, „ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა)“, თბ., 2010, გვ. 63], რომელიც დიდ მსგავსებას ავლენს საფლავის ქვაზე ამოტვიფრულ გერბთან. კირიონს სწორედ ზემოთ დასახელებული ვარიანტი უნდა გამოეყენებინა მემორიალზე ამოტვიფრული გერბის ნიმუშად. სხვა ვარიანტიც რომ გამოეყენებინა, ფაქტია, რომ საფლავის ქვა XIX საუკუნის მიწურულს დამზადდა.

**დასკვნა ასეთია:** ი. ბიჭიკაშვილმა გააყალბა კახეთის მეფის ლევან I-ის მეუღლის – დედოფალ თინათინის საფლავის ქვაზე ამოტვიფრული გერბის როგორც თარიღი, ისე წარმომავლობა!

### 3. არაკეთილსინდისიერება დავით ბატონიშვილის (1767-1819) მიმართ

დავით ბატონიშვილი (1767-1819) ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის შვილი, მამის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის გამგებელი იყო. რუსეთმა მისი გამეფება არ დაუშვა და რუსეთში გადაასახლა. ის ცნობილია თავისი განათლებით, იყო ქართველ ვოლტერიანელთა პირველი წარმომადგენელი. რუსეთში დაინიშნა სამთავრობო სენატის წევრად. თავმჯდომარეობდა კომიტეტს, რომელსაც ვახტანგ VI-ის სამართლის რუსული თარგმანების განხილვა და რედაქტირება ევალებოდა. ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას მოახდინა ქართული სამართლის კოდიფიკაცია, შეადგინა პროექტი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“, ხოლო 1812-1813 წლებში, უკვე რუსეთში დაწერა თხზულება „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“ – „Обозрение Грузии по части прав и законоведения“. წიგნი გამოიცა 1959 წელს, პროფესორ აპოლონ როგავას რედაქტორობით და გამოკვლევით. ა. როგავა წერს: „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“ წარმოადგენს პრო-

ექტს და არა მოქმედ სამართალს. ამ ძეგლის რიგ ადგილებში თვით ავტო-  
რი ამის შესახებ ჩვენ პირდაპირ გვაუწყებს კიდეც. ცნობილია, რომ ორივე  
ძმას (დავითს და იოანეს) ეს პროექტები მხოლოდ ქალალდზე დარჩა და  
სამეფო ხელისუფლებისაგან მათ სანქცია არც მისცემიათ სამეფოს სამარ-  
თლის დარგში სახელმძღვანელოდ“ [დავით ბაგრატიონი, „საქართველოს  
სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“, თბ., 1959, გვ.37-38].  
პროფ. ა. როგავა ფაქტობრივად განმარტავს, რომ „პროექტი“ არ ყოფილა  
საკანონმდებლო აქტების კრებული. შემდეგ ის ნათლად წარმოაჩენს განსხ-  
ვავებას დავით ბატონიშვილის დასახელებულ ორ ნაშრომს შორის (რასაც  
დავიმოწმებთ), მაგრამ ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის უახლოე-  
სი გარემოცვის წევრებისთვის ყველზე ღირებული ეს ზემოთ მოყვანილი  
ამონარიდი აღმოჩენდა. ისინი წერენ: „ყოველივე ზემოთქმული საკმარისი  
უნდა იყოს მავანთა უსაფუძვლო პოზიციების გასაქარწყლებლად, რომელ-  
ნიც ცდილობენ დავით გამგებლის „პროექტის“ რეალურ ცხოვრებაში გასა-  
ტარებელ კანონებად წარმოჩენას და ბატონიშვილი ნუგზარის მემკვიდრეთა  
უფლებების შელახვას. სინამდვილეში, მათ აინტერესებთ ამავე პროექტის  
მე-13 მუხლი, რომელიც ეხება ტახტის მემკვიდრეობის წესს“ [„საქართვე-  
ლოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემ-  
კვიდრე“, თბ., 2016, გვ. 65]. ხსენებული გარემოცვისთვის მიუღებელია და-  
ვით ბატონიშვილის ნაშრომებში დაფიქსირებული ტრადიციული კანონები,  
რომლებიც ქალის გამეფებას გამორიცხავენ. ამიტომ მათ ხსენებული ნაშ-  
რომების ერთმანეთში არევ-დარევა დაიწყეს. ისინი სამეფო ტახტის მემ-  
კვიდრეობის წესთან დაკავშირებით ასახელებენ „პროექტის მე-13 მუხლს“,  
სინამდვილეში კი აღნიშნულ საკითხს ეხება „საქართველოს სამართლისა და  
კანონთმცოდნეობის მიმოხილვის“ მე-13 მუხლი! შეიძლება საქმეში ჩაუხე-  
დავი ადამიანი ვერ მიხვდეს, თუ რას ემსახურება ასეთი, რბილად რომ  
ვთქვათ, უზუსტობა. საქმე ის არის, რომ ამ ორ ნაშრომს შორის, ძირეული  
განსხვავება არსებობს. თუ პირველში (პროექტში) ბატონიშვილი თავის მო-  
საზრებებს გვთავაზობდა, რაც განუხორციებელი დარჩა, მეორე ნაშრომში  
(მიმოხილვაში) მან არსებულ კანონებს მოუყარა თავი. ამ საკითხზე უმ-  
ჯობესია პროფ. ა. როგავას მოვუსმინოთ: „ამრიგად, დავით ბატონიშვილი  
„მიმოხილვის“ წერისას ანგარიშს უწევდა ყველაფერს, რაც კი ქართული  
სამართლისა და კანონთმცოდნეობის დარგში მანამდის იყო გაკეთებუ-  
ლი. „მიმოხილვაში“ მას უკვე არ შეაქვს თავისი მოსაზრების მიხედვით  
შემუშავებული ის კანონები, რომლებიც მან 1800 წ. პროექტში შეიტანა;  
იგი მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში მოქმედ კანონთა  
აღწერით იფარგლება“ [დავით ბაგრატიონი, „საქართველოს სამართლისა  
და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“, თბ., 1959, გვ. 45]. ახლა გასაგები  
ხდება ბ-ნი ნუგზარის დაახლოებული პირების მიერ დავით ბატონიშვი-  
ლის ნაშრომების არაკეთილსინდისიერი ციტირების მიზანი. „მიმოხილვა-  
ში“ შეტანილი მე-13 მუხლის „პროექტში“ გადატანით – ეს მუხლი დავით

ბატონიშვილის არარეალიზებული და აუხდენელი პროექტების სფეროში ინაცვლებს. ნუგზარ ბაგრატიონის მხარდამჭერი ავტორები დავით ბატონიშვილის მიმართ აშკარა ცილისწამებასაც არ მოერიდნენ. ისინი წერენ: „ყურადსალებია, რომ „პროექტის“ ავტორი – დავით ბატონიშვილი, ზოგადი ფრაზებით კი არ აყალიბებს ამ კონკრეტულ მუხლს, რაც „კანონის“ აღწერის ბუნებრივი ფორმაა, არამედ პირდაპირ მოიხსენიებს ქვრივ დედოფალ დარეჯანს და რატომ ხდება ეს, კარგად არის ცნობილი; კერძოდ, ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ, დედოფალმა დარეჯანმა ქვეყნის სათავეში დარჩენის ერთგვარი პრეტენზია გამოთქვა, რითაც მწვავედ დაუპირისპირდა მეფე გიორგი XII-ს და მის მემკვიდრეებს“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 65]. ეს თუ მართალია, დავით ბატონიშვილი უმეცარი პიროვნება ყოფილა, რომელსაც „კანონის“ აღწერის ფორმაც არ სცოდნია და კანონში კონკრეტული პირების სახელები ჩაუწერია! ეს თუ სიმართლეს შექსაბამება, მაშინ რატომ არ მოჰყავთ ავტორებს თავიანთი სენსაციური განცხადების დამადასტურებელი ამონარიდები? დავით ბატონიშვილი „პროექტის“ 160-ე მუხლში (მეორე ნომერია – 36) და არა მე-13 მუხლში (რომელიც, როგორც ვთქვით „მიმოხილვას“ ეკუთვნის) განმარტავდა, რომ მეფის გარდაცვალების შემდეგ, ტახტის მემკვიდრეობა მეფის უფროს ძეს ეკუთვნოდა – „და უკეთუ მოკვდეს იგი და დაუშთის ძე, ძე მისი იქმნებოდის, და არა ძმინ“. ბატონიშვილი ხაზს უსვამდა, რომ (მეფის) ასულთა ძენი „გამორიცხულ არიან ამა ლირსებისაგან“ ანუ არ არიან ტახტის მემკვიდრეები [„სამართალი ბატონისშვილის დავითისა“, თბ., 1964, გვ. 219]. ამ ამონარიდს ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის მომხრეები არ იმოწმებენ. როგორც ვნახეთ, მათ „მიმოხილვის“ მე-13 პუნქტი, განუხორციელებელი „პროექტის“ მე-13 პუნქტად გაასალეს, ანუ გააყალბეს ამონარიდები დავით ბატონიშვილის გამოქვეყნებული ნაშრომებიდან. ავტორები განაგრძობენ: „სამეფო ოჯახის იმდროინდელ შიდა „ბატალიების“ სიღრმისეულ გარჩევას აქ არ მოვყვებით. ეს საკითხი ისტორიკოსების მიერ ისედაც შესხავლილია, თუმცა ვიტყვით, სწორედ ეს დაპირისპირება, რომელიც ფაქტობრივად, დარეჯან დედოფლის გარდაცვალებამდე (1807) გრძელდებოდა, მწვავედ აისახა ტახტის მემკვიდრის განწყობაზე და ამან გამოიწვია დავით გამგებლის „პირადი მოსაზრების მიხედვით შემუშავებულ ახალ კანონ-წესებში კონკრეტული მუხლის გაჩენა: „13. Вдовствующая царица, ни другие особы женского пола, к царскому грузинскому дому принадлежащие, престола наследовать не могут“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 66]. ეს არის ფაქტებისა და ნაშრომების არნახული ფალსიფიკაცია! ზემოთმოყვანილი ციტატა აღებულია ნაშრომიდან „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა“ – „Обозрение Грузии по части прав и законоведения“, რაც ერთი შეხედვითაც კი თვალნათლივ ჩანს. „პროექტი“ დაწერილია ქართულად, ხოლო „მიმოხილვა“

რუსულად. ზემომოყვანილი რუსულენოვანი ციტატა მოყვანილია „მიმოხილვიდან“, რომელიც დაწერილია 1812-1813 წლებში, როდესაც დარეჯან დედოფალი უკვე 5 წლის გარდაცვლილი იყო. დავით ბატონიშვილი ზოგადად წერდა, რომ არც ქვრივი დედოფალი და არც საქართველოს სამეფო სახლის სხვა მდედრობითი სქესის წევრები ტახტის მემკვიდრე ვერ იქნებიან [დავით ბაგრატიონი, „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“, თბ., 1959, გვ. 115]. მის ნაშრომებში ვერსად შეხვდებით დარეჯან დედოფლის სახელს. დავით ბატონიშვილს კანონში კონკრეტული პირის სახელი რომ შეეტანა, ეს ფაქტი ცნობილი იქნებოდა, როგორც დილეტანტიზმისა და უმეცრების მაგალითი. მას ასეთი რამ არ ჩაუდენია, ამდენად, ეს არის ცილისწამება მის მიმართ.

მე-13 მუხლის თაობაზე, ა. როგავა განმარტავს, რომ „მიმოხილვის“ მე-10 და 12-13 მუხლებში აღნიშნული კანონები ჩვენთვის ცნობილ ძველ ქართულ სამეფო სამართლის ძეგლებში არ მოიპოვება, მაგრამ მისი აზრით, ეს კანონები უეჭველად არსებოდნენ. „მხოლოდ თამარ მეფისა და მისი ქალიშვილის – რუსუდანის გამეფებისას ნაწილობრივ შეტანილ იქნა ამ კანონებში თავისებური კორექტივი დროებით: როცა მეფეს ვაჟი არ მოეპოვებოდა, დაშვებულ იქნა მაშინ სამეფო ტახტის მემკვიდრედ მისი ქალი. შემდეგ ხანებში კი ასეთი გამონაკლისი კვლავ ძველებურადვე აღკვეთილა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საქმეში და XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, ჩანს, დავითის მიერ ზემოხსენებულ მუხლებში აღნიშნული ტრადიციული კანონების მიხედვით წარმოებდა სამეფო ტახტის მემკვიდრეობა მთელ საქართველოში. ასე რომ დავით ბატონიშვილის მიერ „მიმოხილვაში“ ჩანერილი ეს ტრადიციული კანონები, უეჭველია, უძველეს დროიდანვე მომდინარეობენ და ერეკლეს მეფობის დროისათვის ისინი სრულიად არ არიან ასახული. მხოლოდ საფიქრებელია, რომ „მიმოხილვაში“ დავითის მიერ მე-10 და მე-12-13 მუხლებში ჩანერილი ეს ტრადიციული კანონები ადრეც ჩანერილ ყოფილიყო ერეკლეს მიერ თავის 1760-61 წწ. ან შემდეგი დროის ერთ-ერთ, ჩვენთვის დღემდე უცნობ სამართლის ძეგლში და იქიდან სარგებლობდეს დავითი „მიმოხილვაში“ ამ მუხლების წერისას. ყოველ შემთხვევაში, დავითს შეეძლო ეს მუხლები ერეკლეს ამ სამართლის ძეგლის გარეშედაც, ტრადიციული ზეპირგადმოცემით ჩაეწერა „მიმოხილვაში“. თვითონ დავითი სწორედ მემკვიდრე იყო სამეფო ტახტისა და თავისევე დროსაც არსებული სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ეს ძველი, ტრადიციული ქართული კანონები მას, ჩანს, კარგად სცოდნია [დავით ბაგრატიონი, „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“, თბ., 1959, გვ. გვ. 115, 116]. ხოლო ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის გარემოცვის წევრები აცხადებენ: „კონკრეტულად მე-13 მუხლს კი აშკარად ეტყობა ქვრივ დედოფალთან ბატონიშვილის პირადი დამოკუდებულების გავლენა“. ისევ უნდა შევახსენო მათ, რომ ეს კონკრეტული მუხლი 1813 წელს დაიწერა, დარეჯან დედოფალი კი 1807 წელს გარდაიცვალა. მათი

აზრით „მე-12 მუხლი სრულებით არ გამორიცხავს ტრადიციულ წესს – „ქართული საქორნინო სამართალი ზედსიძეობის შესახებ“, რადგან ეს უძველესი ქართული წესი მოქმედებდა მხოლოდ მაშინ, როცა ტახტის მემკვიდრე იყო ქალი ანუ „როცა მეფეს ვაჟი არ მოეპოვებოდა, დაშვებულ იქნა სამეფო ტახტზე მისი ქალი“ (იხ. იქვე, გვ. 115). აშკარაა, რომ დავით გამგბელი, ქართულ ტრადიციულ დინასტიურ სამართალში არსებულ ამ უძველეს კანონს ან განზრას უგულებელყოფს (შესაძლოა, დარეჯანის ფაქტორის გამო), ან უპრალოდ არ იცის, ანდა სამეფო სახლში ვაჟი მემკვიდრის არარსებობის მაგალითს ის არც კი განიხილავს „პროექტის“ შედგენისას, რადგან, ერთი მხრივ, კონცენტრირებულია ქვრივი დედოფლის წინააღმდეგ ბრძოლაზე, მეორე მხრივ კი, იმ დროისთვის საქართველოს სამეფო სახლის იმდენი (თოთხმეტი) მამრობითი წევრია, რომ ამაზე არც ფიქრობს [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“]. „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 66]. მკითხველს შევასენებ, რომ ა. როგავა საწინააღმდეგოს ამტკიცებს. კერძოდ, როგორც ვნახეთ, ის ადასტურებს, რომ დავით ბატონიშვილმა კარგად იცოდა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძველი, ტრადიციული ქართული კანონები. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა, ავტორებს რომ მიეთითებინათ წყარო, სადაც წესი – „ქართული საქორნინო სამართალი ზედსიძეობის შესახებ“ და საერთოდ, ზედსიძეობის ინსტიტუტი – სამეფო ოჯახთან მიმართებაშია განხილული. ყოველ შემთხვევაში, არც დავით ბატონიშვილი, არც ივანე ჯავახიშვილი და არც აპოლონ როგავა (რომლის ნაშრომსაც ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის მხარდამჭერი ავტორები ეყრდნობიან), ტერმინ „ზედსიძეობას“ სამეფო ოჯახთან მიმართაში არ იყენებენ. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების ავტორების მიმართ უფრო მნიშვნელოვანი შენიშვნაც მაქვს: საკვირველია, რომ ისინი კვლავ „პროექტს“ ასახელებენ, მიუხედავად იმისა, რომ მე-12 მუხლი, მე-13 მუხლის მსგავსად, შეტანილია „მიმოხილვაში“, ანუ დაწერილია 1812-1813 წლებში, ამდენად, მისი შედგენისას 1807 წელს გარდაცვლილ დარეჯან დედოფლის წინააღმდეგ ბრძოლაზე საუბარი – საფუძველს მოკლებულია!

აპოლონ როგავა განმარტავს: „დავით ბატონიშვილის მიერ ამ მუხლებში თქმულს კარგად მოწმობს ქართული გვიანფერდალური ხანის უამრავი საისტორიო წყაროები და მას არ ეწინააღმდეგება, საერთოდ, უფრო ადრინდელი საისტორიო წყაროებიც, კანონებში შეტანილი იმ დროებითი კორექტივის გარეშე, რომელზედაც ზემოთ მსჯელობა გვქონდა“ [დავით ბაგრატიონი, „საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნების მიმოხილვა“, თბ., 1959, გვ. გვ. 115, 116]. ჩემი მხრივ მინდა დავუმატო: როგორც ჩანს, მეფე სოლომონ მეორისთვისაც იყო ცნობილი ამგვარი წყაროების არსებობა. ამით აიხსნება, რომ მან 1804 წელს, „ელაზნაურის ხელშეკრულების“ მე-2 პუნქტით, კონსტანტინე ბატონიშვილი თავის მემკვიდრედ გარკვეული დათემით გამოაცხადა: კონსტანტინე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მემკვიდრე, თუ თითონ სოლომონს ღმერთი მამრობითი სქესის შვილს არ

მისცემდა: „ხოლო, უკეთუ ღმერთმან არა სათნო იჩინოს კურთხევა, სახლისა ჩემისა მამობრისა სქესისა შთამომავლობითა...“ [„ქართული სამართლის ძეგლები“, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1965, გვ. 561]. ეს კი ნიშნავს, რომ თუ მეფე სოლომონს ქალიშვილი შეეძინებოდა, ის ვერ გახდებოდა ტახტის მემკვიდრე. ძნელი დასაჯერებელია, რომ მეფისთვის თავის ყოფილი მტრის, მეფე დავით II-ის ძე – საკუთარ ქალიშვილზე უფრო საყვარელი და ახლობელი ყოფილიყო, მაგრამ როგორც ჩანს, სოლომონ მეფე, გარკვეული კანონებით იყო შეზღუდული.

დავით ბატონიშვილის მიმართ ასეთ უსამართლობას ავტორები ქ-ნი ანა ბაგრატიონი-გრუზინსკისა და მისი ქალიშვილების ინტერესების დასაცავად სჩადიან.

ნებისმიერ შემთხვევაში, დავით ბატონიშვილის ნაშრომების ერთმანეთში არევ-დარევა და მისთვის ისეთი ქმედებების დაბრალება, როგორიც არის კანონში კონკრეტული ადამიანების სახელების შეტანა და სხვა, სრულიად დაუშვებელია.

P.S. ზემოთ დასახელებული წიგნის ავტორების თქმით, გარკვეულ პირებს, ვისაც არ ასახელებენ, ჯერ არ სდომებიათ ანა ბაგრატიონი-გრუზინსკის ხაზით სამეფო შტოს გაგრძელება, შემდეგ თურმე, ის ტახტის ლეგიტიმურ მემკვიდრედ მაინც აღიარეს, მაგრამ მათ „შემდგომ უკვე მის ქალიშვილებს შეუტიეს და „მემკვიდრებად დაინუნეს“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“ „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 166]. არ ვიცი კონკრეტულად ვის გულისხმობენ პატივცემული ავტორები. ჩემი მხრიდან კი ვიტყვი: დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონი ანას ქალიშვილები შესანიშნავი ახალგაზრდები არიან, მათ დასაწუნი არაფერი აქვთ. ყველა გვარის მიმართ ერთნაირ პატივისცემას ვადასტურებ, მაგრამ როდესაც ტახტის მემკვიდრის საკითხი დგება (თუნდაც ნომინალურად), მაშინ მამით მალანიებს არ უნდა ეწყინოთ, თუ მათ ამ წოდებისთვის „დაინუნებენ“, მიუხედავად იმისა, რომ ნუგზარ ბაგრატიონმა თავის ყოფილ სიძეს, გრიგოლ მალანიას, თავადობა და სახლთუხუცესის თანამდებობა უბოძა: „დღიუდან გაქვთ უფლება ატაროთ და იწოდებოდეთ – მის ბრწყინვალებად გრიგოლ სახლთუხუცესად. ამიერიდან კეთილშობილად იცნობებოდე და პატივცემულ იყავ, ვითარცა სხვანი საქართველოს თავადნი“. ეს წყალობის სიგელი გამოქვეყნებულია წიგნში „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“ „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016 [ გვ. 253]. ამავე კრებულში ქვეყნდება კიდევ რამდენიმე „წყალობის წიგნი“, რომლითაც ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, როგორც თავად წერს „ჩვენი სამეფო ოჯახის ერთგულებისა და განეული ღვაწლისათვის“ სხვადასხვა პირებს თავადობას უბოძებს. შევახსენებ, უფრო სწორად, განვუმარტავ, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ, 1921 წლის 21 თებერვალს, მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მე-3 თავში განსაზ-

ღვრულია მოქალაქის უფლებანი: „მუხლი 17. წოდებრივი განსხვავება არ არსებობს. მუხლი 18. ხარისხის მინიჭება გარდა აკადემიურისა აკრძალულია“. ახალი კონსტიტუციის თავი 2-ის მე-11 მუხლის – „თანასწორობის უფლების“ ძალით „1. ყველა ადამიანი სამართლის ნინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია ...წარმოშობის... ან სხვა ნიშნის მიხედვით“. ფრაზა „პატივცემულ იყავ, ვითარცა სხვანი საქართველოს თავადნი“ – არის თუ არა დისკრიმინაციული სხვა მოქალაქეების მიმართ? ვფიქრობ, ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ქმედება ანტიკონსტიტუციურია.

აღსანიშნავია, რომ ზემოდასახელებულ კრებულში შესულია რამდენიმე „წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – ილია II-ს“, მაგრამ ყველა მათგანი უბასუსოდ არის დატოვებული. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შეცდომაში შეყვანა კი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფებამ ადვილად მოახერხა. წიგნი „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“ (თბ., 2016) – სწორედ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა. კომენტარი ზედმეტია.

#### 4. არაკეთილსინდისიერება ბატონიშვილი ვახტანგ ბაგრატიონის მიმართ

ი. ბიჭიკაშვილმა თავის ნაშრომში „ბაგრატოვანთა სახლი“ „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“ [თბ., 2016] არცერთხელ არ ახსენა ვახტანგ ბაგრატიონი, რომელიც 1819-1820 წლების აჯანყების მონაწილეთა ნაწილმა მეფედ გამოაცხადა. მისი ძმის, ტარიელის, შესახებ კი წერს, რომ ის, ვითომდა, არ სარგებლობდა ბატონიშვილის სტატუსით: „....ხოლო მეფის უკანონო შვილის შვილები კი, უკვე თავადის და არა ბატონიშვილის სტატუსში იმყოფებოდნენ, მაგალითად იმერეთის მეფე დავით II-ის (1784-1789) უკანონო შვილი როსტომი, ბატონიშვილის სტატუსით სარგებლობდა, ხოლო მისი შვილი ტარიელი, თურქეთში ცხოვრებისას ატარებდა ჰაიდარ-ბეგის (ბეგი ნიშნავს თავადს) სტატუსს, რაც შემდგომ გაუგვარდათ კიდეც“ [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016 გვ.49]. ტარიელ ბაგრატიონს შვილი არ დარჩენია. გაუგებარია, თუ ვის „გაუგვარდათ“ ჰაიდარ-ბეგის გვარი? თუ ი. ბიჭიკაშვილმა იცის, რომ ტარიელს შთამომავლობა დარჩა, მაშინ რატომ არ ჰყავს ისინი შესაბამის ტაბულაში ნაჩვენები? მას ტარიელის გარდაცვალების თარიღიც კი არას-წორად აქვს მითითებული – 1843 წელი, ნაცვლად 1840 წლისა. თუ ი. ბიჭიკაშვილმა ტარიელის შესახებ, ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, მცდარი ინფორმაცია შემოგვთავაზა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პიროვნების, ვახტანგ ბაგრატიონის ხსენებას მოერიდა. მან ისიც დამალა, რომ ვახტან-

გი იმერეთის აჯანყების მონაწილეთა ნაწილმა 1820 წელს მეფედ „დასვა“, ხოლო ოსმალეთის სულთანმა იმერეთის მეფედ აღიარა [მანანა ხომერიკი, „იმერეთის დე იურე მეფე ვახტანგ ბაგრატიონი“, თბ., 2012]. კარგი იქნებოდა, ეს საკითხი სამეცნიერო კომისიას განეხილა, მაგრამ ვინაიდან საამისო პერსპექტივა არ ჩანდა, ვახტანგის ერთადერთი ქალიშვილის, ანასტასიას, შთამომავალმა ერთ-ერთმა ქალბატონმა, თავისი ნინაპრის ღირსების დასაცავად, სასამართლოს მიმართა. ი. ბიჭიკაშვილმა სამოქალაქო საქმეზე №2/21413-17 ნარმოადგინა შესაგებელი №2112305, რომელშიც ისიც კი გაძედა, რომ მოსამართლის შეცდომაში შეყვანის მიზნით, დოკუმენტი გააყალბა: 6. მახარაძის ნაშრომიდან დამახინჯებულად მოიყვანა ამონარიდი, კერძოდ, გენერალ-მაიორ სისოევის მიერ 1819 წელს შედგენილი რუსეთის მთავრობის ერთგული თავადების და აზნაურების სიიდან. (აღნიშნული სია პირველწეროზე [სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 906, ფ 235] დაყრდნობით მაქვს დამოწმებული ჩემს 2012 წელს გამოცემულ ნაშრომში „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“ 324-ე გვერდზე). დოკუმენტი ნათქვამია, რომ დავით და ვახტანგ ბაგრატიონები, თავის გლეხებთან ერთად, არ მონაწილეობდნენ აჯანყებაში, ყოველმხრივ ცდილობდნენ სიმშვიდის შენარჩუნებას და ერთგულებას იჩენდნენ რუსეთის მთავრობის მიმართ: „Князь Давид Багратион Батонишвили. село Вангети. Князь Вахтанг Багратион Батонишвили. Со всеми крестьянами не участвовали в мятеже и всячески старались об удержании их в спокойствии, усердствуя к российскому правительству“. ნათქვამი ორივეს თანაბრად ეხება. ი. ბიჭიკაშვილს კი სურს, რომ მხოლოდ ვახტანგს ეხებოდეს, რისთვისაც მან დავით ბატონიშვილის სახელი ამოაგდო, თვით-ნებურად შეცვალა ზმები, მრავლობითი რიცხვიდან მხოლობით რიცხვში გადაიყვანა: „Князь Вахтанг Багратион Батонишвили. Со всеми крестьянами не участвовал в мятеже и всячески старался об удержании их в спокойствии, усердствуя к российскому правительству“. და ამ გზით დამალა, რომ სიაში ერთად არიან შეყვანილი დავით და ვახტანგ ბატონიშვილები. ი. ბიჭიკაშვილი ორმაგ სტანდარტებს იყენებს. ვახტანგს თურმე, არ შეიძლება მებრძოლი ვუწოდოთ, დავითი კი, როგორც ი. ბიჭიკაშვილი წერს, რუსეთის ხელისუფლებას „სისხლს უშრობდა“, სანამ 1820 წელს არ მოკლეს. ვახტანგ ბატონიშვილის დამცირებამ ი. ბიჭიკაშვილი ისე გაიტაცა, რომ მან უყურადღებოდ დატოვა 6. მახარაძის შენიშვნა (2), სადაც ნათქვამია: „о подленной роли Давида и Вахтанга Багратиони в восстании см. в тексте...“ ჩემს ნაშრომში განვმარტავ, რომ დავით და ვახტანგ ბატონიშვილები 1819 წელს, ან ჯერ არ იყვნენ ჩაბმული აჯანყებაში, ან მოხერხებულად ნიღბავდნენ თავიანთ მონაწილეობას.

როგორც სავარაუდო იყო, სასამართლო ვერ ჩაწვდა სამეცნიერო დავის ნიუანსებს და არც სასამართლოს შეცდომაში შეყვანის ფაქტზე მოახდინა რეაგირება. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მაგრამ რას ითხოვდა მოსარჩელე?

მხოლოდ და მხოლოდ სიმართლის დადგენას, რასაც ვერ მოესწრო. ეს ქალბატონი 2020 წლის 2 ივნისს გარდაიცვალა. ისტორიული სამართლიანობის აღდგენა ახლა მე მევალება, რადგან სწორედ მე ჩამოვიტანე თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივიდან მასალები ვახტანგ ბაგრატიონის შესახებ, რაც შევიდა ჩემს მონოგრაფიაში [„იმერეთის სამეფოს გაუქმება, 819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, თბ., 2012] და ბროშურაში [„იმერეთის დე იურე მეფე ვახტანგ ბაგრატიონი“, თბ., 2012].

შესაგებელში ი. ბიჭიკაშვილი წერს: „...ძალიან ყურადღებით რომ წაეკითხათ ჩემი ორტომეულის მეორე წაწილი „იოსებ ბიჭიკაშვილი, „საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია“, თბ., 2016, გვერდებზე – 314, 324, 325 და ასევე თანდართულ №19 გენეალოგიურ ტაბულაში მარტივად აღმოაჩენდნენ ისტორიულ წყაროებს და სამეცნიერო ლიტერატურას ვახტანგ და ტარიელ ბაგრატიონების შესახებ“. ჩვენ ამ გვერდებს ვიცნობთ. მერედა, რა არის აქ ვახტანგ ბაგრატიონის შესახებ ნათქვამი? „35/19. ვახტანგ როსტომის ძე (?) -1846 შემდეგ) ჩანს 1820-1846“. გარდაცვალების წლად შეცდომით არის მითითებული 1846 წელი, ნაცვლად ჩემს წაშრომებში მითითებული 1850 წლისა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ი. ბიჭიკაშვილი არ იცნობს მთელ რიგ ფაქტებს, რომლებიც ვახტანგ ბატონიშვილის სიცოცხლის ბოლო წლებში მოხდა.

გარდა ამისა, რატომ არ იხსენიებს ი. ბიჭიკაშვილი ვახტანგ ბაგრატიონს ბატონიშვილად? ვახტანგის და ტარიელის მამა, როსტომი იყო მეფე დავით II-ის უკანონო შვილი. რუსეთის მთავრობა ძმებს ხან უკანონოდ შობილი მამის შვილებს ეძახდა, ხან უკანონოდ შობილებს, ხან უკანონოდ შობილი მამის უკანონოდ შობილ შვილებს. ვახტანგს „უკანონოდ შობილ ურჩხულს“ უწოდებდნენ, რადგან ის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. სოლომონ I-ის უკანონოდ შობილი შვილიშვილის „გიორგი ბუშის“ შვილები კი, რომლებიც იმპერატორისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ, იმ დროს რუსეთში იმყოფებოდნენ და პატივით სარგებლობდნენ. მათი უკანონო წარმოშობა არაფერში უშლიდათ ხელს. დოკუმენტები მეტყველებენ, რომ როსტომ დავითის ძის შვილებიც ბატონიშვილებად იწოდებოდნენ. ვახტანგი, რომელსაც ი. ბიჭიკაშვილი ხსენების ლირსადაც არ თვლის, ყველა ქართულენოვან და რუსულენოვან დოკუმენტში ბატონიშვილად იხსენიება. აი, რამდენიმე მაგალითი:

1. ვახტანგის წყალობის სიგელიდან: „ქ. წყალობითა ღმრთისათა მალლისათა ჩვენ ბატონიშვილმა როსტომის ძემ ვახტანგმა და ჩემმა ძმად ტარიელმა ესე მტკიცე და უკუნითი უკუნისამდე მოუშლელი წყალობის წიგნი აღგინერეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს საყვარელს და სასურველს სიძეს თავადს მოურავს ბეჟანს წერეთელს... და გიბოძეთ სიქთარუაში ადგილი მამული გიორგიტა და ვანიკა ნადირიშვილისსოული...“ [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Hd 6001].
2. 1820 წლის 2 ივნისს შედგენილი, დავით და ვახტანგ ბატონიშ-

ვილების ოჯახების წევრების სია „**Список Семействам Давида и Вахтанга царевичей и их прислугам**“ [სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008, ფ. 82].

3. სია „**Из Семейства вахтанга царевича**“ [სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008, ფ. 82ა].
4. „**Список Семействам давида, вахтанга царевичей, князя ивана абашидзе и находившейся при них прислуге**“ [სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008, ფ. 505].
5. „**Список о бунтовщиках... Царевичи: Вахтанг багратион Малолетный брат его тариело Багратион**“ [სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008, გვ. 539].
6. „**Ц-ч Вахтанг Багратион. Малолетный брат его тариел Багратион.** в бегах“ [Н. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819-20 гг., „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, 1942 წ., ნაკვეთი III., თბ.]
7. ცნობილი რუსი ისტორიკოსი ბ. დუბროვინი თავის ნაშრომში წერს: „**бежавший имеретинский царевич Вахтанг появился в Трепизонде** и завел переписку с Александром. Он обещал при первом объявлении персиянами войны России появится в Имеретии и поднять тамошнее население“ [„История Войны и Владичества Русских на Кавказе“ Н. Дубровина т. VI, с.611].
8. ისევ ისტორიკოს ბ. დუბროვინს ვიმოწმებ: „Ермолов приказал генерал-маиору Вельяминову... **в случае поимки царевича Вахтанга** разстрелять его в Кутаисе...“ [„История Войны и Владичества Русских на Кавказе“ Н. Дубровина, т. VI, с.429].
9. ბ. დუბროვინი მოწმობს: „**письма кн. Зураба Церетели к... князю Вахтангу батонишвили**“ [„История Войны и Владичества Русских на Кавказе“ Н. Дубровина, т. VI, с.42]
10. ხელნაწერთა ცენტრში დაცულია ვახტანგის ბატონიშვილის სიგელი, რომელიც მან ჯერ კიდევ თურქეთში გადახვენამდე შეადგინა. მის ბეჭედს გარკვევით აწერია „**ბატონიშვილი ვახტანგ**“ [სსიპ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Hd-7335].
11. გასტონ ბუაჩიდე მარი ბროსეზე დაყრდნობით წერს: „**В Париж прибыли племянники бывшего царя Имеретии Соломона II – царевичи Вахтанг и Тариэл**“ [Гастон Буачидзе, „Мари Броссе, страницы жизни.“ Тб. 1983, с. 3].



ბატონიშვილი ვახტანგის ბეჭედი [სსიპ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Hd-7335].

ზემოთმოყვანილ მაგალითებს ი. ბიჭიკაშვილი მალავს, რადგან ისინი აცამტვერებენ მის მიერ შეკონიწებულ კონცეფციას, რომლის თანახმად, ვისაც უკანონოდ შობილი წინაპარი ჰყავდა – ბატონიშვილად არ ითვლებოდა. ის არც იმას ითვალისწინებს, რომ ყველა ბაგრატიონი უკანონოდ შობილი დავით-ულუს შთამომავალია.

ზემოხსენებულ შესაგებელში ი. ბიჭიკაშვილმა კვლავ დამახინჯებული სახით დაიმოწმა ამონარიდი ნ. ფ. რტიშჩევის ცნობიდან და ცინიკურად დასინა, რომ თუკი გენერალ რტიშჩევის ტექსტთან პრეტენზია გააჩნიათ, „მაშინ მოსთხოვონ პასუხი მას და არა მე, რადგან ისტორიული დოკუმენტის გამოყენების უფლება აქვს ნებისმიერ მკვლევარს“. დოკუმენტის გამოყენებასა და გაყალბებას შორის დიდი ზღვარია! ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მან გააყალბა ამონარიდი გენერალ რტიშჩევის პატაკიდან. ამიტომ პრეტენზია სწორედ მასთან გაგვაჩნია და არა რტიშჩევთან, რომელთანაც არაფერი გვესაქმება, თავად ი. ბიჭიკაშვილს კი როგორც ენებოს!

თავის შესაგებელში ი. ბიჭიკაშვილი ვახტანგ ბაგრატიონის როლის გაქარწყლებას შეეცადა: „კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პიროვნება 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებისას იყო აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ისევე როგორც იმერეთის თავადა-აზნაურთა სხვა მრავალი წევრი.“ ი. ბიჭიკაშვილმა უნდა განმარტოს, ვახტანგ ბაგრატიონის მსგავსად, თავადაზნაურობის რომელი სხვა წევრი იყო არჩეული მეფედ? ვის მიერ ჩატარებულ კვლევას გულისხმობს? ის იმოწმებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ოლდა სოსელიას: „ვახტანგიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებაში“. სულ ეს არის და ეს. ცნობილ მკვლევარს, ოლდა სოსელიას, აღნიშნული საკითხი ძალზე სუსტად ჰქონდა შესწავლილი. როგორც ჩემს ნაშრომში მაქვს დასაბუთებული, მან ვახტანგის წარმომავლობაც კი არ იცოდა. ორი სხვადასხვა პიროვნება, ორი როსტომ ბაგრატიონი, ერთ პიროვნებად ჰყავდა წარმოდგენილი. ვახტანგის მამის, მეფე დავით II-ის უკანონოდ შობილი შვილის, როსტომ ბატონიშვილის შესახებ შეცდომით წერდა: „როსტომის თანამეცხედრდე იყო მხეიძის ქალი ელისაბედი. ჰყავდა სამი ვაჟი – ვახტანგ (III), სიმონ, ტარიელ და სამი ასული...“ [ო. სოსელია, „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)“, III, თბ., 1990, გვ. 52]. მაპატიეთ, მაგრამ ის როსტომ ბაგრატიონი, რომლის თანამეცხედრეც მხეიძის ქალი ელისაბედი იყო, ჩემი უშუალო წინაპარია, ცხადია, ელისაბედთან ერთად. ვახტანგი და ტარიელი კი სხვა როსტომის შვილები იყვნენ. ო. სოსელიასთვის არც ის დადასტურებული ფაქტი იყო ცნობილი, რომ ვახტანგ ბატონიშვილი აჯანყებულების დიდმა ნაწილმა 1820 წელს მეფედ გამოაცხადა. ამ ფაქტს ი. ბიჭიკაშვილი დიდი მონდომებით მაღავს: „1819-1820 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება მოხდა იმერეთში და მეფობის კანდიდატებად აჯანყების სულის-ჩამდგმელი ადგილობრივი დიდგვაროვნები (კერძოდ სოლომონ I-ის შვილიშ-

ვილი – ივანე აბაშიძე და სოლომონ I-ის ძმისშვილი დავით ბაგრატის ძე ბაგრატიონი) სახელდებოდნენ, აჯანყებულთა უმრავლესობა მაინც ერეკლე II-ის შვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის გამეფებას მოითხოვდა: „უმრავლესობა კი მოითხოვდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ შეუპოვარი მეომრის, ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონის გამეფებას – ირანში კიდეც გაიგზავნა დელეგაცია უფლისწულთან მოსალაპარაკებლად“. რეალური ვითარება კი ამგვარი იყო: 1819 წლის 14 ივლისს გენ. კურნატოვსკი ველიამინოვს აცნობებდა, რომ იმერლები მეფის აღდგენას აპირებდნენ. ზოგს, თითქოსდა, მეფედ სურდა ზურაბ წერეთელი, რომელიც დადიანის სიმამრი იყო, ხოლო გურიელის – ბიძა. სხვები ამბობდნენ, რომ სამეფოდ ამზადებდნენ თავად ივანე აბაშიძეს, სოლომონ I-ის ქალიშვილის დარეჯან ბატონიშვილის ვაჟს [Акты, Т. VI, с. 549, №759]. როგორც ისტორიკოსი პოტტო აღნიშნავს, იმერლები მეფეს კი ირჩვდნენ, მაგრამ მათ შორის ერთსულოვნება არ იყო: ზოგი ზურაბ წერეთლის გამეფებას მოითხოვდა, ზოგი მისი ვაჟის, გრიგორის, ზოგი ივანე აბაშიძის. უმრავლესობას ალექსანდრე ბატონიშვილის გამეფება სურდა, რომელიც იმ დროს ხერთვისში, ახალციხესთან ახლოს იმყოფებოდა. სწორედ მასთან გაემართა იმერეთის დელეგაცია, მაგრამ ბატონიშვილმა, ფაქტობრივად, იმერეთის მეფობაზე შემოთავაზება არ მიიღო [Акты, Т. VI, с. 563, №778]. ცოტა ხნის შემდეგ, მან დასძლია უნდობლობა და თავად დაუკავშირდა აჯანყებულებს. გაიმართა საიდუმლო მიმოწერა. ხერთვისის ბაშ-აღა ივანე აბაშიძეს არწმუნებდა, რომ სულთანი დაეხმარებოდათ და ამავე დროს, თავის მოთხოვნებს აყენებდა: „ახლა თავადთაგანნის ხელწერილი და ბეჭედი ამათი გვინდა, რომლებიც სახელდებულად გიცხადებთ...“ [სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 906]. 1819 წლის 24 ნოემბერს ველიამინოვი ერმოლოვს ატყობინებდა, რომ ივანე აბაშიძემ ეს წერილები გორის ოლქის უფროს მაიორ ტიტოვს წარუდგინა [Акты, Т. VI, с. 564, №780]. ამ დროს გამოჩნდა რეალური კანდიდატი – იმერეთის მეფე დავით II-ის უკანონო შვილის, როსტომის ძე ვახტანგი. როსტომ ერისთავი ველიამინოვს ატყობინებდა, რომ არაკეთილსაიმედო ხალხმა იმერეთის მეფედ ვახტანგ ბატონიშვილი აღიარა [სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008, ფ. 379]. აჯანყების დამარცხების შემდეგ, ვახტანგი ოსმალეთში გადაიხვენა. 1821 წლის მარტში იმერეთის მმართველმა გორჩაკოვმა პროკლამაცია გამოაქვეყნა, სადაც ჩამოთვლილი იყვნენ ის პირები, რომლებიც აჯანყებაში მონაწილეობის გამო, პატივებას არ იმსახურებდნენ და სამუდამოდ უნდა ყოფილიყვნენ განდევნილი იმპერიის ფარგლებიდან. სიაში ჩამოთვლილთა შორის იყვნენ ვახტანგი და მისი მცირენლოვანი ძმა ტარიელი [სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1119, ფ. 22-23]. ოსმალეთში, ვახტანგი სულთნის მიერ იმერეთის მეფედ იქნა დამტკიცებული. თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში მივაკვლიე დოკუმენტებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ 1815 წელს მეფე სოლომონ II-ის ოსმალეთში გარდაცვალების შემდეგ, სულთანმა შეადგინა ფირმანი, რომლითაც იმერეთის მეფეს ნიშნა-

ვდა. სახელის ადგილი ცარიელი დატოვა, რადგან ელოდებოდა, რომ თითონ იმერლებს აერჩიათ მეფე, რომელსაც ის დაამტკიცებდა. „ჩემო უდიდებულე-სობავ, ტრაპიზონის გუბერნატორმა სულეიმან ფაშამ გამომიგ ზავნა წერილი, რომლითაც სოლომონ მეფის სიკვდილი გვაუწყა... ტრადიციულად, მეფის დანიშნის, ან გადაყენების დროს, სიგელი გამოიცემა. საგანგებო სიგელი ადრევე, სამი თუ ოთხი წლის წინ, განსვენებულ მეფეს მისი ფუნქციების ვადის გასაგრძელებლად გაეგზავნა ბენვთან ერთად. თუ ახლა ჩვენ სი-გელს არ გამოვცემთ, რუსები იტყვიან, რომ პორტა უარს ამბობს იმერეთზე და ახალ მეფესაც კი არ ნიშნავს. იმისთვის, რომ საწინააღმდეგო დავამტკიცოთ, ტრაპიზონის გუბერნატორს გაეგზავნება სიგელი, რომელშიც გამოტოვებული იქნება ადგილი სახელის ჩასაწერად, ასევე გაეგზავნება ბენვი. ის კი დანიშნავს თავადების და აზნაურების მიერ შერჩეულ პიროვნებას, შეავსებს სიგელში დატოვებულ ცარიელ ადგილს, გადასცემს ახალ მეფეს და შემოსავს მას ბენვით. ეს ყოველივე გუბერნატორს უნდა მივწეროთ...“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1105/44599]. ამის შემდეგ, ვეზირმა სულთნისგან მითითებები მიიღო: „ჩემო ვეზირო, საიმპერიო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, გავგზავნებენვი და სიგელები, ცარიელი ადგილებით, სახელების ჩასაწერად...“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1105/44599]. აქვეა იმპერატორის (სულთნის) ბრძანება: „... სოლომონ ხანი, იმერეთის ქვეყნის მმართველი, ახლახან გარდაიცვალა და ახალი მმართველის დანიშვნა არის საჭირო. ეს მმართველი უნდა იყოს მორჩილი და ერთგული პირი იმავე ეროვნებიდან და ქვეყნიდან. იმერეთის ქვეყნის თავადებისა და აზნაურების მიერ ჩემი უდიდებულესობისადმი წარდგენილი თხოვნიდან ცხადი ხდება, რომ თქვენ ხართ ის პიროვნება, რომელიც იმსახურებს ამ თანამდებობას. თანახმად საიმპერიო წერილისა, რომელიც გამოიცა 1815 წელს, ზემოხ-სენებული იმერეთის ქვეყნის მმართველობა ებოდა... (დოკუმენტის დედან-ში გამოტოვებულია ადგილი – მ. ხ.) და დაინიშნა ახალ ხანად. მე ასევე ვუბრძანე მას, რომ სამართლიანი მმართველი იყოს, დაიცვას ღარიბები, მცირენლოვანნი და მოხუცები...“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1105/44599-B].

მომყავს რამდენიმე წყარო, სადაც ვახტანგის მეფედ აღიარებაა დადასტურებული:

1. რუსეთის ერთგული თავადი როსტომ ერისთავი ველიამინოვს რაჭიდან ატყობინებდა: „იმერეთი აღირია ცუდ აზროვნად და დასვეს მეფეთ ბატონისშვილი ვახტანგ და უპირებენ მათის უგუნურებით ქუთათის შემოდგომას“ [სცა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 1008].
2. „...неблагонамеренные восстановили царем царевича Вахтанга“ [Акты, Т. VII, ч. I, №816]. თარგმანი: „არაკეთილსამედოებმა აღადგინეს მეფედ ბატონიშვილი ვახტანგი“.
3. „Многие имеретины... провозгласив царевича Вахтанга, незаконного

сына царевича Давида, царем Имеретии, намерены были идти на Кутаис“ [„История Войны и Владичества Русских на Кавказе“ Н. Дубровина, Т. VI, с.426]. тარგმანი: „ბევრი იმერელი... აღიარა რა ბატონიშვილი დავითის უკანონო ძე, ვახტანგ ბატონიშვილი, იმერეთის მეფედ, აპირებდა ქუთაისზე წამოსვლას.“.

4. „получились новые тревожные известия из Рачинского округа, где жители ...безпощадно грабили тех, которые не хотели признавать в Вахтанге царя Имеретии“ [„Утверждение Русского Владычества на Кавказе“, Т. III-й. Часть 2-я. Под редакцией генерал-майора Потто, Тифлис, 1904, с.526]. тარგმანი: „რაჭის ოლქიდან მოვიდა საგანგაშო ცონბები, სადაც მცხოვრებლები...უმოწყალოდ ძარცვავდნენ მათ, ვისაც არ სურდა ვახტანგი იმერეთის მეფედ ეცნო“.
  5. 1820 წელს, როდესაც იმერეთში მეფედ არჩეული ვახტანგ ბატონიშვილი ოსმალები გადაიხვეწა, მისი კანდიდატურა სულთნისთვის მისაღები აღმოჩნდა. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტიდან ჩანს, რომ ის სულთნისგან იყო მეფედ წოდებული: „ლეხთ იმერთ მეფის ძის ძეს, და მემკვიდრეს, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პაკრატოვანს, და ან დიდებულის და ცათა სწორის ხელმწიფისაგან მეფედ წოდებულს ვახტანგს.“ [სეა, ფონდი 1449, აღწერა 1, საქმე 397].
  6. სტამბოლში, ოსმალური დოკუმენტების არქივში მოვიძიე დოკუმენტი, სადაც სულთნის ვეზირი წერს: „მოცემული წერილი არის იმერეთის მეფის, მეფე ვახტანგისაგან, ასევე თავადებისა და აზნაურებისაგან...“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, BOA. C. HR. 175/8737]. ამას მოსდევს თავად ვახტანგის წერილი.
  7. 1848 წლით დათარიღებულ ოსმალურ დოკუმენტში ვახტანგის შესახებ ნათქვამია: „გადაწყდა ხანის მხარდაჭერა“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1091/44307-№ (თან დართული)].
- ეს დოკუმენტები ი. ბიჭიკაშვილისთვის არაფერს ნიშნავს. თურმე, ვახტანგ ბატონიშვილი აჯანყების რიგითი წევრი ყოფილა! ვახტანგის მეფედ აღიარებასთან დაკავშირებით, ი.ბიჭიკაშვილი განმარტავს: „მართალია მანანა ხომერიკს აქვს თავის ნაშრომში მოხსენიებული იმის შესახებ, რასაც მოსარჩელე მიუთითებს, მაგრამ მის გარდა არც ერთ ისტორიკოს ამგვარი გარემოება არ დაუდგენია და შესაბამისად, მანანა ხომერიკის მოსაზრების გაზიარება ან არგაზიარების უფლება ყველას გააჩნია, მოპასუხის ჩათვლით“. აქ უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მე ჩემ მოსაზრებას კი არ ვუზიარებ მკითხველს, არამედ ვაცნობ კონკრეტულ დოკუმენტებს და დადასტურებულ ფაქტებს. ი. ბიჭიკაშვილის ძირითადი აგუმენტი ის არის, რომ 2012 წელს დასტამბულ საქართველოს ისტორიის ოთხომეულის მე-4 ტომში,

რომლის ავტორები არიან პროფ. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, პროფ. ალექსანდრე დაუშვილი და პროფ. ნათელა ნათმელაძე – ვახტანგი ნახსენები არ არის. დასახელებული ავტორებიდან ორი გარდაცვლილია, ხოლო პროფესორმა ალექსანდრე დაუშვილმა ამ საკითხზე სასამართლოს გამოუგზავნა ნოტარიალური წესით დამოწმებული განცხადება. მომყავს ამონარიდი: „...როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, საქმეზე მოსარჩევე ...ს მოპასუხე იოსებ ბიჭიკაშვილის და მისი ადვოკატის ერთ-ერთი არგუმენტი ის არის, რომ იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყების მონაწილეთა მიერ ვახტანგ ბაგრატიონის მეფედ არჩევისა და შემდგომში ოსმალეთის სულთნის მიერ მეფედ დამტკიცების შესახებ, ისტორიკოს მანანა ხომერიკის გარდა, არავის უნერია და ეს ცნობები არ წარმოადგენენ დადასტურებულ ფაქტებს. მაგალითად ასახელებენ 2012 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიის 4 ტომეულის“ მე-4 ტომს, რომლის ავტორიც მე ვარ პროფესორ მაყვალა ნათმელაძესა და პროფესორ ალექსანდრე ბენდიანიშვილთან ერთად. ვინაიდან დასახელებული ორი ავტორი გარდაიცვალა, მე მოვალედ ჩავთვალე თავი, სიცხადე შემეტანა. ჩვენი ნაშრომი და მანანა ხომერიკის მონოგრაფია „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“ ერთდროულად გამოიცა, რის გამოც ჩვენ საშუალება არ მოგვეცა გვესარგებლა ერთმანეთის ნაშრომებით. მანანა ხომერიკის ნაშრომი გამოიცა შოთა რუსთაველოს სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით. რედაქტორი პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა. მე ვარ ამ ნაშრომის რეცენზენტი. ნაშრომი ბევრ სიახლეს შეიცავს. ჩვენს ისტორიოგრაფიაში სრულიად ახალი იყო ვახტანგ ბაგრატიონის მოღვაწეობის ამსახველი მასალა, რაც სამნუხაროდ ვერ აისახა ჩემი და ჩემი ზემოთ ნახსენები ავტორების ნაშრომში. სწორედ ჩვენი რჩევით გამოსცა მანანა ხომერიკმა ცალკე ბროშურა „იმერეთის დე იურე მეფე ვახტანგ ბაგრატიონი“, რომლის რედაქტორიც მე ვარ. აქვე დავძენ, რომ ჩემს გარდაცვლილ კოლეგებს მანანა ხომერიკთან საქმიანი ურთიერთობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა ჰქონდათ...“

ი. ბიჭიკაშვილი, ნ. დადიანის ისტორიული თხზულებიდან „ქართველთ ცხოვრება“, იმოწმებს ამონარიდს: „ხოლო ვახტანგ ბაგრატოვანი, რომელი უნინარეს ვახსენეთ, იყო გადავარდნილი ახალციხეს ოსმალთა შინა, და იყო მასთან იოანე ქაიხოსროს ძე აბაშიძე, რომელ ესეცა უნინარეს ვახსენეთ. ესე წავიდა [ივანე აბაშიძე, ი.ბ.] სტამბოლს ოსმალთ იმპერატორთა თანა (ესე იგი ხვანთქართან) და მიიღო პატივი; და რა მოვიდა მუნით, შეეშურვა რომელსამე მიზეზისათვის ვახტანგ ბაგრატოვანი, შეუჩინა კაცნი და მოჰკლეს ახალციხეს იოანე“. ი. ბიჭიკაშვილმა გამოავლინა ახალი მასალების არცოდნა. სადღეისოდ, ეს ვერსია გაბათილებულია. უკვე დადგენილია, რომ ივანე აბაშიძე ვახტანგს ვასალურად ემსახურებოდა, სტამბოლს ნასული იყო სწორედ მისი დავალებით, ანუ ვახტანს მისი არაფერი შეშურდებოდა. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალურ არქივში ინახება

დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ ივანე აბაშიძე ვახტანგის უზენაესობას აღიარებდა. ის 30 ქართველთან ერთად ჩასულა სტამბოლში. სულთნის ვეზირი წერს: „ჩემო უდიდებულესობავ, როგორც ჩემმა ბატონმა იცის, ივანე, იმერლების ხანის შვილი და მეორე იოანე, სოლომონ ხანის დისშვილი სტამბოლში მოვიდნენ 30 ქართველთან ერთად. მათ ითხოვეს საკარისი ხელფასის მიცემა დავით მეფის ვაჟისთვის – ვახტანგისათვის, რომელიც ახალციხეში იმყოფება თავის 150 კაცთან ერთად. თხოვნა განხილულ იქნა საბჭოში და ჩემი უდიდებულესობის ნებართვით, გადაწყდა ერზერუმის საბაჟოს წლიური შემოსავლებიდან ზემოხსენებული ვახტანგისათვის თვიური ხელფასის დანიშვნა 2000 ყურუშის (პიასტრის) ოდენობით...“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1105/44603].

ვახტანგის უპირატესობა ყველასათვის ნათელი იყო. ივანე აბაშიძე მის მეტოქედ არც მოიაზრებოდა. ივანე როგორც ჩანს, სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ, 1822 წლის დეკემბერში, ახალციხეში მოკლეს, რაშიც ნიკო დადიანი ვახტანგს ადანაშაულებს, თითქოსდა მან შურით, ანუ კონკურენტის ჩამოშორების მიზნით, შეუჩინა ივანეს კაცი და მოაკვლევინა. ვახტანგის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა წყარო არ მოგვეპოვება. ეს რომ მართალი ყოფილიყო, რუსეთის მთავრობას, რომელიც ვახტანგის ყოველ ნაბიჯს აკვირდებოდა, ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი არ გამოეპარებოდა. ოსმალეთში გადახვეწილი ქართველების მიერ ივანეს მოკვლის ნამდვილი მიზეზი დოკუმენტურად დავადგინე. მტკიცდება, რომ ივანე თავისი მერყევი ხასიათის გამო დასაჯეს ქართველებმა. მისი ვაჟი წერს, რომ ოსმალეთში მყოფმა ივანემ „მოინანია რა ჩადენილი საქციელი, გადაწყვიტა რუსეთის მონარქის, თავისი კანონიერი ხელმწიფის, გულმოწყალებისთვის მიემართა. მას ეშინოდა, რომ ამ განზრახვის შესრულებაში ხელს შეუშლიდნენ, ამიტომ თავისი ამხანაგებისაგან ფარულად გაპარვას აპირებდა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ მისი ჩანაფიქრი გამომჟღავნდა და ის ბოროტმოქმედთა შურისძიების მსხვერპლი გახდა“ [სეა. ფონდი 2, აღქერა 1, საქმე 257, ფ. 11]. იმისთვის, რომ რუსეთის მხრიდან პატიებისთვის მიეღწია, ივანე აბაშიძე ბევრ საიდუმლოს გათქვამდა, რაც ადრეც გაუკეთებია. ეს კი დიდ საფრთხეს შეუქმნიდა მის თანამებრძოლებს. ამიტომ, მათ მისი მოკვლა გადაწყვიტეს. ხოლო ვახტანგის სახელი არ ფიგურირებს.

ვახტანგი დიპლომატიურ ნიჭს იჩენდა. ის სპარსეთის შაჰსაც დაუკავშირდა. იმის გათვალისწინებით, რომ ახლო წარსულში დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენას ექვემდებარებოდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო – სპარსეთისას, ვახტანგმა ასეთ ხერხს მიმართა: წინ წამონია ის ფაქტი, რომ ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეენი ერთი წარმომავლობის იყვნენ, რის გამოც, მან, როგორც ამ საერთო ოჯახის წევრმა, განაცხადა, ჩვენი ოჯახი მხოლოდ დიდებულ შაჰს ემორჩილებოდა. მისი მიზანი, ნებისმიერი გზით, რუსეთის წინააღმდეგ ძალთა გაერთიანება იყო. ის შაჰს სწერდა: „... ყოველივე თანახმა გავხადე საწინააღმდეგოდ რუსეთის მხედრობისადმი და

მხიარულის გულით აღირჩიეს ერდგულება ტახტისა თქუენისა და აჩუენეს რუსეთის მხედრობას უსაშინლესი ცხელსა და ცხელსა ალაგებში გამოჩენილი ჩხუბი, რომელიც დიდათ დავამარცხეთ რვას ალაგს...“ ვახტანგი ითხოვდა, ალექსანდრე ბატონიშვილი დროულად მოგვაშველეთო. მისი დანარჩენი სათქმელი ალექსანდრე ბატონიშვილის თავადს, გარსევან ჯანდიერს ზეპირად უნდა მოეხსენებინა [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი HD №56841].

1826 წელს ვახტანგ ბატონიშვილმა წერილი მისწერა სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს: „...თუ ღმერთი ინებებს, თქვენ საქართველოში ჩამოხვალთ, მე კი ჩემს სამშობლოში და ჩქარა მოვახერხებთ აჯანყებას, ხოლო თუ იქ არ არის საკმარისი ძალები, ამის შესახებაც გვაცნობეთ, რათა ფუჭად არ გაეწიროთ თავი და ხალხი...“ [Акты, Т. VI, ч. II, с. 349, №633].

ვახტანგ ბატონიშვილი სულ მოკავშირების ძიებაში იყო. ის თავის ძმას-თან, ტარიელთან ერთად ესტუმრა პარიზს, სადაც ურთიერთობა დაამყარა მარი ბროსესთან. გრაფი ნესელროდე ბარონ როზენს საიდუმლოდ ატყობინებდა, რომ მარი ბროსე ძმებს ქართულ ენაზე აცნობებდა რუსეთისათვის არასასიამოვნო ყოველგვარი მოვლენისა და არეულობის შესახებ [Акты, Т. VIII, с. 962, №908]. მარი ბროსეს მოგონებებზე დაყრდნობით, გასტონ ბუაჩიდე წერს, რომ ძმები ვახტანგი და ტარიელი პარიზიდან ინგლისში გაემგზავრნენ [Гастон Буачидзе, „Мари Броссе, страници жизни.“ Тб. 1983]. ეს ვახტანგის უკანასკნელი მოგზაურობა არ ყოფილა, საგულისხმოა, რომ ტარიელის გარდაცვალების (1840 წ.) შემდეგ, ის დასთან, დარეჯანთან ერთად სწვევია პარიზს. თურქეთის ხსენებულ არქივში მოვიძიე 1841 წლის დოკუმენტი: „მთავარო ხაზინადარო, ცნობილი ქართველი ვახტანგი და მისი და რეჯან (დარეჯანის შემოკლებული ფორმა – მ. ხ.) ჯერ სტამბოლს ენვივნენ და ცოტა ხანს იქ დარჩენენ. შემდეგ, საფრანგეთს გაემგზავრნენ და მერე კვლავ სტამბოლს დაბრუნდნენ, სამგზავროდ 4000 პიასტრი გამოეყოთ. ისინი ტრაპიზონში ჩამოვიდნენ...“ [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1091/44307-№ (თან დართული)].

1848 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ვახტანგს დაუწესდა 2500 პიასტრის (ყურუშის) ოდენობის ხელფასი ტრაპიზონის შემოსავლებიდან, მაგრამ ეს ხელფასი არ იყო მისთვის საკმარისი. მისი თხოვნა გადაიგზავნა და განხილულ იქნა უმაღლეს სათათბიროში. გადაწყდა ხანის მხარდაჭერა. დოკუმენტში ვახტანგი ხანად, ანუ მეფედ იხსენიება [თურქეთის პრემიერ-მინისტრის ოსმალური არქივი, HAT 1091/44307-№ (თან დართული)].

რუსი დიდმოხელე, ტრაპიზონიდან მეფისნაცვალს საიდუმლოდ აცნობებდა, რომ თურქეთის მთავრობა, არცთუ პოლიტიკური მიზნების გარეშე ხარჯავდა ყოველწლიურად „ამ ემიგრანტზე“ 40 000 პიასტრზე მეტს. ალსანიშნავი ფაქტია, რომ 1840-იანი წლების ბოლოს, რუსეთის მთავრობა ვახტანგს, დაბრუნების შემთხვევაში, ასევე პენსიას უნიშნავდა [სეა, ფონ-

დი 11, აღნერა 1, საქმე 1738, ფ. ფ. 1, 2, 9, 12, 23]. ეს ყოველივე იმის მაჩვენებელი იყო, რომ ვახტანგი ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებისთვის უმნიშვნელო პიროვნება არ ყოფილა. (დავით ბატონიშვილითვის და მისი შთამომავლებისთვის კი, რომლებსაც ი. ბიჭიკაშვილმა იმერეთის ტახტის მექვიდრეობა მიაკუთვნა, პენსია არავის შეუთავაზებია). ვახტანგი 1850 წელს, ქალაქ პლატანაში გარდაიცვალა. ი. ბიჭიკაშვილისთვის მისი გარდაცვალების თარიღიც უცნობია და შესაბამისად, მის პენსიებთან დაკავშირებული ფაქტებიც.

ი. ბიჭიკაშვილი სრულიად ცინიკურად აცხადებს: „ხოლო რაც ეხება ვახტანგ როსტომის ძის, როგორც „დე იურე მეფის“ ჩემი მხრიდან „ისტორიისათვის დაკარგვის“ ბრალდებას, ეს უბრალოდ სასაცილოა და ამაზე უკვე ზემოთ გავეცი ამომწურავი პასუხი“. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მისი ამომწურავი პასუხი ფაქტების დამალვას და გაყალბებას გულისხმობს. ვახტანგ ბაგრატიონი კი ისტორიიდან ამომლას ნამდვილად არ იმსახურებს. პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ მის შესახებ კიდევ ბევრი საინტერესო ისტორიული მასალა აღმოჩნდება. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და საბედნიეროდ, ი. ბიჭიკაშვილი მას ვერ შეაჩერებს.

ჩემი თხოვნით, გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრის დამფუძნებლებმა, ბ-ნმა ვაჟა ოთარაშვილმა და ქ-ნმა ეკა კვანტალიანმა ვახტანგ ბატონიშვილისა და მისი ძმის, ტარიელ ბატონიშვილის შესახებ, ახალი მასალები მომაწოდეს. გთავაზობთ ამ მასალების ნაწილს: 1837 წელს საფრანგეთის სამეფო აკადემიის მიერ პარიზში გამოცემულ წიგნში „ქართული ენის ელემენტები“, რუსეთის საიმპერატორო აკადემიისა და პარიზის აზიური საზოგადოების საბჭოს წევრი, მარი ბროსე წერს: „1831 წელს ქართველმა უფლისწულმა, ტარიელმა, იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ძმისშვილმა, რომელიც პარიზში ჩამოვიდა თავის ძმასთან, ვახტანგთან ერთად, მათხოვა ხელნაწერის ზუსტი ასლი, რომელიც იყო ნაწერი გამართული სტილით, თუმცა ზოგან კუთხური ფორმებით, სავსე იმერული დიალექტებით...“ [Marie-Félicité Brosset Jeune „Éléments de la langue géorgienne“, Paris, Imprimerie royale, 1837, pp.257-258]. შემდგომ მარი ბროსეს მოჰყავს სრული ტექსტი სათაურით „ალექსი ლვის კაცის ცხოვრება მოიხსენეთ“, როგორც ქართულად, ისე ფრანგული თარგმანით. ტექსტის ბოლოს კი წერია: „ქრისტეს აქეთ ჩყეზ, მაისის ია (ე.ი. 1827 წლის 11 მაისს), დაინერა ეს წერილი ხელითა ბატონ-ის შვლის ტარიელისა“ [Marie-Félicité Brosset Jeune „Éléments de la langue géorgienne“, Paris, Imprimerie royale, 1837, pp.284-320]. აღსანიშნავია რომ, ალექსი ლვის კაცის თხზულება ჯერ კიდევ XVII საუკუნის 70-იან წლებში ქართულად, პირველად მიტროპოლიტმა იოსებ თბილელმა (სააკაძემ) თარგმნა მაღალ დონეზე [ვ. ოთარაშვილი „მიტროპოლიტ იოსებ ტფილელის (სააკაძის) ცხოვრება და მოღვაწეობა“, 2019, თბ., რედ. ე.კვანტალიანი, გვ. გვ.62-63].

1833 წელს, პარიზში გამოცემულ „ახალი აზიური უურნალის“ XII ტომ-

ში შესულია „აზიური საზოგადოების“ წევრის – თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მარი ბროსესადმი 1833 წლის აგვისტოში, საფრანგეთში გაგზავნილი ქართული დოკუმენტური მასალები [Notice des manuscrits géorgiens envoyés en France par le prince Théimouraz, membre de la Société Asiatique. Brosset.Nouv.Journ.asiat.1833,T.XII,PP.155-162]. როგორც ხელნაწერებიდან ჩანს, იმერელი უფლისწულები ტარიელი და ვახტაგი, რომლებიც ძალზე განათლებულ „პრინცებად“ მოიხსენიებიან, 1831 წელს ჩავიდნენ პარიზში. ისინი ფლობდნენ ძალიან მნიშვნელოვან ხელნაწერ ნაშრომებს და ეს უნიკალური დოკუმენტები მათი წყალობით ხელმისაწვდომი გახდა ფრანგი ქართველობითი, მკვლევარ-მეცნიერი მარი ბროსესათვის, რომელმაც ასლები გადაწერა. როგორც თავად მარი ბროსე აღნიშნავს, მას აქტიური მიმოწერა ჰქონდა ქართველ წიგნიერ უფლისწულებთან ტარიელთან და ვახტანგთან, რომლებმაც მიაწოდეს მას „ქართული გენის ძეგლი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, წიგნი შესავლითა და ანოტაციით, სავსე ქართული ზნე-ჩვეულებებითა და საქართველოს ისტორიის საოცარი მომენტებით...“ [Laurent Brosset "Bibliographie analytique des ouvrages de Marie-Félicité Brosset 1824 -1879", Saint-Pétersbourg ,1887, pp.51-54].

დოკუმენტური მასალა ბატონიშვილებზე – ვახტანგსა და ტარიელზე წარმოდგენილია ლორან ბროსეს (მარი ბროსეს შვილის) მიერ 1887 წელს გამოცემულ წიგნშიც „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, რომელშიც შესულია მარი ბროსეს 1824-1879 წლებში დაწერილი პატაკები. მარი ბროსემ პარიზში გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი საქართველოზე, სადაც 1832 წლით დათარიღებული მემუარების ნაწილი აქვს წარმოდგენილი. ამ კრებულში მოთხოვნილია ქართველ ბატონიშვილთა ვახტანგის და ტარიელის სამეფო ბეჭდების ასლებზე... საგულისხმოა, რომ უფლისწულები თავიანთი მხლებელი მსახურებით ყოფილან წასულები საფრანგეთში [Dondey-Dupré "Journal asiatique: ou recueil de mémoires, d'extraits et de notices relatifs à l'histoire, à la philosophie, aux sciences, à la littérature et aux langues des peuples orientaux...", publié par la Société asiatique (France), Paris, 1832, Tome X (vol.21), pp.189-190].

მარი ბროსე ხშირად აღნიშნავს თავის ნაშრომებში, რომ იმერელ უფლისწულებს ვახტანგს და ტარიელს ჰქონდათ საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის უძვირფასესი წყაროები და რომ ისინი ევროპის სამეფო აკადემიებთან თანამშრომლობდენ. იგი ერთგან წერს: „იმერელი უფლისწულების ვახტანგის და ტარიელის ხელთ იყო უნიკალური ეგზემპლიარები, რაც მათ ჩამოიტანეს პარიზში 1831 წელს, შევხვდი მათ და ამ მასალების ნაწილი გადავწერე და ფრანგულად ვთარგმნე, შემდეგ კი შევიტანე ლებოს ახალი გამოცემის XXI-ე ტომში, გვ.515...“ [P.H.Fuss-Recueil des actes de la séance publique de l'Académie impériale des sciences de St.-Pétersbourg, University of Minnesota,1838, pp.165-166].

1857 წლით დათარიღებულ წიგნში „საქართველოს ისტორია დასაბამიდან XIX საუკუნემდე“, მარი ბროსე წერს: „ეს ძმები 1831 წელს პარიზში ვნახე...“

უმცროსი იყო ტარიელი, რომელიც მერე თურქების სამსახურში შევიდა და პეტერბურგში ნამიკ-ფაშასთან ერთად ჩავიდა, რომელიც მას თან ახლდა პარიზში 1833 წელს მოგზაურობისას...“ [M. Brosset “Histoire de la Géorgie – depuis l’Antiquité jusqu’au XIXe siècle”- traduite du Georgien par M. Brosset Member de l’Academie Imperiale des Sciences, II Partie – Histoire Moderne, S.-Pétersbourg: Imprimerie de l’Académie impériale des sciences, 1857, pp.316].

ახლა კი მკითხველისთვის მიმინდვია იმის შეფასება, იმსახურებდა, თუ არა, ვახტანგ ბატონიშვილი იმას, რომ ი. ბიჭიკაშვილს თავისი ორტომეულის პირველ ნაწილში მისი სახელი თუნდაც ერთხელ მოეხსენიებინა. ი. ბიჭიკაშვილისთვის ვახტანგ ბატონიშვილის იგნორირების მთავარ მიზეზად ის ფაქტი რჩება, რომ მის შესახებ მხოლოდ მე მაქვს გამოკვლევა. მისთვის მთელ ზემოთ დამოწმებულ მასალაზე უფრო ღირებული – ოლღა სოსელიას არაფრისმთქმელი ცნობა აღმოჩნდა. რადგან ბ-ნ იოსებს სიახლე არ უყვარს, შემიძლია კიდევ უფრო დრომოქმული ცნობა მივაწოდო. იაკობ ახუაშვილი წერდა: „აჯანყების ჩახშობის შემდეგ ტარიელი და ვახტანგი ბაგრატიონები ირანში გადაიხვეწნენ და მათი შემდგომი ბედი უცნობია“ [ი. ახუაშვილი, „ქართული გვარ-სახელები“, ტ. IV, თბ., 2004, გვ. 120]. ალბათ, ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების ნევრებს ეს ცნობა უფრო მოეწონებათ.

„იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოების“ წინამძღოლმა, ბ-ნმა ირაკლი ბაგრატიონმა, ვახტანგ ბაგრატიონის საფლავის მოძიების თხოვნით მიმართ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. სამინისტროს პასუხში №801/46817 (12/12/2019) ნათქვამია, რომ მის წერილს „მიეცა შესაბამისი მსვლელობა თურქეთში საქართველოს საელჩოსა და ტრაპიზონში საქართველოა გენერალური საკონსულოს ინფორმირებისა და მათი სრული ჩართულობის გზით... თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად აწარმოებს შესაბამის მოღაპარაკებებს თურქულ მხარესთან...“

## 5. არაკეთილსინდისიერება გენერალ-მაიორ ალექსანდრე იმერეტინსკის მიმართ

2018 წელს ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფებას ერთი ახალი წევრი შეემატა – მამუკა გოგოტიძე, რომელსაც ი. ბიჭიკაშვილის წიგნის [„ბაგრატოვანთა სახლი“ იოსებ ბიჭიკაშვლი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018] რედაქტორობა და ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა დაევალა. მე დიდი ხანია, რაც ვამტკიცებ, რომ ი. ბიჭიკაშვილი მიზანმიმართულად ახდენს ბაგრატიონთა იმერული შტოების აღრევას. ეს საკითხი უფრო დეტალურად მაქვს განხილული ჩემს წერილებში, რომლებსაც მოცემულ ნაშრომში ვაქვეყნებ. ბაგრატიონთა დაჯგუფება დაინტერ-

ესებულია ფაქტების აღრევით, რის გამოც შესაფერისი რედაქტორი მოძებნეს. მამუკა გოგიტიძეს გამოცემული აქვს ნაშრომი „М. Д. Гогитидзе, Военная элита Кавказа I. Генералы и Адмиралы из Грузии, Тб., 2007“, სადაც რუსეთში გადასახლებულ ბაგრატიონთა იმერული მტოს ყველა სამხედრო პირს ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მოიხსენიებს. როგორც ჩანს, მისთვის საერთოდ უცნობია იმერეტინსკების გვარის არსებობა. ამავე გვარით იხსენიებს თვით იმერეთის ტახტის მემკვიდრეს, ბატონიშვილ კონსტანტინე დავითის ძეს „Багратион-Имеретинский Константин Давидович (1789-03. 05. 1844) – Генерал-майор. Сын Царя Имеретии – Давида II“ [„М. Д. Гогитидзе, „Военная элита Кавказа I. Генералы и Адмиралы из Грузии“, Тб., 2007“, с.55]. მან აშკარად არ იცის, რომ ბატონიშვილების პირველი თაობის წარმომადგენლებისთვის, ანუ მეფეთა შვილებისთვის, გვარი და წოდება არ შეუცვლიათ. მოგვყავს ამონარიდი XIX საუკუნის რუსი მკვლევრის ვ. იუდინის ნაშრომიდან „Судьба князей Багратионов-Имеретинских в России“, სადაც დამომებულია ოფიციალური დებულებები: „Положениями Государственного Совета 12-го Сентября 1804 года и Комитета Министров 26-го Марта 1812 года определено было “царевичи, сыновья Грузинских царей, сами по себе сохраниют сие титло; дети же их именуются князьями Грузинскими, а дети царевичей Имеретинских – князьями Имеретинскими” и таким образом будутуважены с первыми родами Империи“. აქედან ჩანს, რომ რუსეთის ხელისუფალთა მიერ მხოლოდ ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეთა ძეების შვილებს მიენიჭათ თავადობა შერქმეული გვარებით – გრუზინსკი და იმერეტინსკი, ხოლო ბატონიშვილებს თავიანთი წოდება შეუნარჩუნეს. მოგვიანებით, იმპერატორის სურვილით, სილომონ I-ის შთამომავლებს იმერეტინსკისთან ერთად, ბაგრატიონის მიმატების უფლებაც მიეცათ. ასე შეიქმნა გვარი ბაგრატიონ-იმერეტინსკი, რაც დეტალურად მაქვს ახსნილი ჩემს ნაშრომებში. მ. გოგიტიძეს კი ყველა იმერეტინსკი შეცდომით ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით ჰყავს დაფიქსირებული. გვინდა ცნობილ პიროვნებაზე, ვარშავის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკიზე შევაჩეროთ ყურადღება, რომელსაც მ. გოგიტიძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მოიხსენიებს: „Багратион-Имеретинский Александр Константинович (24. 12. 1837-17. 11. 1900) – Генерал от инфантерии“ [М. Д. Гогитидзе, „Военная элита Кавказа I. Генералы и Адмиралы из Грузии“, Тб., 2007, с. 63]. ამავე დროს, ის იმოწმებს ორ ამონარიდს, სადაც გენერლის გვარი სწორად წერია. პირველი ამონარიდი არის ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის ნეკროლოგიდან: „в лице князя А. Имеретинского Россия потеряла не только выдающегося военного и государственного деятеля, но и одного из талантливых, достойных людей“. მეორე – ბულგარეთის ქალაქ ლოვეჩში, სტრატოშის პარკში აღმართული თეთრი ობელისკის ნარჩერაა: „22 августа 1878 года город Лович освободил отряд войск под командованием генерал-лейтенанта князя Александра

Имеретинского“. როგორც ვხედავთ, გენერლის გვარი ორივე ამონარიდ-ში სწორად წერია, მაგრამ მ. გოგიტიძე თავად ვერ უკვირდება დამონშე-ბულ ამონარიდებს და ვერ ხვდება თავის შეცდომას. ისევე, როგორც სხვა შეცდომით დასახელებული „ბაგრატიონ-იმერეტინსკების“ შემთხვევაში, მ. გოგიტიძე აქაც იმონშებს უ. ფერრანდის ნაშრომს [Ferrand J. – „Les familles Princières de Géorgie“, Paris, 1983, p. - 44], თითქოსდა, უ. ფერრანდი გენერალ ალექსანდრეს გვარად „ბაგრატიონ-იმერეტინსკის“ ასახელებდეს. სინამდ-ვილეში, მ. გოგიტიძის მიერ მითითებულ 44-ე გვერდზე ვერც ერთ გვარს ვერ ვხედავთ. აქ არის იმერეთის მეფეთა გენეალოგიური ტაბულის გაგრ-ძელება. საერთოდ, უ. ფერრანდი ბაგრატიონთა იმერული შტოს ნარმომად-გენლებიდან, მხოლოდ იმერეტინსკებს განიხილავს. არც მეფე სოლომონ I-ის და არც ბაგრატ ბატონიშვილის შთამომავლები წიგნში შეყვანილი არ ჰყავს, ისევე, როგორც ზოგი სხვა ცნობილი საგვარეულოს ნარმომადგენ-ლები. ამდენად, ბაგრატიონ-იმერეტინსკების გვართან მიმართებით უ. ფერ-რანდის ნაშრომის დამონშება – ამ ნაშრომის გაყალბებას უტოლდება.

უმთავრესი კი ჩვენთვის ისტორიული პიროვნების, ალექსანდრე იმერე-ტინსკის მიმართ გამოჩენილი არაკეთილსინდისიერება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ალექსანდრე იმერეტინსკი სწორედ იმ კონსტანტინე ბატონიშვილის შვილია, რომელიც მეფე სოლომონს თავის მემკვიდრედ ჰყავდა გამოცხა-დებული. ბაგრატიონ-იმერეტინსკებთან შედარებით, იმერეტინსკები თა-ვისი სტატუსით, უფრო წინ იდგნენ. ეს მაშინაც გამოვლინდა, როდესაც მათ 1865 წელს მიენიჭათ „უგანათლებულესი“ თავადის სტატუსი, ხოლო ბაგრატიონ-იმერეტინსკებს მხოლოდ 1876 წელს [„Списки титулованным родам и лицам Российской Империи. Издание Департамента Герольдии Правительствующего Сената“. Спб., 1892, с. 44]. ამდენად, მ. გოგიტიძეს ალე-ქსანდრე იმერეტინსკისათვის გვარის შეცვლის უფლება არ ჰქონდა.

## 6. არაკეთილსინდისიერება როსტომ ბაგრატიონისა და ბ-ნი ორაკლი ბაგრატიონის (იმერელის) სხვა წინაპრების მიმართ

ბ-ნი ორაკლი ბაგრატიონის წინაპრების მიმართ გამოჩენილი არა-კეთილსინდისიერების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩემი წერილი „ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის არაკეთილსინდისიერი და არაკომპეტენტური პასუხის გამო“. ახლა კი მხოლოდ ნიმუშად მომყავს ი. ბიჭიკაშვილის მიერ ირაკლი ბაგრატიონის წინაპრის, როსტომ ბაგრატიონის, დამცირების მცდელობა და აგრეთვე არაკეთილსინდისიერად შედგენილი ერთი გენეალოგიური ტაბუ-ლა. მინდა მკითხველს ვუჩვენო, თუ რა არამეცნიერულ კრიტერიუმებს და ულირს მეთოდებს იყენებს ი. ბიჭიკაშვილი, 1819-1820 წლების აჯანყების მონაწილე და ამდენად, უკვე ისტორიული პიროვნების, როსტომ ბაგრატიო-ნის შეფასებისას. ჯერ მოგვითხრობს, რომ აჯანყების დროს დაიღუპა და-

ვით ბატონიშვილი, რომლის უფროსი ვაჟი, 10 წლის ივანე „აჯანყებულებმა“ გადამალეს თურქეთში, ხოლო 4 წლის თეიმურაზი რუსეთის ხელისუფლებამ გადასახლა რუსეთში, სადაც მას ჩამოართვეს ბაგრატიონის გვარის და წოდების ტარების უფლება. ამის შემდეგ სვამის კითხვას: „თუკი როსტომ ბაგრატიონის ოჯახი ქართველ აჯანყებულთათვის, რამენაირად მაინც მნიშვნელოვანი იყო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ, რატომ არ გადამალეს აჯანყებულებმა მისი მცირენლოვანი შვილი სიმონიც?“ [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016, გვ. 51]. ივანე აჯანყებულებს არ გადაუმალავთ. მათ ამის საშუალება არ ჰქონდათ. ივანე ოჯახის ერთგულმა მოურავმა, მერაბ ყიფიანმა, თურქეთში გააპარა. ი. ბიჭიკაშვილის ლოგიკით გამოდის, რომ დავითის ოჯახიც არ იყო „რამენაირად მაინც მნიშვნელოვანი“, რადგან 4 წლის თეიმურაზი და სხვები არ გადამალეს! დავით ბაგრატიონს, ივანესა და თეიმურაზის გარდა, სხვა შვილებიც ჰყავდა, რომლებსაც ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი მსჯელობის დროს არ ახსენებს, თუმცა ტაბულაში დაფიქ-სირქულები ჰყავს. ის არ ამბობს, რომ დავით ბაგრატიონის დედას და ორ შვილს – 2 წლის ნიკოლოზს და 14 წლის მზეხათუნას გადასახლების ადგილამდეც კი არ მიუღწევიათ, თბილისშივე გარდაიცვალნენ. როგორც მივაკვლიე, მათ ანჩისხატის ტაძარში აუგეს წესი: „ტფილისში ტუსაღად მყოფი დავით ბაგრატონის შვილი ნიკოლოზ მოკუდა და დაიმარხა. 2 (წლის), უძუძურობითა“, „ტფილისში ტუსაღად მყოფი დავით ბაგრატონის დედა მარიამ მოკუდა და დაიმარხა, 80 წლის“, „ტფილისში ტუსაღად მყოფი დავით ბაგრატოვანის ქალი მზეხათუნ მოკუდა და დაიმარხა, 14 წლის“ [სეა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 5, ფ.ფ. 24, 25]. ხოლო დავითის მეუღლე, ქალიშვილი ეკატერინე, ქალიშვილი მაია – ლევან ერისთავის ქვრივი (ლევან ერისთავის არსებობა მე დავადგინე), თავისი 8 თვის შვილთან ერთად, ყიზლარში გადასახლეს. განა, მართებული იქნებოდა ამ ადამიანების ხსოვნის შეურაცხყოფა იმის გამო, რომ ისინი აჯანყებულებმა არ გადამალეს? ვფიქრობთ, ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის სიძულეშით გაჯერებული მსჯელობა მკვლევრისთვის ყოვლად შეუფერებელია. ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი კი აღფრთვანებულია იმით, რომ „ბატონი იოსებ ბიჭიკაშვილის პასუხები არ სცილდება აკადემიურობას და ჭეშმარიტი მკვლევარისთვის დამახასიათებელ სტილს...“ [საქართველოს სამეფო სახლის მეთაური, ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, „მკითხველს“, წიგნში: ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018]. იმასაც დავძენ, რომ სწორედ „საქართველოს სამეფო სახლის“, ანუ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ოჯახის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა „სოფელ ღვანეკითში მცხოვრებ ბაგრატიონთა ოჯახის გენეალოგიური ტაბულა“. დავინყოთ იმით, რომ ტაბულაში, როგორც სოლომონ I-ის, ისე დავით ბაგრატის ძის შთამომავლები ბაგრატიონ-იმერეტინსკებად არიან დასახელებული, რაც ისტორიის დამახინჯებაა. დავითის შთამომავლე-

ბი ბაგრატიონები იყვნენ და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკები. საგანგებოდ არის ნაჩვენები უკანონო შტოს აღმნიშვნელი წყვეტილი ხაზი, რომელიც მხოლოდ ირაკლი ბაგრატიონის ოჯახის დასამცირებლად არის გამოყენებული. საინტერესოა, აქ დასახელებულ სხვა პირებს უკანონოდ შობილი წინაპარი არ ჰყოლიათ? ყველა მათგანის საერთო წინაპარი, მეფე გიორგი VI – უკანონოდ შობილი არ ყოფილა? „ბატონიშვილები და უგანათლებულესი თავადები ბაგრატიონ-იმერეტინსკები“ მეფე სოლომონ I-ის უკანონოდ შობილი შვილიშვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის ძის – „გიორგი ბუშის“ შთამომავლები არ იყვნენ? რატომ ვერ ვხედავთ აქ წყვეტილ ხაზს? ახლა, რაც შეეხება ირაკლი ბაგრატიონის შტოს მიმართ ჩადენილ უსამართლობას: რატომ არის როსტომთან წყვეტილი ხაზი? ნუთუ ამ ტაბულის შემდგენლისათვის დედოფლის სიტყვა არაფერს ნიშნავს? მეფე სოლომონ II-ის ქვრივმა, მარიამ დედოფალმა, რომელმაც თავისი მეუღლის ახლო ნათესავი, რუსეთში გადასახლებული, დაავადმყოფებული როსტომი თავისთან შეითარა, მისი და მისი შვილის – სიმონის წარმომავლობა გარკვევით განმარტა: „...отец же его Ростом Багратион, а равно и унтер-офицер Семен Багратион рождены от законных браков...“ [სეა, ფონდი 2, აღჭერა 1, საქმე 2832, ფ. 6]. „.... მამამისი კი, როსტომ ბაგრატიონი, ასევე უნტერ-ოფიცერი სიმონ ბაგრატიონი დაბადებული არიან კანონიერი ქორწინებებისგან.“ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსი მოხელეებისთვის საკმარისი აღმოჩნდა მარიამ დედოფლის მონაბეჭდი, რის შემდეგაც მცდარი ინფორმაცია აღარ გამეორებულა. ი. ბიჭიკაშვილი ამ დოკუმენტს კი იმონმებს, მაგრამ არ გამოაქვს სათანადო დასკვნები, ყურადღებას არ ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მარიამ დედოფლის მონაბეჭდი გადამწყვეტი აღმოჩნდა. ის არც იმ ფაქტს აქცევს ყურადღებას, რომ ამ ოჯახის ყველაზე დიდი მტერი, თავადი ივანე ბაგრატიონიც კი როსტომს უკანონოდ შობილად არ ასახელებს. როსტომი რომ უკანონოდ შობილი ყოფილიყო, ცხადია, ივანე ბაგრატიონი ამას არ დამალავდა. რაც შეეხება როსტომის მამას, სვიმონ ბატონიშვილს, ჩვენამდე მოღწეულია სამი დოკუმენტი, სადაც ის ბატონიშვილად იხსენიება „... ბატონის შვილის სვიმონის ძის როსტომის ასული ანასტასია...“ [სეა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 103] „...ბატონიშვილი სვიმონის ძე როსტომ“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 55.] „Царевича сына семена Ростом“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 56, 56ა]. მას თავისი მამა – ბაგრატ ბატონიშვილი შვილად სცნობდა და თავის ძედ მოიხსენიებდა. ჩვენამდე მოღწეულია სამი ამგვარი დოკუმენტი: „...მეფის ძემ ბატონის შვილმან ბაგრატ და ძემან ჩვენმან სვიმონ...“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 8, 8ა]. „Батонишвили Баграт и сын мой Симон...“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417, გვ. 126]. „Батонишвили Баграт с сыном своим Свимоном...“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417, გვ. 124]. ამ დოკუმენტების საპირნონედ რის წარმოდგენა

შეუძლია ბატონ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის? სად აქვს იმის საბუთი, რომ მამამისი ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრე პეტრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიმ თავის შვილად სცნო? ასეთი საბუთი არ არსებობს! სვიმონ ბაგრატიონის სტატუსს ბატონი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი ვე-რასოდეს მიაღწევს.

## 7. არაკეთილსინდისიერება ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელის მიმართ

2016 წლის 05 აგვისტოს, ქ-ნმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა სარჩელით მიმართა თბილისის სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, იოსებ ბიჭიკაშვილის მიმართ. სარჩელში აღნიშნულია, რომ 2016 წელს გამოცემულ წიგნში „ბაგრატიონები. სამეფო სახლის მემკვიდრე“ გამოსახულ ბაგრატიონ-მუხრანელების გენეალოგიურ ფრაგმენტში ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის შემდგომ შეგნებულად არის გამოტოვებული ია ბაგრატიონ-მუხრანელი. ამავე წიგნში გადმობეჭდილია 6 წლის წინ ყვითელ პრესაში გამოქვეყნებული ცილისმნამებლური სტატია – „როგორ განვასხვავოთ ცრუ ბაგრატიონები ჭეშმარიტისგან, მართლა გლუშკოა თუ არა ია მუხრანელი“ აღნიშნულ ცილისმნამებლურ ქმედებას მოჰყვა მოპასუხის 2016 წელს 15 მაისის საჯარო წერილი „ფეისბუკზე“, რომელიც სავსეა ირიბი ცილისმნამებლური მინიშნებებით იმის თაობაზე, რომ ია ბაგრატიონ-მუხრანელი არ არის ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის შვილი.

ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელის განმარტებით, ის და მისი და – ირინა ბაგრატიონ-მუხრანელი არიან სხვადასხვა დედის და ერთი მამის შვილები, რის გამოც ირინა ბაგრატიონ-მუხრანელმა განაცხადა, რომ არის დედისერთა.

ი. ბიჭიკაშვილი სოციალურ ქსელში -„ფეისბუკში“ წერდა: „ქალბატონმა იამ არ წარმოადგინა მშობლების ქორწინებისა და თავისი დაბადების მოწმობა. წარმოადგინა მხოლოდ ავტობიოგრაფია, სადაც მითითებულია, რომ ლეონიდე დავითის ძე მუხრანელი არის მისი მამა. მოგეხსენებათ, ავტობიოგრაფია საკმარისი საბუთი არ არის გენეალოგიისათვის“. „და ჩემთვის უკვე გასაგები ხდება, რა უნდა ყოფილიყო ქალბატონი იასათვის საზოგადოებიდან (ბაგრატოვანთა სახლი) გასვლის მიზეზი“.

ქალბატონმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა და მის მიმართ ცილისმნამებით აღშფოთებულმა უმცროსმა დამ – ქალბატონმა ირინა ბაგრატიონ-მუხრანელმა, დნმ ტესტირება ჩაიტარეს. შედეგები დაემთხვა ერთმანეთს. ქალბატონმა იამ მოიძია შესაბამისი დოკუმენტები და წარუდგინა სასამართლოს. შვილმკვდარმა დედამ ამდენი ნერვიულობისა და ძალისხმევის ფასად, სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით დაამტკიცა, რომ „ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელი ნამდვილად არის ბატონი ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის შვილი“.

ახლა მე ვსვამ კითხვას: რატომ არ მოსთხოვა პ-ნმა ი. ბიჭიკაშვილმა ბაგრატიონობის დამამტკიცებელი მტკიცებულებანი ტახტის „მემკვიდრედ“ შერაცხილ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის? ან, ნუთუ ი. ბიჭიკაშვილს თავად არ შეეძლო ბ-ნი ნუგზარის მამის დაბადების მოწმობის მოპოვება? კიდევ მეორე მაგალითს მოვიყენ: ქალბატონი ნინო ბაგრატიონის მეუღლის, და-ძმა გიორგი და დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეების მამის – ავთანდილ დავითის ძე ჯაფარიძის დაბადების მოწმობა წლების განმავლობაში საგულ-დაგულოდ იმაღება. ამ პიროვნებას ჯერ თავადად წარმოაჩენდნენ. მას შემდეგ, რაც მისი დაბადების მოწმობის ჩვენების აუცილებლობის საკითხი დადგა, ი. ბიჭიკაშვილმა ის თავის წიგნში, წოდების ჩვენების გარეშე შეიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი ავთანდილი 1914 წელს არის დაბადებული, ანუ საქართველოში წოდებების გაუქმებამდე. ამას ისიც ემატება, რომ მამუკა ბაგრატიონის, ყოფილი დავითიშვილის, პაპის – იაკობ დავითიშვილის დაბადების მოწმობაც არავის უნახავს, რაც შესაბამისი ცნობით მტკიცდება: „9. საქართველოს ეროვნული არქივის წერილი №10/618 (16. 01. 2014 წ.) იაკობ (იაშა) რომანოზის ძე დავითიშვილის დაბადების აქტის ჩანაწერის არ აღმოჩენის შესახებ“.

როგორც ვნახეთ, ი. ბიჭიკაშვილმა უნდობლობა გამოუცხადა ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრანელს და მისი დედ-მამის შესახებ დეტალური ცნობები მოითხოვა. კარგი იქნებოდა, რომ მას, როგორც ახალ მოვლენილ თავადს, ფართო საზოგადოებისთვის საკუთარი მშობლების გვარ-სახელებიც გაეცნო. „მისმა სამეფო უმაღლესობამ“, ბატონიშვილმა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ, რომელიც თავის წარმომავლობასაც ვერ ამტკიცებს, ი. ბიჭიკაშვილს ხომ „წყალობის წიგნით“ თავადობა უბოძა [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 352].

2019 წელს, ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელი მონაზვნად აღიკვეცა დედა მარიამის სახელით.

#### 8. არაკეთილსინდისიერება ქ-ნი მარიამ ბაგრატიონ-მუხრანსკის (1910-1992) და მისი ოჯახის წევრების მიმართ

ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის სამეფო კანცელარიამ გამოაქვეყნა „დოკუმენტი №23. ანასტასი ვიანსატსკის სტატია გაზეთში „Новая заря“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“ „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. გვ. 316- 323]. ვინმე ფიოდორ ბარმინი, თავისი მოკლე წინასიტყვაობით აქვეყნებს რუსი ემიგრანტის, ანასტასი ვონსატსკის ორი ბინძური წერილიდან ამოკრეფილ ცილისმნამებლურ ინფორმაციებს ესპანეთში ემიგრირებული ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილების ოჯახის შესახებ. ხოლო ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ოჯახის

– „სამეფო სახლის კანცელარია“ ამ ცილისწამების ტირაჟირებას ახდენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატიების ავტორად ასახელებენ ვინმე ანასტატასი ვიანსატსკის, (რაც შესაბამისი გვერდების თავზე 8-ჯერ მეორდება). სინამდვილეში, ავტორი ვიანსატსკი კი არა, ცნობილი რუსი ფაშისტი ა. ვონ-სატსკია! მათ მოჰყავთ ფედორ ბარმინის მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიც ა. ვონსატსკის მთავარი „დამსახურება“ – რუსული ფაშისტური პარტიის ლიდერობა, საგულდაგულოდ არის დამალული. ფ. ბარმინი ასე ახასიათებს მას: „ცნობილი ჟუბლიცისტი და საზოგადო მოლვაწე, თეთრი არმიის პორუჩიკი. 20-იან წლებში საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა. ასრულებდა მნიშვნელოვან როლს რუსი ემიგრაციის კონსოლიდაციაში ხარბინში. II მსოფლიო ომის დროს ინტერნიტებული იქნა ამერიკას ხელისუფალთა მიერ და მიესაჯა პატიმრობა ექვსი წლის ვადით. მიზეზი – უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებები, რომლებსაც ვონსატსკი იცავდა. განთავისუფლების შემდეგ გახდა საზოგადოებრივი მონარქისტული ფრონტის ერთ-ერთი დამფუძნებელი. გარდაიცვალა 1965 წელს“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“. „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. გვ. 316]. და არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ანასტატასი ვონსატსკი იყო ცნობილი რუსი ფაშისტი! რუსეთის ფაშისტური ორგანიზაციის სიმბოლოდ მან სვასტიკა აირჩია, ხოლო მისალმების ფორმად – მარჯვენა ხელის აწევა და შეძახილი: „Слава России!“, ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას, გამოსცემდა გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ნაშრომები, როგორიცაა: „Краткий курс фашиста: для прохождения в партийных школах“, „Ответ критику“, „Основы русского фашизма“ და სხვა. 1942 წლის ივნისში დაპატიმრებული იყო აშშ-ში შპიონაჟის ბრალდებით. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, 1946 წელს ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ მოლვანეობას. სპეციალურ ლიტერატურაში ის რუს ფაშისტად იხსენიება, მაგალითად ჯონ სტეფანის ნაშრომში „რუსი ფაშისტები: ტრაგედია და ფარსი გადასახლებაში“, 1925-1945 [By John J Stephan, „The Russian Fascists: Tragedy and Farce in Exile“, 1925-1945. Hardcover – 1978]. რა გასაკვირია, რომ რუს ფაშისტს არ მოსწონებოდა რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაურის, მისი საიმპერატორო უმაღლესობის, ვლადიმერ კირილის ძე რომანვის მიერ ქართველი თავადის ასულის, ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილის ცოლად შერთვის ფაქტი. აქედან მოდის მისი ყოველგვარი სიცრუე და ცილისწამება. გაკვირვებას ის იწვევს, რომ კრებული „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“ „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, (თბ., 2016) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა!

ა. ვონსატსკის თქმით, გიორგი ალქსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი 1921 წელს, ცოლთან, და ორ შვილთან – ირაკლისთან და ლეონიდასთან ერთად ჩავიდა კონსტანტინოპოლში, ხოლო ერთი შვილი – მარიამი, ვითომდა, თან არ წაუყვანიათ. ვონსატსკის აბსურდული მტკიცებით, ის 1921 წელს

იმიტომ დარჩა, რომ ბერიაზე გათხოვდა. 1921 წელს მარიამი (1910-1992) 11 წლის იყო! „სამეფო კანცელარიას“ ამის აღნიშვნა მაინც ხომ შეეძლო? სინამდვილეში, მარიამი ოჯახთან ერთად გაემგზავრა კონსტანტინეპოლში (სტამბოლში), იქიდან კი გერმანიაში. ერთი წლის შემდეგ, მთელი ოჯახი საქართველოში დაბრუნდა. 1926 წელს ჯერ უფროსი შვილი – ირაკლი გაგზავნეს საფრანგეთში, სადაც იმ დროს მისი ბებია და მამიდა იმყოფებოდნენ, რომლებმაც მას შემდეგ მოახერხეს რუსეთიდან ემიგრირება, რაც 1918 წელს, გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკის მამა, გენერალი ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანსკი პიატიგირსკში, სხვა სამხედრო პირებთან ერთად, მხეცურად მოკლეს. ამ ტრაგიკულ ფაქტს ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები არ ახსენებენ.

ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის სამეფო კანცელარიის წევრები, გარდა იმისა, რომ ცილისმწამებლური პუბლიკაციის ტირაჟირებას ახდენენ, როგორც უტყუარ წყაროს, ისე იმოწმებენ ამონარიდს ამ პუბლიკაციიდან. საკვირველია, ერთ პატარა ამონარიდში როგორ ჩაეტია ამდენი ტყუილი. აქ წერია, რომ გიორგი 1922 წლის ზაფხულში დაბრუნდა საქართველოში, ოჯახი კი კონსტანტინეპოლიდან ნიცაში გაემგზავრა. სინამდვილეში, გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი ოჯახთან ერთად დაბრუნდა. მეორედ, თითქოსდა, 1927 წელს დაბრუნდა საბჭოთა კავშირში უფროსი ქალიშვილის სანახავად – „...Георгий возвратился в СССР еще раз в 1927 году, очевидно, желая повидать свою старшую дочь Марию... и проживал в Грузии в своем собственном доме, который ему был любезно возвращен большевиками. В 1934 году он возвратился во Францию. Многие поразились, что Мухранские без особых затруднений могли совершать поездки в СССР – туда и обратно“ (იხ. დანართი №14, დოკუმენტი №23). ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია“ [„ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, გვ. 183]. კომენტარი ზედმეტი კი არა, აუცილებელია! 1927 წელს, გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი არსად არ გამგზავრებულა და არსაიდან არ დაბრუნებულა. ის თავის ოჯახთან ერთად თბილისში ცხოვრობდა. სახლი საბოლოოდ მხოლოდ 1928 წელს ჩამორთვეს, ისევე, როგორც სახლების მეპატრონეთა უმეტესობას (ასე, მაგალითად, ჩემი მეუღლის ბაბუას, ნ. მაღლაკელიძეს, 1929 წელს ჩამოართვეს სახლი და ხმის უფლება. იხ. ნ. უტიაშვილი, „სად აღმოაჩინეს თბილისში გერმანელების მიერ დაარსებული ლუდის ქარხნის ერთ-ერთი პირველი სარეკლამო ფოტო და რა კავშირი აქვს მას ფიროსმანთან“, უურნ. „თბილისელები“, № 24, 15.06.2015-21.06.2015). 1930 წელს თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე დაპატიმრეს. ამ ფაქტსაც ვერ ნახავთ დასახელებულ პუბლიკაციაში. თავადი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანბატონის მეუღლემ და ორმა ქალიშვილმა, მაქსიმ გორკის დახმარებით, ემიგრაციაში წასვლა მოახერხეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ისევ მაქსიმ გორკის დახმარებით, მათ თავადიც შეუერთდა. უფროსი ქალიშვილი, მარიამი, პარიზში სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა. მან რთული ცხოვრება განვლო. 1948 წელს

დააპატიმრეს. საამისო მიზეზი ორი იყო: 1. 1946 წლის 5 დეკემბერს რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაურმა, ვლადიმირ კირილის ძე რომანოვმა გამოსცა აქტი „ბაგრატიონთა სახლის სამეფო ღირსება“, რომლითაც მარიამის მამა, თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე – საქართველოს ტახტის მემკვიდრედ სცნო. (საქართველოში ეს აქტი პირველად მე გამოვაქვეყნე 1990 წელს, მისი საიმპერატორო უმაღლესობის, დიდი მთავრის, ვლადიმირ კირილის ძის პირადი ნებართვით). 2. 1948 წელს ქ-ნი მარიამის და – ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი ცოლად გაჰყვა რუსეთის დიდ მთავარს, ვლადიმირ კირილის ძე რომანოვს (რომელსაც 1946 წლის აქტის გამოცემის დროს არ იცნობდა). ამ ორი ფაქტის გამო, მარიამმა 8 წელი მაგოდანში გაატარა. შემონახულია მისი ნათესავის, ქ-ნი ნინა ჯორჯაძის ჩანაწერების ფრაგმენტები, რომელშიც აღნუსხულია ქ-ნი მარიამის მეუღლის, ცნობილი თეატრალური მხატვრის, სოლიკო ვირსალაძის მიერ მიტანილი, მაგოდანში გასაგზავნი თანხები (იხ. სურ. № 1). ცილისმნამებლურ წერილში ქ-ნი მარიამის გადასახლების ფაქტზე სიტყვაც არ არის ნათესამი. უფრო დაწვრილებით იხ. ჩემი საგაზეთო წერილი „ვინ მფარველობდა ბაგრატიონთა ოჯახს – ლავრენტი ბერია თუ მაქსიმ გორკი?“ რომელსაც მოცემულ წიგნში ვაქვეყნება. უნდა აღვნიშნო, რომ გაზეთის რედაქციამ წერილს მეორე, ცოტა უფრო ბუნდოვანი სათაურიც დაურთო „ბაგრატიონები სიცრუის ლაპირინთში“.

ასევე, შემონახულია მარიამ ბაგრატიონ-მუხრანსკის განცხადების ტექსტის ასლი, რომლიდანაც კარგად ჩანს მისი და მისი ოჯახის მეგობარი მაქსომ გორკის ურთიერთობა (იხ. სურ. № 2). ქ-ნ მარიამს დაწერილი ჰქონდა პოემა მაგოდანზე, რომელსაც არავის ანახებდა. ეს ხელნაწერი მე დამიტოვა, რაც 2010 წელს გამოვეცი მცირე ტირაჟით.

ბაგრატიონ-მუხრანსკების, იმავე ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილების ამ კონკრეტული ოჯახის შესახებ, არაერთი წერილი მაქს გამოქვეყნებული, დაწყებული 1990 წლიდან. ქალბატონ მარიამ ბაგრატიონ-მუხრანსკის მონათხრობზე დაყრდნობით, მკითხველებს გავაცანი მისი პაპის, გენერალ ალექსანდრე ირაკლის ძის ტრაგიკული სიკვდილის ისტორია. რევოლუციის შემდეგ, ის სხვა 40 სამხედრო პირთან ერთად, პიატიგორსკში მხეცურად მოკლეს. ეს ფაქტი, როგორც ვთქვით, ვონსატსკის, ბრამინს და „სამეფო კანცელარიას“ „გამოეპარათ“. ყველაზე დიდი საოცრება ის არის, რომ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის მიერ თავის დაჯგუფებაში ჩარიცხული ახალი წევრის, მამუკა გოგიტიძის მტკიცებით, გენერალ ალექსანდრე ირაკლის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის შვილები არ დარჩენია: „Багратион-Мухранский Александр Ираклиевич (20. 07. 1853-20. 10. 1918) – Генерал-лейтенант...Был женат, **детей не имел**. Погиб 20. 10. 1918 г. в районе гор. Пятигорске во время массовых казней заложников большевиками“ [Мамука Гогитидзе, „Грузинский генералитет (1699-1921 гг.)“, Киев, 2001, с. 59]. არადა, გენერალს უამრავი შთამომავალი დარჩა. მ. გოგიტიძისთვის უფრო გასაგე-

ბი რომ იყოს, მისივე ფრაზებით ვუპასუხებ: „არამც და არამც. ჩვენი ... პოზიცია ერთადერთია...მკითხველი იკითხავს, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე? პასუხი მარტივია, საქმე გვაქვს ისტორიის ჩვეულებრივ გამყალბებლებთან... არა! არ გამოგივათ, ბატონებო ხელები გაქვთ ნამეტანი მოკლე, ვერ მიწვდებით ბაგრატიონებს!“

ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილების წარმომადგენლების გარდა, გენერალ ალექსანდრე ირაკლის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის შთამომავლები არიან რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაური, მისი საიმპერატორო უმაღლესობა მარია რომანოვა და მისი ვაჟი, მისი საიმპერატორო უმაღლესობა ცესარევიჩი გიორგი რომანოვი. გენერლის ყველა შთამომავალს სრული უფლება აქვს მ. გოგიტიძეს პასუხი მოსთხოვოს.

1953г.

3/III Соруко присяга для перевода 1мн. 26

Затем присяга по 700р.  
в месяц (бесп. год)

1

1954г.

13 апреля присяга - 700р.  
6 мес.

700р.

600.

25/IV Я получила в Мед. присягу  
(демп. присяг. док. мед.)

700р.

სურ. № 1. ქ-ნი ნინა ჯორჯაძის ჩანაწერების ფრაგმენტი.

В июне 1934 года я вернулась в Москву из Парижа, куда  
ездила при содействии Алексея Максимовича Горького для п  
олучения высшего художественного образования.

Семья моя осталась за границей. В беседе с Алексеем  
Максимовичем я рассказала о своих заграничных впечатлениях  
и причине, заставившей меня покинуть семью и вернуться в  
родину.

Рассказ мой показался Горькому интересным, и он предложил  
мне описать некоторые события и характеры.

Я долго не решалась, т.к. не имела никакого опыта. Но  
Алексей Максимович обещал мне помочь справиться с материа-  
лом. Я принялась за работу и когда рукопись была готова,  
послала ее Алексею Максимовичу в Крым, где он в то время  
находился. Очень скоро я получила письмо от Алексея Мак-  
симила; он возвращал мне рукопись для дальнейшей работы на-  
ней. В рукописи было много его пометок и замечаний.


В скором времени Алексей Максимович заболел, и я не  
успела переделать рукопись.

В 48 году 14/ХI я была арестована органами НКВД. Вмес-  
те со всеми моими бумагами рукопись попала в следственную  
часть, также и подаренная мне Алексеем Максимовичем фотог-  
рафия: Горький в бухарском халате. Вторая фотография:  
Горький с Надеждой Алексеевной Панковой и внучкой Шарфой  
на руках. В следственной части на мой вопрос о будущей  
судьбе рукописи и фото мне ответили, что они будут пере-  
даны в Музей А.И.Горького.

Багратион-Мухранская, Нар-  
одная артистка.  
Адрес: Тбилиси, ул. Кецховели, д. II.

სურ. № 2. ქ-ნი მარიამ ბაგრატიონ-მუხრანსკის განცხადების ტექსტის ასლი.

P.S. 1990 წელს, ჩემი შვილის ნათლიასთან (იბ.სურ. №1) ქ-ნ მარიამ ბაგრატიონ-მუხრანსკი-  
სთან ერთად, პარიზში, მისი დისა და სიძის ოჯახში – რომანოვებთან სტუმრობის დროს,  
ჩავინარებ ინტერვიუ დიდ მთავართან, ვლადიმირ კირილის ძე რომანოვთან. ინტერვიუს  
ბოლოს მან გამოიტანა შემდეგი მოსაზრება: „ქართველ ხალხს შეუძლია თვითონ აირჩიოს  
ნებისმიერის სახეობა, თუნდაც საკუთარი მეფე იყოს იყოს. მე მხოლოდ თანამეგობრობის  
ფორმების გამოძებნაზე ვსაუბრობ“, რაზეც მე დავუსვი კითხვა: „საქართველოს მიერ ფედ-  
ერაციის იდეის უარყოფის შემთხვევაში, დასაშვებად მიგანიათ, თუ არა, ამ იდეის განხორ-  
ციელება ძალადობის გზით?“ პასუხი: „არა, ძალადობა მხოლოდ სიძულვილს შობს“ [მანანა  
ხომერიკი, „ნერილები“, თბ., 2006, გვ. 180]. აქვე გაცნობთ 1946 წლის 5 დეკემბრის აქტის  
გამოქვეყნებაზე მსუ დიდი მთავრის, ვლადიმირ კირილის ძის პირად ნებართვას, მსუ ლე-  
ნიდა რომანოვას მოსალოც ბარათან ერთად (იბ. სურ. №2).



სურ. №1. ქ-ნი მარიამ ბაგრატიონ-მუხრანსკის სამახსოვრო ჩანაწერი თავისი ძმის, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილის მიერ უცხოეთში გამოქვეყნებულ საფოსტო ბარათზე, რომელზეც ბიზანტიის იმპერატრიცა მარიამ ბაგრატიონია გამოსახული.

Мекм Акна, на стр. 74,  
о Узарской демонстрации Дома  
Багратионов — разрешено  
опубликовать в прессе и ме-  
дийдении, с надеждой что  
сейчас хороший момент —

~~Редакция.~~

🎄	Season's Greetings
賀	Meilleurs Voeux
粼	Felices Fiestas
禧	Поздравляю
禧	Frohe Festtage.

Дорогие друзья.  
Сергей Симонян  
я не менялся на 1990?  
и вчера же не был  
в гостях.

სურ. №2. რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაურის, მსუ ვლადიმირ კირილის ძე რომანო-  
ვის ნებართვა, რომელიც მან 1946 წლის 5 დეკემბრის აქტის გამოქვეყნებაზე მომდა და მისი  
მეუღლის, მსუ ლეონიდა გიორგის ასულ რომანვას საახალწლო მოლოცვა.

## იმართის პაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ (გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“, 2017, №2).

1995 წელს თბილისში დაფუძნდა „ბაგრატოვანთა სახლი“, სადაც სხვა-დასხვა შტოს წარმომადგენელი ბაგრატიონები გაერთიანდნენ. წინამდლო-ლი გახდა ქ-ნი ნინო ბაგრატიონი. „ბაგრატოვანთა სახლის“ წესდებას ის სწორედ ამ სახელით და გვარით აწერს ხელს [1:12]. აღნიშნულმა საზო-გადოებამ, ბაგრატიონთა დინასტიაში შტოებისა და პიროვნებების ადგი-ლის განსაზღვრს მიზნით, შეიმუშავა „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმი, რომელიც ხელმოწერილ იქნა ბაგრატიონთა უდიდესი ნაწი-ლის, ცნობილი ისტორიკოსების და სხვა პატივსაცემი პირების მიერ. მემ-ორანდუმში ვკითხულობთ: „ბატონიშვილის და უგანათლებულესი თავადის პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის შვილიშვილია დღეს თბილის-ში მცხოვრები ბატონიშვილი და უგანათლებულესი თავადი, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე, მისი აღმატებულება ნუგზარ პეტრეს ძე ბაგრა-ტიონ-გრუზინსკი (დ. 1950)“[2:231]. ხაზგასმით უნდა განვმარტო, რომ ჩემს წერილში ზემოთ მოყვანილ ამონარიდს არ ვაკრიტიკებ და ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის სტატუსს არ განვიხილავ. სამწუხაროდ, „მემორან-დუმში“ სახეზეა რიგი სხვადასხვა სახის უზუსტობებისა, რომ აღარაფერი ვთქვათ სტილისტურ გაუმართაობაზე, რაც აზრის ბუნდოვანებას იწვევს.

უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამდლოლის, ქ-ნ ნინო ბაგრატიონის მიერ სადღეისოდ არარსებული „ბაგრატიონ-იმერეტინსკის“ გვარით ხელმოწერა [3: 233-234], მაშინ, როდე-საც ეს შტო XX ს-ის დასაწყისში შეწყდა. საქართველოს ტექნიკური უნივერ-სიტეტის არქივის უფროსის ოფიციალური ცნობით დასტურდება, რომ ქ-ნი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი 1960 წლიდან 2009 წლის აპრილამდე ბაგრატიონის გვარით მუშაობდა მხაზველობითი გეომეტრიის კათედრა-ზე [4: 1]. (ცხადია, ხელფასი გაიცემოდა ნინო ბაგრატიონზე და არა ნინო ბაგრატიონ-იმერეტინსკიზე). ასევე, „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოს-მა, ბ-ნმა იოსებ ბიჭიკაშვილმა „მემორანდუმს“ გენეალოგიური საზოგადოე-ბის თავმჯდომარის მოადგილის სახელით მოაწერა ხელი [5: 236]. სათანა-დო დოკუმენტებით კი დასტურდება, რომ 2004 წლის 14 თებერვლიდან გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე არის ბ-ნი იური ჩიქოვანი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი ირინა კვირკველია [6]. ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილი 2004 წლიდან დღემდე დასახელებული საზოგადოების გამგე-ობის წევრიც კი არ არის. გარდა ამისა, რამდენიმე თვის წინ მოხდა ერთი ისეთი ფაქტი, რამაც „მემორანდუმში“ დაშვებული შეცდომების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა: ბ-მა იოსებ ბიჭიკაშვილმა, ვისაც რო-გორც „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსს, „მემორანდუმის“ შედგენაში დიდი წვლილი მიუძღვის, 2016 წლის ბოლოს გამოაქვეყნებულ ნაშრომში „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“,

იმერეთის ბაგრატიონთა შტოში გვარის უფროსობის საკითხთან დაკავშირებით, შემოგვთავაზა ახალი მცდარი ვერსია, რომელიც თავის მხრივ, „მემორანდუმში“ მოცემულ მცდარ ვერსიას აბათილებს. დავიწყოთ მორანდუმში დაფიქსირებული მცდარი ვერსიით, 2004 წელს იაკობ ახუაშვილმა თავის ნაშრომში განაცხადა, თითქოსდა, 1900 წელს, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის, უგანათლებულესი თავადის, ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გვარში უფროსობა მეფე სოლომონ I ძმის ბაგრატ ბატონიშვილის შთამომავლს „უგანათლებულეს“ თავად დავითს გადაეცა, რომლის ასული იყო ნინო ბაგრატიონ-იმერეტინსკი დღეს თბილისში ცხოვრობს...“ [7: 155] წყარო მითითებული არ არის, რადგან არ არსებობს. ვარშავის გენერალ-გუბერნატორი, ალექსანდრე იმერეტინსკი იყო კონსტანტინე ბატონიშვილის უმცროსი, მესამე ვაჟი. მისი გარდაცვალების დროს, ანუ 1900 წელს, ცოცხლები იყვნენ მისი უფროსი ძმის, კონსტანტინე კონსტანტინეს ძის შთამომავლები: 1. შვილი – ვლადიმერი, რომელიც მოგვიანებით, 1902 წელს გარდაიცვალა. 2. კონსტანტინეს უფროსი შვილი, მიხეილი იმ დროს უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ მას ჰყავდა შვილები: გიორგი (1872-1954), ალექსანდრე (1875-1906), ნინო (1870-1952) და თამარი (1873-1954). 3. გიორგი მიხეილის ძეს სამი ვაჟი ეზრდებოდა: გიორგი (1897-1972), კონსტანტინე (1898-1978) და მიხეილი (1900-1975). საკითხავია, იმერეტინსკების ოჯახს, რომელსაც 1900 წელს საკმაოზე მეტი გვარის გამგრძელებელი ჰყავდა, ვინ ჩამოართმევდა გვარში პირველობას? მათი ნინაპარი კონსტანტინე ბატონიშვილი (მეფე დავით II-ის შვილი) ხომ სოლომონ II-ის მიერ თავის მეკვიდრედ იყო აღიარებული, რაც თავის დროზე, რუსეთის მთავრობამაც დაადასტურა. როგორც ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის ნაშრომიდან [8: 637]. ჩანს, მან და ცხადია, მისი ოჯახის წევრებმა, თავადმა იმერეტინსკებმა, ბაგრატ ბატონიშვილის და მისი შთამომავლების არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდნენ. ვარშავის გენერალ-გუბერნატორის სიკვდილის შემდეგ, ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარი კიდევ იმ მიზეზის გამო ვერ გადაეცემოდა იმერეთში მცხოვრებ დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს, რომ გარდაცლილი იმერეტინსკის გვარს ატარებდა. ბაგრატიონ-იმერეტინსკები კი სოლომონ I-ის შვილიშვილის, გიორგი „ბუშის“ შთამომავლები იყვნენ. მათ თავისი გვარის გამგრძელებელი ვაჟი ჰყავდათ და 1837 წელს იმპერატორის მიერ მინიჭებული გვარი არავისთვის გადაუციათ. გვარების, თუ გვარში პირველობის გადაცემა ასე მარტივად არ ხდებოდა. ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამის, დავით ალექსანდრეს ძის გვარი ბაგრატიონი იყო და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი და ის იმერეთის ბაგრატიონებში უფროსი არ ყოფილა. „ბაგრატოვანთა სახლმა“, ნაცვლად იმისა, რომ ი. ახუაშვილის მცდარი ვერსია გაესწორებინა, გაითავისა იგი და „მემორანდუმში“ შეიტანა. ი. ბიჭიკაშვილი წიგნში „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განმტკოებები“, წერს: „ასევე, აღნიშნულმა მემორანდუმმა დააფიქსირა სტატუსით მომდევნო, უმცროსი სამეფო

შტოს – იმერეთის სამეფო სახლის ხელმძღვანელის, ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონ-იმერეტინსკის სტატუსი“ [9:35]. თავად „მემორანდუმში“ ვკითხულობთ: „ისტორიული და პოლიტიკური ტრადიციების მნიშვნელობის მომდევნო მეფეური შტო არის – იმერეთის ბაგრატიონთა შტო. იმერეთის სამეფოს სათავე დასდო საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის ძმისშვილმა ბაგრატ -VI (II)-მ XV ს. შუა წლებში. მეფე ბაგრატ VI-ის (1466-1578) პირდაპირი შთამომავლები არიან – (იგულისხმება ერთზე მეტი პირი, აյ კი ერთი პირი სახელდება – მ. ხ.) 1900 წელს ვარშავის გენერალ-გუბერნატორი (რა მოხდა 1900 წელს? -მ.ხ.), უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი (1837-1900), რომლის გარდაცვალების შემდეგ, გვარში უფროსობა გადაეცა მეფე სოლომონ I-ის (1752-1784) ძმის – ალექსანდრეს ძე ბაგრატ ბატონიშვილის (1740-1800) შთამომავალს უგანათლებულეს თავად დავით ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1894-1937), რომლის ასული ბატონიშვილი და უგანათლებულესი თავადი, მისი აღმატებულება ნინო ბაგრატიონი (დ. 1915) თბილისში ცხოვრობს და „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამძღვილი“ [10:231]. დავიწყოთ იმით, რომ იმერეთის ბაგრატიონთა ყველა წარმომადგენელი მეფე ბაგრატ VI-ის პირდაპირი შთამომავალია. თუ ავტორს იმის თქმა უნდა, რომ ალექსანდრე იმერეტინსკი უფროსი იყო ბაგრატის შთამომავლებში, მაშინ ეს შეცდომაა, რადგან იმერეტინსკები უმცროსი შტოს წარმომადგენლები იყვნენ. იმერეთის მეფე გიორგი VI-ის უფროსი შვილი იყო ალექსანდრე V, (მეფე სოლომონ I-ის მამა და მეფე სოლომონ II-ის პაპა), ხოლო უმცროსი შვილი და ალექსანდრე V-ის ნახევარზმა იყო გიორგი VII (იმეფა 1741 წელს), რომლის შთამომავლებსაც შემდგომში იმერეტინსკის გვარი მიენიჭათ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გვარში უფროსობა განპირობებული იყო არა ბაგრატ VI-ის „პირდაპირი შთამომავლობით“, არამედ იმ ფაქტით, რომ იმერეტის ბოლო მეფემ, სოლომონ II-მ თავის მემკვიდრედ წინამორბედი მეფის, დავით II-ის (გიორგი VII-ის ძის) შვილი – კონსტანტინე ბატონიშვილი გამოაცხადა, რაც „მემორანდუმში“ ნახსენები არ არის. სწორედ ამ კონსტანტინედან მოდიან იმერეტინსკები. „მემორანდუმში“ დაფიქსირდა უგანათლებულეს თავად დავითისათვის გვარში უფროსობის გადაცემის მცდარი ვერსია და თანაც, არა ბაგრატიონის, არამედ ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით, რაც უხეში შეცდომაა.

ი. ბიჭიკაშვილი, როგორც დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი და ბაგრატიონთა შესახებ ნაშრომების ავტორი, წლების განმავლობაში ამზადებდა ნიადაგს იმისთვის, რომ შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება და ბოლოს – მემორანდუმზე ხელმომწერნი. ვინცებთ თანმიმდევრულად:

1. 2003 წელს, კრებულში „ბაგრატიონები“ ი. ბიჭიკაშვილმა არასწორად გააკეთა წარწერები უგანათლებულეს თავად ბაგრატიონთა ოჯახის წევრთა ოთხ სურათზე: „210. იოანე ბაგრატის (დავითის ძე – მ.ხ.) ძე ბაგრა-

ტიონ-იმერეტინსკი, მეუღლესთან ელისაბედთან და შვილთან ალექსან-დრესთან ერთად. 211. ალექსანდრე იოანეს ძე ბაგრატიონ-მერეტინსკი, ასულთან, თამართან ერთად. 212. დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მერეტინსკი, მეუღლესთან ქეთევან მაჩაბელთან ერთად. 213. „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამდლოლი ნინო დავითის ასული ბაგრატიონ-იმერეტინსკი (დ. 1915), შვილიშვილებთან თორნიკესთან, სალომესთან და ქეთევანთან ერთად.“ [11: 546]. როგორც ვთქვით, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრები ბაგრატიონები იყვნენ და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკები. ამგვარი წარწერებით, ი. ბიჭიკაშვილმა ხელოვნურად შექმნა გაუგებრობა. იმავე კრებულში შესულია ი. ბიჭიკაშვილის წერილი „უგანათლებულესი თავადების გრუზინსკებისა და იმერეტინსკების გვარების წარმოშობისათვის“ სადაც ვკითხულობთ, რომ „თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის „უგანათლებულესობის“ ტიტული მიენიჭა.“ [12:54]. დამოწმებულია წიგნი „Списки титулованным родам и лицам Российской Империи“ [13:11]. სადაც, სინამდვილეში, თავადი ალექსანდრე – ბაგრატიონად მოიხსენიება. ისტორიული ფაქტებისადმი ასეთმა, რბილად რომ ვთქვათ, თავისუფალმა მიდგომამ, ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოების აღრევა და ისტორიის დამახინჯება გამოიწვია.

2. 2004 წელს, „ბაგრატოვანთა სახლის“ ალმანახში „ბაგრატოვანნი“ გამოქვეყნდა ი. ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა „იმერეთის მეფეები, ბაგრატიონ-იმერეტინსკები და იმერეტინსკები“, [14: 10], სადაც მეფე სოლომონ I-ის შთამომავლობა ნაჩვენები არ არის, ანუ ნამდვილი ბაგრატიონ-იმერეტინსკები შეყვანილი არ არიან. მათ წარმომადგენლებად ბაგრატ ბატონიშვილის შთამომავალი უგანათლებულესი თავადი ბაგრატიონები გვევლინებიან, მაშინ როდესაც მათი გვარი – ბაგრატიონი, ტაბულის დასახელებაში გამოტანილი არ არის. ტაბულა მთავრდება ქ-ნი ნინო ბაგრატიონის შვილიშვილებით, ანუ ბაგრატიონ-ჯაფარიძეებით. ამ შემთხვევაში დაშვებული უზუსტობის არსი რომ უფრო გასაგები გახდეს, შედარებისა და განმარტებისთვის მოგვყავს ამონარიდი იმავე ი. ბიჭიკაშვილის 2003 წლის სტატიიდან „უგანათლებულესი თავადების გრუზინსკებისა და იმერეტინსკების გვარების წარმოშობისათვის“, სადაც ის შინაარსობრივად სწორ, თუმცა სტილისტურად გაუმართავ ინფორმაციას იძლევა: „რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ 1804 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით და 1812 წლის 12 მარტის მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ მხოლოდ საქართველოს (ქართლ-კახეთის) მეფეების შვილები – ბატონიშვილები ინარჩუნებენ ამ წოდებას (ბატონიშვილის წოდებას – მ.ხ.), მათი შთამომავლები ატარებენ „ქართველი თავადის“ (გრუზინსკების), ხოლო იმერეთის ბატონიშვილების შვილები – „იმერეთის თავადის“ (იმერეტინსკების) წოდებას (ეს მონაკვეთი სიტყვა სიტყვით გადატანილია „მემორანდუმში“ – მ.ხ.). რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I-ის ნებართვით, იმერეტინსკების პარალელურად იმერეთის მეფის სოლომონ I-ის

შვილიშვილები – ალექსანდრე და დიმიტრი გიორგის ძეები – 1837 წლიდან იწოდებოდნენ თავად „ბაგრატიონ-იმერეტინსკებად“, ხოლო მეფე დავით I-ის შთამომავლები – თავად „იმერეტინსკებად“ (**იმერეტინსკების პარალელურად იწოდებოდნენ იმერეტინსკებად? – მ.ხ.**), რომელიც მათ გვარად იქცა. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძმის ბაგრატ ბატონიშვილის შვილიშვილები ივანე და თემურაზ დავითის ძეები დასახელებული არიან 1850 წლის იმერეთის თავადური გვარების სიაში, როგორც თავადი ბაგრატიონები.“ [15: 54]. ეს მონაკვეთიც უცვლელი სახით არის შესული „მემორანდუმში“. ი. ბიჭიკაშვილი კი თავის ზემოხსენებული ნაშრომის 54-ე გვერდზე, სადაც წერს, რომ ივანე ბაგრატიონი სიაში ამ გვარით იყო შეყვანილი, იმავე ივანეს ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით იხსენიებს, ანუ ერთსა და იმავე გვერდზე ორი ურთიერთგამორიცხავ ინფორმაციას გვაწვდის, რასაც ახსნას ვერ ვუძებნით. ასევე გაუგებარია, თუ მან 2003 წელს, თუნდაც ერთხელ, სწორი ვერსია დააფიქსირა, 2004 წელს, ალმანახ „ბაგრატოვანნში“ გამოქვეყნებულ გენეალოგიურ ტაბულაში ბაგრატიონ-იმერეტინსკები რა დოკუმენტზე დაყრდნობით ჩანაცვლა იმ პირებით, რომლებიც სინამდვილეში ბაგრატიონის გვარს ატარებდნენ? 1850 წელს იმერეთის თავადური გვარების სიაში ბაგრატიონის გვარით შეყვანილი ივანე და თემურაზი როდის გახდნენ ბაგრატიონ-იმერეტინსკები? გადავხედოთ ბაგრატიონთა XIX ს-ში შედგენილ გენეალოგიურ ტაბულებს, რომელთა ასლები მოცემულია ი. ბიჭიკაშვილის ნაშრომში „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“. იმ ტაბულებში ქ-ნი ნინო ბაგრატიონის ნინაპრები არიან დაფიქსირებული. ქუშმარიტების დასადგენად, ყურადღება უნდა მივაციოთ რუსულენოვან ნარწერებს, რადგან დასახელებული პირების სტატუსის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით, ი. ბიჭიკაშვილი თარგმნისას დედისულ ნარწერებს განზრახ ამახინჯებს. ასე მაგალითად, მე-3-ე ტაბულაში იმერეთის მეფე ალექსანდრეს შვილად ნაჩვენებია ბაგრატი, ბაგრატის შვილად დავითი, ხოლო ამ უკანასკნელის შვილად „Иван проситель“ [16: 258], რაც ნიშნავს: ივანე მთხოვნელი. ვიმონმებთ ლექსიკონს, რომლის თანახმად, „Проситель“ ნიშნავს – „მთხოვნელს“ [17: 786]. ი. ბიჭიკაშვილი კი ამ სიტყვას ბატონიშვილად თარგმნის: „ბატონიშვილის ივანე დავითის ძე ბაგრატიონის (1810-1869) მუხლობრივი აღწერა (1869 წ.)“ [18: 258]. აქვე განვმარტავთ, რომ თავადი ივანე ბაგრატიონი უგანათლებულესობის ტიტულის მაძიებელი, ანუ მთხოვნელი იყო. მე-4-ე ტაბულაში ივანე მთხოვნელის შვილად დასახელებულია მისი ვაჟი ალექსანდრე სინ ეგო ალექსანდრე ფილიპი მინერილი აქვს: **прос.** [19: 259], რაც მთხოვნელს, იგივე მაძიებელს ნიშნავს. ი. ბიჭიკაშვილი კვლავ არასწორ თარგმანს იდლევა: „ბატონიშვილის ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონის (1851-1895) მუხლობრივი აღწერა (1869 წ.)“ [20: 259]. ბოლო, მე-5-ე ტაბულაში ივანეს შვილად ნაჩვენებია ალექსანდრე, ხოლო ამ უკანასკნელის შვილად – დავითი. დაფიქსირებულია მისი სტატუსი: „Давид. Свят. Кн. малолетний, опекаемый“ [21:60], რაც ასე

ითარგმნება: „დავითი, უგანათლებულესი თავადი, მცირენლოვანი, სამეურვო“ ი. ბიჭიკაშვილი უგანათლებულეს თავადსაც ბატონიშვილად თარგმნის: „ბატონიშვილის დავით ალექსანდრე ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1894-1937) მუხლობრივი აღწერა (1903წ.)“ [22: 260]. გაუგებარია, ამ დოკუმენტში ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი რომელი რუსული სიტყვის შესატყვისად იყენებს აკვიატებულ ქართულ სიტყვას – „ბატონიშვილი“? ამითაც არ კმაყოფილდება და დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს „ბაგრატიონ-იმერეტინსკის“ გვარით მოიხსენიებს, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ გვარს იმპერატორის ბრძანებით, მხოლოდ მეფე სოლომონ I-ის შთამომავლები ატარებდნენ. დამონმებულ ტაბულებშიც როგორც ვნახეთ, ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარი არ გვხვდება. ტაბულების წარწერების არასწორი თარგმანიც იმაზე მიგვითითებს, რომ ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი თავის ახალ ნაშრომებშიც განაგრძობს ფაქტების დამახინჯებას, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, თუმცა სათქმელი ბევრია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ივანე დავითის ძე ბაგრატიონი და მისი ვაჟი, ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი დაკრძალული არიან სოფელ ღვანკითის სამების ეკლესიაში. მათი საფლავის ქვებს „ბაგრატოვანი“ აწერია და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი.

3. „ბაგრატოვანთა სახლის“ ალმანახში ი. ბიჭიკაშვილმა ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამა, უგანათლებულესი თავადი დავით ბაგრატიონი არა მხოლოდ ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით მოიხსენია, არამედ ტაბულაში მის სახელს ამგვარი სტატუსი დაურთო: „იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე“ [23:10]. ეს არის ისტორიის გამიზნული დამახინჯება და წმინდანი მეფის, სოლომონ II-ის ნების აბუჩად აგდება! 1804 წელს, ე. წ. „ელაზნაურის ხელშეკრულებაში“, რომლითაც იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლა გაფორმდა, მეფე სოლომონ II-მ ტახტის მემკვიდრეობის საკითხზე თავისი ნება გამოხატა: „ელაზნაურის ტრაქტატის“ მე-2 მუხლში მეფე სოლომონ II აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ღმერთი არ მისცემდა „მამობრისა სქესისა“ შთამომავალთ, მაშინ მის შემდგომ „მეფის ძეს კონსტანტინეს დავითის ძეს და მისთა შთამომავლობასა“ უნდა ესარგებლათ იმერეთის მეფობის უპირატესობით [24: 561]. აღნიშნულ ხელშეკრულებას ი. ბიჭიკაშვილი არც ახსენებს და თავისი შეხედულებისამებრ წყვეტის იმერეთის ტახტის მემკვიდრეობის საკითხს. სოლომონ II-ის გადაწყვეტილება არც „მემორანდუმშია“ აღნიშნული. ჩვენ მიერ დამოწმებული მე-2-ე მუხლი იმითაც არის საყურადღებო, რომ ტახტის მემკვიდრეებად მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან მიჩნეული. მამრობითი ხაზით, ტახტის ნამდვილი მემკვიდრის, კონსტანტინე ბატონიშვილის უკანასკნელი შთამომავალი – კონსტანტინე გიორგის ძე იმერეტინსკი 1978 წელს გარდაიცვალა. საგულისხმო ფაქტია, რომ დავით ბაგრატიონის (ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამის) სიცოცხლეში (1894-1937), იმერეთის ტახტის მემკვიდრე თავადი იმერეტინსკების შტოში, მამრობითი ხაზით შთამომავლები არსებობდნენ.

დავითი კი ტახტის მემკვიდრედ არავის უღიარებია. თავის თანადროულ დოკუმენტებში, დავითი – ბაგრატიონის გვარს ატარებს, მაგ., 1912 წლის საბუთში იხსენიება „უგანათლებულესი თავადი დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი.“ [25: 26]. 1910-ან წლებში, დავითს დაგირავებული ჰქონდა სოფლის მამულიც და ქუთაისში მდებარე ძველი სახლიც. 1918 წლის 9 დეკემბერს ის წერს თხოვნას: „ქუთაისის მიხეილის საადგილმამულო ბანკის გამგეობას. თხოვნა დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონისაგან“ [26: 28]. არსებობს ვერსია, თითქოსდა, საპტოთა პერიოდში მან გვარი შეიცვალა და ჩეკიშვილი გახდა, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ჩვენ არ გვინახავს. ცნობილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერს, რომ ლვანკიოთში ვასო კორტმა ლირსშესანიშნავად მიიჩნია ბაგრატიონის ნაბუდარის ჩვენება და დავითის შესახებ ასეთი ცნობა მიაწოდა: „გვარიც გადიკეთაო. ამბობენ, ჩეკიშვილად დაიწერაო...“ [27: 5]. (დავით ბაგრატიონის ჩეკაში მუშაობის ფაქტი დასტურებდება ისტორიკოს ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებული მ. კოლუმბვილის 1924 წლის დაკითხვის ოქმიდან [28: 315]. აგრეთვე, ქ-ნ ბაბო დადიანის მოგონებებიდან [29: 47] და სხვა). დავით ბაგრატიონი 1937 წელს მაინც დახვრიტეს.

4. მას შემდეგ, რაც „მემორანდუმში“ იმერეთის სამეფო სახლის უფროსობის შესახებ მცდარი ვერსია დაკანონდა, რომლის თანახმად, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამაზე გვარში უფროსობა 1900 წელს, ვარშვის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გადავიდა, ი. ბიჭიკაშვილი, როგორც ჩანს, ამ ვერსიის არადამაჯერებლობას მიხვდა. მას არავითარი განცხადება არ გაუკეთებია, „მემორანდუმის“ ხელმომწერი არ გაუფრთხილებია, ისე შეთხზა ახალი ვერსია, რომელიც უკვე არსებულს და დაკანონებულს აბათილებს. თავის ახალ ნაშრომში ი. ბიჭიკაშვილი წერს: „1810 წლის ანექსიისა და 1815 წელს მეფე სოლომონ II-ის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის სამეფო სახლში უფროსობა გაგრძელდა მეფე სოლომონ I-ის შთამომავლებით, კერძოდ, ბატონიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკით (1815-1862). (ელაზნაურის ხელშეკრულების მე-2 პუნქტი გაუქმდა და შეიცვალა? – მ.ხ.) შემდგომ, მის ძმისშვილზე, ალექსანდრე ალექსანდრეს ძეზე (1880-1901) და ამ უკანასკნელის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ 1901 წელს, უფროსობა იმერეთის სამეფო სახლში გადავიდა მეფე სოლომონ I-ის (1752-1784) უმცროსი ძმის – ბაგრატ ბატონიშვილის (1740-1800) შთამომავალზე, ბატონიშვილ დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიზე (1894-1937), რომლის ასული, მისი სამეფო უმაღლესობა ბატონიშვილი ნინო ბაგრატიონი (1915-2009) თბილისში ცხოვრობდა და „ბაგრატოვანთა სახლს“ სათავეში ედგა 1995-2009 წლებში“ [30: 34]. სად დაიკარგა ვარშავის გენერალ-გუბერნატორი? ი. ბიჭიკაშვილის ახალ ვერსიაში მისთვის ადგილი არ დარჩა! ახლა გამოდის, რომ უგანათლებულეს თავად ბაგრატიონზე, ან როგორც ი. ბიჭიკაშვილი უწოდებს, „ბატონიშვილ დავით ალექსანდრეს ძე ბაგრა-

ტიონ-იმერეტინსკიზე“ გვარში უფროსობა ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის (1837-1900) გარდაცვალების შემდეგ, 1900 წელს კი არ გადასულა, არამედ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1880-1901) „უშვილოდ გარდაცვალების“ შემდეგ, 1901 წელს. აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ „ბაგრატიონთა სახლის“ 2001 წლის განცხადების თანახმად, ბაგრატიონ-იმერეტინსკების შტო, რომელიც სოლომონ I-ის უვანონოდ შობილი შვილიშვილისგან მომდინარეობდა, ტახტის მემკვიდრე არ ყოფილა [31: 24]. ახლა კი ი. ბიჭიკაშვილი ამტკიცებს, რომ მეფე სოლომონ II-ის შემდეგ, იმერეთის სამეფო სახლში უფროსობა მეფე სოლომონ I-ის შთამომავლებით გაგრძელდა. ამ განცხადების დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს. ი. ბიჭიკაშვილი ასევე ამტკიცებს, რომ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 1901 წელს გარდაიცვალა, თუმცა აშკარაა, რომ მისი გარდაცვალების შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია. ეს ნათლად ჩანს მის მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბული-დან და კომენტარებიდან, სადაც მან 1879 წელს დაბადებული ალექსანდრე ალექსანდრეს ძის გარდაცვალების წელი კითხვის ნიშნით აღნიშნა: „59/49. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (აგვისტო 1879-?)“ [32: 330]. აკი, ამტკიცებდა, რომ ხსენებული პირი 1901 წელს გარდაიცვალა და თანაც უშვილოდ! დასახელებულ წელს უბრალოდ გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან 1901 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა წერილი „იმერეთის უკანასკნელ მეფეთა შთამომავალინი“, სადაც ალექსანდრე იხსენიება: „თავადი ალექსანდრე აღიზარდა პაჟთა კორპუსში, მსახურობდა ორენბურგის ყაზახთა ჯარში და გარდაიცვალა 1880 წელს. დარჩა ალექსანდრეს ქალი ოლგა და ვაჟი ალექსანდრე. ეს უკანასკნელი წარმომადგენელი იმერეთის მეფებისა თავიანთ დედასთან ერთად (ლიდია ალექსანდრე როზონოვის ასულთან) ქალაქ უფაში სცხოვრობენ თურმე. შეიძლება თითქმის არაფერი ჰქონიათ. თავადი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ამჟამად ორენბურგის იუნკერთა სასწავლებელში სწავლობს, ხოლო ოლგა ალექსანდრეს ასული დედასთან ცხოვრობს“ [33]. 1901 წელს, 21 წლის ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ცოცხალი იყო. მისი შემდგომი ბედი ცნობილი არ არის. ი. ბიჭიკაშვილმა უნდა განმარტოს, სადნახა მისი გარდაცვალების ცნობა და თუ ნახა, ტაბულაში კითხვის ნიშნის ნაცვლად წელი რატომ არ ჩაწერა?

ვფიქრობთ, ნათელია, რომ ი. ბიჭიკაშვილი ახდენს სხვადასხვა ფაქტებით, გვარებით, თარიღებით მანიპულირებას. თავისი ახალი ვერსიით მან „მემორანდუმის“ ვერსია გააპათილა, თუმცა ხსენებული „მემორანდუმი“ არსებითად განხილვის გარეშეც უნდა გამოცხადდეს ბათილად, ვინაიდან მასში დაფიქსირებულია ხელმოწერა ბაგრატიონ-იმერეტინსკების სახელით, რომლის ბოლო წარმომადგენელის, ალექსანდრე ალექსანდრეს ძის კვალი 1901 წელს იკარგება და მას თავისი გვარი არავისთვის გადაუცია.

ამით შეიძლებოდა ჩვენი წერილის დასრულება, მაგრამ „მემორანდუმში“ იმერეთთან დაკავშირებით არის კიდევ სხვა უზუსტობებიც, რაზეც მე, რო-

გორც იმერეთისა და ბაგრატიონთა იმერეთის შტოს შესახებ მონოგრაფიის ავტორი [34], მოვალე ვარ ყურადღება გავამახვილო. პირველი – „უგანათლებლესობის“ ტიტულის მინიჭების თარიღს შეეხება: „1865 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ლეგიტიმურობის პრინციპის დაცვით ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეების, კერძოდ, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის, ალექსანდრე V-ის, სოლომონ I-ის და დავით II-ის ყველა შთამომავლებს „უგანათლებლესობის“ ტიტული მიანიჭა“ [35: 231]. რუსეთში წლების განმავლობაში იდგა გადასახლებული ბატონიშვილების შთამომავლებისთვის, „ბრწყინვალე“ თავადებისთვის – „უგანათლებულესობის“ ტიტულის მინიჭების საკითხი, რაც დადებითად მხოლოდ 1865 წელს გადაწყდა. სახელმწიფო საპფოს გადაწყვეტილებით, რომელიც უზენაესად იქნა დამტკიცებული 1865 წლის 20 ივნისს, იმერეთის ბოლო მეფეთა შთამომავლებს, მამრობითი ხაზით, თავად იმერეტინსკებს იმავე წელს უგანათლებულესობის ტიტული ებოდათ. 1876 წელს უგანათლებულესობის ტიტული მიიღეს თავადებმა ბაგრატიონ-იმერეტინსკებმა [36: 44]. იმერეთში, სოფელ ღვანკითში მცხოვრებმა თავადმა ივანე დავითის ძე ბაგრატიონმა, როგორც მეფე ალექსანდრე V-ის ვაჟის, ბაგრატ ბატონიშვილის შვილიშვილმა, „უგანათლებულესობის“ ტიტულის მონიჭება მოითხოვა, მაგრამ გარდაიცვალა. საქმე განაგრძო მისმა შვილმა, თავადმა ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონმა, რომელმაც თხოვნით მიმართა მეფისნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს. 1869 წელს მას სენატში წარსადგენად მიეცა მოწმობა, რომ უფლება ჰქონდა იმერეთის უკანასკნელი მეფეების შთამომავლებისათვის ბოძებულ უგანათლებულესობის ტიტულზე [37: 7]. საბოლოოდ, 1871 წლის 1 ნოემბერს, მეფისნაცვალს სამთავრობო სენატიდან გამოეგზავნა იმპერატორის ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ უგანათლებულესობის ტიტულის მიღების უფლება საქართველოსა (ქართლ-კახეთის მ. ხ.) და იმერეთის ყოფილი სამეფო სახლების მხოლოდ იმ შთამომავლებს ჰქონდათ, რომლებიც რუსეთის მთავრობის მიერ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული „ხოლო ამგვარი შთამომავლების რიცხვს თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი არ მიეკუთვნება...“ [38: 59a]. მას უარი ეთქვა თხოვნაზე [39: 402].

ალექსანდრე ბაგრატიონი არ დანებდა და განაგრძო ბრძოლა. 1892 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში „Списки титулованным родам и лицам Российской Империи“ მოცემულია ინფორმაცია, რომ სამთავრობო სენატის 1881 წლის 15 ივლისის დადგენილებით, თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონს „უგანათლებულესობის“ ტიტული ებოდა [40: 11]. მას გვარი იგივე დარჩა – ბაგრატიონი და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი, როგორც ახლა უნდათ დაამტკიცონ.

ბოლო შენიშვნა გაცილებით უფრო მნიშვნელოვან საკითხს შეეხება. „მემორანდუმში“ აღნიშვნულია: „მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში რამდენიმე აჯანყებამ იფეთქა. ყველა ამ აჯანყებების ორგანი-

ზატორები, რომლებიც მიზნად საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენას ისახავდნენ, მეფობის კანდიდატებად ყოველთვის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს ასახელებდნენ“ [41: 229]. იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო სახლი, რასაც შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს: ა) მოყვანილი ციტატა გვხვდება ი. ბიჭიკაშვილის ნაშრომში, იმ მცირე განსხვავებით, რომ აქ დაზუსტებულია, თუ რომელ სამეფო ოჯახზეა საუბარი: „მეფობის კანდიდატებად ყოველთვის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის – ერეკლე II-სა და გიორგი XII-ის შთამომავლებს ასახელებდნენ“ [42: 11]. იმავე წიგნში ი. ბიჭიკაშვილი მეორედაც იმეორებს ზემოთ მოყვანილ ტექსტს, მხოლოდ დაზუსტებას ფრჩხილებში სვამს: „მეფობის კანდიდატებად ყოველთვის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის (ერეკლე II-სა და გიორგი XII-ის) წარმომადგენლებს ასახელებდნენ“ [43: 30].

ბ) „მემორანდუმში“ დამოწმებული და გაზიარებულია საქართველოს მთავარმართველის ნ. ფ. რტიშჩევის (1812-1816) ცნობა, რომლის თანახმად: „ქართლ-კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს სამეფო თუ სამთავრო გვარეულობის გადაწყვეტილებით მეფე გიორგი XII-ის შვილები დავით (XII) ბატონიშვილი უნდა გამეცებულიყო ქართლ-კახეთში, ხოლო იოანე ბატონიშვილი – იმერეთში“ [44: 229]. აღნიშნული მოხსენებითი ბარათი რტიშჩევს დაწერილი აქვს 1813 წელს, ხოლო XIX საუკუნის პირველი მეოთხედი გაცილებით დიდ პერიოდს მოიცავს (1800-1825). ამიტომ მასზე დაყრდნობით, მომდევნო პერიოდის მოვლენებზე მსჯელობა საფუძველს მოკლებულია. 1813 წელს დაწერილი დოკუმენტში ვერ აისახებოდა XIX საუკუნის პირველ მეოთხედის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყება იყო. 1813 წლამდე არსებული მდგომარეობაც არ არის სწორად ასახული, რადგან 1810 წლის იმერეთის აჯანყება რუსეთის მიერ მეფე სოლომონ II-ის ტახტიდან ჩამოგდებას მოჰყვა და მის დაბრუნებას ისახავდა მიზნად. 1810 წლის 10 ივნისს სიმონოვიჩი გენ. ტორმასოვს ქუთაისიდან სწერდა, რომ როგორც აღმოჩნდა, მთელ ხალხს უკიდურესად სურს, კვლავ სოლომონი ჰყავდეს მეფედო [45: 287]. არქეოგრაფიული კომისიის აქტების IV ტომი სავსეა იმერეთის 1810 წლის აჯანყების ამსახველი დოკუმენტებით, მაგრამ აქ იოანე ბატონიშვილი, ან ქართლ-კახეთის სამეფო სახლის სხვა წარმომადგენლები ნახსენები არ არიან. იმერეთი თავისი მეფის, სოლომონ II-ის დასაბრუნებლად იბრძოდა.

სავარაუდოდ, „მემორანდუმზე“ ხელმომწერთა მხრიდან, თავი იჩინა ბაგრატიონთა დინასტიისადმი პატივისცემით განპირობებულმა ნდობამ. როგორც ჩანს, ხელმომწერლებმა ბაგრატიონების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის გადამოწმება ზედმეტად ჩათვალეს. უნდა აღინიშნოს, რომ „მემორამდუმზე“ ხელმოწერები 2006 წლის შემდეგაც გრძელდება, რასაც ი. ბიჭიკაშვილიც უწყობს ხელს, რომელიც თავისი ნაშრომებით აგრძელებს საზოგადოების შეცდომაში შეყვნას.

ვფიქრობთ, „მემორანდუმი“ ისტორიკოსებმა უფრო გულდასმით უნდა

განიხილონ. სურვილის შემთხვევაში, ბაგრატიონებს შეუძლიათ ის ღირებული ინფორმაცია, რაც „მემორანდუმშია“ მოცემული, ახალ დოკუმენტში გადაიტანონ და ისე მოაწერონ ხელი, რომ ამონცვეტილი ბაგრატიონ-იმერეტინსკები ალარ ახსენონ და დოკუმენტს იურიდიული ძალა შესძინონ. ეს მათი უფლებაა და მათ ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

დასასრულ, გვინდა ერთი დოკუმენტი დავიმოწმოთ, რომელიც ცხად-ჰყოფს, რომ იმერეთის ტახტის მემკვიდრედ თავის წარმოჩენა ქ-ნი ნინო ბაგრატიონის უშუალო წინაპრის, დავით ბაგრატის ძე ბაგრატიონის ოცნება ყოფილა, რომელიც მას სიყალბისკენ უბიძებდა. დოკუმენტი უთარილოა, დანერილი უნდა იყოს 1810-1820 წლების შუალედში, ვინაიდან ტახტიდან ჩამოგდებული და ოსმალეთში გადახვენილი სოლომონ // 1815 წელს გარდაიცვალა, ხოლო დავით ბატონიშვილი 1820 წელს იმერეთის აჯანყებაში მოკლეს. დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ დავითს ფარსადან წერეთლი-სათვის შესაბამისი ყალბი დოკუმენტის შედგენა დაუვალებია (ფარსადან ჭალელი აზნაური ყოფილა, 1846 უკვე გარდაცვლილად მოიხსენიება) [46: 7]. ფარსადანმა ამ საქმის შემსრულებლები მოქმედნა. სწორედ ისინი მოახსენებენ დავით ბატონიშვილს, რომ მისი დიდების და „პატიოსან ყოფის“ მიზნით, ყოველივე ისე შეასრულეს, როგორც მას ფარსადან წერეთლისთვის ჰქონდა ნაბრძანები. „სარუსეთო წიგნებში“ მეფე რომ საქმეებს აცხადებს, თქვენი სახელი ისე დავწერეთო. სოლომონ მეფის სახელით დაუწერიათ: „შემდგომად ჩემსა სამეფოასა სახლისა და გვარისა ჩემისა შვილი და მემკვიდრე დავით“. დავითის მაგივრად ამ სახით მოუწერიათ ხელი: „მე ყოვლისა საიმერეთოისა უფლისწული დავით“ და მისი ბეჭედიც დაურტყამთ. მთავარი კი ის არის, რომ ეს ყოველივე „მეფის ბეჭედთან“ დაუწერიათ. ცხადია, სოლომონ მეფის ბეჭდიანი რაღაც სიგელი ჰქონიათ ხელთ, რომელიც ახალი ტექსტის ჩასაწერად გამოიყენეს. დოკუმენტის გაყალბების პროცესს ფარსადან წერეთელი თავად დასწრებია. წერილის ავტორები დავით ბატონიშვილს აიმედებდნენ: არაფერზე იჯავროთ, ღმერთი ყოველივეს კეთილად წარმართავს [47: 1]. დოკუმენტი პირველად შემოგვაქს სამეცნიერო ბრუნვაში. ვფიქრობთ, რომ ის იმერეთის ტახტის მემკვიდრის ვინაობის გაყალბების შემდგომ მცდელობებს ეხმიანება.

### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

1. „ბაგრატოვანთა სახლის“ აღმანახი „ბაგრატოვანნი“, №1, 2001.
2. „ბაგრატოვანთა სახლის“, 2006 წლის მემორანდუმი“, წიგნში: კ. ქორიძე, ი. ბიჭიკაშვილი, „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია, ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016.
3. „ბაგრატოვანთა სახლის“, 2006 წლის მემორანდუმი“, წიგნში: კ. ქორიძე, ი. ბიჭიკაშვილი, „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია, ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ.,

2016.

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქივის უფროსის ცნობა 42.19. 26/42-17. 24. 02. 2017.
5. „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმი“, წიგნში: კ. ქორიძე, ი. ბიჭიკაშვილი, „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია, ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, , თბ., 2016.
6. ამონანერი მეწარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საიდენტიფიკაციო კოდი 205021313. სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 14. 02. 2004.
7. ი. ახუაშვილი, „ქართული გვარ-სახელები, ი“ ტ. IV, თბ., 2004.
8. Н. К. Имеретинский, Багратиды в России, №637.
9. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“.
10. კ. ქორიძე, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, , თბ., 2016, დოკუმენტი №4.
11. „ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“, , თბ., 2003. .
12. ი. ბიჭიკაშვილი, „უგანათლებულესი თავადების გრუზინსკები-სა და იმერეტინსკების გვარების წარმოშობისათვის“ კრებულში „ბაგრატიონები“, , თბ., 2003.
13. Списки титулованным родам и лицам Российской Империи. Издание Департамента Герольдии Правительствующего Сената. Спб. 1892.
14. „ბაგრატოვანნი“, №2, თბ., 2004.
15. „ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“, , თბ., 2003.
16. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, , თბ., 2016.
17. რუსულ-ქართული ლექიკონი, ტომი II, , თბ., 1958.
18. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, , თბ., 2016.
19. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, , თბ., 2016.
20. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, , თბ., 2016.
21. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, , თბ., 2016.
22. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, , თბ., 2016.
23. „ბაგრატოვანნი“, №2, თბ., 2004, გვ.10.

24. ი. დოლიძე, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, თბ., 1965.
25. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 22, საქმე 7188.
26. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 22, საქმე 7188
27. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ნ. II თბ., 1964.
28. ნ. (ელისაბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996.
29. ბ. დადიანი, „მოგონებათა დღიურები“, თბ., 2008.
30. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016.
31. „ბაგრატოვანთა სახლის“ შენიშვნები სტატიაზე „სრულიად საქართველოს“ გამო“. ალმანახში „ბაგრატოვანნი“, თბ., 2001.
32. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებების გენეალოგია“, თბილისი, 2016, ტაბულა №19.
33. „იმერეთის უკანასკნელ მეფეთა შთამომავალნი“, გაზ. „ივერია“, 1901, N21.
34. მ. ხომერიკი, „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, თბ., 2012.
35. დასახ. „მემორანდუმი“, წიგნში: „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია, ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 231.
36. „Списки титулованным родам и лицам Российской Империи. Издание Департамента Герольдии Правительствующего Сената“. Спб., 1892.
37. სეა, ფონდი 416 აღწერა 3 საქმე 169.
38. სეა, ფონდი 416 აღწერა 3 საქმე 169.
39. მ. ხომერიკი, „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, თბ., 2012.
40. „Списки титулованным родам и лицам Российской Империи“, Спб., 1892.
41. დასახ. „მემორანდუმი“, წიგნში: „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია, ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016.
42. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016.
43. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016.
44. დასახ. „მემორანდუმი“, წიგნში: „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია, ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და

- მისი განშტოებები“, თბ., 2016.
- 45. Акты, Ч. IV, № 287, №365.
  - 46. о. ჩიქოვანის შედგენილი აზნაური წერეთლების რვეული 1.
  - 47. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Hd-5454.

## **Manana Khomeriki**

### **ABOUT THE INNACURACIES CONSERNING THE IMERETIAN BAGRATIONIS**

#### **Summary**

In 2006 the “Bagrationi House” issued a memorandum, which was signed by the majority of the Bagtationis, outstanding historians and other respected persons. In the memorandum there are varios inaccuracies. First of all we must mention the fact, that the Head of the “Bagrationi House” Mrs. Nino Bagrationi signed by the nonexisting surname of the Bagration-Imeretinski. This royal brunch does not exist since the beginning of the XX c. The historian of the “Bagrationi House”, Mr. I. Bichikashvili signed the memorandum as a Deputy Chairman of the Genealogical society, though since 2004 he had not been even a board member of the Society. In the memorandum a false version was stated, according to which in 1900, after the death of the Warsaw General-Governor Alexander Imeretinski, the status of the Head of the Imeretian Bagrationis was assigned to Nino Bagrationi’s father, David “Bagration-Imeretinski” . This does not correspond to the reality. David Bagrationi never became either Bagration-Imeretinski, or the Heads of the Family. In his new book I. Bichikashvili put forward a new false version, which substituted for the previous one stated esrlie in the memorandum. According to the new version, the status of the Head of the Imeretian Bagrationi was assigned to David “Bagration-Imeretinski” in 1901, after the death of Alexander Alexandrovich Bagration-Imeretinski, who according to I. Bichikashvili, died leaving no prosperity. In reality in 1901 Alexander Alexandrovich was 21 years old, but as to his death, I.Bichikashvili has no information. It is evident from the fact that he puts a questions mark in the genealogical table istead of the date of Alexander’s death. In the memorandum the history is distorted, the Imeretian revolts of 1810 and 1819-1820 years, as well as the roles of the King Solomon the II and the Bagrationis of Imereti are ignored.

**Манана Отаровна Хомерики**

## **О НЕТОЧНОСТЯХ В СВЯЗИ С ИМЕРЕТИНСКОЙ ВЕТВЬЮ БАГРАТИОНИ**

### **Резюме**

2006 году «Дом Багратиони» разработал «Меморандум», подписанный значительной частью представителей Багратиони, известными историками и иными уважаемыми лицами. В «Меморандуме» допущен целый ряд явных неточностей. Прежде всего, следует отметить подпись предводительницы Дома Багратиони г-жи Нино Багратиони от имени несуществующей на сегодняшний день фамилии Багратион-Имеретинских, тогда как эта ветвь прекратила существование в начале XX века. Кроме того, историк «Дома Багратиони» г-н Иосиф Бичикашвили подписал «Меморандум» от имени заместителя председателя Генеалогического общества, несмотря на то, что с 2004 года по сей день он даже не является членом правления указанного общества. В «Меморандуме» зафиксирована ошибочная версия, согласно которой в 1900 году, после кончины генерал-губернатора Варшавы Александра Имеретинского, главенство Дома Багратиони Имерети было передано отцу Нино Багратиони, Давиду «Багратион-Имеретинскому», что на самом деле не имело места, и он остался Багратиони. В своей новой книге историк «Дома Багратиони» предложил очередную ошибочную версию, развенчавшую версию, зафиксированную в «Меморандуме». Согласно этой новой версии, упомянутому лицу главенство семьи Багратиони перешло в 1901 году после смерти Александра Александровича Багратион-Имеретинского, не оставившего после себя наследника. В реальности в 1901 году Александру был 21 год. Точная дата его смерти историку И. Бичикашвили неизвестна, вследствие чего в генеалогической таблице она обозначена им вопросительным знаком. В «Меморандуме»искажена историческая действительность, проигнорированы восстания в Имерети 1810 и 1819-1820 годов и роль в них царя Соломона II и имеретинских Багратиони.

## **პ-ნ ცუგზარ ბაგრატიონისა და მისი დაჯგუფების აღმდებარების**

### **ნაგდვილი მიზანი**

**(დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 18 სექტემბერი,  
№182)**

მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნეში“ (2017, №2) გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებით, შევეხე „ბაგრატიონთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმშა და ამავე საზოგადოების ისტორიკოს ბ-ნ იოსებ ბიჭიკაშვილის ნაშრომებში დაშვებულ უზუსტობებს. მართალია, ვწერდი, რომ ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონის სტატუსს არ განვიხილავდი, მაგრამ მემორანდუმში სერიოზული უზუსტობების გამომდავნება მის პოზიციებს საგრძნობლად ასუსტებდა. შედეგად, ის დამიპირისპირდა და გვერდში ბაგრატიონები ამოიყენა, რომელთა სახელით 12 წარმომადგენელი აწერს ხელს ჩემს საწინააღმდეგო პუბლიკაციას. სათანადო კვალიფიკითის უქონლობის ფაქტმა ისინი ვერ შეაჩერა, მათ შორის ხომ არცერთი ისტორიკოსი არ არის! დაინტერეს ჩემი აქილევსის ქუსლის ძიება და ასეთად პეტრე ბაგრატიონის პორტრეტის ისტორია გამოძებნეს. დავიწყოთ ჩვენც ამ პორტრეტით. 2015 წელს, ლონდონში, ბონჰემის აუქციონზე სპილოს ძვალზე შესრულებული მინიატურა ისე გაიყიდა, როგორც სიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის (დაბ. 1771 წ.) პორტრეტი. მინიატურის ავტორია ანტუან კემანი. მყიდველმა სიმონის პორტრეტში 3 700 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. ამ ინფორმაციით დღემდე სავსეა ინტერნეტ სივრცე. 2016 წლის 28 იანვარს ბ-ნ ნიკოლოზ ც-ძეს, ამ პორტრეტის გაგზავნისთვის, მავრიკის ანუ მაურიციოს რაინდებმა მადლობა გამოუცხადეს, რითაც ფაქტობრივად დაადასტურეს, რომ სიმონი წმინდა მავრიკის და ლაზარეს ორდენის წევრი იყო. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ყველას ეშლებოდა? (<https://www.facebook.com/.../a.225587774444.../226451771025182/...>)

2016 წელს, „იმერეთის მეფეთა შთამომავლების საზოგადოების“ გახსნაზე, მე აღნიშნული პორტრეტის ასლი შესაბამისი წარწერით, ლიტერატურის მუზეუმს გადავეცი. ამავე დროს, დავუკავშირდი აუქციონის მესვეურებს და ვკითხე, თუ როგორ დაადგინეს 1806 წელს ანტუან კემანის მიერ შესრულებული, ერთნაირ ჩარჩოებში მოთავსებული, გრაფი უვაროვისა და სიმონ ბაგრატიონის ვინაობა. აუქციონის პასუხისმგებელმა პირმა, ჯენიფერ ტონკინმა, მიპასუხა, რომ მათი ვინაობა ხელით იყო მიწერილი ჩარჩოს უკანა მხარეზე. წარწერები ძველია, შეიძლება პორტრეტების შესრულების ზუსტად თანადროული არ იყოს, მაგრამ XIX საუკუნეშია შესრულებული. საიდან გაიგეს იმ დროს ლონდონში სიმონ ბაგრატიონის სახელი – ეს ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება. შემდეგ, დავვრწმუნდი რა, რომ აუქციონზე შეცდომა იყო დაშვებული და მინიატურაზე პეტრე ბაგრატიონი იყო გამოსახული, მივედი მუზეუმის დირექტორის მოადგილე ქალბატონ თეა თვალავაძესთან და ვაცნობე ამის შესახებ... საინფორმა-

ციო პორტალ „ფაქტორში“ ა. წ. 3 აპრილს გამოვაქვეყნე წერილი „პეტრე ბაგრატიონის ერთი პორტრეტის საიდუმლო“, სადაც აღვნიშნე, რომ პეტრე ბაგრატიონის ერთ პორტრეტს ინგლისში შეცდომით სიმონ ბაგრატიონის სახელი დააწერეს. ეს პუბლიკაცია ცნობილია „ბაგრატოვანთა სახლისთვის“, რაც მტკიცდება ბ-ნი მამუკა ბაგრატიონის მიერ ჩემს ფბ გვერდზე გაკეთებული კომენტარებით, რომელთა შეფასებისგან ამჟამად თავს შევიკვებ. ამის შემდეგ, გამოვეცი წიგნი „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“, სადაც 47-ე გვერდზე გარკვევით მიწერია, აუქციონზე გაიყიდა „მედალიონი პეტრე ბაგრატიონის გამოსახულებით, რომელიც შეცდომით სვიმონ ის პორტრეტად დასახელდა“. ამით საკითხი ამოიწურა, მაგრამ გადის დრო და ბაგრატიონები კოლექტიურ წერილს აქვეყნებენ, მხოლოდ მე მადანაშაულებენ, არც აუქციონს ახსენებენ, არც მხატვარს, არც XIX საუკუნის წარწერას და რაც მთავარია მალავენ, რომ მე ჩემს წიგნში ეს პორტრეტი პეტრე ბაგრატიონის პორტრეტად ვაღიარე! ისმის კითხვა: იცოდნენ, თუ არა მათ ამის შესახებ? ცხადია, იცოდნენ, რაც იმით მტკიცდება, რომ ჩემი წიგნი უკვე გაკრიტიკებული ჰქონდა იოსებ ბიჭიკაშვილს თავის ახალ წიგნში, რომლის „მამხილებელი“ წინასიტყვაობა ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონს ეკუთვნის.

ისმის შემდგომი კითხვა: რატომ წარმონების ჩემს მიერვე დიდი ხნის წინ უარყოფილი ვერსია და ისე წარმოაჩინეს საქმე, თითქოსდა, ეს პორტრეტი საქართველოს დიდ საფრთხეს უქმნიდა? პასუხი ახლაც ცხადია: მათ ჩემი დისკრედიტაცია ჰქონდათ გამიზნული, რათა მკითხველ საზოგადოებას ჩემდამი ნდობა დაეკარგა და მემორანდუმის კანონიერებაზე მსჯელობის საშუალება აღარ მომცემოდა. მე კი მემორანდუმის სერიოზული განხილვის მოთხოვნას ვაპირებ! ამის შემდეგ, ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის წიგნის რედაქტორმა, „ისტორიის დოქტორმა“, საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარემ მამუკა გოგიტიძემ თავის ფბ გვერდზე მთელი საზოგადოების სახელით გამოხატა აღმდევთება, დაიწყო ფაქტების არვ-დარევა (ანტუან კემანის ნაცვლად იტალიელ მხატვარს სალვატორე ტონჩინის ასახელებს, აუქციონს არ ახსენებს, სვიმონ ბაგრატიონის შესახებ აცხადებს, რომ მის შესახებ არაფერია ცნობილი და სხვა) და ჩემს წიგნში მოცემული ინფორმაციის შეცვლასაც არ მოერიდა: „ქ-ნი მანანა ხომერიკი ამბობს, რომ ეს შეცდომაა, და პორტრეტზე გამოსახული პიროვნება არა პეტრე ბაგრატიონია, არამედ სიმონ ბაგრატის-ძე ბაგრატიონი...“

თავისი ალოგიკურობით გაკვირვებას იწვევს შემდეგი მსჯელობა: „6. საისტორიო წყაროებში არსად არ ჩანს სიმონ ბაგრატიონი. ხომ შეიძლება პიროვნების ფოტო არ იყოს, მაგრამ იყოს ბიოგრაფიული მონაცემები მასზე, არსად არაფერი არაა (აქედან ჩანს, რომ ბ-ნი გოგიტიძე არ იცნობს სიმონის შესახებ არსებულ საარქივო მასალას, რაც მოხმობილია ჩემს წიგნში. არადა, ჩემს ოპონენტებს ჩემს წინააღმდეგ ხომ ყველაფერში ეთანხმება! -ძ. ხ.) დაბოლოს, საისტორიო წყაროებში, დაწყებული 1801 წლიდან, ფიგური-

რებს ეს პორტრეტი პეტრე ბაგრატიონისა, გარდა ამისა, არსებობს უამრავი პორტრეტი შექმნილი მისსავე სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგაც, რომლებიც პრაქტიკულად, ყველა იდენტურია და თანაც ეს რომ ყოფილიყო სხვაგვარად, რუსებს ვინმე დაასწრებდა ამ საქმეში (ამ შემთხვევაში, რა საქმეში უნდა დაასწრონ რუსებს? – მ. ხ.)? არამც და არამც. ჩვენი საზოგადოების პოზიცია ერთადერთია – ეს არის გენერალ პეტრე ბაგრატიონის პორტრეტი! მკითხველი იყითხავს, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე? პასუხი მარტივია, საქმე გვაქვს ისტორიის ჩვეულებრივ გამყალბებლებთან, რათა კიდევ ერთხელ მისცენ მავანს საშუალება, ჩირქი მოსცხონ საქართველოს უძველეს ბაგრატიონთა დინასტიას (სიმონ ბაგრატიონიც სამხედრო პირი რომ ყოფილიყო, ამით ბაგრატიონებს რა ჩირქი მოეცხებოდათ? – მ.ხ.). არა! არ გამოგივათ, ბატონები (მივაქციოთ ყურადღება, რომ მე მომმართავს, როგორც „ბატონებოს“, რითაც მიანიშნებს, თითქოსდა ჩემს უკან ვიღაც ბატონები დგანან. – მ. ხ.), ხელები გაქვთ ნამეტანი მოკლე, ვერ მიწვდებით ბაგრატიონებს! უფალი ფარავდეს საქართველოს და „ბაგრატოვანთა სახლს!“

ყურადსალებია ბ-ნი მ. გოგიტიძის ფეისბუკის გვერდზე ასახული მისი მიმოწერა ბ-ნ ი. ბიჭიკაშვილთან, რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებს: **“Joseph Bichikashvili mamuka magari tserilia.”** ი. ბიჭიკაშვილი წერილს იწონებს. როგორც ჩანს მათ შორის წინასწარი შეთანხმება არსებობდა: „**Мамука Гогитидзе** სიტყვა შევასრულე... გირეკავდი მთელი დღე და არ იღებდი.“ ბ-ნი მ. გოგოტიძე მას გამოქვეყნების ნებას აძლევს: „**Мамука Гогитидзе** ხოდა გამოაქვეყნე სადაც გინდა.“ მთავარი კი ის არის, რომ ბ-ნმა მ. გოგოტიძემ საზოგადოების წევრების სახელები და გვარები ჩამოწერა, ვითომდა, მათაც მოაწერეს ხელი მის პასკვილს. პატიოსანი ადამიანების სიას რომ გადავხედე, მივხვდი, რომ ასეთ სიბინძურეს არ იყადრებდნენ და მართალი აღმოვჩნდი. სიმართლის გამოაშკარავებიდან 10 წუთში ბ-ნმა მ. გოგოტიძემ გამოსაქვეყნებლად გამზადებული და ბ-ნ ი. ბიჭიკაშვილის მიერ მოწონებული წერილი თავისი ფბ გვერდიდან აიღო.

ჯერ ჩემს ფბ გვერდზე მომიხადა ბოდიში, მერე 2018 წლის 30 სექტემბერს, საგანგებოდ შემხვდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ბ-ნი ლევან თაქთაქიშვილის კაბინეტში, სადაც მოწმეების თანდასწრებით დაიბეჭდა და მამუკა გოგიტიძის მიერ ხელმოწერილ იქნა განცხადება (სამ ცალად), რომელშიც აღიარებს, რომ დაუშვა შეცდომა, როდესაც ისე დათანხმდა ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის წიგნის რედაქტორობაზე, რომ ჩემს ნაშრომებს სათანადოდ არ იცნობდა, უარს ამბობს რედაქტორობაზე და მიხდის ბოდიშს. მეც ვაპატიე. შემდეგ თქვა, რომ სურდა ამ განცხადების გადატანა საზოგადოების ბლანკზე, დრო გაიყვანა, ახლა ახალ გეგმებს აწყობს და კვლავ საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების წევრების ჩარევა და პასუხისმგებლობის მათზე გადატანა უნდა. ამიტომ მე მის ბოდიშს აღარ ვიღებ.

ახლა კი ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონისა და 12 ბაგრატიონის აღმფოთების

ჭეშმარიტი მიზეზის შესახებ. ისინი კოლექტიური წერილით აფიქსირებენ და გამოხატავენ თავის შეშფოთებას მაცნეში გამოქვეყნებული ჩემი წერილის გამო. მე ეს არც მიკვირს, ცხადია მიხვდნენ, რომ ჩემი წერილი სერიოზულ დარტყმას აყენებს 2006 წლის მემორანდუმს, რომელის კანონიერებაც ეჭვქვეშ დგება. ჯერ ქ-ნი ნინო ბაგრატიონი გამოაცხადეს იმერეთის ტახტის მემკვიდრედ, რაც არ შეეფერება სინამდვილეს, შემდეგ ბ-ნმა ნუგზარ ბაგრატიონმა მისი ხელიდან მიიღო იმერეთი და სრულიად საქართველოს ტახტის მემკვიდრე გახდა. მე მისი პიროვნების საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მხოლოდ გამოვთქვი სურვილი, რომ დოკუმენტს მეტი იურიდიული ძალა ჰქონდა: იმერეთი მიეღო კანონიერი მემკვიდრის ხელიდან და არა იმ პირიდან, ვის წინაპრებსაც მემკვიდრის სტატუსი, იმერეტინსკებისგან განსხვავებით, არასოდეს ჰქონიათ. ასევე, არსებობს საყოველთაო წესი, რომლის თანახმად, ოფიციალურ დოკუმენტს ხელმომწერნი თავისი საპასპორტო მონაცემების შესაბამისად აწერენ ხელს, რაც მემორანდუმში დარღვეულია და მემორანდუმს იურიდიულ ძალას აკარგვინებს, მე კი მინდოდა, რომ ეს არ მომხდარიყო. ეს იყო ჩემი ძირითადი გზავნილი. ახლა იმასაც დავუმატებ, რომ ბაგრატიონი-დავითიშვილების (აზნაურული შტოს) გვარით ხელს აწერს რამდენიმე ისეთი პირი, რომელსაც გვარი დაკანონებული არ აქვს და ოფიციალურად მხოლოდ დავითიშვილის გვარს ატარებს „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრები წერენ: „გულდასმით გავეცანით ქ-ნი მანანა ხომერიკის წერილს, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნეში“ (2017 წ. №2), სადაც ქ-ნი მანანა ჩვენი საზოგადოების ისტორიკოს ინსებ ბიჭიკაშვილს ბრალს სდებს იმერეთის ბაგრატიონთა შტოსთან მიმართებაში დაშვებული უზუსტობების გამო.“ საინტერესოა, რომ ბაგრატიონები მხოლოდ აღშფოთებას გამოთქვამენ ჩემი წერილის გამო და მთლიანად იზიარებენ ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის მოსაზრებებს. ე. ი. მათ მოსწონთ ის ფაქტი, რომ მათმა ისტორიკოსმა იმერეთის XIX-ის I მეოთხედის პერიოდის ისტორიიდან სრულიად გააქრო 1810 და 1819-1820 წლების აჯანყებები. თურმე, იმერლები 1810 წელს მეფე სოლომონ II-ის დასაბრუნებლად კი არ იბრძოდნენ, მისი სახელიც არ ახსოვდათ! ასე სურს დღეს „ბაგრატოვანთა სახლს“. არც იმ ფაქტს ახსენებენ, რომ მეფე სოლომონ II-ის მიერ 1804 წელს ხელმომწერილი ელაზნაურის ტრაქტატის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მას მამრობითი სქესის შვილი არ ეყოლებოდა, იმერეთის ტახტის მემკვიდრეობა კონსტანტინე ბატონიშვილზე გადადიოდა, რომლის შთამომავლები დღეს ინგლისში ცხოვრობენ და რომლებსაც „ბაგრატოვანთა სახლმა“ მემორანდუმის შესახებ ან არ აცნობა, ან მათ ხელი არ მოაწერეს.

ბაგრატიონები ასევე, თვალს ხუჭავენ ჩემს მიერ მითითებულ ფაქტობრივ შეცდომებზე, იმაზეც კი, რომ მემორანდუმში დაფიქსირებული ერთი მცდარი ვერსია (რომლის თანახმად, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამაზე ტახტის მემკვიდრის სტატუსი, ვითომდა, 1900 წელს, ვარშავის გენერალ-გუ-

ბერნატორის, ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გადავიდა), ი. ბიჭიკაშვილმა 2016 წელს გამოცემულ წიგნში ახალი, ასევე მცდარი ვერსიით შეცვალა, ანუ ძველი ვერსია გააპათილა. არავითარი განცხადება არ გაუკეთებია, გაბათილებულ მემორანდუმზე ხელის მოწერები ისევ გრძელდებოდა. ჩემი წერილის შემდეგ, მან თავად აღიარა: „ეს ცვლილება გამოწვეული იყო იმით, რომ „მემორანდუმის“ ხელმოწერის შემდეგ ყურადღება მივაქციე იმავე 1901 წლის გაზეთ „ივერია“ში მოყვანილ ბოლო ცნობას სოლომონ I-ის უკანასკნელი შთამომავლის, ალექსანდრე ალექსანდრეს ძის შესახებ...“ ცნობაში მხოლოდ 21 წლის ახალგაზრდის, ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკის, უფაში ცხოვრების ფაქტია დაფიქსირებული, ბ-ნმა ი. ბიჭიკაშვილმა კი ამ ცნობას თავისი ფანტაზიით დაუმატა დასახელებული პირის „უშვილოდ გარდაცვალება“ და 1901 წელს მისი სტატუსის ქ-ნი ნინოს მამისთვის გადაცემის მცდარი ვერსია. ფაქტი ფაქტად რჩება: მემორანდუმში დაფიქსირებულ ვერსიას ჩემზე ადრე ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი დაუპირისპირდა და გააპათილა. ამის შემდეგ, ბაგრატიონებს შეუძლიათ კვლავაც გააგრძელონ მემორანდუმზე ხელის მოწერები, მაგრამ რა იურიდიული ძალა აქვს ამგვარ დოკუმენტს, ეს უკვე სხვა საკითხია.

მე მომიწოდებენ, რომ ხელი ავიღო ქვეყნის ერთიანობის დაშლაზე. რა არის ეს, თუ არა მყითხველის შეცდომაში შეყვანაზე გამიზნული ქმედება? რითი ვშლი, ან რა გეგმა წამოვწიე? თვით „ბაგრატოვანთა სახლის“ მემორანდუმში გარკვევით არის ალიარებული იმერეთის სამეფო სახლის მეთაურის სტატუსი, მხოლოდ ისინი დღეს მეთაურად და მის სამეფო უმაღლესობად კახელ ჯაფარიძეს ალიარებენ, რომელმაც დედის გვარი – ბაგრატიონი მიიმატა, მე კი იმერელ ბაგრატიონს, რომელსაც მამის გვარი არ შეუცვლია. სულ ეს არის და ეს. ახლა ვნახოთ, რას მაპრალებენ პატივცემული ბაგრატიონები: „ნამდვილად სამწუხაროა, რომ თურმე, კერძო ინტერესების გამო, პიროვნებამ შესაძლებელია, საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაივინოს. როგორ ვერ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ ამგვარი ქმედებით იგი საკუთარი ქვეყნის ერთიანობის იდეას ვნებს?! არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დღემდე აქვს სურვილი საქართველოს დაქუცმაცებისა.“ რა შესანიშნავი ტექსტია, მხოლოდ ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონს უფრო მიესადაგება, ვიდრე მე. ლიტონი ნათქვამი რომ არ გამოგვივიდეს, გავეცნოთ საქართველოს დაქუცმაცების გეგმას. ამისთვის უნდა ჩავიხედოთ წიგნში „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მექვიდრე“ (2016). საქართველო, ტორტივით, 14 ნაჭრად უნდა დაჭრან. 7 მსუსე ნაჭერი ბაგრატიონების სხვადასხვა შტოების წარმომადგენლებმა უნდა დაინანილონ, (მაგ., ბაგრატიონ-ბაბადიშებმა და სხვებმა), დარჩენილი 7 ნაჭრიდან 3 მთავართა საგვარეულოებს უნდა შეხვდეს, ხოლო 4 – თავადურ საგვარეულოებს, მათ შორის ჯაფარიძეებს. არ არის დაზუსტებული, თუ რომელი კუთხის წარმომადგენლებს: თავადი ჯაფარიძეები რაჭაში იყვნენ, რაც ნიშნავს, რომ რაჭველ ერისთავებთან ბრძოლა გარდაუვალი

იქნება! ასევე, ატყდება ბრძოლა და დავა თავადურ საგვარეულოებს შორის, ასევე საგვარეულოებს შიგნით და გაპრწყინდება საქართველო ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონის მეფობით! აი, ასეთი მომავლისთვის იბრძვიან ჩემი საწინააღმდეგო ოფიციალური პასუხის ხელმომწერი ბაგრატიონები. უნდა აღვნიშნო, რომ ბაგრატიონებისადმი ტრადიციული პატივისცემის გამო, ზოგმა მეცნიერმა ისე მოაწერა მემორანდუმზე ხელი, რომ როგორც ჩანს, ტექსტი არ წაუკითხავს. გამონაკლისი გახლავთ აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომლის ხელმომწერას მემორანდუმზე ვერ ნახავთ. ცხადია, ვერც ჩვენი უწმინდესი შეიყვანეს შეცდომაში.

გარდა ამისა, განა 200-წლიანი წყვეტის შემდეგ ტახტის მემკვიდრის სტატუსზე პრეტეზიის მქონე ნუგზარ ბაგრატიონს არ უნდა წარმოედგინა თავისი ვინაობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი? საყოველთაოდ ცნობილია, რომ მას არ გააჩნია თავისი მამის, პატრე პეტრეს ძის დაბადების პირველადი მონმობა, რითაც დადასტურებული იქნებოდა, რომ ის თავისმა მამამ შვილად სცნო. თუ ამგვარი დოკუმენტი არსებობდა, მაგრამ დაკარგულია, ასეთ შემთხვევაში დღეს უკვე არსებობს გამოსავალი – დნმ-ის ტესტი, მით უმეტეს, რომ ქართლ-კახეთის წარმომადგენელი ბაგრატიონების ჰაპლოჯენუფი შესწავლილია და ერთმანეთს ემთხვევა. ამგვარი ტესტები ევროპისა და დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლების წევრებაც ჩაიტარეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ არავინ ეჭვის თვალით არ უყურებდა. ბ-ნი ნუგზარი კი ტესტის გაკეთებას უკადრისობს. თუ ასეა, მაშინ ზემოხსენებული (არარსებული) დოკუმენტი დადოს. უნდა შევახსენო, რომ ის არათუ მიონცხებული მეფე არ არის, არამედ, არც ეკლესის მიერ არის აღიარებული. კარგი იქნება, თუ მეტ თავმდაბლობას გამოიჩენს.

ახლა და-ძმა ბ-ნი გიორგი და ქ-ნი დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეების (კახური აზნაურული შტოს) პუბლიკაციას გადავხედოთ: „ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეტინსკის ოჯახის წევრების პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიკს“. რამდენჯერ უნდა ავუხსნა, რომ მათი დედის, შესანიშნავი ქალბატონი ნინოს გვარი ბაგრატიონი იყო და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი! ის წლების მანძილზე, გარდაცვალებამდე, სწორედ ბაგრატიონის გვარით მუშაობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში (რისი ოფიციალური ცნობაც მაქვს). ბაგრატიონ-იმერეტინსკების შტო კი სოლომონ I-ის უკანონოდ შობილი შვილიშვილისგან, გიორგი ბუშისგან მომდინარეობდა და 1901 წლის შემდეგ არსად გამოჩენილა. ამდენად, მემორანდუმზე ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მიერ „ბაგრატიონ-იმერეტინსკების სამეფო სახლის“ სახელით ხელმოწერას არავითარი ძალა არა აქვს, რასაც ნებისმიერ დონეზე დოკუმენტურად დავამტკიცებ. პატივცემული და-ძმა წერს: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნე“-ში (2017 წ.№2,) მანანა ხომერიკის მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ ჩვენი გაოცება და იმავდროულად აღშფოთება გამოიწვია ჯერ იმ არაპროფესიონალიზმა და სტილმა, რომელიც უფრო ბულვარული გამოცემის მკითხველებისათვის იქნებოდა შესაფერისი, მერე

კი ნინო დავითის ასული ბაგრატიონ-იმერეტინსკისა და მისი წინაპრები-სადმი ყოვლად გაუგონარმა და უსაფუძვლო პასკვილებმა, რომელთაც არ-ავითარი საერთო არა აქვს საისტორიო მეცნიერების კვლევებთან“. ამის დამწერნი იმასაც ვერ ხვდებიან, რომ „მაცნეს“ სარედაქციო კოლეგია, მართალია, სტატიების შინაარსში ნაკლებად ერევა, მაგრამ არავის მისცემს ნებას, რომ სამეცნიერო უურნალი ბულვარულ გამოცემას დაამსგავსონ. ამგვარი განცხადებით, ბაგრატიონთა მიერ მათ სამეცო უმაღლესობებად ალიარებული ბაგრატიონ-ჯაფარიძეები მეტად წარმომადგენლობით სარედაქციო კოლეგიასაც შეურაცხყოფას აყენებენ. მე ხომ მლანძლავენ და მლანძლავენ, ფსევდომეცნიერსაც მეძახიან და იმასაც ვერ ხვდებიან, რომ თავად ფსევდომეცნიერები არიან, რადგან დასახელებულ სტატიაში ამოუკითხავთ ისეთ პირებზე მსჯელობა, რომლებიც იქ წახსენები არ მყავს, მაგალითად, ირაკლი ბაგრატიონის წინაპრები და ხიდირბეგიშვილები. ახლა კი მათ მსჯელობას მოვუსმინოთ, თან ისეთ საკითხზე, რომელსაც „მაცნე-ში“ არ ვახსენებ: „მანანა ხომერიკის ლოგიკას თუ გავყენებით „სამართლიანობის აღდგენისათვის“ საჭიროა 7 თაობით უკან დაბრუნება (ანუ XVIII ს-ის მეორე წახევარში), ბატონიშვილი ბაგრატის დაქორწინება ქალზე, რომლის გვარიც კი არავინ იცის. ეს ინსინუაციები აშკარად აბსურდულია...“ მაგრამ მთელი ეს აბსურდი ხომ მათივე, ანუ ამ და-ძმის მოგონილია და არა ჩემი! ახლა თავად დაბრუნდნენ სადაც ენებოთ, გაიგონ ქალბატონი წინოს წინაპარი ქალის – ლეჩხუმელი კოჩილას ცოლის გვარი, შემდეგ დააქორწინონ იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ზე, მათი უკანონო შვილი – მეფე ალექსანდრე IV კანონიერ შვილად აქციონ. ამის მერე, ალექსანდრე მეფეს რომ უკანონო შვილი – მეფე გიორგი VI ეყოლა, ისიც კანონიერად აქციონ და ა. შ. იქნებ, იმერეთის უკანონოდ შობილი მეფეები მათი წინაპრები არ ყოფილან? ჯერ ეს დაადგინონ და მერე დასცინონ სხვებს!

პატივცემული ბაგრატიონების მიერ, ჩემი პატივისა და ღირსების შეღანვის გამო, ცხადია, სასამართლოში შევიტან სარჩელს, სადაც წარვადგენ იმ დოკუმენტებს, რომლებსაც ისინი ან არ იცნობენ, ან ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილის ხელმძღვანელობით მალავენ.

**მანანა ხომერიკი, ისტ. მეცნ. დოქტორი  
ქიოსის და ოინუსისის (საბერძნეთი) საპატიო მოქალაქე**

P.S. მკითხველს ვთხოვ, გაეცნოს ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის და-ჯგუფების სამომავლო გეგმებს (იხ. სურ. №1 და სურ. №2) და თავად გამოიტანოს დასკვნა, ვინ იბრძვის პირადი ინტერესებისთვის – მე, თუ ისინი? ასევე გაცნობთ მამუკა გოგიტიძის განცხადებას (იხ. სურ. №3).

**დოკუმენტი №36. საქართველოს სამეფო სახლის კანცელარის მოსახლითი გარამი  
საქართველოს სამეფო სახლის გენერალური**

- საკომისამართი საქართველოს მოსახლეობა, რაც არის საქართველოს 4/5 ხელახლა ჩამოსაყალიბებელია თქვენ მიერ. ეს სტიმულს მისცემს სამშობლოსთვის გულანთებულ მოქალაქეებს, თავისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი მოახმაროს მათ გვარზე გაპიროვნებულ მოქმედების არეალს.

თქვენს სამეფო ოჯახთან შეიქმნება ორპალატიანი დარბაზი. ზედა პალატა იქნება თქვენი ბაგრატიონი-გრუზინსკის სამეფო გვარის წევრებისგან შემდგარი, ხოლო რეგიონების წინამდლოლები (ერისმთავრები) შევლენ ქვედა პალატაში. ასევე თითოეულ რეგიონშიც წინამდლოლის დარბაზი იქნება ორპალატიანი. ზედა პალატაში შევლენ წინამდლოლის გვარის წარმომადგენლები, ქვედა პალატაში კი – რაიონის წინამდლოლები (ერისმთავრები). იგივე განმეორდება რაიონებში, დაბებში, სოფლებსა და ქალაქებში. დედაქალაქი თბილისი ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის დაყოფა საქართველოს რეგიონების შესაბამისად 14 რაიონად. თითოეულ რაიონში წარმომადგენილი იქნება შესაბამისი რეგიონის იერარქიული სისტემა – მიკრორაიონში, კვარტალში და კორპუსში.

14 რეგიონში (სამთავროში) იერარქიულად შეიქმნება ქვედა საფეხურებზე წარმომადგენლობითი ორგანოები 66 რაიონში (საერისთავოში). თითოეული რაიონი შექმნის დაბებში თემის (სათავადოს) წარმომადგენლობით ორგანოებს, რომლებიც შესაბამისად შექმნიან დასახლებულ პუნქტებში არასამთავრობო ორგანიზაციის პირველად უჯრედებს (სააზნაუროებს). არასამთავრობო ორგანიზაციის იერარქიულად ჩამოყალიბება დედაქალაქში, ქალაქებსა და დაბებში შესაძლებელს გახდის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გყავდეთ თქვენი მხარდამჭერი ძველი და ახალი არისტოკრატია, რომელიც თქვენი დასაყრდენი უნდა გახდეს.

საგვარეულოდან შერჩეული წარმომადგენლები იმავდროულად გახდებიან „საქართველოს სამეფო გვირგვინის ორდენის“ კავალრები იერარქიულად.

საკითხები, რომლებიც ანუხებთ მოქალაქეებს, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განიხილება ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შესაბამის ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან. რა საკითხიც ვერ გადაწყვეტა ქვედა დონეზე, გადასაწყვეტად ამოვა ზედა საფეხურზე და ა. შ. გლობალური საკითხები განიხილება თქვენს დარბაზში. თქვენ უნდა ეცადოთ, ეს საკითხები პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტისა და პარლამენტის თავ-

სურ. №1. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების სამომავლო გეგმები [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 381]. წიგნი დაიტექტდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტი №36. საქართველოს სამეფო ტახტის მოსახლეობის გარემონტი გარამი

მჯდომარის დონეზე დაარეგულიროთ. ეს იქნება თქვენი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობა ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეულ მთავრობათან ერთს საქართველოში.

ანტიმონარქისტული ძალები ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა საქართველოს მთავრობამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში სამეფო სახლის რესურსები არ გამოიყონოს. არადა, ეს რესურსები არსებობს, რადგან ბაგრატიონების სისხლში განეალებულად ქართული, აფხაზური და ოსური სისხლიც არის და ისნი არა მარტო ქართველთა, არამედ აფხაზებისა და ოსების მეფებიც იყვნენ. სამეფო სახლის კანცელარია საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამს, რომ ეს ძალები ყველაფერს იღონებენ, რათა განახორციელონ ზემოთ უკვე ნახსენები „სასელექციო“ პროექტი – არასამეფო შტოს ბაგრატიონთა ახალი ქორწინებებით ხელოვნურად წარმოაჩინონ ტახტის მრავალი მემკვიდრე, საზოგადოებაში გაურკვევლობა დათესონ მაშინ, როცა ქართველი მეცნიერების მიერ ჭეშმარიტება დიდი ხნის დადგენილია და ცნობილია მსოფლიოს მონარქისტული საზოგადოებებისთვისაც.

თქვენი სამეფო უმაღლესობავ, ისტორიულად დიდგვაროვანთა საგვარეულოში თანდათან ხდებოდა მათი გაგვარება, გაღარტბება და ჩამოქვეითება, რაც ასევე ეხებოდა ბაგრატიოვანთა სამეფო საგვარეულოს სხვადასხვა შტოს, კერძოდ, ბაგრატიონი-გრუზინსკების გვერდით ხაზს, ბაგრატიონ-იმერეტინსკებს, იმერეტინსკებს, ბაგრატიონ-ლვანკითლებს, ბაგრატიონ-მუხრანსკებს, ბაგრატიონ-დავითიშვილებს, ბაგრატიონ-რამაზიშვილებს და ბაგრატიონ-ბაბაშვილებს.

ვიტორიობთ, რომ ბაგრატიონთა ყველა შტოს თქვენისავით საერთო წინაპრები ჰყავთ საქართველოს მეფე ბაგრატ V-მდე და როგორც სამეფო გვარს, სასურველია მიერიქოს დიდი მთავრის (ქრისმათავრის) წარმომადგენლობითი უფლება და მისი უგანათლებულესობის დიდებული თავადის წოდება. 7 ახლად წორმოქმნილ სამთავროში, თქვენი კეთილი ნებით, შესაძლებელია, ბაგრატიონთა შვიდივე შტოს შერჩევა არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს სამეფო სახლის საერთაშორისო ფონდის“ წარმომადგენლის სტატუსით. ეს ერთგვარად დაარეგულირებს ურთიერთობებს ბაგრატიონთა საგვარეულოში.

დანარჩენ 7 სამთავროში დღემდე მოაღხია შერვამიძეთა, დადიანთა, გურიელთა, დადეშელიანთა, ჯაყელთა, აბაშიძეთა და ჯაფარიძეთა დიდებულმა გვარებმა, რომლებსაც ასევე თქვენს წარმომადგენლებად მოვიაზრებთ შესაბამის რეგიონებში.

სურ. №2. წუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების სამომავლო გეგმები (გაგრძელება) [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 382]. წიგნი დაიბეჭდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

„ბაგრატოვანთა სახლმა“ გამოსცა ბ-ნ იოსებ ბიჭიკაშვილის წაშრომი „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, რომლის სამეცნიერო რედაქტორი მე გახლავართ. ნაშრომში შესულია დანართები, სადაც ისტ. მეცნ. დოქტორი მანანა ხომერივია გაკრიტიკებული. უნდა განვაცხადო, რომ მე დავუშვი შეცდომა, როდესაც ამ წიგნის რედაქტორობაზე ისე დაკიანჩხმდი, რომ ქ-ნი მანანას ნაშრომებს არ ვიცნობდი სათანადოდ. ახლა ჩემთვის უკვე ნათელია, რომ ეს უსამართლო კრიტიკა მიზნად ისახავდა მის დისკრედიტაციას. მიზეზზ კი ის არის, რომ ქ-ნმა მ. ხომერივმა დასვა საკითხი „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმში არსებულ უზუსტობათა და მთლიანად დოკუმენტის კანონიერების გადამოწმების აუცილებლობის თაობაზე.

მინდა შეძლებისდაგვარად გამოვასწორო დაშვებული შეცდომა და საჯაროდ განვაცხადო, რომ უარს ვაშობ ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის წიგნის რედაქტორობაზე და სრულიად ვემიჯნები „ბაგრატიოვანთა სახლის“ მიერ ისტორიკოს მანანა ხომერივის მიმართ გამოთქმულ ნებისმიერ პრეტენზიას.

ბოდიშს ვუხდი ქალბატონ მანანა ხომერიკს.

მამუკა გოგიაძი  
ისტ. მეცნ. დოქტორი,  
საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების თავმჯდომარე

30. 08. 2018

P.S. „ბაგრატოვანთა სახლისგან“ მოვითხოვ, რომ ჩემი ზემომოყვანილი განცხადება ცალკე ფურცლებზე ამოიბეჭდოს და ჩაიდოს ბ-ნ ი. ბიჭიკაშვილის წიგნის ეგზემპლარებში.

სურ. №3. ი. ბიჭიკაშვილის წიგნის [„ბაგრატიონ-დავითიშვილები, (აზნაურული შტო),“ თბ., 2018] რედაქტორის, მამუკა გოგიაძის წერილი.

**ჩემი პასუხი შეჩერებული რეგისტრაციის მარე საზოგადოება  
„ბაგრატოვანთა სახლის“ მსწრაფლებელობად ცეკვებს:**

**1. „ბაგრატოვანთა სახლის“ რაობა, წარსული და აწმყო**

1995 წელს, თბილისში დაარსდა „ბაგრატოვანთა სახლი“, რომელიც აცხადებდა: „საზოგადოების ძირითად მიზანს წარმოადგენს ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელთა გაერთიანება და შეკავშირება ქვეყნის ინტერესების სასიკეთოდ“. საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ქალბატონი ნინო ბაგრატიონი. მივაქციოთ ყურადღება, რომ საზოგადოების წესდებას ქ-ნი ნინო თავისი, ანუ ბაგრატიონის გვარით აწერდა ხელს.

1999 წელს საზოგადოებამ გაიარა ხელახალი რეგისტრაცია კავშირის სახით.

2006 წელს „ბაგრატიონთა სახლმა“ შეადგინა მემორანდუმი, რომლის თანახმად, საქართველოს ტახტის მემკვიდრედ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი ცხადდებოდა. მემორანდუმს ქალბატონმა ნინო ბაგრატიონმა ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით და ბაგრატიონ-იმერეტინსკის სამეფო სახლის სახელით მოაწერა ხელი. დასახელებული სამეფო სახლის წევრები XX საუკუნის დასაწყისში ამონყდნენ ან აღარ ჩანან. მათი სახელით ხელმოწერა „მემორანდუმს“ ყოველგვარ იურიდიულ ძალას აკარგვინებს.

2009 წელს კავშირის წინამდლოლი ქ-ნი ნინო ბაგრატიონი გარდაიცვალა. წესდების თანახმად, საერთო კრებას ახალი წინამდლოლი, მისი მოადგილეები და ახალი წევრები უნდა აერჩია, მაგრამ რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, წლების განმავლობაში მათ ეს ვერ მოუხერხებიათ, რაც 2018 წლის 11 დეკემბერს, სასამართლო პროცესზე (სამოქალაქო საქმე №2/21413-17) გაირკვა. მოსარჩელე ქ-ნი ჟ. მ-ს (რომელიც თავისი წინაპრის, ისტორიული პიროვნების – ვახტანგ ბაგრატიონის პატივსა და ღირსებას იცავდა) მოპასუხეებიდან მხოლოდ ო. ბიჭიკაშვილი გამოცხადდა, ხოლო მეორე მოპასუხე „ბაგრატოვანთა სახლი“, როგორც აღმოჩნდა, არ არსებობდა როგორც იურიდიული პირი.

რადგან საზოგადოება ფაქტობრივად აღარ არსებობს, მისი წინამდლოლის და წინამდლოლის მოადგილეების არსებობა – არალეგიტიმურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მათ 2018 წლის 11 დეკემბერს, სასამართლო პროცესზე, მოპასუხედ გამოცხადების უფლებას მისცემდა.

საჯარო რეესტრის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ 2017 წელს, მამუკა ბაგრატიონმა მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის მომზადება მოითხოვა. ისიც უნდა ითქვას, რომ თავად ამ პირმა ბაგრატიონის გვარი „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამდლოლის, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ დაიმტკიცა, როდესაც ახალი წინამდლოლი არ არსებობდა და შესაბამისად, მას „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრად ვერავინ მიიღებდა.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება №B17134342 07/12/2017 განცხადების ვადის დინების შეჩერების შესახებ. დადგინდა ფაქტობრივი გარემოებები: „1.1 საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტაციის თანახმად ა(ა)იპ „ბაგრატოვანთა სახლი,-ს (ს.6 204875000) მმართველ ორგანოს წარმოადგენს სათათბირო (იგივე გამგეობა), რომლის წევრთა ვინაობა დაცული დოკუმენტაციიდან არ ირკვევა. 1.2 ასევე არ დგინდება წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის – ნინო ბაგრატიონის მაიდანული მიუწვდომები.“

როგორც ვხედავთ, 2017 წელს, უფლებამოსილ პირად ჯერ კიდევ 2009 წელს გარდაცვლილი ნინო ბაგრატიონი მიიჩნეოდა, ვინაიდან ახალი უფლებამოსილი პირი დაფიქსირებული არ ყოფილა. 2017 წელს, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გადაწყვიტა: „4.1 დაინტერესებული/უფლებამოსილი პირის მიერ წარმოსადგენია სათათბირო წევრთა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საიდანტიფიკაციო მონაცემები.“

4.2 „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 61 მუხლის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების შესახებ. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განისაზღვროს ვადა – 30 კალენდარული დღე...“

ყოფილი „ბაგრატოვანთა სახლის“ უნიათო წევრებმა ეს მარტივი მოთხოვნაც კი ვერ შეასრულეს.

2018 წლის 10 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას №B18205200/3 სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ. მიუხედავად ამისა, ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამდლოლის სტატუსით აწერდა და აწერს ხელს. რა არის ეს, თუ არა თვითმარქებიობა და რა იურიდიული ძალა აქვს მის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებს?

ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის და მისი დაჯვაფების წევრების მთავარ საქმიანობად, მათი ისტორიკოსის, ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის დაცვა-გამართლება ქცეულა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ისტორიკოსები არ არიან. მათი ღრმა რჩმენით, ბაგრატიონის გვარის ტარება ყოვლისმცოდნეობას გულისხმობს. ძველი, საბჭოური წესით ადგენენ კოლექტიურ განცხადებებს ისეთ საკითხებზე, რისი კომპეტენციაც არ გააჩნიათ. ნიმუშად მომყავს ამონარიდი მათი კოლექტიური განცხადებიდან:

„№65 14/10/2015 წ.“

ბაგრატოვანთა სახლის“ განცხადება

ჩვენ, საზოგადოება „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრები ერთხმად ვგმობთ ჩვენი საზოგადოების ისტორიკოსის იოსებ ბიჭიკაშვილის წინააღმდეგ ბოლო პერიოდში წამოწყებულ მიზანმიმართულ შემოტევას, რომელიც განხორციელდა ტელეკომპანია „ობიექტივის“ რამოდენიმე გადაცემაში. აღნიშნულ გადაცემაში მონვეული სტუმრებისა და ასევე ზოგიერთი წამყვანის მხრიდან გაუღერდა ჩვენი საგვარეულოს ისტორიკოს, ბატონი იოსებ ბიჭიკაშ-

ვილის მიმართ ცილისმწამებლური ბრალდებები რაც ჩვენს მიერ აღქმული იქნა როგორც ჩვენივე საზოგადოების დისკრედიტირების მცდელობად...“

მივაქციოთ ყურადღება, რა შესანიშნავი ქართულით წერენ პატივცემული განმცხადებლები: „**აღქმული იქნა როგორც...მცდელობად.**“

აი, კიდევ ერთი მსაგვარი განცხადება:

„№15 25.02. 2016 წ.

**ბაგრატოვანთა სახლის“ განცხადება**

ჩვენ, საზოგადოება „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრები, რომლებიც წარმოვადგენთ ბაგრატოვანთა საგვარეულოს ყველა სამეფო, თავადური თუ აზნაურული შტოს, აღშფოთებას ვერ ვმალავთ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიმართ, რაც გამოიხატება გარკვეული პიროვნებების მხრიდან ჩვენი საგვარეულოს ისტორიკოსის, ბატონ იოსებ ბიჭიკაშვილის წინააღმდეგ წამოწყებულ ცილისმწამებლურ ბრალდებებში, რაც ჩვენს მიერ აღქმულ იქნა, როგორც ჩვენი საზოგადოების დისკრედიტირების მცდელობად...“

წლები მიდის, მათი მენტალიტეტი და სტილი კი არ იცვლება. ისევ კოლექტიური განცხადებები და ისევ: „**როგორც...მცდელობად!**“

ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის კლასტერი ასეთი ქართულით დაწერილ წიგნებს აფინანსებს: „აუცილებლად მისი ბაბუის სახელი სვიმონი უნდა წერილიყ“ [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო), თბ., 2018, გვ. 74]. (სწორია: „უნდა ყოფილიყო დაწერილი“ – მ.ს.).

2018 წლის 17 ივლისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა „ბაგრატოვანთა სახლის“ ოფიციალური პაუხი ქ-ნ მანანა ხომერიკს“:

„...ფსევდომონარქისტულმა ძალებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს მეცნიერულ დონეზე ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის, ბაგრატიონი-გრუზინსკების სამეფო ოჯახის უგულებელყოფა, ახლა უკვე მიადგნენ ჩვენი დინასტიის მიერ 2006 წელს ხელმოწერილ მემორანდუმს...“ „**ფსევდომონარქისტულმა ძალებმა...უკვე მიადგნენ**“.

აი, კიდევ ერთი მარგალიტი:

„№66 14/10/ 2015 წ.

**„ბაგრატოვანთა სახლის“ წევრის დალი ბაგრატიონის განცხადება**

მე, „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრმა დალი ბაგრატიონმა ვაცხადებ, რომ „ბაგრატოვანთა სახლის“ დაარსებიდან 1995 წელს, ჩვენი ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი იოსებ ბიჭიკაშვილი იკვლევდა ქართველი მეფეების ისტორიას“. „**წევრმა დალი ბაგრატიონმა ვაცხადებ**“!

ქართული ენის ცოდნის მხრივ აღარაფერი მიკვირს, მას შემდეგ, რაც „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმს გავეცანი. მომყავს რამდენიმე მაგალითი: „მეფე ბაგრატ VI-ის (1466-1578) პირდაპირი შთამომავლები არიან – (იგულისხმება ერთზე მეტი პირი, აქ კი ერთი პირი სახელდება – მ.ს.) 1900 წელს ვარშავის გენერალ-გუბერნატორი (რა მოხდა 1900 წელს? – მ.ს.), უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერე-

ტინსკი (1837-1900), რომლის გარდაცვალების შემდეგ, გვარში უფროსობა გადაეცა მეფე სოლომონ I-ის (1752-1784) ძმის – ალექსანდრეს ძე ბაგრატ ბატონიშვილის (1740-1800) შთამომავალს უგანათლებულეს თავად დავით ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1894-1937)...“ [საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია, „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 231]. ან კიდევ: „...იმერეტინსკების“ პარალელურად იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შვილთა შვილები...ინოდებოდნენ თავად „ბაგრატიონ-იმერეტინსკებად, ხოლო მეფე დავით II-ის შთამომავლები – თავად „იმერეტინსკებად“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 230]. ანუ, გამოდის, რომ „იმერეტინსკების“ პარალელურად... „იმერეტინსკებად“ იწოდებოდნენ!

გარდა ამისა, „მემორანდუმის“ შემდგენლებმა არ იციან, რომ რომაულ ციფრებზე თავსართ-ბოლოსართის დართვა დაუშებელია. „მემორანდუმში“ ვკითხულობთ: „მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში რამდენიმე აჯანყებამ იფეთქა“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 228]. „მე-XVI ს. დასაწყისში ქართლის სამეფო სახლს გამოეყო მუხრანბატონთა გვერდითი შტო“ [იქვე, გვ. 23]. „მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში კახეთის სამეფოს ბაგრატიონთა დინასტიას გამოეყვნენ თავადი ბაბადიშები“ [იქვე, გვ. 232]. მაგრამ ეს არაფერია იმ ფაქტოლოგიურ შეცდომებთან და დოკუმენტების გაყალბებასთან შედარებით, რაც „მემორანდუმში“ გვხვდება.

ცოტა ხნის წინ, იძულებული გავხდი თავად ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკისთვის მოკრძალებულად მიმეთითებინა, რომ „მბრალდებელთა“ ნაცვლად, უნდა ბრძანოს – „ბრალდებელთა“. ამავე დროს, ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკისთვის დაჯგუფების წევრებმა ი. ბიჭიკაშვილისგან გადაიღეს წიგნების, უურნალ-გაზეთების, ორგანიზაციების, დაწესებულებების სახელწოდებების ბრჭყალებში ჩასმის მცდარი წესი. მაგალითად, ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი წერს: „გაზეთ „ივერია“-ში“. შესაბამისად, ბ-ნი გიორგი და ქ-ნი დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები ბაძავენ მას და წერენ: „მაცნე“-ში“, ასევე, „ბაგრატოვანთა სახლი“-ს. იძულებული გავხდი მათთვისაც მიმეთითებინა, რომ სწორი ფორმაა – „ბაგრატოვანთა სახლის“.

მსგავსი მსგავსს იზიდავს და „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრებმაც მსგავსი რედაქტორი მიიზიდეს – ბატონი მამუკა გოგიტიძე, რომელმაც ქართული მათზე ნაკლებად როდი იცის. აი, ამონარიდი მისი მიმართვიდან, რომელიც მან „საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების წევრების“ სახელით თაღლითურად ისე შეადგინა, რომ დასახელებული წევრები საქმის კურსში არ იყვნენ. „**მამუკა გოგითძე 17 ავგустა 15:16.** „ბაგრატოვანთა სახლის“, წინამდლოლს, ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის!

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების წევრებმა გულდას-მით გავეცანით სტატიას „ბაგრატოვანთა სახლის“, ოფიციალური პასუხი ქ-ნ მამანა ხომერიკს (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №143, 17 ივლისი

## 2018 წ.) „„ნევრებმა... გავეცანით“!

ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სხვა პრინციპები. რომელი პრინციპი უდევს საფუძვლად ქართული ენის ახალ დიალექტს, რომელზეც ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების წევრები მეტყველებენ? გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ი. ბიჭიკაშვილის სტილი არა მხოლოდ ზემოდასახელებული დაჯგუფებისთვის გამხდარა მისაბაძი, არამედ საზოგადოების გაცილებით უფრო ფართო სპექტრისთვისაც.

2019 წლის მაისში გამოქვეყნებულ „ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთობლივი საჯარო განცხადებაში“ ვკითხულობთ: „თავად-აზნაურთა საკრებულო“-ებში“. ძალიან მეუხერხულება, მაგრამ მაინც უნდა მივუთითო: სწორია „თავად-აზნაურთა საკრებულოებში“. ამავე განცხადებაში კიდევ ერთი ლაფსუსია – „ბატონი პეტრე პეტრეს-ძე“. შინაარსზე ხომ ამჯერად არ ვლაპარაკობ, მაგრამ „ძე“ რომ ცალკე იწერება, აბა, ეს მათვის როგორ არ უნდა მეტქვა? იმის თქმა კი არ შემიძლია, ცნობილი პიროვნებები მართლა კითხულობენ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების ნაცოდვილარს, თუ ბრმად აწერენ ხელს.

თანდათანობით, ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი და მისი დაჯგუფების წევრები თავიანთი ისტორიკოსის, ი. ბიჭიკაშვილის დაცვამ ისე გაიტაცა, რომ მისი მისამართით ყოველგვარი კრიტიკა, არც მეტი, არც ნაკლები, სამშობლოს ღალატს გაუთანაბრეს. პირადად ჩემ მომართ წერენ: „გულდასმით გავეცანით ქ-ნი მანანა ხომერიკის წერილს, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნეში“ (2017 წ. №2), სადაც ქ-ნი მანანა ჩვენი საზოგადოების ისტორიკოს იოსებ ბიჭიკაშვილს ბრალს სდებს იმერეთის ბაგრატიონთა შტოსთან მიმართებაში დაშვებული უზუსტობების გამო... აღნიშნულ ბრალდებებზე ბ-ნი იოსები აპირებს პასუხის გაცემას, ჩვენ კი გვსურს, დავაფიქსიროთ და გამოვხატოთ ჩვენი შეშფოთება ქ-ნი მანანას აღნიშნული წერილის წაკითხვის შემდეგ. ნამდვილად სამწუხაროა, რომ თურმე, კერძო ინტერესების გამო, პიროვნებამ შესაძლებელია, საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაივიწყოს. როგორ ვერ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ ამგვარი ქმედებით იგი საკუთარი ქვეყნის ერთიანობის იდეას ვნებს?!“

როგორც ვხედავთ, მათ შორის ერთადერთ ისტორიკოსს, ი. ბიჭიკაშვილს ჯერ პასუხიც არ ჰქონდა გაცემული, მაგრამ დაჯგუფების წევრებმა უკვე, აპრიორი, ყველაფერი იცოდნენ. სრულიად არაა დეკვატური პასუხიც მზად ჰქონდათ, საქმე ხომ მათი სათაყვანებელი იოსებ ბიჭიკაშვილის დაცვას ეხებოდა! მინდა დაჯგუფების წევრებს შევახსენო, რომ ათი მცნების მეორე მცნება კერპთაყვანისმცემლობას გვიკრძალავს და მოგვიწიდებს, რომ არავინ და არაფერი ვაქციოთ კერპად. მათ კიდევ ბევრი რამის შეხსენება, ან უფრო სწორად, ახსნა სჭირდებათ. დაჯგუფების წევრები, რომლებიც არაფერს სტოვებენ უბასუხოდ, ი. ბიჭიკაშვილის და კიდევ ორი

პირის „პირველწოდებულ მოწაფეებად“ შერაცხვას, რატომღაც დუმილით შეხვდნენ, რაც თანხმობის ნიშნად უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში, მათ არაფერი უპასუხიათ ბატონი გიორგი იონთა პიპერიონისათვის, რომელიც აცხადებს: „პირველ-წოდებული მოწაფეთაგან – მამუკა ბაგრატიონი, მისი მუღლის თანხლებით, მერი ფერ-არიანი რეხვიაშვილი და იოსებ ბიჭიკაშვილი, მემატიანე და თანამდევი სამეფო ოჯახისა, ამ ღირსეულმა სამმა ადამიანმა თვალით იხილეს კარიბჭის ლოდი ლომ-სახიანი, ნიშთსასწაულთა სათავეცა და გვირგვინი საოცრებათა. ლოდი მო-ლოდინისა ელის ერს, განწმენდის გზის გავლით საღმრთო ქალაქისაკენ...გიორგი იონთა პიპერიონი.

დაბეჭდვა: სასწორის მეცამეტე გრადუსში მზის სტუმრობის დღეს, მტრედის მოფრენის დღესასწაულით, ურანთან კავშირით“.

[http://gangeba.com/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90\\_%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90/n374?fbclid=IwAR0HMGZmUuo2nDDmi-8WUiokPwfwrzahktKyG7-9UqVnAEYKy8Brk9UPORkz0#.XLRB0uGodEl.facebook](http://gangeba.com/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90/n374?fbclid=IwAR0HMGZmUuo2nDDmi-8WUiokPwfwrzahktKyG7-9UqVnAEYKy8Brk9UPORkz0#.XLRB0uGodEl.facebook)

მე კი ასე ვიცოდი, რომ ქრისტეს პირველწოდებული მოწაფე – ანდრია მოციქული იყო! [მათ.4:18]. ცნობა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობაზე ბერძნულ მწერლობაში IX საუკუნის // ნახევარში გაჩნდა. გიორგი მთაწმინელმა (XI საუკუნის // ნახევარი) ანტიოქიის პატრიარქთან პაექტობის დროს, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლება ხომ სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით დაამტკიცა. ახლა კი რა მესმის? პირველწოდებული მოწაფეები ყოფილან ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ოჯახის მემატიანე იოსებ ბიჭიკაშვილი, მამუკა ბაგრატიონი (ყოფილი დავითიშვილი) და ამ უკანასკნელის მეუღლე, ქ-ნი მერი რეხვიაშვილი, იგივე ფერრარი. ეს გვარი იტალიაში ძალიან გავრცელებულია. მისი წარმოშობა რკინასთან და მჭედლობასთან არის დაკავშირებული. არ მგონია, რომ იტალიაში ამ გვარის წარმომადგენლები, ვისგანაც ქართველ ქალბატონს ეს გვარი ერგო, „ფერ-არიანებად“ იწოდებოდნენ. ბატონ იოსებ ბიჭიკაშვილს ჩემი წარდგენა არ სჭირდება...ბატონი მამუკა ბაგრატიონის პიროვნების შესახებ კი მისი იდუმალი მინიშნებებით აღსავსე ლექსი (რომელიც მის ფბ გვერდზე იყო გასაჯაროებული), ნათელ წარმოდგენას გვიქმნის:

„სწორი გასაღები ნებროთის ენით

საქართველოს ლალატობდნენ და დღეს იურისტობს მტერი,

ერთ-ერთ მოურავს მეფობა უნდა, მანანა ამან გული,

პური არსობის დავინებიათ, „არისტოკრატობს“ მტერი,

ასე მწუხადება, ასე ეცემა ჩემი ღვთიური ერი.

რუს და მუხრანთან ეშმას კბილები, ჩაასვა გესლი გენში,

ახდა ბოროტის მავნე განზრახვა ექვსას სამოცდაექვსით,

ტრიას ცხენივით ბაგრატიონებს ექვსი მოაჭრეს გენში,

იმერსაც მისცეს ლვარად ცრემლები, ცდილობს დაყოფას მტერი.

სადაც იბადა ეს ავი ზრხვა, იმ ძირს ეცლება ფესვი,

ტევანდება და ქრისტეს წყალობით მოიქარგება არსი,  
ერეტიკოსებს გადაემხობათ ტალახით, რომ ქმნეს კოშკი.  
ბაგრატიონებს ცრემლს დადინებით მოუკვეთიათ ექვსი,  
ისტორიაში დედალვთისმშობელს მარად ვენთებით ნებით....  
მამუკა ბაგრატიონი (ა. ქ. ჯ.)“

ბ-ნმა მამუკამ პატივი დამდო და ლექსში ჩემი სახელი „მანანაც“ ჩააქსოვა! მე კი რადგან ნებროთეს ენა არ ვიცი, ლექსის მარტივი დაბოლოება შევთავაზე: „პასკვილიანტებს მანანამ გაჩენის დღე ანანა!“

ყოველივე ზემოთქმული მაფიქრებინებს, რომ მართალია, ნუგზარ ბაგრატიონმა და მისი დაჯგუფების წევრებმა, „ბაგრატიონთა სახლი“ ვერ დაარეგისტრირეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ რაიმე ახალ, მისტიკურ-კერპთაყანისმცემლურ საზოგადოებას ჩაუყარეს საფუძველი. ამ საზოგადოებაში მოხვედრა ადვილი არ იქნება. მისი წევრები თავისი აზროვნების დონით დიდად განსხვავდებიან უბრალო მოკვდავთაგან. აი, ერთი მაგალითი, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს კონტრასტს ამ ორი კატეგირიის წარმომადგენელთა შორის. 2018 წლის 13 აპრილს, ბ-ნმა იური ჩიქოვანმა, ფბ-ის მეშვეობით, მარტივი შეკითხვით მიმართა ბ-ნ ვალერი ხიმშიაშილს იმის თაობაზე, ახსოვდა თუ არა მას, დარეჯანის სასახლეში 2009 წელს, შეხვედრა მამუკა ბაგრატიონთან, რომელიც იმ დროს ჯერ ბაგრატიონის გვარს არ ატარებდა. ბ-ნმა ვალერიმ ასეთივე მარტივი, დადებითი პასუხი გასცა. საუბარში თავად ბ-ი მამუკა ბაგრატიონი ჩაერთო და მთელი თავისი ინტელექტუალური სიდიადე გამოავლინა: „**მამუკა ბაგრატიონი:** ჩემთვის უკვე გასაგებია რაც ხდება. საქმე იმაშია, რომ ტრასცენდენტული ცნობიერების ხედვით უნდა შემეხედა ამისათვის. პარალელური განზომილებებიდან. როგორც ჩანს დროის მანქანით, 2009 წელს აღმოვჩნდი დარეჯანის სასახლეში. მოგეხსენებათ არსებული მოვლენები პარალელურ განზომილებებში არსებობს ყველა დასაშვები მოვლენით. ამ შემთხვევაში არსებული რეალობა შეცვლილია. გამომდინარე იქიდან, რომ სამყაროში დრო აჩქარებულია და სიხშირე მომატებულია, პარალელურ სამყაროებში ჩნდება ხიდები, რომელზეც თავის დროზე აინშტაინიც ვარაუდობდა. აი ამასთან გვაქვს საქმე. თუ გავითვალისწინებთ რეინკარნაციასაც და ცნობიერება-ში არსებულ მაიას ბადეს, ყველაფერი ნათელია. აქ არსებული რეალობა, ზუსტად ასახავს ქვეცნობიერის დაბადებას პარალელურ განზომილებებში. საოცარია, რომ დროის მანქანა და დღეს არსებული ჰიპოტეზები თქვენთვის უკვე რეალობაა, ჩვენ, კი ვინც მხოლოდ სამ განზომილებაში ვაზროვნებთ.:))..))“.

ვის არ დაადუმებდა ამგვარი პასუხი, მაგრამ ქ-ნმა დალი დავითაშვილმა სამქალაქ გმირობა გამოიჩინა და გულწრფელად ალიარა, რომ აზროვნების ასეთი მწვერვალები მისთვის მიუღწეველი და გაუგებარი იყო. „**დალი დავითაშვილი:** ბოდიშის მოხდით – სამნუხაროა, ჩემი ცოდნის მარაგი, უნარი აზრის წევრობის, განათლებულობის სიმწირე არ მაძლევს საშუალე-

ბას, ადვილად გადავიარო პარალელურ სამყაროთა ხიდები. მარტივ პასუხს ველოდი და, გამოგიტყვდებით, დავიძენი ამ წიაღსვლებში. ეგებ ასეთი პასუხი აგვერჩია: დიახ, გახლდით ამ შეხვედრაზე. ან საპირისპირო – არა, არ ვყოფილვარ. გმადლობთ“. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ეზოთერიზმი და მისტიკა უცხო არ არის [იხ. ჩემი „გველის პერანგის კოდი“, თბ., 2010.], ბ-ნი მამუკას პასუხიდან აზრის გამოტანა მეც გამიჭირდა.

ამ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ დასახელებული დაჯგუფების წევრებს ძალუბთ ერთმანეთის აზროვნების სიღრმეებში ჩაწვდომა. ასევე ვაღიარებ, ჩემთვის გაუგებარია ბ-ნი მამუკა ბაგრატიონის განცხადება, რომელიც მან 2020 წლის 30 მარტს, „ხარისხის არხზე“ გააკეთა იმის თაობაზე, რომ შერვაშიძეები პროვინციის მეფეები იყვნენ. კარგი იქნებოდა, ჩვენთვისაც რომ აეხსნათ, ეს რომელ პარალელურ სამყაროში ხდებოდა?

## 2. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების წევრების ყველაზე კომიკური ბრალდება

2018 წლის 17 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის დაჯგუფების კოლექტიური წერილი „ბაგრატოვანთა სახლის“ ოფიციალური პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიკს“. მე ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით შევიტყვე და მამინვე გავეცი პასუხი იმავე გაზეთის მეშვეობით. მკითხველს შეუძლია მოცემულ წიგნში გაეცნოს ჩემს საპასუხო წერილს „ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონისა და მისი დაჯგუფების აღმდევობის ნამდვილი მიზეზი“ [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 18 სექტემბერი, №182]. მინდა ერთ საკითხზე შევაჩირო ყურადღება. დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც უკვე ვიცით, რომ ყოფილი „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრებმა წლების განმავლობაში საზოგადოების დარეგისტრირება ვერ მოახერხეს, ყველაზე კომიკურად მათი შემდეგი ბრალდება ჟღერს: „2016 წელს ქ-ნი მანანა ხომერიკის თაოსნობით თვითნებურად დაარსდა „იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოება“, რადგან ამის თაობაზე მიზანმიმართულად არ იყვნენ საქმის კურსში ჩაყენებელნი იმერეთის ბაგრატიონთა შტოს უპირატესი ოჯახები, კერძოდ იმერეთის სამეფო სახლის ყოფილი წევრების – დავით ბატონიშვილისა (1781-1820) და კონსტანტინე ბატონიშვილის (1789-1844) პირდაპირი მემკვიდრე ოჯახები. შესაბამისად, ამ საზოგადოების ლეგიტიმურობის საკითხი ყოველგვარ საფუძველს მოქლებულია, ისევე როგორც მათ მიერ საზოგადოების თავმჯდომარედ და იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ირაკლი ბაგრატიონის (ლვანკითელის) დასახელება. ბაგრატოვანთა დინასტიურ კავშირთან შეუთანხმებელი ასეთი ქმედება ჩვენს მიერ შეფასებულია თვითნებურ ქმედებად და მოკლებულია ყოველგვარ კანონიერებას“ [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები

(აზნაურული შტო), თბ., 2018, გვ. 37].

ეს არის ე. წ. „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრების მხრიდან ჩემი დევნის უსუსური მცდელობა და ცილისწამება. „იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოება“ ბ-ნი ირაკლი ბაგრატიონის (იმერელის და არა ღვანკითელის) თაოსნობით დაარსდა და არა მანანა ხომერიკის, რაც სათანადო ოფიციალური დოკუმენტით მტკიცდება [ამონანერი მენარმეთა და არასამენარმე (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საიდენტიფიკირებული ნომერი: 402032858]. დოკუმენტის გრაფაში „ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა“ გარკვევით არის მითითებული: „თავმჯდომარე – ირაკლი ბაგრატიონი“. სად ამოიკითხეს პასკვილიანტებმა ჩემი სახელი? საზოგადოება დაარსდდა ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. ბ-ნი ირაკლი ბაგრატიონი „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრი არასდროს ყოფილა და არასდროს ევალებოდა მისი წესების დაცვა. ახლა ხომ ამგვარი მოთხოვნის წამოყენება უბრალოდ სასაცილოა! გაურკვეველი დაჯგუფების წევრებს, რომლებსაც ოფიციალური სტატუსიც არ გააჩნიათ, ვინ მისცათ ბ-ნი ირაკლი ბაგრატიონისთვის, ან ჩემთვის, თავისი მოთხოვნების წამოყენების უფლება? დაასახელონ შესაბამისი კანონის შესაბამისი მუხლი! იმასაც შევახსენებ, „ბაგრატოვანთა სახლმა“ 2006 წელს, „მემორანდუმის“ შედგენისას, მიზანმიმართულად არ ჩააყენა საქმის კურსში მეფე სოლომონ II-ის მიერ იმერეთის ტახტის მემკვიდრედ აღიარებული კონსტანტინე იმერეტინსკის შთამომავალი ქალბატონები და მათი ადგილი უკანონოდ ქ-ნინო ბაგრატიონს გადასცა, რომელსაც გვარიც შეუცვალა, თვითნებურად „ბაგრატიონ-იმერეტინსკი“ დაარქვა, XX საუკუნის დასაწყისში შემწყდარი ბაგრატიონ-იმერეტინსკების სამეფო სახლის სახელით მოაწერინა ხელი. რატომ ვერ ვხედავთ „მემორანდუმზე“ ინგლისში მცხოვრები, ხსენებული ქალბატონების ხელმოწერებს? მათ ან არ შეატყობინეს, ან ვერ დაიყოლიეს. მემორანდუმის შემდგენელმა პირებმა გიორგი XII-ის შთამომავალი, მოსკოვში მცხოვრები გრუზინსკების ოჯახი, ნამდვილი ბაგრატიონები (როგორც დოკუმენტებით, ისე დღმ-ით) 2006 წლიდან დღემდე, მიზანმიმართულად არ ჩააყენეს საქმის კურსში, რაზედაც მაქვს ქ-ნი ეკატერინე გრუზინსკის წერილობითი ცნობა (იხ. სურ. №1).

კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს პირის უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს სხვა პირებთან ურთიერთობის გზები და ფორმები. ამდენად, იმერეთის მეფეთა შთამომავლებს სრული უფლება ჰქონდათ შეექმნათ ნათესავების გაერთიანება, ხოლო ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფების პრეტენზიები, გარდა იმისა, რომ სასაცილოა, ანტიკონსტიტუციურიც არის.

И. Гуриевская Екатерина Николаевна,  
отделение почтового телеграфа, 200 км 8,  
и моя брат, Гуриевский Евгений  
Николаевич, и моя сестра, Гуриевская  
Марина Николаевна, свои поздравления  
по мемориалуруссии 2006 г.  
и ее семье.

16.10.2018.



სურ. №1. გიორგი XII-ის შთამომავლის, ქ-ნი ეკატერინე პეტრეს ასულ გრუზინსკის ცნობა.

### **3. რამდენიმე შეკითხვა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკისა და მისი დაჯგუფების ზოგიერთ წევრს**

იმის გათვალისწინებით, რომ კოლექტიური წერილის „ბაგრატოვანთა სახლის“, ოფიციალური პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიქ“ ხელმომწერები საკუთარ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ, მინდა პირადად მივმართო რამდენიმე მათგანს. ამ ადამიანებმა ისე გამოუცხადეს მხარდაჭერა იოსებ ბიჭიკაშვილს, რომ საქმის არსში ჩაწვდომა არც უცდიათ. საქმე მარტივად გადაწყვიტეს, სამშობლოს მოლალატედ შემრაცხეს, რითაც თავიანთი განცხადება 1937 წლის ოქმებს დაამსგავსეს. ერთი რამ მაინც მაინტერესებს: საიდან მოიტანეს, რომ მე „ფსევდომონარქისტული“ ძალა ვარ? მონარქისტობაზე როდის განმიცხადებია პრეტენზია? ქალბატონი ნინო ბაგრატიონის (და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკის) შვილების განცხადების თანახმად, მე ხომ „ფსევდომეცნიერი“ ვარ. ახლა, კიდევ ერთი ფსევდოსტატუსი მომანიჭეს: „ფსევდომონარქისტულმა ძალებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს მეცნიერულ დონეზე ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის, ბაგრატიონი-გრუზინსკების სამეფო ოჯახის უგულებელყოფა, ახლა უკვე მიადგნენ ჩვენი დინასტიის მიერ 2006 წელს ხელმოწერილ მემორანდუმს და ითხოვენ მის გაუქმებას. ამ მოწოდების ინიციატორობა, როგორც ჩანს, ითავა ქ-მა მანანა ხომერიკმა“. როგორც ვხედავთ, კვლავ ფსევდოქართულით წერენ: „ფსევდომონარქისტულმა ძალებმა...უკვე მიადგნენ“. ვინ მიადგა, ან ვის მიადგა – ეს ჩემთვის უცნობია. მე ვარ ავტორი, რომელმაც ფარდა ახადა ზემოხსენებული დაჯგუფების მიერ დოკუმენტების გაყალბებაში თანამონანილეობის ფაქტებს, რასაც ი. ბიჭიკაშვილის მხარდაჭერის გზით ახორციელებდნენ. დიახ, მე ვარ პიროვნება, რომელიც მთელ საზოგადოებას მოუწოდებს ჩაიხედოს ამ დაჯგუფების საქმიანობაში, წინ აღუდგეს მათ მიერ საქართველოს ისტორიის ხელყოფას! ჩემს მოწოდებას მე ჩემი შრომის ფასად მოპოვებული მასალებით ვამყარებ, რომელსაც საზოგადოებას ვაცნობ! ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფება ჩემს საავტორო უფლებებსაც არღვევს: ჩემთვის უცნობ ძალებთან მაერთიანებს და ფაქტობრივად, თანაავტორებს მიჩნენს, რითაც ჩემი ინტელექტუალური საკუთრების გასხვისებას ახდენს. ჩემი ნაშრომების ავტორი მხოლოდ მე ვარ, თანაავტორი არ მყავს და ყოველ სიტყვაზე ერთპიროვნულად ვაგებ პასუხს! ნურც სხვების ნააზრევს მომანერენ. თუ სხვა ავტორებს გულისხმობენ, დაასახელონ და მათ წარუდგინონ პრეტენზიები. მე სხვის ნააზრევსა და გეგმებზე პასუხისმგებელი ვერ ვიქნები.

ცამეტმა ბაგრატიონმა ხელი მოაწერა უპასუხისმგებლო წერილს „ბაგრატოვანთა სახლის“, ოფიციალური პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიქ“ რითაც მათ თავისი დილეტანტიზმი გამოავლინეს და დოკუმენტების გამყალბებელი ი. ბიჭიკაშვილის თანამზრახველები გახდნენ. აი, მათი სია: „ბაგრატოვანთა სახლის“ სახელით წინამდლოლი, ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზ-

ინსკი, წინამდლოლის მოადგილე გიორგი ბაგრატიონი-ჯაფარიძე, წინამდლოლის მოადგილე ჯანსულ (ჯანო) ბაგრატიონი-დავითიშვილი, წინამდლოლის მოადგილე ნოდარ ბაგრატიონი-დავითიშვილი, მიხეილ ბაგრატიონი-ბაბადაში, გიორგი ბაგრატიონი-ბაბადაში, მარიამ ბაგრატიონი-მუხრანელი, ნინო ბაგრატიონი-დავითიშვილი, ნათა ბაგრატიონი-დავითიშვილი, გიორგი ბაგრატიონი-რამაზიშვილი, მამუკა ბაგრატიონი-დავითიშვილი, გიორგი ბაგრატიონი-დავითიშვილი, ნოდარ ბაგრატიონი-დავითიშვილი.

რატომ არ უკვირდებიან, რაზე აწერენ ხელს? მათ უპასუხისმგებლობაში მკითხველი ჩემს მოცემულ ნაშრომში დამოწმებული, ი. ბიჭიკაშვილის მიერ დოკუმენტების გაყალბების კონკრეტული მაგალითების გაცნობისას თავად დარწმუნდება. „ბაგრატოვანთა სახლის“ სახელით არაკომპეტენტური ოფიციალური პასუხების წერას, ხომ არ აჯობებდა „ბაგრატოვანთა სახლის“ ოფიციალურ დარეგისტრირებაზე ეზრუნათ? რა უფლებით მცემდნენ პასუხს იმ საზოგადოების სახელით, რომლის არსებობასაც თავად მოუღეს ბოლო? მე სრული უფლება მაქვს, მათ თვითმარქვიები ვუწოდო. ახლა კი მინდა კოლექტიური პასკვილების ხელმომწერ რამდენიმე პირს შევეხმიანო და პერსონალური პასუხისმგებლობის მიძინებული გრძნობა გავუღვიძო.

**უპირველეს ყოვლისა, ბ-6 ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის მივმართავ.** ბატონო ნუგზარ, რატომ მაშინ არ გამოთქვით თქვენი შეშფოთება, როდესაც სამხედრო ისტორიკოსმა მამაუკა გოგიტიძემ განაცხადა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო სახლის მეთაური კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი იყო და არა გრუზინსკი – „Багратион-Мухранский Константин Иванович (24. 12. 1838 – 02. 05. 1903) генерал-лейтенант; егермейстер Двора Его Величества... Глава Мухранского Дома и в 1898-1903 г. г. – Глава Грузинского Царского Дома“ [М. Д. Гогитидзе, „Военная элита Кавказа I. Генералы и Адмиралы из Грузии“, Тб., 2007 г. с. 66]. როგორც ჩანს, თქვენ მას ეთანხმებით, რადგან ი. ბიჭიკაშვილის წიგნის რედაქტორად მოინვიეთ, რომლის წინასიტყვაობა თავად თქვენ დაწერეთ, ანუ მასთან შეხმატებილებულად თანამშრომლობთ.

როდესაც თქვენი წარმომავლობის გარკვევის საკითხი წამოიჭრა, თქვენ ისე კი არ მოიქეცით, როგორც თქვენი დაჯგუფების მხრიდან ცილისწამების გამო, ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელი მოიქცა – შეკრიბა შესაბამისი დოკუმენტაცია და დნმ ანალიზი ჩაიტარა, რის შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაამტკიცა თავისი წარმომავლობა. თქვენ ჯერ არნახული მეთოდი გამოძებნეთ – ისევ და ისევ კოლექტიური განცხადება! ალბათ, კარდაკარ ჩამოუარეთ საზოგადო მოღვაწეებს და ჰკითხეთ: მითხარით, გეთაყვა, რა გვარისა ვარ? 2019 წლის 10 აპრილის საჯარო განცხადებაში დაგმობილია „ბატონი პეტრე პეტრეს-ძე („ძე“ ცალკე – ინერება. – მ. ხ.) გრუზინსკის“ წარმომავლობის დადგენის მოთხოვნა. არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ მისი ოჯახი „დამსახურებული პატივით სარგებლობდა და სარგებლობს საზოგადოებაში“. ბატონო ნუგზარ! რატომ არ შეშფოთდით

და რატომ არ შეადგინეთ კოლექტიური წერილები, როდესაც მამათქვენის, ცნობილი პოეტის, პეტრე გრუზინსკის რეპუტაციის შემღახავი მოგონებები დაინერა? მე აქ არაფერ შეუძინავი ვარ – ყოფილი დისიდენტები და მისი ყოფილი მეგობრები წერენ. მიჭირდა ამ საკითხის წამონევა, მაგრამ ახლა უკვე ეს თემა გასაიდუმლობული აღარ არის. რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა ყოფილი დისიდენტის, ქ-ნი მარი აპრამიშვილის მოგონებების წიგნი [მარი აპრამიშვილი, „ბედისწერის განაჩენი“, თბ., 2016]. ახლახან კი მისმა ქალიშვილმა დედის მთელი არქივი ლიტერატურის მუზეუმს გადასცა. ხელნაწერების გარდა, აქ თავმოყრილია ის უურნალ-გაზეთები, სადაც აღნიშნულ თემაზე სხვადასხვა წერილები გამოქვეყნდა. ამ პუბლიკაციებს ადრეც ვიცნობდი, მაგრამ ქ-ნი მარი აპრამიშვილის მინაწერებმა მათ მეტი სიმძაფრე შესძინა და ზოგი ავტორის მიერ დაფარული სახელები გაამჟღავნა.

2004 წელს, თქვენ უურნალისტ მაია კახიძეს მიეცით ინტერვიუ [უურნალი „გზა“ №12(197) 18/III-24/III. 2004, გვ. 37], რომელმაც ქ-ნი მარი აპრამიშვილი ძალიან გააღიზიანა. პასუხი მაშინვე დაუწერია „გამოქვეყნებელი პასუხი“, რაც მხოლოდ ახლა გამოქვეყნდა მის წიგნში: „...რაც უურნალში წავიკითხე უზომოდ გაოცებული ვარ, საიდან მოიტანე ეს ცნობები, რაც სინამდვილეს ოდნავადაც არ შეეფერება...ნუგზარი თუ ფიქრობს იმ შორეული წარსულიდან ერთი ცოცხალი მოწმეც აღარ დარჩა და როგორც უნდა, ისე შეალამაზებს ფაქტებს და ისტორიას შემოუნახავს მამის, როგორც უმნიკვლო რაინდის სახელს, ძალიან ცდება...მე და პოეტი შალვა მჭედლიშვილი დღესაც ცოცხლები ვართ...რატომ დააპატიმრეს მამათქვენი? ეკითხება უურნალისტი. აი, აქედან იწყება სიცრუის კორიანტელი!.. მამაჩემი თავის მეგობრებთან ერთად დაიჭირესო, ამბობს ნუგზარი. არა, ბატონო ნუგზარ, ყველა არ დაუჭერიათ და არც მამაშენი მჯდარა შინსაკომის ციხეში სიკვდილმისჯალთა კამერაში, საიდან მოიტანე ეს? ვინ გითხრა?.. ვერ მოვითმინე ამდენი სიცრუის თქმა შენგან და ერთხელ კიდევ შევეხე იმ ადამიანის სახელს, ვისაც მეგობრად ვთვლიდი! 2004.“ [მარი აპრამიშვილი, „ბედისწერის განაჩენი“, თბ., 2016]. რატომ არ აღშფოთდით და არ გააპროტესტეთ? მოგონებებში ქ-ნი მარი აპრამიშვილი მამათქვენის შესახებ წერს: „გზადაგზა, სანამ გადასახლების ადგილამდე ჩავალნევდით, პოლიტიკური პატიმრები მიყვებოდნენ მასზე, მის მოღალატეობაზე – სულ სხვადასხვა ჯგუფის წევრები“ [მარი აპრამიშვილი, „ბედისწერის განაჩენი, განაჩენი“, თბ., 2016, გვ. 62]. ამ სტრიქონების წაკითხვა მეც კი მიჭირს, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მე, მხოლოდ იმის გამო, რომ იმერეთის ბაგრატიონების შტოები შევისწავლე, მტრად შემრაცხეთ და ძალლონე არ დაიშურეთ ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად.

თქვენ არც პოეტი შალვა მჭედლიშვილისთვის გიპასუხიათ. თქვენი დაჯგუფების წევრები რატომ არ შეშფოთდნენ, რატომ არ შეადგინეს კოლექტიური საპროტესტო განცხადება? აი, ამონარიდები შალვა მჭედლიშვილის საგაზეთო წერილიდან: „პოეტი, ექიმი შალვა მჭედლიშვილი იხსენებს: „....

გამოძიებამ გრუზინსკის, როგორც სალონის ინიციატორის საქმე ცალკე გამოყო. გამოძიების დროს პეტრე პირზე დამადგა და სალონის ორგანიზებას მე მაპრალებდა. ეს იყო 1945 წლის 27 მარტი. ჩემთვის უდიდესი დარტყმა იყო გამომძიებლის მაგიდაზე ჩემი ლექსების რვეულის დანახვა, რომელიც მარი ჩეიძემ გადაწერა. პეტრემ მთხოვა, იქნებ წიგნად გამოცემა მოგიხერხო და ჩემი ცუდი „პოჩერკის“ გამო ლექსები მარი ჩეიძეს გადააწერინა. ხომ დიდი უბედურება იყო თავისუფლების დაკარგვა, მაგრამ არანაკლები გამოდგა მეგობრის დაკარგვა, მისი ღალატის გამო. ერთ საინტერესო ფაქტს მინდა მივაპყრო მკითხველთა ყურადღება. 1946 წლის ივლისში თბილისის „გუბერსკის გამანაწილებელ ციხეში“ პოლიტპატიმართა საკანში, სხვა პატიმრებთან ერთად პატიმარი ცუგრი თევზაძე დამხვდა.... ცუგრიმ მითხრა, რომ მისი ჩამშვებიც იგივე დიდგვაროვანი პიროვნება იყო, ვინც მე და ქალბატონი მარი აპრამიშვილი ჩაგვიშვა. მე ვიცნობდი სამხედრო ექიმს (მაიორს), რომელიც ცუგრისთან ერთად გაასამართლეს. პატიმრობის გასვლის შემდეგ სამხედრო ექიმი, მაიორი პოპაშვილი საქართველოდან გადაიხვენა. თანდათან, წლების გასვლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მარტო ჩვენ არ ვიყავით „დიდგვაროვანის“ მიერ გაბედნიერებულნი“ [„გვაცალეთ, სიკვდილი“... გაზეთი „მართალი გაზეთი“, №12 (97) აპრილი, 2002 წ.].

„მართალი გაზეთის“ რედაქცია იქვე აქვეყნებს თემურ სონდულაშვილის მონათხრობს: „...ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრები მე, თემურ სონდულაშვილი და ჩემი მეგობრები: არჩილ თავართქილაძე და ავთანდილ ვადჭკორია აღმოვჩნდით. გრუზინსკის მიერ შეთითხნილი ორგანიზაციის საქმის გამო დაგვაპატიმრეს. მოვიანებით აღმოვაჩინე, რომ მარტო ჩვენ არ ვიყავით პეტრე გრუზინსკის მსხვერპლნი. გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ჩვენი საქმე „შალვა მჭედლიშვილის საქმეს“, „მაიორის საქმეს“ და სხვათა საქმებს. იმისთვის, რომ თავად მშრალი გამოსულიყო, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტიც კი გახდა. თუმცა ჩვენთვის ისიც კარგადაა ცნობილი, რომ საღამოობით სახლში დადიოდა. სიგიურ თავის გადასარჩენად მოიგონა მხოლოდ... მარტო ის რად ლირს, რომ ვახტანგ კეკელიძემ და მარი ჩეიძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრეს. შალვა მჭედლიშვილის და ... მშვენიერი ქალბატონის დასმენა მათ დააპრალეს. ვეღარ გაუძლეს და თავი მოიკლეს“ [„გვაცალეთ, სიკვდილი“... გაზეთი „მართალი გაზეთი“, №12 (97) აპრილი, 2002 წ.].

რატომ ვერ ვხედავ კოლექტიურ წერილს? რატომ არ შეშფოთდით?

სხვა ინტერვიუში შალვა მჭედლიშვილი ამბობს: „იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ პეტრე გრუზინსკის მიერ შეთითხნილ საქმეს ვემსხვერპლეთ. როდესაც დაგვაპატიმრეს, ის ფსიქიატრიულში აღმოჩნდა და როცა ჩვენი ბედი გადაწყვიტეს, უცებ გამოჯანმრთელდა. მშვენიერი პოეტი იყო, მაშინაც კარგ ლექსებს წერდა, მაგრამ... 1945 წელს დამაპატიმრეს, წელიწადნახევარი უშიშროების საკანში მაყოფეს. მერე პეტრეს საქმე ცალკე გამოყვეს და გაგვასამართლეს...“ გელა ზედელაშვილის ინტერვიუ შალვა მჭედლიშვ-

ილთან, „ლიტერატურული საქართველო“, 21-27 მაისი, 2004 წ., №20 (3488)]

თქვენ და თქვენი დაჯგუფება ვერც მკვლევარი რეზო კვერენტისილაძის ინტერვიუმ შეგაშფოთათ. რეზო კვერენტისილაძე კი აცხადებს: „...იბადება აზრი, რომ არც გრუზინსკი იყო სუფთა... (მრავალწერტილი ტექსტშია – მ. ხ.) ამ აზრს კიდევ უფრო ამტკიცებს ერთი ნიუანსიც: გრუზინსკი რამდენიმე ხანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა, საიდანაც მაღლე გამოვიდა, უფრო სწორად, მაშინ გამოვიდა, როცა ამ უურნალის წევრების დაჭერა-დაპატიმრება დამთავრდა...“ [ლია ოსაძე, „ვინ გასცა უურნალ „ანათემას“ წევრები? (ინტერვიუ რეზო კვერენტისილაძესთან)“, უურნალ „გუმბათი“, 6-12 აპრილი, 2009 №14].

2002 წელს გამოქვეყნდა სვეტა ამბროლაძის წერილი „საქართველოს ტახტის მემკვიდრის საბედისწერო ცრურწმენა“. უცნობი ფაქტები გრუზინსკის პიოგრაფიდან“ [გაზეთი „ალია“, №35 (1245) 23-25 მარტი 2002 წ., გვ. 8]. გაზეთის იმ ეგზებლარის მინდვრები, რომელიც ლიტერატურის მუზეუმს გადაეცა, აზრელებულია ქ-ნი მარი აბრამიშვილის შენიშვნებით, რომელთაგან რამდენიმე მომყავს: „სვეტა ამბროლაძევ! საიდან მოიტანე ეს ამდენი (არა, ეს ამხელა!) სიცრუე?!“; „ლმერთო! შეუნდე! პოეტი იყო!!“; „შეიძლება ასეთი მოგონილი ამბები დაუტოვოს კაცმა ისტორიას?! რა ვქანა, ალარ ვიცი! სიმართლე რატომ უნდა დაიკარგოს?! მ. ა. “; და სხვა.

1995 წელს პირველად გამოქვეყნდა „დიალოგი, საუბრობენ მურმან ლებანიძე და ჭაბუა ამირეჯიბი“, რაც მოგვიანებით შევიდა მურმან ლებანიძის ოთხტომეულის IV ტომში. 1995 წელს თქვენ არც ისეთი მცირენლოვანი იყავით, რომ პასუხი ვერ გაგეცათ, „ბაგრატოვანთა სახლიც“ ოფიციალურად იყო დარეგისტრირებული და განცხადების გამოქვეყნება შეეძლო. რატომ არ შეშფოთდით? მომყავს ამონარიდები გაზეთ „ლიტერატურული საქართველოდან“: „მურმან ლებანიძე: – გაგახსენო?! პატიმრობიდან ახალი დაბრუნებული, ორ კაცს უპირებდი დაპირისპირებას – შენსავით ახალდაბრუნებულ ნაპატიმრალ პოეტს და თავის მოგიურიანებით სასჯელს გადარჩენილ აგენტს. ის აგენტი ცხვარივით შინ მომიყვანე, პოეტის მისამართი მე ვიცოდი, მაგრამ შინ არ დაგვიზვდა და დაპირისპირება ვერ შედგა...“

ჭაბუა ამირეჯიბი: ...მეოთხე ვინ იყო, მეკითხები და გაგახსენებ: ცხონებული რეზო იყო, თარხან-მოურავი, შესანიშნავი მხატვარი. დაპირისპირების იდეაც თარხან-მოურავისა იყო. ის, ცოტა ხანს ნაპატიმრალი, არცთუ უსახელო კაცი, მანქანის პატრონი, დადანაშაულებული იყო გამცემლობაში და ეს ფაქტი თითქოს მზად იყო დაედასტურებინა ხანგრძლივი პატიმრობიდან დაბრუნებულ ჩვენს საერთო ნაცონბ პოეტს...გზაში ჩვენ მართლაც ჩხუბი მოგვივიდა მანქანის პატრონთან, ანუ კაცთან, რომელმაც უშვერი სიტყვებით გინება დაუწყო ერთ ქალბატონს. ამის წინააღმდეგ წავიდა თარხან-მოურავი. მე გამოვესარჩდე თარხან-მოურავს და მანქანის პატრონს ვუითხარი: არ უნდა ამბობდე იმას, რისი საბუთიც არ გაგაჩნია; ციხე-ბანაკებში, მაგალითად, ასეთი წესია, თუ გამცემლობაში კაცს ბრა-

ლი დასდე და ვერ დაუმტკიცე, თავს მოგაჭრიან კომბოსტოსავით-მეთქი. ამაზე კი, – თვითონ გამცემლობაში ეჭვმიტანილმა კაცმა, – ფეხები არ მომჭამოთო, მითხვა. ამას ვერ შევარჩენდი და მერე ყველაფერი ისე იყო, როგორც შენა ჰყები. ბევრი მეხვენეთ შენ და თარხან-მოურავი, თვითონაც ბევრი მეხვენა, მაგრამ აღარ ვიყადრე მის მანქანაში ჩაჯდომა, ოლონდ ერთი დეტალი გამოგრჩა: ბოლოს, განწილებულმა და გულმოსულმა, თუ გაჭყლეტა არა, მანქანით გვერდის გაკვრა მაინც მომინდომა. სასწარაფოდ გავეცალე და უკან, ბუჩქებში გადავეშვი. ამასობაში ტრასაზეც გავსული-ყავით...“ [„დიალოგი, საუბრობენ მურმან ლებანიძე და ჭაბუა ამირეჯიბი“, „ლიტერატურული საქართველო“, 6-13 ოქტომბერი, 1995 წ., №40 (3041)]. ლიტერატურის მუზეუმისთვის გადაცემული გაზეთის ფურცელზე მარი აბრამიშვილის მინაწერებია: „აგენტთან პური როგორ გატეხეთ?!“ „აგენტში იგულისხმება... (მრავალნერტილი ჩემი ჩასმულია – მ. ხ.), ხოლო პატიმრო-ბიდან დაბრუნებული პოეტი კი შალვა მჭედლიშვილი იყო.“

მუზეუმისთვის გადაცემული სხვა პუბლიკაციების ციტირებას აღარ შევუდგები. ისედაც აშკარაა, რომ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი და მისი დაჯგუფების წევრები მხოლოდ ი. ბიჭიკაშვილის მიმართ გამოთქმული შენიშვნების გამო შფოთდებიან!

გარდა უშუალოდ 1945 წლის „საქმისა“, საარქივო დოკუმენტებიდან კიდევ ერთი საკითხი წარმოჩინდა. პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი 1942 წელს დაპატიმრებული ყოფილა, მაგრამ როგორც ჩანს, არც მჯდარა და მასზე არც არავითარი საქმე არ შეუდგენიათ – „Грузинский-Багратиони Петр Петрович, 1920 г. рож. Урож. Г. Тбилиси, грузин гр-н СССР, из быв. князей с высшим образованием ... привлекался к ответственности 3/II-45 г по ст. 58-3 (в архиве дело не найдено, решение неизвестно)...“ (იხ. გვ. 25). იბადება კითხვა: ხომ არ არის ეს იმ გახმაურებული ზეპირი გადმოცემის გამოძახილი, რომლის თანახმად, სწორედ 1942 წელს შემდგარა პეტრე ბაგრატიონის მეფედ კურთხევა, რის შემდეგაც ყველა იქ დამსწრე პირი დაუპატიმრებიათ? ამ ფაქტის ამსახველი დოკუმენტური მასალა ჯერ-ჯერობით არ გამოჩენილა, მაგრამ ზემოთ დამოწმებული ამონარიდი გარკვეულ მოსაზრებებს ბადებს.

მკითხველს ვაცნობ ამონარიდებს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ფონდიდან № 6. [საარქივო სამმართველო, ფონდი №6, საარქივო №45 285, ტომი 6/1. №78] (იხ. სურ. №1, სურ. №2, სურ. №3, სურ. №4, სურ. №5, სურ. №6, სურ. №7).

"УТВЕРЖДАЮ".

НАЧАЛЬНИК СЛЕД. ОТДЕЛА НКГБ ГССР  
ПОЛКОВНИК ГОСБЕЗОПАСНОСТИ

( М А И Я )

\* " марта 1945 года.-

ПОСТАНОВЛЕНИЕ

"31" марта 1945 г. гор. Тбилиси.

Я, Пом. Начальника След. Отдела НКГБ Грузинск. ССР  
Подполковник Госбезопасности ЧИТАЯ, рассмотрев материалы,  
поступившие из 2-го Отдела "А" НКГБ ГССР, на ГРУЗИНСКОГО-БАГРА-  
ТИОНИ Петра Петровича и др.

Н А З Е Л:

ГРУЗИНСКИЙ-БАГРАТИОНИ Петр Петрович, МЧЕДЛИШВИЛИ Шалва  
Захарович, АБРАМИШВИЛИ Мария (Мари) Ивановна, АГНИАШВИЛИ Иза  
(Лиза) Петровна и ШАНШИASHVILI Тамара Владимировна изоблича-  
ются в причастности к не легальной а/с молодежной организации.  
Указанные группы молодежи, сколотившиеся в так называемый ли-  
тературный салон, прикрывавший свою а/с деятельностью занятия-  
ми либо ратурией, выпускала и распространяла лит. журнал под наз-  
ванием "Анафема" (проклятие), куда помещались соб-  
ственные стихии с призывом свержения Советской власти (в заува-  
лившем виде).

Исходя из изложенного, -

ПОСТАНОВИЛ:

Дело на ГРУЗИНСКОГО-БАГРАТИОНИ П.П., МЧЕДЛИШВИЛИ Ш.З.,  
АБРАМИШВИЛИ М.И., АГНИАШВИЛИ И.П. и ШАНШИASHVILI Т.В. принять  
к своему производству по признакам ст.ст. 58-10 ч.П-я и 58-11  
УК ГССР.

Копию настоящего постановления переслать Отделу "А"  
НКГБ ГССР и надзирающему Прокурору.

ПОМ. НАЧАЛЬНИКА СЛЕД. ОТДЕЛА НКГБ ГССР  
ПОДПОЛКОВНИК ГОСБЕЗОПАСНОСТИ

(ЧИТАЯ)

ИЕ/2

სურ. №1. ამონარიდი საარქივო საქმიდან [საქართველოს სახელმწიფო უმიმროების სამინის-  
ტროს საარქოვო სამმართველო, ფონდი №6, საარქივო №45 285, ფომი 6/1. №78].

ազգային մասնաշխատությունը կազմում է 2 պ. 6 տարեկան ծավալը:

**მას აეგო - მხატვები:** ედუდენიძე, სულფანიანი.

3. սպազմակ լուս /լուս / Ֆրիցե-անցը, 1922 Եղբ քածար-  
ձը, անշնչառ յախազը, հ. և. հ. յ. Ցոյնըցց, ըստուածի, ֆանիստ,  
վարդուկ գնառուցն, Ներկուեցն ան ցտուր, մին որիցն յար.  
առաջն ծանրու ցիկ Ա 71-ը.

4. Задані вимоги до підприємства зроблені вже в 1922 році та не змінилися.  
Задані вимоги до підприємства зроблені вже в 1922 році та не змінилися.

Հուն, 2 զե 58-ի մցեցքըտ. Նաձհացքը զայլ զայլ աշխատ է ծնոնեց ծիկ-  
բացը ծիկ ծիկ պատուի, համ ուցնեց նա ուսնե մահցը ք  
բանց առողու նաժի առ եցրու պարցը նազմա զ մոթեցն եցյի այցը ունի  
անահյուրը պատուուն առցցնես 2094 եցը ու ունի գալուստունց բ  
ալլեց ունց նարանց, նարա մթնեց անլուցց զ ալլուցց անց  
բանց պարցունց լցցնց ի բանուց յ անլու լցուցունց ի աննարու  
լցը ճանի / անհյուր ուղց յըր " անասցա ". հոմքը ուրա սեցնց բ  
ան յուու եցը պարցն եանոնա առջուց լցցնց ի անլուցց անց  
անց ուու յ անհյուր նեցն ամսուան ցիուք այցը զցն նարուն մահցն հոմ-  
քը անցնենունց յըր աննեան յ ամուն անցան յըր նարն. ուցը թմւ յ անցը  
և եան անու ու եանցը անցնց յըր նոնանան յ ամուուն մահց-

სურ. №3. ამონარიდი საარქეოგრ საქმიდან. გაგრძელება [საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამინისტროს საარქოგო სამსართველო, ლონდონ №6, საარქოგო №45 285, ტომი 6/1. №78].

129

ნანიდოთ გა 58-ის მუხლით ხასაბაძობო მო სუნთ დამტკიცებ ჯდება.  
მიზევვით ხემოაღნიშნულის გა ხერმძღვან კლოშტა ს.ს.ს.კ. 319-320-  
წე. საქ. უმაღლეს ხასაბაძობოს სისხლის ხასაბაძობის საქმეთა ხასა-  
ბოთო კოდეკის გ ა გ ი ნ ა: მჯედრიშვილი მდგრად ხასაბაძობის-და  
აბრამიშვილი მანიამ ივანე ებ-ასული, აღნიაძევარი ღიბა/იმა, ყიყო/  
უყინებ-ასევე გა განიაგვილი დაბარი ტერები მუშაობის-თური ყნობილი  
ყნან განამარცვებ ს.ს.კ. 58-ის მუხლის 2 ნანიდოთ გა 58-ის მუხლით  
ა. მიესახუ მჯედრიშვილს გა აბრამიშვილი უკვესი/გ/ წრით ა/აღვევვოდ  
ითოვეს ხორ ა-შორევის გა განიაგვილის კი ამის/4/ წრით თა-  
ნუფრდის არავთ. თვითოვეს მათი ნიკი ქონდპის კ ტოსეკულით.  
ასაბ მად ს.ს.კ. 21 მუხ. 11 მუხ. 12 მუხ. 13 მუხ. 14 მუხ. 15 მუხ.  
დამატას ხევის მოხვის მდგრად არი/გ/ წრით თვითოვეს. თანაბ მად  
ს.ს.კ. 29 მუხლის ჩაცოდეთ ნინჭს ხანი პატიომა 1945 წრის  
მანიფიდან. განასახი ხადო მო გა კასაციური ნაცხლ განხაჩივ-  
დას ას კეცებებისას.

ազգագրությունը : Ապրիլ մոսկվա  
ինքնաշխատ մեջ աշխատությունը : Պատմական աշխատությունը  
և բարեկարգությունը - ԸՆԿ.

0 0 0 0 0 5 n 0 0 0 -

• 8 9 8 8 8 8 8

— 030 —  
— 030 —

"УТВЕРЖДАЮ".

НАЧАЛЬНИК СЛЕД.ОТДЕЛА НКГБ ГССР  
ПОЛКОВНИК ГОСБЕЗОПАСНОСТИ

( М А Н И Я )

" марта 1945 года.-

ПОСТАНОВЛЕНИЕ

"31" марта 1945 г. гор. Тбилиси.

Я, Пом. Начальника След. Отдела Н К Г Б Грузинск. ССР  
Подполковник Госбезопасности ЧИТАЯ, рассмотрев материалы,  
поступившие из 2-го Отдела "А" НКГБ ГССР, на ГРУЗИНСКОГО-БАГРА-  
ТИОНИ Петра Петровича и др.

Н А З В Л Е Н И Е

ГРУЗИНСКИЙ-БАГРАТИОНИ Петр Петрович, МЧЕДЛИШВИЛИ Шалва  
Захарович, АБРАМИШВИЛИ Мария (Мари) Ивановна, АГНИАШВИЛИ Изабелла  
(Лиза) Петровна и ШАНИШВИЛИ Тамара Владимировна изобличаются  
в причастности к нелегальной а/с молодежной организации.  
Указанная группа молодежи, склонившись в так называемый ли-  
те ратурный салон, прикрывавший свою а/с деятельность занятиями  
литературой, выпускала и распространяла лит. журнал под названием  
"Анафема" (проклятие), куда помещались собственные стихи с призывом свержения Советской власти (в зауваженном виде).

Исходя из изложенного,-

ПОСТАНОВЛЕНИЕ

Дело на ГРУЗИНСКОГО-БАГРАТИОНИ П.П., МЧЕДЛИШВИЛИ Ш.З.,  
АБРАМИШВИЛИ М.И., АГНИАШВИЛИ И.П. и ШАНИШВИЛИ Т.В. принять  
к своему производству по признакам ст.ст. 58-10 ч. II и 58-11  
УК ГССР.

Копию настоящего постановления переслать Отделу "А"  
НКГБ ГССР и надзирающему Прокурору.

ПОМ. НАЧАЛЬНИКА СЛЕД. ОТДЕЛА НКГБ ГССР  
ПОДПОЛКОВНИК ГОСБЕЗОПАСНОСТИ

( ЧИТАЯ )

ИЕ/2

სურ. №6. ამონარიდი საარქივო საქმიდან [საქართველოს სახელმწიფო ფილმოების სამინისტროს საარქოვთ სამმართველო, ფონდი №6, საარქივო №45 285, ტომი 6/1. №78].

Зам. нач. отдела по следствиям  
прокуратуры СССР  
государственный советник  
юстиции СССР

И. Я. СКОРОХОДОВ /.

22 января 1946 года.

Секретно.

ПОСТАНОВЛЕНИЕ.

1946 года, 22 января, и.о. прокурора отдела по следствиям старший советник юстиции т. КОВ, рассмотрев следственное дело по обвинению:

ГРУЗИНСКОГО-БАГРАТИОНА Петра Петровича, МЧЕДЛИШВИЛИ  
Шалву Захаровича, АБРАМИШВИЛИ Марии Ивановны  
ШАНИASHVILI Тамары Владимировны, АГИАШВИЛИ Лизы  
Петровны, подст. 58-го, ч. 1 ст. РСФСР,

НАШЕЛ:

Что обвиняемые ГРУЗИНСКИЙ-БАГРАТИОН, МЧЕДЛИШВИЛИ, АБРАМИШВИЛИ, АГИАШВИЛИ, ШАНИASHVILI, орудуя антисоветскими настроениями, обединились в гор. Тбилиси под руководством ГРУЗИНСКОГО-БАГРАТИОНА в так называемое "Литературный салон", устраивали собрания, на которых помимо осуждения собственных антисоветских стихов и других произведений, восхваляли известных им участников ликвидированных контрреволюционных организаций в г. Тбилиси.

Состав преступления всем привлеченным по настоящему делу доказан, для рассмотрения в суде препятствий нет, поэтому рассмотрение настоящего дела на Особом Совещании не вызывает необходимости.

На основании изложенного и руководствуясь ст. 225 УПК,

ПОСТАНОВИЛ:

дело по обвинению ГРУЗИНСКОГО-БАГРАТИОНА цп., МЧЕДЛИШВИЛИ  
Ш.З., АБРАМИШВИЛИ И.И., АГИАШВИЛИ Л.Н., ШАНИASHVILI Г.В.,  
направить в НКГД Грузинской ССР для одобрения и направлене  
в суд.

и.о. прокурора отдела по следствиям  
прокуратуры СССР

старший советник юстиции: И. Я. СКОРОХОДОВ /.

14.1.46.  
5-г-361.

სურ. №7. ამონარიფი საარქივო საარქივო საქმიდან [საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საარქოვო სამმართველო, ფონდი №6, საარქივო №45 285, ტომი 6/1. №78].

Р.С. ამონარიდი გაზეთიდან [„გვაცალეთ, სიკვდილი“... „მართალი გაზეთი“, №12 (97) აპრილი, 2002 წ.,]

„გეოგრაფია, ხუცურავა” ...



ప్రశ్న గుర్తించాలని విషయమే  
అధికంగా గాలిగాలి. ఆస్తి  
ప్రశ్న లేదా ఆస్తి విషయమే  
అందులో కొన్ని విషయాలను విభజి  
ం చేయాలని విషయమే. అందులో  
కొన్ని విషయాలను విభజి  
ం చేయాలని విషయమే. అందులో  
కొన్ని విషయాలను విభజి  
ం చేయాలని విషయమే.

“கால்பாதி”-  
நோய் குறிச் சுலபமாகவே  
நீண்ட வாரங்கள் வரும் போது  
நீண்ட கால்பாதி மாலையில் அதே  
நோய் குறிச் சுலபமாகவே

→ [View post](#)

ପ୍ରକାଶିତ ଗୁଣ୍ଡା, ଏକିମାତ୍ର ମହିନେ  
ଦେଖିବାରେ ଆଜିମାତ୍ର ଯେତେ ଅଧିକ  
ପ୍ରକାଶିତ ହେଲା, ତେବେଳେ  
ଦେଖିବାରେ ଆଜିମାତ୍ର ଯେତେ ଅଧିକ

ახლა „ნინამძღოლის მოადგილე გიორგი ბაგრატიონი-ჯაფარიძეს“ მი-  
ვმართავ. უპირველეს ყოვლისა, მაინტერესებს როდის და რა გზით გახდით  
წინამძღოლის მოადგილე? როდესაც „ბაგრატოვანთა სახლი“ ოფიციალ-  
ურად არსებობდა და მისი წინამძღოლი დედათქვენი, ქალბატონი ნინო  
ბაგრატიონი ბრძანდებოდა, მაშინ თქვენ მოადგილე არ ყოფილხართ. მისი  
გარდაცვალების შემდეგ, საზოგადოება აღარ არსებობს როგორც იურიდ-  
იული პირი და თქვენ ვისი და რისი მოადგილე ხართ? დავუბრუნდეთ ძირ-  
ითად თემას – შეშფოთებას, რაც კარგად გეხერხებათ. 1964 წელს ცნო-  
ბილმა ისტორიკოსმა, ნიკო ბერძენიშვილმა გამოსცა ნაშრომი, რომელშიც  
ნათქვამია, თითქოსდა, ბაბუათქვენმა, დავით ბაგრატიონმა გვარი შეიცვა-  
ლა და ჩეკიშვილად დაეწერა [ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის  
საკითხები“, ნ. II თბ., 1964, გვ. 5]. მაშინ რატომ არ შეშფოთდით? იქნებ,  
იმიტომ, რომ მაშინ „ბაგრატოვანთა სახლი“ არ არსებობდა და შესაბამისად,  
ვერც კოლექტიური განცხადება დაიწერებოდა? 1996 წელს, ისტორიკოსმა,  
პროფესორმა ნესტან კირთაძემ თავის ნაშრომში გამოაქვეყნა დოკუმენტი,  
სადაც დავით ბაგრატიონი „ჩეკისტად“ არის მოხსენიებული [ნესტან (ელის-  
აბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ.  
315]. თქვენ და თქვენმა დამ – ქ-ნმა დალიმ (აღარ ვიცი, რა გვარით მო-  
ვიხსენიო) თქვენებურად რატომ არ გალანდეთ წიგნის ავტორი და „ფსე-  
ვდომეცნიერი“ რატომ არ ეძახეთ? ვერ გაბედეთ, თუ არ წაგიკითხავთ,  
რადგან ი. ბიჭიკაშვილის ნაწერების გარდა, სხვას არაფერს კითხულობთ?  
2008 წელს, ცნობილი და პატივცემული ქალბატონის, ბაბო დადიანის ოჯახ-  
მა მისი მოგონებების წიგნი გამოაქვეყნა, სადაც ქალბატონი ბაბო დადიანი  
პირდაპირ აცხადებს: „მანქანაში იჯდა დავით ბაგრატიონი, დიდგვაროვანი  
ჩეკისტი, რომელიც ბერიას ერთგულად ემსახურებოდა. მან ჩეკაში ჩაყარა  
მთელი ოფიცრობა და თავადაზნაურობა“. გამნარებულ ხალხს „მოღალატე  
ბაგრატიონის“ შესახებ ლექსიც გამოუთქვამს [ბ. დადიანი, „მოგონებათა  
დღიურები“, თბ., 2008, გვ. 47]. სად იყო 2008 წელს ბაგრატიონთა და-  
ჯგუფება, სად იყვნენ საზოგადო მოღვაწეები, სად ბრძანდებოდით თქვენ,  
ნუთუ ეს ყველაფერი ერთ ხეირიან შეშფოთებას არ იმსახურებდა?

მინდა გულწრფელად გითხრათ, მე ვიცი, რომ ეს დიდი ტრაგედიაა. ბა-  
ბუათქვენი, ყველაფერის მიუხედავად, 1937 მაინც დახვრიტეს. მისი საქმე  
არქივში ვერ ვნახე, მაგრამ ის შეყვანილია დახვრეტილთა სიაში [საქართ-  
ველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საარქოვო სამმართველო,  
ფონდი 12]. შეყვანილია არა ჩეკიშვილად (ჩეკას შვილს ხომ არ დახვრეტდ-  
ნენ), არამედ თავისი ნამდვილი სახელითა და გვარით: ბაგრატიონი და-  
ვით ალექსანდრეს ძე. დახვრეტის თარიღია – 30 სექტემბერი, 1937 წელი.  
დავითი – ბაგრატიონად დაიბადა და ბაგრატიონად აღესრულა. რა საჭ-  
იროა მთელი ეს ინსინუაციები: გარდაცლილისთვის გვარის შეცვლა, მისი  
გამოცხადება ბაგრატიონ-იმერეტინსკად? რა საჭიროა ისტორიის დამახ-  
ინჯება და დავითის შერაცხვა „იმერეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრე“?

მე თქვენ როდესლაც გიცნობდით როგორც ღირსეულ ადამიანს. ვიცნობდი თქვენს შესანიშნავ ცოლ-შვილს. ახლა, თქვენ ჯიქურ მიიწევთ იმერეთის ტახტის მემკვიდრის სტატუსისაკენ. აკი, ნუგზარ ბაგრატიონის დაჯგუფება უკვე „სამეფო უმაღლესობის“ სტატუსით მიგიხსენიებთ. გირჩევთ, საღაზრის მოუხმოთ და თან ყველაფერზე ნუ შფოთდებით.

არავინ აგებს პასუხს თავისი წინაპრის გამო, ნებისმიერი ჩეკისტის შვილსა, თუ შვილიშვილს, შეუძლია ნებისმიერი თანამდებობა დაიკავოს, მაგრამ არსებობს ერთი დაუწერელი კანონი: ტახტისკენ მიმავალი გზა ჩეკაზე არ უნდა გადიოდეს!

მივმართავ ბაგრატიონ-დავითიშვილების, ბაგრატიონ-ბაბადიშვების და ე.ნ. ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტოს (ყოფილი დავითიშვილების) წარმომადგენლებს. რადგან აკადემიის „უურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნებული ჩემი წარილის გამო, შეშფოთება გამოთქვით, ეს ნიშნავს, რომ ისტორიისა და ისტორიოგრაფიის ცოდნაზე გარკვეულ პრეტენზიებს აცხადებთ. გთხოვთ, განმარტოთ, მაშინ რატომ არ შეშფოთდით, როდესაც საქმე უშუალოდ თქვენ გეხებოდათ? მოგეხსენებათ, მეფე ერეკლე II-მ გეორგიევსკის ტრაქტატს დაურთო ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია, რომელშიც სხვებთან ერთად შეყვანილი არიან თავადი ბაგრატიონ დავითიშვილები, თავადი ბაბადიშვილები, ასევე აზნაური დავითიშვილები. 1983 წელს გიორგი პაიჭაძემ გეორგიევსკის ტრაქტატი სიასთან ერთად გამოსცა. პირთა საძიებელში მითითებილია „ბაგრატიონი დავითისშვილი 62“, მაგრამ 62-ე გვერდზე დასახელებული გვარი არ იძებნება. ასევე გამორჩენილია 58-ე გვერდზე მითითებული „ბაბადიში“ და 59-ე გვერდზე მითითებული „დავითისშვილი“. გამოცემას რუსულადაც ახლავს პირთა საძიებელი. „**Князь Давыдов Багратион-85, 86**“ – მითითებულ 86-ე გვერდზე ბაგრატიონ დავითიშვილი არ აღმოჩნდა, ასევე გამოტოვებულია „**Бабадов – 85**“, ხოლო დავითიშვილები, თუ დავიდოვები, პირთა საძიებელში საერთოდ არ არიან შეყვანილი [„გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესვალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ, თბ., 1983]. აღნიშნული გვარების მატარებლებს შესწორების შეტანა დღემდე არ მოგითხოვიათ. რატომ არ შეშფოთდით? თუ ი. ბიჭიკაშვილის დაცვით ისე ხართ დაკავებული, რომ საკუთარი თავი და გვარი აღარ გახსოვთ?!

ცალკე გამოყოფ ბაგრატიონ-ბაბადიშვებს და ერთ მარტივ შეკითხვას დავუსვამ: რატომ არ შეშფოთდით, როდესაც ყ-დნმ ტესტით დადგინდა, რომ ბაგრატიონებთან არაფერი გაკავშირებთ? შეშფოთების ნაცვლად, წყნარად განაგრძეთ ბაგრატიონის გვარის მითვისება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

მივმართავ ოფიციალური პასკვილის ხელმომწერი ბაგრატიონ-დავითიშვილების თავადური შტოს წარმომადგენლებს, მათ შორის ბ-ნ ჯან ბაგრატიონს. რატომ არ შეშფოთდით, როდესაც ისტორიკოსმა, პროფესორმა

დავით ნინიძემ გამოაქვეყნა ბაგრატიონ-დავითიშვილთა გენეალოგიური ტაბულა, სადაც ზაალ გიორგის ძის შვილად ნაჩვენებია როსტომი, ხოლო როსტომის შვილად „სოლომონ (უკანონი)“ [დავით ნინიძე, „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა“, (ბაგრატიონ-დავითიშვილები), თბ., 1999, გვ. 69]. როდიდან შეეჩვიეთ სიმართლის უშფოთველად მიღებას? მე კარგად ვიცნობ იმ საარქივო მასალებს, რომლებსაც ავტორი ეყრდნობოდა: „Соломон Давыдов Багратионов есть незаконный сын Князя Ростома Давыдова Багратионова“ [ქსე, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 452, ფ. 126]. „...Соломон есть незаконнорожденный сын от матери Марини и от отца Ростома которые до сочетания брака блудно жили“ [ქსე, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 452, ფ. 125] (იხ. სურ. №1 და სურ. №2). რუსეთი სოლომონს თავადობასაც არ უმტკიცებდა. მართალია, მდგომარეობა შემდგომში გამოსწორდა, მაგრამ ეს საარქივო ჩანაწერები ხომ არსებობს, ისევე, როგორც უკანონოდ შობილი სოლომონის დაბადების ჩანაწერი. ი. ბიჭიკაშვილი თქვენი წინაპარი სოლომონის უკანონოდ შობის ფაქტს მალავს. სოლომონთან ვერ ნახავთ წყვეტილ ხაზებს, რომლებსაც სხვების დასამცირებელ იარაღად იყენებს. უფრო მეტიც, ი. ბიჭიკაშვილმა წიგნში „ბაგრატიონები“ გამოაქვეყნა თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების გენეალოგიური ტაბულა №9, რომელშიც მთელი ერთი მწვრივი ჰაერშია ჩამოკიდებული. (არ ჩანს, თუ ვისი შვილები არიან შემდეგი პირები: „სოლომონ 1880-1913, ირაკლი, მარგარიტა, დიმიტრი, ლევან 1883-1912, იოსებ 1887-1909, ლუარსაბ 1889-1941, თეკლე 1891-1975, დავით 1894-1924, შალვა 1897-1956, დიმიტრი 1900-1937, ილია 1902-1924, ნატალია 1904 1971, ელენე 1906-1995, ანა 1908-1975, ადამ 1995 (ტაბულაში ასეა -მ. ხ.)-1948, ნინო 1897-1969, ნიკოლოზ 1902-1940, ელენე, თინათინ, ქეთევან 1914-1986, სოლომონ, თამარ 198-1979, ირაკლი (ჯანო) 1909-1979, მანანა დ. 1915, ნატალია დ. 1922, ელენე 1915-1996, ეთერი დ. 1921, ნინო 1906-1989, ნიკოლოზ 1909 1981, გიორგი 1914-1935, იოანე 1880-1937, დარეჯან 1883-1925, ბასილი 1887-? ნინო 1889-?, ანატასია 1891-1986, ვლადიმერ 1899-1944“). რატომ არ შეშფოთდით, ბატონებო? იქნებ, ი. ბიჭიკაშვილმა ეს კვალის აბნევის მიზნით, სწორედ თქვენი თანხმობით ჩაიდინა? წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენს შეშფოთებას რა ედგა წინ?

ЦВНА 50 КОП. СЕР.



1840 года Генваря 10-го, по узаку № 11111  
Императорского Величества Грузинского Дворян-  
ского Депутатского Собрания рассматривавши до-  
лжностное содержание Горийской грады князя  
Соломона Ростомиши сына Давидовича Гагариного  
при поданном в 1831 года февралях 26-ме сие Собрание прими-  
ким представшему члену браковты постановление на штоте  
и крестильни гагрии Ростомиши и Евлампия, свидетельство  
18 благородных особ о действительности происхождения  
их из той самой Князей Давидовых Багратионовых  
фамилии, которая показана в трахтате землемер-  
ной линии. Российские Императорские дворянство  
с Грузинским царем Ираклием, по кончине русской  
и английской списки, просимъ снести род ихъ въ пади  
жизненную часть дворянской родословной книги. С походу  
сего Депутатского Собрания 12-го октября 1834 года за № 359  
просимъ Горийскому Управу Земской Положению  
вторичное уздание: первымъ имъ когда либо обложеніи  
казенной подати на право отъ простолюдинамъ и не отъ  
бывающимъ ли таковой именъ декларационые книжеское  
достописство Соломона и Георгия Ростомиши и Давида  
Георгиевъ сыновья Давидъви Багратионовы отмѣнѣти  
буровъ Горийской грады въ аспеніи Абано, такъ же по  
отъвѣннiciи имъ Иванъ Багдадровъ сынъ, и сънѣкъ его и дас  
самъ Давидъви иже Багратионовы. На съдѣствіе сего  
взысканія управа при отнесении отъ 18 июня 1832-  
го года сен-р. 17/5, препроводила сие Собрание дознаніе, како  
съ 10-и вѣковъ поэтъ прославленъ достопочтаемъ Соломонъ и Георгий  
Ростомиши сыновья и Иванъ Багдадровъ сынъ, такъ же род  
отъвѣннiciи имъ Иванъ Багдадровъ сынъ и членъ имѣріи;  
и сънѣкъ его Михаилъ Давидъви Багратионовы иже членъ  
были при Грузинскихъ царяхъ и при Россійскомъ  
правительствѣ обложены казенной подати на право  
отъ простолюдинамъ и именъ неотвѣдаемъ, а какъ по  
имъ показаніемъ вседа именованіи Князьями, въ  
прогрессъ изъ нихъ помимо есть незаконн-рошенный  
сынъ отъ матери Марине и отъ отца Гостомиши



საქართველოს National  
Archives of  
Georgia

სურ. №1. საარქივო საქმის ფრაგმენტი თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების უკანონოდ  
შობილი წინაპარი სოლომონის შესახებ [ქსე, ფონდი 213, აღნერა 1, საქმე 452, ფ. 125].

до сознания брака будто отменил... Всё подобное  
было временно это было письменных клятв  
Давыдовских Гагариновских с подсечкой  
или доказательствами в гилье прописок клятв  
каких у них, были препротивлены и Депутат  
скло Собранию Съезду Каминии Высочайши  
установлены для разсмотрения Грузинских и Имеретин  
ских царских документов, для подтверждения реаль-  
ности и определения достоверности этих документов,  
которые при отложении от 17 февраля 1897 года за  
№ 752 возвращая виновному члену содоговорен-  
тии присовокупил, что она сопровождена свидетель-  
ством с депутатом разсмотревшего вышеуказанные  
документы Гагариновской герб  
сталинградской клятвы, что оные подтверждены и  
нарушений каких неподтверждены ни какими  
сомнениями, и что имеющиеся на оных подписи и  
написание на них брачных погреков и гербов  
людей и проч., как по разсмотрению переведено с них до  
документов оказались, согласно с отмеченными избранны-  
ми собою незаключающим всеобщей никакой важности,  
незаключающим смысла никаких документов, и по  
тому училины быть признаны незаслуживающими  
свидетельства, означенные еще два документа Каминии  
были признаны существительными, несмотря на то  
что имеются в них погреки, как и незаключающие  
смысла документов и потому незаслуживающими  
никакой свидетельства; каковое выражение Каминии  
всеми Г. Генералуправляемым Грузин Тифлис  
имел Решение № 1 признать оснований нет - № 1476  
известная ему при данных сего Собранию копии с  
дополнением Каминии по сущему предложму  
к. Г. Генералуправляемому Грузин 25 Генваря 1836  
года санк 484 поставлено именем, а отъ ее Высокопреос-  
вященства Святейшее Собрание препротивленной между  
прописок видно, что 12 малородильных оных свидетельств  
= санкт



საქართველოს National  
Archives of  
Georgia

სურ. №2. საარქივო საქმის ფრაგმენტი თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების უკანონოდ შპ-ბილი წინაპარი სოლომონის შესახებ. (გაგრძელება) [ქსე, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 452, ფ. 125ა].

**ახლა კი პირადად ბ-ნ ჯანო ბაგრატიონს მივმართავ.** რატომ გაშფოთებთ ბ-ნი ირაკლი ბაგრატიონის (და ჩემი) წინაპარი ბაგრატიონების ხსენება? როსტომ ბაგრატიონს პეტერბურგში მეფე სოლომონ II-ის ქვრივი თავისითან აცხოვერებდა, რადგან ის მეფის ახლო ნათესავი იყო. **იმ მეფე სოლომონზე მოგახსენებთ, რომელსაც 1810 წელს, თბილისის ციხიდან გაქცევაში თქვენი წინაპარი, თბილისელი სომეხი მურასოვები დაესმარნენ.** ტორმასოვის მიერ იმავე წლის 28 დეკემბერს ხელმონერილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ იმპერატორის ბრძანებით, ტფილისის მცხოვრები სომეხი ბეჟან მურასოვი, მისი ცოლი და და – ქეთევანი, მეფის მსახურ თაბუაშვილთან ნაცნობობის წყალბით, ეხმარებოდნენ სოლომონ მეფეს. ბეჟანს ჯერ დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ მერე, როგორც ხანშიშესულს, განაჩენი შეუცვალეს და ოჯახთან ერთად ციმბირში გადაასახლეს. იმპერატორმა მხოლოდ 1819 წლის 6 ივნისს დააკმაყოფილა მეფე სოლომონის დის, მარკამ ბატონიშვილის თხოვნა და მურასოვის ოჯახის სამშობლოში დაბრუნების ბრძანება გასცა [სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 363]. ბეჟანის მამის სახელი ცნობილი არ არის, ამიტომ არ შეგვიძლია ზუსტად განსაზღვრა, თუ რა ნათესავად ერგებოდა მას მისივე მოგვარე ეკატერინე ოსეფას ასული, რომელიც ისე დაწინაურდა, რომ თავად სულხან იასეს ძე ბეგთაბეგოვს გაჰყვა ცოლად [С. Думин, П. Гребельский, Дворянские роды Российской Империи, т. III, Князья, под редакцией С. В. Думина, М., 1996, с. 80, таб. №18], ხოლო მათი ქალიშვილი სალომე სულხანის ასული ბეგთაბეგოვა თავად ნიკოლოზ სოლომონის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილზე გათხოვდა. თქვენ ხომ მათი შთამომავალი ბრძანდებით. ამიტომ სანამ შეშფოთდებით, ჯერ კარგად დაფიქრდით, ვისზე შფოთავთ და რატომ!

**დაბოლოს, ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტოს შეშფოთებულ წარმომადგენლებს მივმართავ.** რატომ მაშინ არ შეშფოთდით, როდესაც პროფესორმა დავით ნინიძემ განაცხადა, რომ აზნაურ დავითიშვილებს არაფერი გაქვთ საერთო თავად ბაგრატიონ-დავითიშვილებთან [დავით ნინიძე, „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა“ (ბაგრატიონ-დავითიშვილები), თბ., 1999], ანუ თქვენ არავითარი ბაგრატიონები არ ბრძანდებით. თქვენ შეშფოთება არ გამოგიხატავთ, რაც თქვენი თანხმობის ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

ბაგრატიონი მეფეები ფიცხელ ომშიც არ ჰყარგავდნენ სიმშვიდეს. თქვენც, ვინც კანონიერად, თუ უკანონოდ ატარებთ მეფთა დიდებულ გვარს, ეცადეთ ნელ-ნელა გადაეწვიოთ უსაგნო შეშფოთებას და მეტი თავ-შეკავება გამოიჩინოთ. ამას მოითხოვს თქვენგან ბაგრატიონის გვარი!

P.S. როგორც აღვნიშნეთ, ტახტისკენ მიმავალი გზა ჩეკაზე არ უნდა გადიოდეს, მაგრამ ე. წ. „ბაგრატოვანთა სახლის“ კლასტერისათვის ეს არის ის ერთადერთი გზა, რომელიც ტახტისკენ მიდის, ან „მისი სამეფო უმაღლესობის“ წოდებას უზრუნველყოფს. მე იმას არ ვგულისხმობ, რომ ისინი პირადად იყვნენ ჩაბმული საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ როდესაც საქმე ტახტის მემკვიდრეობას ეხება,

ვალდებული არიან თავიანთი წინაპრების ერთი-ორი თაობის საქმიანობას გადახედონ და საკუთარ თავს დაუსვან კითხვა, რამდენად შეთავსებადი იყო ეს საქმიანობა საქართველოს ინტერესებთან. კიდევ ერთხელ გასაგებად განვმარტავ, რომ რიგითმა მოქალაქეებმა ჩემ მიერ წამოყენებული მოთხოვნა საკუთარ თავზე არ უნდა მიიღონ. ეს მხოლოდ ე. წ. „ტახტის მაძიებლებს“ ეხებათ. მათ თვითკონტროლის უნარი რომ გააჩნდეთ, ასეთი მტკიცნეული თემის წამოწევა არ დამჭირდებოდა. ისეთი შთბეჭდილება რჩება, რომ მონარქისტულ მოძრაობაში გაჩნდა წყალქვეშა დინება. გარკვეულ ძალებს მიზნად დაუსახავთ, შეუფერებელი მემკვიდრის დასახელების მეშვეობით, ჩვენი უძველესი სამეფო დინასტიის დისკრედიტაცია. მიმდინარეობს ორკესტრირებული შეტევა ჩვენი ქვეყნის წარსულსა და მომავალზე. სხვაგვარად შეუძლებელია თუნდაც იმ გეგმის შეფასება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მთელი სერიოზულობით განიხილებოდა და არც ახლა უნდა იყოს მთლად დავიწყებული. საქმე ეხება ბაგრატოვანთა ათასწლოვანი დინასტიის ჩანაცვლებას ერთი (გლეხური წარმომავლობის) საგვარეულოს ისეთი ოჯახის წარმომადგენლებით, რომელთა ორი უახლოესი წინაპარი სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძოდა და დისიდენტებს უსწორდებოდა. 6. ბაგრატიონი-გრუზინსკის კლასტერის წევრები „ტახტის მემკვიდრეებად“ მათ დაწუნებას – დანაშაულად თვლიან [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 166]. მომყავს ორი ამონარიდი უშიშროების არქივიდან, სადაც ამ მემკვიდრეების უახლოესი წინაპრები (გრიგოლი და ილია) თავისი ჩინით არიან დაფიქსირებული (იხ. სურ. №1 და სურ. №2). ალბათ, მკითხველი ხვდება, რომ მე მძიმე მისია ავიღე ჩემს თავზე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, რადგან წლების განმავლობაში არ გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ერთ მართალ სიტყვას იტყოდა. ზოგი საქმეში ჩახედული არ არის, ზოგი მავანის განაწყენებას ერიდება, ზოგს შესაძლოა, სხვა მიზეზები აქვს. მე კი ჩემი საკუთარი სუფთა წარსული და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც ლიტონი სიტყვები არ არის, მაიძულებს დუმილი დავარღვიო.

მინდა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის კლასტერს თავისივე სიტყვები შევახსენო, რაც ყველაზე უკეთ მათვე მიესადაგება: „წამდვილად სამწუხაროა, რომ თურმე, კერძო ინტერესების გამო, პიროვნებამ შესაძლებელია, საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაივიწყოს“.

может показать на ход следствия

находясь на свободе может

№ 3548069:  
ПОСТАНОВИЛ:

CYTTA Rowana 5

заново. Известно это Григорию Ильину — бывшему, имя и отчество

1885-1890, 65

Нач.З Отд.З Отдела НКГБ ССР  
нашего Родезиона.-

**Следователь** Борис Зимин — подпись

ДОПОЛНИТЕЛЬНО

Digitized by srujanika@gmail.com

**ПОДЪИМІТЬ ГОСЕВІЙ АНОД!**

三

Данное постановление мне об'явлено

19

Виталий Волков — погиб

ფორმა № 1

დეპატომენტის სანქციონირებულის  
Адресс санкционирую  
*Бончанец*  
(Заключение оно ведено  
Подпись Прокурора)

~~6. IX~~ 1943 r.

ՀԱՅՑԵԲՈՒԺԵՑ  
ПОСТАНОВЛЕНИЕ

ରୁ ୧୩୬୦୮୯୨୬୧୯—(ହାତୀପେଟି.)

сентября

43  
19 \_\_\_ 9.  
5

Отдела 2-го Отдела НКГБ РССР -

— должность  
**Министр Госбезопасности - МАЛАНИЙ,** бывшего председателя — отдель и орган

С У Т Т А Романа  
— 1896 г.р., ур. сел. Рауна Рига — Венденский р-н, б/дифиля-  
мии, матчи, р-н СССР, 6/п., эвакуирован из Риги в 1941  
художник Грузинской студии, прожив. по Горькой ул. № 18.

З З М 8 9:  
Н А Ш Е Л:

Родион Иковлевич систематически проявляя свою ненависть и  
враждебность ко всему советскому народу (Борисоглебск) развернутый в  
производственном изложении дается развернутый матери-  
ал существующему Советскому строю, - в 1943 году

Съюзомъ въведенъ въ 1912 г. въ Китай и въ 1913 г. въ Тибетъ. Въ Китай въведенъ въ 1912 г. въ Китай и въ 1913 г. въ Тибетъ.

**Издательство «Молодая гвардия»**, Москва, 1982 г.

10. The following table shows the number of hours worked by employees of the company.

ამონაუწევები სარგებლობით და სხვა ეტებისან და სხვა  
ვიდერჯის ის აქტოს ინსპექციის დროის მატერიალური და რეზიუმე

активно начал готовиться. С целью осуществления своего

— ВОЛОССИЛЬНО ОМЕЖЕНОСТЬ ПО ПРОДУКТУ СЧИТАЕТСЯ РАССЫПЬЮ

— Попытаться заскользить за границу, оттуда Р.И. по заданию

можно рисовать разные рисунки и карты и продавать таковые

10. The following table shows the number of hours worked by 1000 employees in a company.

— деньги использовать для осуществления своих изверений.

სურ. №2. ამონარიდი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამინისტროს საარქოვო სამ-  
მართველოს საქმიანობა

**„პაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემკრალდუმი გასაუქმებელია  
(გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, 22 ნოემბერი,  
№437)**

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, იმისდა მიუხედავად, მონარქიულია ის თუ არა, ცნობილია სამეფო დინასტიის მეთაურის ვინაობა. გამონაკლისი არც საქართველო უნდა ყოფილყო, რომლის სამეფო დინასტია ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. ამიტომ, მისასალმებელი იყო 1995 წელს „ბაგრატიოვანთა სახლის“ დაარსება. საზოგადოებას სათავეში ქ-ნი ნინო ბაგრატიონი ჩაუდგა. ცხადია, სრულიად საქართველოს ერთი ტახტის მემკვიდრე უნდა ჰქოლოდა, მაგრამ აქ გარკვეული სირთულეები წარმოიშვა. სანამ XIX საუკუნის დასასწისში, საქართველოს რუსეთი დაიპყობდა, არსებობდა ორი სამეფო: ქართლ-კახეთის და იმერეთის. მეფე ერეკლეს ოჯახის წევრები არ წყვეტდნენ ფიქრს ბაგრატიონთა დინასტიის გაერთიანების გზებზე. ასე მაგალითად, დავით ბატონიშვილი მიიჩნევდა, რომ ვინაიდან იმერეთის მეფეები უკანონოები იყვნენ (იმერეთის მეფეთა შორის 4 უკანონოდ შობილი იყო), შეიძლებოდა იმერული შტოს გვერდის ავლა. მისგან განსხვავებით, იმანე ბატონიშვილი თანაბარ პატივს მიაგებდა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების ტახტის მემკვიდრეებს და ერთიან საქართველოში მათ მონაცემლებით გამეფებას ვარაუდობდა, რაც არარეალური, მაგრამ უფრო კეთილსინდისიერი პროექტი იყო.

სადღეისოდ ამ საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო იყო იმერეთის ტახტის მემკვიდრის თანხმობა ერთიანი საქართველოს ტახტის მემკვიდრედ ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრის აღიარებაზე, რაც პირველ რიგში ამ ორი პირის, ანუ ორი მემკვიდრის პირვნების დადგენას მოითხოვდა. აი, აქედან იწყება ისტორიის დამახინჯება და დოკუმენტების გაყალბება. ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრედ ზეპირსიტყვიერი ინფორმაციის საფუძველზე, მიჩნეულ იქნა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, როგორც მეფე გიორგი XII-ის შთამომავალი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ვერსიის დოკუმენტური დასაბუთება არ არსებობდა. იმერეთის ტახტის მემკვიდრის ვინაობის დასადგენად კი საჭირო იყო მეფე სოლომონ II-ის ნება-სურვილის გათვალისწინება. 1804 წელს, რუსეთთან დადებული ე. ნ. ელაზნაურის ტრაქტატის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მეფე სოლომონს მამრობითი სქესის შვილი არ ეყოლებოდა, მისი მემკვიდრე კონსტანტინე ბატონიშვილი და მისი შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ. ეს შტო შემდგომ, რუსეთში, იმერეტინსკის გვარით იყო ცნობილი. იმერეტინსკების წარმომადგენელი უკანასკნელი მამაკაცი 1978 წელს გარდაიცვალა, დარჩენენ ქალბატონები, რომლებიც ინგლისში ცხოვრობენ.

ვინაიდან მეფე სოლომონის პირობის თანახმად ტახტის მემკვიდრე მა-მაკაცი უნდა იყოს, 1978 წლიდან იმერეთის შტოში უფროსობა დამკითბი მცხოვრებ, 1925 წელს დაბადებულ ირაკლი გრიგოლის ძე ბაგრატიონზე

გადავიდა. „ბაგრატოვანთა სახლმა“ ორივე ზემოხსენებული შტოს იგ-ნორირება, ტახტის მემკვიდრედ ქ-ნი ნინო ბაგრატიონის გამოცხადება გადაწყვიტა და თავისი ისტორიკოსის, იოსებ ბიჭიკაშვილის დახმარებით მზადებას შეუდგა. დამალა მეფე სოლომონის ნება-სურვილი, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ქ-ნი ნინოს მამა „ტახტის კანონიერ მემკვიდრედ“ გამო-აცხადა, გვარიც თვითნებურად გამოუცვალა და ბაგრატიონ-იმერეტინკი დაარქვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გვარის ტარების უფლება მხოლოდ სოლომონ I-ის შვილიშვილის, „გიორგი ბუშის“ შთამომავლებს ჰქონდათ. ამავე დროს, ამცირებდნენ ღვანკითში მცხოვრებ ბაგრატიონებს, იმერეთის ბაგრატიონთა ერთადერთ შტოს, რომელიც მამრობითი ხაზით მომდინარეობს. დაიწყეს მათი ჩანაცვლება ქ-ნი ნინოს შვილებით, კახელი ჯაფარიძეებით, რომლებმაც დედის გვარი მიიმატეს, მამა – ავთანდილ დავითის ძე ჯაფარიძე (დაბ. 1914 წელს), საბუთის გარეშე, თავადად გამოაცხადეს. მისი დაბადების ადგილი კი დღემდე გასაიდუმლოებულია, რათა დაბადების ჩანაწერი არავინ ნახოს. მხოლოდ მათი ალალი მამიდის, საკმაოდ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე გულნარა დავითის ასული ჯაფარიძის დაბადების ჩანაწერის მოძიება მოხერხდა ყვარლის ერთ-ერთი ეკლესის 1917 წლის წიგნში. მამად დაფიქსირებულია „თელავის მაზ. ს. ყვარელში ცხოვრებელი აზ. დავით აფრასიონის ძე ჯაფარიძე“ (სეა, ფონდი 489, აღწერა 47, საქმე 393). და-ძმა დალი და გიორგი (გია) ბაგრატიონ-ჯაფარიძეებმა მამიდის ცნობაზე უარი განაცხადეს. უბრალო აზნაური – მამიდა კი არა მშობელი მამაც არაფერში სჭირდებათ!

2006 წელს იოსებ ბიჭიკაშვილმა ე. წ. „ბაგრატოვანთა სახლის“ მემორანდუმი შეადგინა. საქართველოს ტახტის მემკვიდრედ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი დაასახელა, თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილზე მართებულად გამოაცხადა იმერეთის სამეფო სახლი, ხოლო ამ სახლის მეთაურად კანონდარღვევით ქ-ნი ნინო ბაგრატიონი აღიარა, თანაც არა თავისი გვარით, რომელიც პასპორტში ეწერა, არამედ სხვისი – ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით. ამავე დროს, ქ-ნი ნონის ბაგრატიონ-იმერეტინსების სამეფო სახლის სახელით მოაწერინეს ხელი, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახლის წევრები დიდი ხნის წინ ამოწყდნენ, 1901 წლის შემდეგ მათ შესახებ არაფერი გვსმენია. ცხადია, ამ ხელმოწერას იურიდიული ძალა არა აქვს. მემორანდუმში, ყოველგვარი საბუთის გარეშე, სიყალბე ჩანერეს, თითქოსდა, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამას, დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს გვარში უფროსობა 1900 წელს, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის, ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გადაეცა. სინამდვილეში, იმერეტინსკებს თავისი გვარის გამგრძელებით ჰყავდათ და უფროსობა სხვისთვის არ გადაუციათ. როგორც ვთქვით, ამ ოჯახის შთამომავალი ქალბატონები ინგლისში ცხოვრობენ. უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომ მათ მემორანდუმის შესახებ ინგლისში მცხოვრებ იმერეტინსკებს მიზანმიმართულად არ შეატყობინეს, მიუხედავად იმისა, რომ ქ-ნი ნინო ბაგრატიონის

ოჯახს მათთან დღემდე აქვს ურთიერთობა და შესაბამისად, მათი კოორ-დინატებიც იცის. ცხადია, ვერ ეტყოდნენ, თქვენი სტატუსი მივითვისეთ და გიხაროდეთო!

მემორანდუმის შემდგენელი ი. ბიჭიკაშვილი ამახინჯებს ფაქტებს, როდე-საც იმერეთის ბაგრატიონთა სამი შტოსათვის უგანათლებულესი თავადის წოდების მინიჭების წლად მცდარად ერთსა და იმავე 1865 წელს ასახელებს, რათა ისინი უფლებრივად გაათანაბროს. სინამდვილეში, 1865 წელს უგანათ-ლებულესი თავადის წოდება იმერეთის ბაგრატიონების უმთავრეს შტოს, იმერეტინსკებს მიენიჭათ, ბაგრატიონ-იმერეტინსკებს კი 1876 წელს. ხოლო ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპარი თავადი ივანე დავითის ძე ბაგრატიონის შესახებ 1871 წლის 1 ნოემბერს, მეფისნაცვალს სამთავრობო სენატიდან გამოეგზავნა იმპერატორის ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ ხსენებული ტიტულის მიღების უფლება საქართველოს და იმერეთის ყოფილი სამეფო სახლების მხოლოდ იმ შთამომავლებს ჰქონდათ, რომლებიც რუსეთის მთავ-რობის მიერ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული „ხოლო ამგვარი შთამომავლების რიცხვს თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი არ მიეკუთვნება...“ (სეა, ფონდი 416, აღნერა 3, საქმე 169). ყურადსალებია, რომ იმპერატორი თავადს ბაგრატიონის გვარით იხსენიებს. ივანეს შვილმა, ალექსანდრე ბაგრატიონმა განაგრძო ბრძოლა და 1881 წლის 15 ივლისის დადგენილებით, თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონს „უგანათლე-ბულესობის“ ტიტული ებოძა. გვარი კი იგივე დარჩა – ბაგრატიონი და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი, როგორც ახლა ი. ბიჭიკაშვილს სურს დაამტკი-ცოს. „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრებმა ამდენი სიყალბეც არ იკმარეს, უხეშად დაამახინჯეს იმერეთის ისტორია: XIX საუკუნის I მეოთხედიდან უკ-ვალოდ გააქრეს 1810 და 1819-1820 წლების აჯანყებები. თურმე, იმერლები 1910 წელს მეფე სოლომონის დასაბრუნებლად კი არ იბრძოდნენ, არამედ ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრი სურდათ მეფედ! ბაგრატიონთა დინასტიისადმი ტრადიციული პატივისცემის გამო, რამდენიმე ცნობილმა პირმა ისე მოაწერა მემორანდუმზე ხელი, რომ როგორც ჩანს, დოკუმენტი გულდასმით არ წაიკითხა. „ბაგრატოვანთა სახლმა“ მემორანდუმის შესახებ იმერეტინსკების გარდა, გიორგი XII-ის შთამომავალი, მოსკოვში მცხოვრე-ბი გრუზინსკების ოჯახი, ნამდვილი ბაგრატიონებიც (როგორც დოკუმენ-ტებით, ისე დნმ-ით) 2006 წლიდან დღემდე, მიზანმიმართულად არ ჩააყენეს საქმის კურსში, რაზედაც გვაქვს ქ-ნი ეკატერინე გრუზინსკის წერილობითი პასუხი. ბაგრატიონთა მუხრანული მრავალრიცხოვანი შტოდან მემორან-დუმს მხოლოდ ორი წარმომადგენელი ანერს ხელს: ან განსვენებული ქ-ნი რუსულად ბაგრატიონი და ესპანეთში მცხოვრები ქ-ნი მარიამ ბაგრატიონი... (როგორც ახლახან გახდა ცნობილი, ეს ხელმოწერა სხვა მარიამ ბაგრა-ტიონ-მუხრანელს ეკუთვნის – მ.ხ. 20. 06. 2020). მემორანდუმზე ასევე არ მოუწერიათ ხელი იმერელ ბაგრატიონებს – ირაკლი გრიგოლის ძეს, და-ვით, ირაკლი, ქეთევან, თამარ, ნარგიზ და მაია ბაგრატიონებს. 2014 წელს,

მემორანდუმს შეუერთდა ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტოს 65 წარმომადგენელი, (რომელთა ბაგრატიონობას, იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, ან განსვენებული ბატონი იური ჩიქოვანი, არ იზიარებდა). მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი უმრავლესობის საპასპორტო მონაცემებში ჯერ-ჯერობით მხოლოდ დავითიშვილის გვარია დაფიქსირებული, ყველა მათგანმა ბაგრატიონი-დავითიშვილის გვარით მოაწერა ხელი, რაც დოკუმენტს ყოველგვარ იურიდიულ ძალას აკარგვინებს.

2012 წელს, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით გამოვეცი მონოგრაფია „იმერეთის სამეფოს გაუქმება, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტებზე დაყრდნობით, გავმიჯნე იმერეთის ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოების წარმომადგენლები და მათი ისტორია გადმოვეცი. გამყალბებლებმა ჩემში საშიში ოპონენტი დაინახეს და შარი მომიდვეს. ი. ბიჭიკაშვილმა 2016 წელს გამოცემულ ნაშრომში განაცხადა, მ. ხომერიკ-მა თარგმნისას ისტორიული დოკუმენტი დაამახინჯა, სიტყვა УРОЖЕНЕЦ მცხოვრებლად უნდა ეთარგმნაო. ი. ბიჭიკაშვილის მიერ შემოთავაზებული თარგმანი არც რუსულ-ქართული ლექსიკონით დასტურდება და არც საქმის ვითარებას გადმოსცემს: იმერელი როსტომ ბაგრატიონი აჯანყებაში მონაწილეობის გამო, რუსეთში გადასახლეს, ის წლების მანძილზე პეტერბურგში ცხოვრობდა, მაგრამ იმერეთის მკვიდრი იყო და თავის მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას ითხოვდა. ის რომ იმ დროს იმერეთის მცხოვრები ყოფილიყო, მაშინ ხომ პრობლემაც არ იარსებებდა! ჩემ მომართ ასეთი აბსურდული ბრალდება ბ-მა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ თავის სამეფო გვერდზე გამოდო.

„ბაგრატოვანთა სახლი“ განსაკუთრებით „მაცნეში“ (2017 წლის №2) გამოქვეყნებულმა ჩემმა წერილმა გააღიზანა, რომელშიც იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებულ უზუსტობებს შევეხე. მაგალითად, აღვნიშნე, რომ თუ მემორანდუმში დაფიქსირებულია ყალბი ვერსია, როლის თანახმად, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამას, დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს გვარში უფროსობა 1900 წელს, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის, ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გადაეცა, თავის ახალ ნაშრომში ი. ბიჭიკაშვილმა ახალი ყალბი ვერსია მოიგონა, ვითომდა, ამ პიროვნებას გვარში უფროსობა 1901 წელს, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკისგან გადაეცა. ანუ, ი. ბიჭიკაშვილის ახალმა სიცრუემ ძველი, მემორანდუმისეული ტყუილი გააპათილა. მიუხედავად ამისა, გაბათილებულ მემორანდუმზე ხელმოწერები მაინც გრძელდებოდა. ამავე დროს, ი. ბიჭიკაშვილი თავის ფანტაზიაზე დაყრდნობით წერს, თითქოსდა, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, რომელიც 1901 წელს 21 წლის იყო, „უცოლშვილოდ გარდაიცვალა“ და გარკვევით უთითებს მისი სიცოცხლის პერიოდს (1880-1901), ხოლო თავისივე შედგე-

ნილ ტაბულაში გარდაცვალების წელს კითხვის ნიშნით აღნიშნავს, რადგან ცნობილი არ არის. საგაზეთო წერილი არ იძლევა ყველა შენიშვნის მოყვანის საშუალებას, რაც წერილში მაქვს აღნიშნული. პასუხად, „ბაგრატოვანთა სახლმა“ შემრისხა. გამოაქვეყნეს კოლექტიური პასკვილები, სადაც მხოლოდ პეტრე ბაგრატიონის პორტრეტთან დაკავშირებული ინციდენტი შეესაბამებოდა სიმართლეს, ისიც ნაწილობრივ, რადგან ჩემმა ოპონენტებმა არ ახსნეს, რომ ეს შეცდომა ჩემგან კი არ მოდიოდა, არამედ ლონდონის ერთ-ერთი აუქციონიდან, სადაც 1806 წელს, ფრანგი მხატვრის, ანტუან კემანის მიერ შესრულებულ პორტეტს, პეტრე ბაგრატიონის ნაცვლად, სიმონ ბაგრატიონი დააწერეს და ასეც გაყიდეს 3700 გირვანქა სტერლინგად. შეცდომა იმით იყო გამოწვეული, რომ პორტრეტის ჩარჩოზე, უკანა მხრიდან, დატანილი ყოფილა XIX საუკუნეში შესრულებული ინგლისურენოვანი წარწერა: „პრინცი სიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (1771)“, რაც თავისთავად საინტერესო და შესასწავლი ფაქტია. მთავარი კი ის არის, რომ მას შემდეგ, რაც მე ეს შეცდომა ლიტერატურის მუზეუმში გავიმეორე, გავარკვიე სიმართლე და ჩემს წიგნში „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირი“, 47-ე გვერდზე, წერილობით დავაფიქსირე, რომ ინგლისში პეტრე ბაგრატიონის პორტრეტს შეცდომით დააწერეს სიმონის სახელი. და ამის შემდეგ რაღა საჭირო იყო ჩემი ვითომდა „მხილება“ და კოლექტიური აღშფოთება? ამით, ჩემი კომპრომეტირება და გაჩუმება ჰქონდათ ჩაფიქრებული.

„სადამსჯელო ოპერაციებს“ თავად ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი ხელმძღვანელობდა. მან წინასიტყვაობა დაურთო ი. ბიჭიკაშვილის წიგნს ბაგრატიონი-დავითიშვილების აზნაურული შტოს შესახებ, სადაც დანართში, ჩემი საწინააღმდეგო პუბლიკაციებია შეტანილი. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის მტკიცებით, იოსებ ბიჭიკაშვილის მიმართ წამოყენებული ბრალდებები უსფუძვლო იყო, რაზეც მას ამომწურავი პასუხები გაუცია. ბ-ნმა ნუგზარმა უნდა განმარტოს, ცნობილი იყო თუ არა მისთვის, რომ ი. ბიჭიკაშვილი დოკუმენტებს აყალბებდა. მოვიყვან თუნდაც ერთ მაგალითს: ი. ბიჭიკაშვილმა, იმის დასამტკიცებლად, რომ ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპარი, ივანე ბაგრატიონი, ვითომდა, ბაგრატიონ-იმერეტინსკი იყო, თავის საპასუხო წერილში („მაცნე“, 2018, №1, გვ. 214) დაიმოწმა ამონარიდი დოკუმენტიდან, რომლის თანახმად 1850 წელს, ვინმე პოდპორუჩიკი ბაგრატიონ-იმერეტინსკი იხსენიება, ინიციალების გარეშე. მითითებულია ქუთაისის არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 3556. სიყალბე თვალშისაცემი იყო: ივანე ბაგრატიონს არასოდეს ჰქონია სამხედრო ჩინი, გარდა ამისა, ყოველთვის ბაგრატიონის გვარით იხსენიებოდა და ასედაც აწერდა ხელს, რაზედაც დოკუმენტები მეტყველებენ. მაინც გავემგზავრე ქუთაისში და ადგილზე გადავამოწმე. სინამდვილეში, ხსენებული საქმე შეეხება მიქელაძეებს, შედგება სულ 9 ფურცლისგან, ი. ბიჭიკაშვილი კი მე-19 და 22ა გვერდებს უთითებს. თანაც, დოკუმენტში არავითარი ბაგრატიონის ხსენება არ

არის და შედგენილია 1890 წელს და არა 1850 წელს. ანუ მაშინ, როდესაც ივანე ცოცხალი აღარ იყო. ი. ბიჭიკაშვილის მიერ დამონმებულ ამონარიდს, სადაც **подпоручик Багратион-Имеретинский** ფიგურირებს, საერთო არაფერი აქვს ივანე ბაგრატიონთან. ეს არის ი. ბიჭიკაშვილის „კვლევის“ მეთოდი და სტილი. ნ. ბაგრატიონი-გრუზინსკი კი წერს, „ბატონი იოსებ ბიჭიკაშვილის პასუხები არ სცდება აკადემიურობას და ჭეშმარიტი მკვლევარისთვის დამახასიათებელ სტილს, რისი დეფიციტიც, სამწუხაროდ, შეინიშნება მპრალდებელთა მხრიდან...“ ბ-ნი ნუგზარ, თუ რუსულ-ქართულ ლექსიკონში ჩახედვა არ გნებავთ, იქნებ ორთოგრაფიულ ლექსიკონში მაინც ჩაიხედოთ: მპრალდებელთა კი არა ბრალმდებელთა! ერთი ბრალმდებელი, გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, ბატონი იური ჩიქოვანი, 12 ნოემბერს სამუდამოდ გამოგაკლდათ! ჩემგანაც იმავეს ნუ ელით. პირიქით, გადავწყვიტე საზოგადოებისთვის მძიმედ მოსასმენი სიმართლე მეთქვა და ერთსაუკუნოვანი სიყალბისთვის ფარდა ამეხადა:

მეფე გიორგი XII-ის პირდაპირი შთამომავალი პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი 1915 წელს დაქორწინდა. საეკლესიო ჩანაწერიდან ჩანს, რომ იმავე წლის 29 ნოემბერს მას შეეძინა ვაჟი, კონსტანტინე, რომელიც 6 დეკემბერს მონათლეს (სეა, ფონდი 489, აღწერა 7, საქმე 1967). აქვე უნდა ითქვას, რომ შემდგომში, 1939 წელს, კონსტანტინე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. 1920 წლის 28 მარტს ოჯახში მეორე ვაჟი გაჩნდა. მისი დაბადების საეკლესიო ჩანაწერი, ან პეტრე ალექსანდრეს ძის მიერ ხელმონერილი მამობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არ არსებობს. როგორც ჩანს, მან გონივრული ეჭვის გამო, ეს ბავშვი, კონსტანტინესგან განსხვავებით, შვილად არ სცნო. პეტრე ალექსანდრეს ძე 1922 წლის 4 თებერვალს გარდაიცვალა (იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ცნობა AA 018026785-03). მისი გარდაცვალებიდან 4 თვის შემდეგ, 1922 წლის 27 ივნისს გაკეთდა პეტრე პეტრეს ძე გრუზინსკის დაბადების პირველადი ჩანაწერი. „მშობლები: მამა – პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი – 68 წლის (თითქოსდა, ცოცხალი იყო – მ.ხ.), დედა – თამარა ალექსანდრეს ასული გრუზინსკი – 30 წლის (იხ. უახლესი არქივის ცნობა AA2018026368-04). „მამის“ გარდაცვალების შესახებ არ განუცხადებიათ, ნინაალმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა მოწმების წარდგენა.

საქმის სერიოზულობიდან გამომდინარე, არ დავკმაყოფილდი ოფიციალური ცნობით და დედანს გავეცანი. როგორც ვხედავთ, მოწმეების გრაფა ცარიელია. ცრუმონმეობა არავინ ისურვა. დასკვნა ნათელია! ბაგრატიონი, რომლის მოტყუებაც ვერ შეძლეს, გარდაცვალების შემდეგ ცოცხლად გაასალეს და სავარაუდოდ, სხვისი შვილი მიაწერეს. ჩემი განცხადების პასუხად, არქივმა მაცნობა (№02-3/141393), რომ 1922 წლის სააქტო ჩანაწერში, „ინფორმაცია 1920 წლის 28 მარტს დაბადებული პეტრე გრუზინსკის 1922 წელს რეგისტრაციის საფუძვლის შესახებ არ არის მითითებული.“ ეს საარქივო ცნობები ბ-ნი ნუგზარის ბაგრატიონობას თუ არ გამორიცხავს, ეჭვეკვეშ

მაინც აყენებს. აი, რატომ ებრძვის დოკუმენტებში ჩახედულ ადამიანებს! აი, რატომ გახდა დოკუმენტების გამყალბებელი იოსებ ბიჭიკაშვილის თანამზრახველი და მფარველი! აი, რატომ გვებრძოდნენ ნუგზარ ბაგრატიონი და მისი დაჯგუფება მე და ბატონ იური ჩიქოვანს! ჩვენ მიერ გამოთქმულ შენიშვნებს პროვოკაციურად, აშკარად პოლიტიკურ, ანტიეროვნულ სარჩულს უდებდნენ და რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს უკავშირებდნენ, მაგრამ ამ იაფიასიანმა სვლებმა ჩვენ ვერ შეგვაჩერა. ი. ბიჭიკაშვილი მიცხადებდა: „მე პირადად არ მოგცემთ იმის საშუალებას, რომ დააკნინოთ 2006 წლის მემორანდუმის მნიშვნელობა და მისი ისტორიული ფასეულობა...“ ვფიქრობ, ამდენი სიყალბის შემცველი მემორანდუმის ფასეულობა ნულს უტოლდება! ბ-ნი ნუგზარისთვის კი თეორიულად, ჯერ ყველაფერი დამთავრებული არ არის, თუ დნმ-ის ანალიზს ჩაიტარებს და თავის ბაგრატიონობას დაამტკიცებს, მაგრამ ამის ალბათობა ძალიან დაბალია, რადგან გასაგები მიზეზების გამო, ის ტესტის ჩატარებაზე არ თანხმდება.

**მანანა ხომერიკი, ისტ. მეცნ. დოქტორი**

P.S. სურ.№1. გაზეთში გამოქვეყნებული, პეტრე პეტრეს ძე გრუზინსკის დაბადების საარქივო დოკუმენტის ასლი იხ. გვ. 24.

3556	66	—	Познановица №1938 Варшава 1919 Сообщество Мисерадзе о конфискации дома его Димитрия и жены и сына в г. Брест-Литовск 1890.13/10	9
3557	—	—	—	—

g. 15.5. ფოტბ. NL 50.2 3.85

ମୁଖ୍ୟାବଳେ ପ୍ରକାଶିତ ଲେଖଣି ଏବଂ ପ୍ରକାଶନ ଦ୍ୱୟବ୍ୟକ୍ତି



სურ. №2. ი. ბიჭიყაშვილის მიერ მითითებული ქუთაისის ცენტრალური არქივის საქმის [ფონ-დი 1, აღწერა 1, საქმე 3556] ანაწერი, საიდანაც ჩანს, რომ ის ეხება არა ბაგრატიონებს, არამედ მიქელაძებს და შედგენილია არა 1850 წელს, არამედ 1890 წელს, როდესაც ი. ბიჭიყაშვილის მიერ ბაგრატიონ-იმერეტინსკად დასახელებული ივანე ბაგრატიონი დადი ხნის გარდაცვლილი იყო.

**პ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის საპასუხო ცერილის გამო  
(გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის ურნალში „მაცნე“ 2019, №2)**

ი. ბიჭიკაშვილმა გამოაქვეყნა „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“ [1:210-229]. ჩემი მხრიდან რეაგირების დაგვიანება გამოწვეული იყო ერთი დოკუმენტის ასლის მიღების ლოდინით. „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმში დამოწმებულია ამონარიდი საქართველოს მთავარმართველის ნ. ფ. რტიშჩევის 1813 წლის ცნობიდან, რომლის თანახმად: „ქართლ-კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს სამეფო თუ სამთავრო გვარეულობის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ საქართველოს სამეფოს აღდგენას. მათი გადაწყვეტილებით მეფე გიორგი XII-ის შვილები დავით (XII) ბატონიშვილი უნდა გამეფებულიყო ქართლ-კახეთში, ხოლო იოანე ბატონიშვილი – იმერეთში“ [2: 229]. დოკუმენტის დედანზე ხელი არ მიმინვდებოდა, მაგრამ მივხვდი, რომ ციტატა ზუსტი არ იქნებოდა. მივმართე რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-საისტორიო არქივს და დასახელებული დოკუმენტის ასლი შევუკვეთე, რაც 17 მაისს მოვიღე. როგორც მოსალოდნელი იყო, დოკუმენტში „საქართველოს სამეფოს აღდგენა“ ნახსენები არ არის [3: 5]. ეს ი. ბიჭიკაშვილმა მიზანმიმართულად ჩაამატა. მის მიერ გაყალბებულმა დოკუმენტმა კი „ბაგრატოვანთა სახლის 2006 წლის მემორანდუმში“ ჰპოვა ასახვა. გარდა ამისა, ი. ბიჭიკაშვილი ადასტურებს, რომ გულისხმობს XIX საუკუნის I მეოთხედს. აღნიშნული მოხსენებითი ბარათი რტიშჩევს დაწერილი აქვს 1813 წელს, ხოლო XIX საუკუნის I მეოთხედი გაცილებით დიდ პერიოდს მოიცავს (1800-1825). ი. ბიჭიკაშვილი კი მასზე დაყრდნობით მსჯელობს მომდევნო პერიოდის მოვლენებზე, რაც საფუძველს მოკლებულია და იმერეთის ბაგრატიონების როლის დაკნინებას ისახავს მიზნად. 1813 წელს დაწერილი დოკუმენტში ვერ აისახებოდა XIX საუკუნის პირველ მეოთხედის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყება იყო.

მივყვეთ ი. ბიჭიკაშვილის პასუხებს. ის წერს: „იმის გამო, რომ ბატონიშვილი ნინოს წინაპრებიც იმერეთის ერთ-ერთ ლეგიტიმურ (ბატონიშვილურ) ხაზს მიკუთვნებოდნენ, სრული უფლება ჰქონდათ (მიუხედავად რუსეთის მხრიდან „ბაგრატიონის“ ტარების აკრძალვისა), ეტარებინათ თავისი ისტორიული გვარი – ბაგრატიონი, ამასთან ერთად, რუსეთის იმპერიის მიერ მათვების მინიჭებული იმერეტინსკის წოდებაც“ [4: 213]. ეს არის ისტორიის დამახინჯება. იმერეთში მცხოვრები ბაგრატიონები, როგორც კანონიერად, ისე უკანონოდ შობილები, ბაგრატიონის გვარს ატარებდნენ, რაც მათ არ ეკრძალებოდათ და ასეც დაუკანონდათ 1847 წელს შექმნილი თავადაზნაურთა წოდებების დამდგენელი კომისიის მიერ. უფრო მეტიც, კომისიას გადაეცა ინსტრუქცია, რომლის 43-ე პუნქტში ნათქვამი იყო: „კომისიამ არ უნდა იმსჯელოს იმ პირთა უფლებებზე, რომლებიც იმერეთში ბაგრატიონთა

საგვრეულოს ეკუთვნიან...“ [5: 43,45] ისინი თავადებად უნდა ყოფილიყვნენ ცნობილი, რადგან მეფეთა შთამომავლები იყვნენ. კომისიამ თავდაპირველად ინსტრუქცია დაარღვია, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ი. ბიჭიკაშვილი სხვა წყაროებსაც აყალბებს. მას უნდა დაამტკიცოს, თითქოსდა, დოლგორუკოვის ნაშრომში დავითი შეყვანილია, როგორც ბაგრატიონ-იმერეტინსკი [6: 213]. სინამდვილეში, ის 45-ე ნომრით, ბაგრატიონ-დავიდოვად არის დასახელებული [7:]. ი. ბიჭიკაშვილი კი ცდილობდა და ცდილობს ეს ოჯახი ბაგრატიონ-იმერეტინსკებად წარმოაჩინოს. ასე, მაგალითად, თავის წიგნში „საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებების გენეალოგია“ ის ასახელებს საარქივო დოკუმენტს: „ფონდი 2, დამატებითი აღწერილობა, საქმე 109. ფ 1-10 (1832 წ.) „О князе Теймуразе Давидовиче Багратион-Имеретинском“ [8:322]. სინამდვილეში, საარქივო დოკუმენტში წერია: „...Теймураза Давидовича (или Багратиона)“ [9], როგორც ეს ეროვნული არქივის მიერ 2018 წლის 28 მარტს გაცემული ცნობითაც №02-3/47721 დასტურდება. როგორც ვხედავთ, ი. ბიჭიკაშვილმა თვითნებურად შეცვალა დოკუმენტის დასახელება, თემურაზ დავითის ძე მოიხსენია ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით, ანუ დოკუმენტი გააყალბა, რაშიც ვამხილე [10: 43].

საპასუხო წერილში ი. ბიჭიკაშვილი ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრების გვარის შესახებ თავისი ვესისი გასამყარებლად, იმოწმებს 1853 წლის კავკასიის კალენდარში გამოქვეყნებულ, ა. ფილადელფინის მიერ შედგენილ, საქართველოს სამეფო სახლის გენეალოგიურ ტაბულას და აქვეყნებს ვითომდა „შესაბამისი“ ფრაგმენტის ასლს, რომელიც სინამდვილეში სხვა შტოს ეხება, ისიც შეცდომით (სოლომონ II-ის შვილად შეცდომით დაფიქ-სირებულია დავითი, ხოლო ამ უკანასკნელის შვილად, ასევე შეცდომით – ვახტანგი.) ი. ბიჭიკაშვილმა ამ ფრაგმენტში დაფიქსირებული დავითი ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრად გაასაღა [11: 221]. ი. ბიჭიკაშვილმა დამალა ის ფრაგმენტი, რომელშიც ქ-ნი ნინოს წინაპარი დავითია ნაჩვენები, რადგან ამ დავითისგან, ა. ფილადელფინის თანახმად, ბაგრატიონ-იმერეტინსკები კი არა, თავადი ბაგრატიონ დავიდოვები – „Кн. Багратионы Давидовы“ მოდიან. ტაბულაში, დავით ბაგრატიონის შვილებად დაფიქსირებული არიან თავადი ივანე ბაგრატიონ დავიდოვი, დაქორწინებული თავადის ასულ წერეთელზე (ქ-ნი ნინო ბაგრატიონის უშუალო წინაპრები) და ეკატერინე, გათხოვილი ნიკოლოზ ერისთავზე [12]. ი. ბიჭიკაშვილმა კი, როგორც ვნახეთ, სხვა ფრაგმენტი გამოაქვეყნა, ანუ დოკუმენტი მიზანმიმართულად გააყალბა. ის ასევე იმოწმებს 1859 წლის კავკასიის კალედარს [13:213], მაგრამ მალავს იმ ფაქტს, რომ ამ კალენდარშიც ხსენებული ოჯახი შეყვანილია როგორც ბაგრატიონ-დავიდოვები და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკები.

საპასუხო წერილში ი. ბიჭიკაშვილს მოჰყავს ამონარიდი XIX საუკუნის რუსი მკვლევრის პ. იუდინის ნაშრომიდან „Судьба князей Багратионов-Имеретинских в России“, სადაც დამოწმებულია ოფიციალური დებულე-

ბები: „Положениями Государственного Совета 12-го Сентября 1804 года и Комитета Министров 26-го Марта 1812 года определено было “царевичи, сыновья Грузинских царей, сами по себе сохраняют сие титло; дети же их именуются князьями Грузинскими, а дети царевичей Имеретинских – князьями Имеретинскими” и таким образом будут уважены с первыми родами Империи“ [14]. ი. ბიჭიკაშვილი მცდარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „მოყვანილი ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ „იმერეტინსკის“ სტატუსის მინიჭება ვრცელდებოდა იმერეთის სამეფო შტოს არა რომელიმე კონკრეტულ ხაზზე (მაგალითად, მხოლოდ სოლომონ I-ის, ან მხოლოდ დავით II-ის), არამედ ყველა იმდროისათვის მცხოვრებ იმერეთის ბატონიშვილთა ლეგიტიმურ ხაზებზე“ [15: 214]. ი. ბიჭიკაშვილი თვითნებურად ამატებს ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრების შტოს. ის ყურადღებას არ აქცევს ნაშრომის სათაურს, რომელიც ნათლად გვეუბნება, რომ საქმე ეხება მხოლოდ რუსეთში გადასახლებულ იმერეთის ბაგრატიონებს, ანუ რომლებიც რუსეთის მთავრობის მიერ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული. მათ რიცხვს ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრები არ მიეკუთვნოდნენ, რაც გარკვევით წერია იმპერატორ ალექსანდრე III-ის 1871 წლის 1 ნოემბერის ბრძანებაში: „ხოლო ამგვარი შთამომავლების რიცხვს თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი არ მიეკუთვნება, ვინაიდან მთხოვნელის პაპის და იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ძმის, ბაგრატ ბატონიშვილის, არც ერთი შთამომავალი რუსეთში გადასახლებული არ ყოფილა, მთავრობისგან განსაკუთრებული დახმარებით არ უსარგებლია, როგორც იმერეთის ყოფილი სამეფო სახლის წევრს...“ [16: 59ა]. იგივე მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ამ ოჯახს პენსია არ ეძლეოდა. 1802 წლიდან, ქართლ-კახეთის მეფის ვაჟებზე ზრუნვა საგარეო საქმეთა სამინისტროს „განსაკუთრებულ უწყებას“ დაევალა. 1842 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც ევალებოდა საქართველოს (ანუ ქართლ-კახეთის) და იმერეთის ყოფილი სამეფო სახლებისა, ასევე სამეგრელოს მთავრის სახლის წევრების კეთილდღეობის გამყარება. ქ-ნი ნინოს წინაპრებისთვის პენსია არ დაუნიშნავთ. 1859 წლის 25 დეკემბრიდან 1860 წლის 23 თებერვლამდე მუშაობდა კომისია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ყოფილი სამეფო სახლების წევრთა უზრუნველყოფის საკითხები, რაც დეტალურად მაქვს განხილული ჩემს მონოგრაფიაში [17: 393-395]. იმერეთის სამეფო სახლს ერთადერთი ბატონიშვილი – კონსტანტინე ედგა სათავეში, რომელსაც დანიშნული ჰქონდა პენსია 7000 მანეთის ოდენობით. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს პენსია გაიყო მის ქვრივზე (2 642 მან. 85, ¾ კაპ.) და სამ ვაჟზე: კონსტანტინეზე, ნიკოლოზსა და ალექსანდრეზე. თითოეულ მათგანს ერგო 1785 მან. 711/4 კაპ. თავად ბაგრატიონ-იმერეტინსკებს დანიშნული ჰქონდათ პენსია 3 987 მან. 426/7 კაპ. თითოეულს. საბოლოო დასკვნისთვის საქმე კავკასიის კომიტეტს გადაეცა, სადაც 1862 წლის 23 აპრილამდე გაგრძელდა. უზენაესად დამტკიცდა 1862 წლის 28 აპრილს, რაც საისტორიო არქივში დაცული, სტამბური წესით დაბეჭდილი

კავკასიის კომიტეტის უურნალიდან ჩანს [18: 30-35]. ი. ბიჭიკაშვილს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრები ამ პირებთან გათანაბრებული არ ყოფილან. მას მოჰყავს ამონარიდები XIX სხვადასხვა ნაშრომებიდან, თავის ინტერპრეტაციას აძლევს მათ და ასკვნის, რომ ქ-ნი ნონის წინაპრებსაც „ჰქონდათ ამ ტიტულის ტარების უფლება“. მაგრამ რეალურად ხომ არ ჰქონიათ ეს ტიტული! ასევე მოჰყავს ამონარიდები XX-XXI საუკუნის ქართველი მკვლევრების ნაშრომებიდან, სადაც იმერეთის ბაგრატიონების შტოები არეულია და ნათქვამია, რომ 1900 წელს, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის გარდაცვალებით, უგანათლებულესი თავადი იმერეტინსკების შტო შეწყდა, რაც აბსურდია. გუბერნატორის გარდაცვალების შემდეგ, რჩებოდა მისი ორი უფროსი ძმის შთამომავლობა. ასეთივე აბსურდულია ი. ბიჭიკაშვილის მიერ დამოწმებული, იაკობ ახუაშვილის მიერ მტკიცებულების გარეშე წარმოდგენილი ყალბი ვერსია 1900 წელს გვარში უფროსობის ქ-ნი ნინოს მამაზე გადაცემის თაობაზე. ი. ბიჭიკაშვილი ასკვნის: „შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით ვფიქრობ, სრული უფლება მქონდა, გამეზიარებინა იმდროისათვის არსებული სამეცნიერო თვალსაზრისი და 2006 წლის „მემორანდუმში“ წარმომედგინა „პირველი“ ვერსია“ [19: 216]. ი. ბიჭიკაშვილი ფაქტობრივად აღიარებს, რომ 2006 წლისათვის მან თავისი დასკვნა დააფუძნა არა რაიმე დოკუმენტს, არამედ იმ დროისთვის არსებულ მცდარ ინფორმაციას. მას შემდეგ, რაც ი. ბიჭიკაშვილმა მემორანდუმის ხელმომწერები შეცდომაში შეიყვანა, დაფიქრებულა და ახალი ვერსია მოუგონია, რომელიც 2016 წელს თავის ნაშრომში შეიტანა. ამ მეორე ვერსიის თანახმად, გვარში უფროსობა ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამაზე, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის ნაცვლად, უკვე სოლომონ I-ის შთამომავლიდან გადადის.

საპასუხო წერილში ი. ბიჭიკაშვილი წერს: „ეს ცვლილება გამწვეული იყო იმით, რომ „მემორანდუმის“ ხელმოწერის შემდეგ ყურადღება მოვაქციები იმავე 1901 წლის გაზეთ „ივერია“ში მოყვანილ ბოლო ცნობას სოლლომონ I-ის უკანასკნელი შთამომავლის, ალექსანდრე ალექსანდრეს ძის შესახებ, აქედან გამომდინარე, რადგან დავით II-ის შტო 1900 წელს, უკვე შეწყვეტილად მიიჩნეოდა, შესაბამისად, ქრონოლოგიურად გვარში უფროსობა ბატონიშვილი ნინოს მამაზე უნდა გადასულიყო არა ვარშავის გენარალ-გუბერნატორის გარდაცვალების შემდეგ (1900 წელი), არამედ ალექსანდრე ალექსანდრეს ძის შემდეგ, რომლის შესახებაც, კიდევ გავმეორდები, უკანასკნელი ცნობა თარიღდება 1901 წლით“ [20: 216]. ი. ბიჭიკაშვილი არ ამბობს, თუ რატომ ვაკრიტიკებდი ამ ცნობასთან დაკავშირებით. 1901 წელს, 21 წლის ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი ცოცხალი იყო. არავისათვის არაფერი გადაუცია. მისი შემდგომი ბედი ცნობილი არ არის. ი. ბიჭიკაშვილმა კი ფაქტები დაამახინჯა, თითქოსდა, ამ პიროვნების „უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ 1901 წელს, უფროსობა იმერეთის სამეფო სახლში

გადავიდა მეფე სოლომონ I-ის (1752-1784) უმცროსი ძმის – ბაგრატ ბატონიშვილის (1740-1800) შთამომავალზე, ბატონიშვილ დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიზე (1894-1937), რომლის ასული, მისი სამეფო უმაღლესობა ბატონიშვილი ნინო ბაგრატიონი (1915-2009) თბილისში ცხოვრობდა და „ბაგრატოვანთა სახლს“ სათავეში ედგა 1995-2009 წლებში“ [21: 34]. ი. ბიჭიკაშვილმა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 1901 წელს გარდაცვლილად გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გარდაცვალების შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია. თავისივე შედგენილ გენეალოგიურ ტაბულასა და კომენტარებში მან 1879 წელს დაბადებული ალექსანდრე ალექსანდრეს ძის გარდაცვალების წელი კითხვის ნიშნით აღნიშნა: „59/49. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (აგვისტო 1879-?)“ [22: 330]. ი. ბიჭიკაშვილის მეორე ვერსიაც მცდარია. სწორიც რომ იყოს, მთავარი ის არის, რომ მემორანდუმში დაფიქსირებულ ვერსიას აბათილებს! მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ ი. ბიჭიკაშვილს სხვა საკითხზეც შეუცვლია აზრი: „...ძველი ვერსია იმის თაობაზე, რომ გიორგი ალექსანდრეს ძის (გიორგი ბუშის) უკანონოდ შობილობის გამო სოლომონ I-ის შთამომავლები ტახტის მემკვიდრეობას მოკლებულნი იყვნენ – გაბათილდა...“ [23:216]. ამდენი გაბათილების შემდეგ, როგორ შეიძლება „მემორანდუმის“ ძალაში დატოვება და მასზე ხელმოწერების გაგრძელება?

საპასუხო წერილში ი. ბიჭიკაშვილმა სხვა დოკუმენტიც გააყალბა. ის წერს, რომ დავით ბატონიშვილის შვილი – ივანე „უკვე არა ბატონიშვილად, არამედ თავად იმერეტინსკად ან ბაგრატიონ-იმერეტინსკად უნდა წოდებულიყო, რის დამადასტურებელ ფაქტად გამოდგება 1850 წლის 28 აპრილის სასამართლოს განჩინების საბუთი. აღნიშნულ საბუთს ბატონიშვილი ნინოს დიდი ბაბუა იოანე, შემდეგი სახით აწერს ხელს: „действительность сего свидетельствую состоящий по армии Подпоручик Багратион-Имеретинский“ [15:19] (ნუმერაცია ტექსტშია – მ.ხ.). ეს დოკუმენტი ამტკიცებს იმას, რომ ბატონიშვილი ნინოს წინაპარს კანონიერი უფლება ჰქონდა ბაგრატიონ-იმერეტინსკის წოდების ტარებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საბუთს არ მიიღებდა და ხელმოწერით არ დაამტკცებდა როგორც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამდლოლი – თავადი ნიუარაძე, ასევე, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მატრონტოვი და სასამართლოს საქმის დანარჩენი მწარმოებლები [16: 22ა] (ნუმერაცია ტექსტშია – მ.ხ.) მაში, რაში მადანაშაულებს ქ-ნი მანანა ხომერიკი, უბრალოდ გაუგებარია“ [24: 214]. გასაგებად ვუპასუხებ. მე მას დოკუმენტის გაყალბებაში ვდებ ბრალს. როგორც ვნახეთ, ი. ბიჭიკაშვილი ტექსტში ორჯერ უთითებს შესაბამის წყაროს – [15:19] და [16: 22ა], რაც წყაროების და ლიტერატურის ნუსხაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „15. ქ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივი (ქსია), ფონდი 1, აღ. 1, საქმე №355619. 16. ქ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივი (ქსია), ფონდი 1, აღ. 1, საქმე №3556.“ პირველ შემთხვევაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გაიპარა

უბრალო კორექტურული შეცდომა და მე-19 გვერდის ნომერი შემთხვევით არის მიწერილი საარქივო საქმის ნომერთან, როგორც მისი გაგრძელება, რის შედეგად ოთხციფრა რიცხვის ნაცვლად ვიღებთ ექვსციფრა რიცხვს, რაც საარქივო საქმის მოძიებას შეუძლებელს ხდის. მეორე შემთხვევაში, დაფიქსირებულია საარქივო საქმის ოთხციფრა ნომერი – №3556, ტექსტში მითითებულია გვერდი – 22ა . როგორც აღმოჩნდა, სახეზეა არა მხოლოდ კორექტურული შეცდომა, არამედ დოკუმენტის გაყალბება. დასახელებული საარქივო საქმე №3556 შეეხება მიქელაძეთა საგვარეულოს, მასში არაუთარი ბაგრატიონი, ან ბაგრატიონ-იმერეტინსკი ნახსენები არ არის, დათარიღებულია 1890 წლით და არა 1850 წლით, შედგება სულ 9 ფურცლის გან. გაუგებარია, საიდან აიღო ი. ბიჭიკაშვილმა 22ა გვერდი, რომელიც ამ საქმეს არა აქვს? ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ი. ბიჭიკაშვილის მიერ მოხმობილ ციტატაში პორუჩიკი ბაგრატიონ-იმერეტინსკი ინიციალების გარეშე ფიგურირებს. თუ ბ-ნ ი. ბიჭიკაშვილს ის ქ-ნი ნინოს წინაპარი ჰეგონია, ეს ნიშნავს, რომ არ იცნობს იმ თემასთან დაკავშირებულ ისტორიულ ფაქტებს, რომელსაც იკვლევს. იოანეს სამხედრო ჩინი არასდროს ჰქონია. აქ აშკარად სხვა პირია დასახელებული, საგარაუდოდ, ალექსანდრე დიმიტრის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, რომელიც, თავისი მამისგან განსხვავებით, ძალიან ადრე გავიდა თადარიგში და მაღალ ჩინს ვერ მიაღწია.

ი. ბიჭიკაშვილი იოანეს თვითნებურად მიაწერს ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარს. სინამდვილეში, ის ბაგრატიონი იყო. 1820 წელს ივანე თურქეთში გააპარეს. 1830 წელს მას დაუბრუნდა თავადის წოდება და ბაგრატიონის გვარი. დოკუმენტებში ის სწორედ ბაგრატიონად მოიხსენიებს საკუთარ თავს: „Имеретинского князя Ивана Давидова сына Багратиона Прошение“ [25:56], ქართულად ამგვარად აწერს ხელს: „ენიაზი ივანე ბაგრატიონი“ [26:56ა], საქართველო-იმერეთის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო, 1843 წელს, მას ივანე დავითის ძე ბაგრატიონს უწოდებს (“объявить тамошнему жителю Ивану Давидову сыну Багратионову...”) [27:43]. ბაგრატიონი აწერია ასევე ივანეს საფლავის ქვას სოფელ ლვანკითის ეკლესიაში.

ი. ბიჭიკაშვილი იმაზე მედავება, რომ მე მართებულად ვაცხადებ: „ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრები ბაგრატიონები იყვნენ და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკები“, რასაც მე დღესაც ვადასტურებ. ის აღარ იმოწმებს რუსთის იმპერიის ტიტულოვანი საგვარეულოების და პირების ნუსხებს, სადაც გარკვევით წერია, რომ იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ის ძის – იმერელი ბატონიშვილის, ბაგრატის შთამომავლები ბაგრატიონის გვარს ატარებდნენ. “Потомки царевича имеретинского Баграта, сына Александра V царя Имеретинского (ум. в 1752 г.), носят фамилию Багратион“ [28: 11]. აქვე ნათქვამია, რომ სამთავრობო სენატის 1850 წლის 6 დეკემბრისა და 1853 წლის 27 ივლისის დადგენილებების თანახმად, თავადური ლირსება დაუმტკიცდათ ივანე და პოდპოლკოვნიკ თეიმურაზ დავითის ძე ბაგრატიონებს.

ი. ბიჭიკაშვილი ცილს მწამებს, ვითომდა, მე გაყალბებულ დოკუმენტად მოვიხსენიებ ჩემ მიერ გამოქვეყნებულ „წერილს იმერთა უფლისნულ და- ვითთან“, რომლის ადრესატიც ქ-ნი ნინო ბაგრატიონის უძუალო წინაპარი იყო. ი. ბიჭიკაშვილი აყალბებს როგორც ჩემ ტექსტს, ისე თავად დოკუ- მენტს. საქმე ეხება ხელნაწერთა ცენტრში დაცულ საბუთს Hd-5454, რომე- ლიც Hd კოლექციის კატალოგის XI ტომშია (და არა IX ტომში, როგორც ამას ი. ბიჭიკაშვილი მიუთითებს) აღნუსხული ხელნაწერთ ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლების მიერ. ჩემამდე ეს საბუთი არავის გამოუყენებია. გაუგებარია, რას მედავება ბ-ნი ბიჭიკაშვილი: „რაც შეეხება ქ-ნი მანანას მიერ სამეცნიერო ბრუნვაში ვითომ პირველად შემოტანილ XIX საუკუნის I მეოთხედში დავით ბაგრატის ძისთვის შექმნილ დოკუმენტს, რომელსაც იგი თამამად ფარსადან წერეთლის მიერ გაყალბებულ დოკუმენტად მოიხსე- ნიებს და რომლის სათაურია „წერილი იმერთა უფლისნულ დავითთან“, ჯერ კიდევ 1964 წელს იყო აღნერილი ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი თა- ნამშრომლების, კერძოდ, თ. ენუქიძის, რ. პატარიძის, ნ. შოშიაშვილის და ჯანდიერის მიერ“ [29: 218]. მე ამ დოკუმენტს, ანუ ხელნაწერთა ცენტრში დაცულ წერილს, „გაყალბებულად“ არ მოვიხსენიებ. წერილის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ დავით ბატონიშვილს მეფე სოლომონის სიკვდილის შემ- დეგ, იმერეთის ტახტის მემკვიდრედ თავის წარმოჩენა განუზრახავს, ფარ- სადან წერეთლისათვის სიგელების გაყალბება დაუვალებია, რაც ამ უკანასკ- ნელმა უშუალო შემსრულებლების ხელით გააკეთა. თავად ეს გაყალებული დოკუმენტი შემონახული არ არის, ჩვენთვის მის შესახებ წერილში გად- მოცემული ინფორმაციის მეშვეობით გახდა ცნობილი. ი. ბიჭიკაშვილი კი განზრას ერთმანეთში ურევს ჩვენს ხელთ არსებულ წერილს, რომლის სის- წორეში მე არავითარი ეჭვი არ შემაქვს და იმ დოკუმენტს, რომელზედაც ზემოხსენებულ წერილშია საუბარი. წერილში დოკუმენტის გამყალბებლები დავით ბატონიშვილს მოახსენებენ, რომ მისი განდიდების მიზნით, ყოვე- ლივე ისე შეასრულეს, როგორც მას ფარსადან წერეთლისთვის ჰქონდა ნაპრძანები: „სარუსეთო წიგნებში“ მეფე რომ საქმეებს აცხადებს, თქვენი სახელი ისე დავწერეთო. სოლომონ მეფის სახელით დაუწერიათ: „შემდგო- მად ჩემსა სამეფოსა სახლისა და გვარისა ჩემისა შვილი და მემკვიდრე დავით“. დავითის მაგივრად კი ამ სახით მოუწერიათ ხელი: „მე ყოვლისა საიმერეთოსა უფლისნული დავით“ და მისი ბეჭედიც დაურტყამთ. მთა- ვარი კი ის არის, რომ ეს ყოველივე „მეფის ბეჭედთან“ დაუწერიათ [30:1]. ცხადია, სოლომონ მეფის ბეჭდიანი რაღაც სიგელი ჰქონიათ ხელთ, რომე- ლიც ახალი ტექსტის ჩასაწერად გამოიყენეს. ი. ბიჭიკაშვილს ამ ფაქტის გამომულავნება არ სურს, ამიტომ გაუგებრობას ქმნის, თითქოსდა, მე ხელ- ნაწერთა ცენტრში დაცულ დოკუმენტს ნაყალბევს ვუწოდებ. რამდენჯერმე მომანერს რა სიტყვა „ნაყალბევის“ ხმარებას, თან აცხადებს, რომ ეს მისთ- ვის მიუღებელი ყოფილა: „ამიტომ მისი წინასწარ ნაყალბევად გამოცხადება ქ-ნი მანანას მიერ ჩემთვის მიუღებელია“. ჩემთვისაც მიუღებელია, მითუ-

მეტეს, რომ მე ამ დოკუმენტის ტექსტი ნაყალბევად არ შემირაცხავს. მე დავით ბატონიშვილს ვუწოდე დოკუმენტების გამყალბებელი. ი. ბიჭიკაშვილი აყალბებს როგორც ჩემ ტექსტს, ისე თავად დოკუმენტს. ი. ბიჭიკაშვილმა, გარდა იმისა, რომ წერილის სწორად გადმოწერაც ვერ მოახერხა, მიზან-მიმართულად გამოტოვა სიტყვები, რითაც დაამახინჯა მნიშვნელოვანი ფრაზა, რომელიც არ აწყობდა: „სარუსეთოს წიგნებში მეფე რომ საქმეებს აცხადებს თქვენი სახელიც ასე დავსწერეთ და შემდგომად ჩემსა სამეფოსა სახლისა და გვარისა ჩემისა შვილო (შვილი – მ. ხ.) და მემკვიდრე დავით. ეს ასე (დავსწერეთ და თქუენ მაგიერად ჭელიც ასე – მ. ხ.) მოვაწერეთ მეფის ბეჭედთან და ასე სწერია მე ყოვლისა საიმერეთისა (საიმერეთისა – მ.ხ.) უფლისწულ (უფლისწული – მ.ხ.) დავით [უჭედი]“ [31: 219]. იმერეთის ტახ-ტის მემკვიდრის საკითხთან დაკავშირებით, მე არაერთხელ მაქს აღიშნული, რომ მემორანდუმსა და ი. ბიჭიკაშვილის ნაშრომებში უგულვებელყო-ფილია მეფე სოლომონ II-ის ნება-სურვილი. ელაზნაურის ხელშეკრულების მე-2 პუნქტით, მეფემ იმ შემთხვევაში თუ მას მამრობითი სქესის შვილი არ გაუჩნდებოდა, თავის მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი გამოაცხა-და. საპასუხო წერილში ი. ბიჭიკაშვილს ამ ხელშეკრულების გაუქმება დაუსახავს მიზნად. იმოწმებს ცნობას თ. ჟორდანისა საგაზეთო წერილიდან, სადაც ნათქვამია, რომ მთავარმართებელმა ციციანოვმა არ შეასრულა მე-ფისთვის მიცემული პირობა მისთვის ლეჩხუმის დაბრუნების თაობაზე „და სოლომონ მეფემაც მიცემული ფიცი უარყო“ [32: 219]. ი. ბიჭიკაშვილი აკეთებს დასკვნას, რომ სოლომონ II-მ უარყო 1804 წლის ელაზნაურის ხე-ლშეკრულება და შესაბამისად უარყოფილ იქნა მემკვიდრედ დასახელებუ-ლი კონსტანტინე ბატონიშვილი, „რომელზეც რუსები დიდ იმედებს ამ-ყარებდნენ.“ სინამდვილეში, სოლომონის მიერ რუსეთის მიმართ ფიცის უარყოფა სწორედ იმაში გამოიხატა, რომ ის კონსტანტინეს აღარ თმობდა. მეფე სოლომონმა კონსტანტინე ბატონიშვილისადმი თავისი ძველი დამოკ-იდებულება მამა-შვილური ურთიერთობით შეცვალა. კონსტანტინე ბა-ტონიშვილი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან თავიდანვე მოიაზრეოდა, როგორც იმერეთის მეფეზე ზემოქმედების იარაღი. მუხურის ციხიდან გან-თავისუფლების შემდეგ ის დროებით თბილისში გადმოიყვანეს. როგორც ჩანს, კონსტანტინე ბატონიშვილმა გააცნობიერა, რომ მისი „კეთილისმყ-ოფელი“ იმპერატორი მის გამეფებაზე კი არ ზრუნავდა, არამედ იმერეთის სამეფოს გაუქმებაზე, როგორც მან ეს ქართლ-კახეთის სამეფოში ჩაიდინა. ამიტომ კონსტანტინემ სოლომონთან შერიგება და მისი ერთგულება არჩია. კონსტანტინემ იმერეთში გაქცევა მოახერხა, სადაც მეფე მას ფარულად შეხვდა და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა. სწორედ, ამის გამო, აღნიშ-ნავდა ლიტვინოვი თავის მოხსენებაში, რომ მეფე არღვევდა რუსეთის ერთ-გულებაზე დადებულ ფიცს [33: 4]. შემდგომში, კონსტანტინე ბატონიშვი-ლის შვილი, ნიკოლოზ იმერეტინსკი, მამის შესახებ წერდა: „მან არ ისურვა იმ ძლიერ ხელზე დაყრდნობა, რომელმაც გაათავისუფლა ხუნდებისაგან,

შეეცადა საერთოდ დაელწია თავი რუსული გავლენისაგან და მეფე სოლო-მონთან გაიქცა“ [34: 29ა]. 6. იმერეტინსკი ასევე ასახელებს გენერალ ტორ-მასოვის 1810 წლის 30 მაისის წერილს, რომელშიც დადასტურებულია სოლომონ II-ის მიერ კონსტანტინე ბატონიშვილის ტახტის მემკვიდრედ აღ-იარების ფაქტი [35: 37]. გენერალ-ლეიტინინანტ ვოლკონსკის ციციანოვის სახელზე გაგზავნილი პატაკიდან ვიგებთ, რომ კონსტანტინე ბატონიშვილმა შეკრიბა რამდენიმე კაცი და იმყოფებოდა ტაძარში, სადაც ჩავიდა მეფე სოლომონი მის სანახვად და მათ ერთმანეთს ურთიერთდახმარება შეფიც-ეს [36: 9]. 1804 წლის 17 დეკემბერს ციციანოვი მეფე სოლომონს სწერდა: „Итак должен повторить, что высыплю ю царевича Константина в Тифлис в. в. оказать изволите Г. И. покорность и себе сделаете полезное, ибо рано или поздно сей гость, при жизни вашей в Имеретии пребывавший не своим произволом, но научением неблагонамеренным, обратится в. в. на пагубу, вместо того, что он бы, удаленный от праздной жизни, приобрел бы добродетели, воспитанием поселяемыя“ [37]. ამდენად, ი. ბიჭიკაშვილის ვარაუდი შორს არის რეალობისგან. ის ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე ბატონიშვილს მეფის ღალატსაც სწამებს: „...ბატონიშვილი დავითი ერთად-ერთია იმერეთის სამ ბატონიშვილთაგან, რომელსაც არასდროს უღლალატია იმერეთის უკანასკნელი მირონცხებული მეფე სოლომონ II-ისათვის [38:219]. კონსტანტინეს მაშინაც არ უნდოდა იმერეთის დატოვება, როდესაც ტახ-ტიდან ჩამოგდებული მეფე სოლომონი ოსმალეთში გადაიხვენა. სიმონოვიჩი ტორმასოვს მოახსენებდა, რომ თუ კონსტანტინე ბატონიშვილს იმერეთში დატოვებდნენ, როგორც ტახტის მემკვიდრეს, მაშინ ხალხში კვლავ გაიღვი-ძებდა საკუთარი მეფის ყოლის ოცნება და „ის პატივისცემა, რომელსაც ხალხი განიცდიდა ბაგრატიონთა მიმართ“, რაც რუსეთისთვის საზიანო აღ-მოჩნდებოდა [39: 111-113ა]. ი. ბიჭიკაშვილი ასკვნის, რომ რუსეთის ხელი-სუფლება ვერ ახერხებდა იმერეთში დარჩენილი დავით ბაგრატის ძის შეპუ-რობასა და გადასახლებას. ის სვამს კითხვას: „...მეფე სოლომონის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ გვარში უფროსობა რატომ არ უნდა გადასულიყო ბატონიშვილების გენეალოგიურად უფროს ხაზზე?“ [40: 219]. ი. ბიჭიკაშვ-ილმა უნდა იცოდეს, რომ დავით ბატონიშვილის ტახტის მემკვიდრედ გა-მოცხადება, თუნდაც მისი გონებრივი მონაცემების გამო, შუძლებელი იყო. ი. ბიჭიკაშვილი ამ სახით იმონმებს ამონაიდს აქტების IV ტომიდან: „Царевич Давид, живущий в Аргути сын Баграта Александровича... (მრავალწერტილი-მ. ხ.) и в обуяния ума своего, коего виден уже был вредный пример, может ко всему пристать, то я полагаю для спокойствия Имеретии полезнейшим, если и сей царевич будет выслан в Тифлис“ [41:219]. მან ამონარიდის შუაგულში მრავალწერტილით აღნიშნა ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ დავით ბატონიშვილი სუსტი გონების იყო და ხალხზე არავითარი გავლენა არ ჰქონდა: „Царевич Давид ... по описанию вашему слабого ума и на народ не имеет никакого влияния, но как народ Имеретинский еще и его

слабоумие...” [42: 335]. როგორც ვხედავთ, ი. ბიჭიკაშვილმა ასევე გამოტოვა სიტყვები: „еще и его слабоумие...“ . ისტორიკოსია პოტტოს მოწმობითაც და-ვით ბატონიშვილი თავის დროზე რუსეთში გადასახლებული არ იქნა, ერ-მოლოვის თქმით, მისი „სრულიად პირუტყვისებრი სისულელის გამო“. „Царевич Давид, сын Баграта не высланный в Россию... как говорит Ермолов только по причине совершенно скотоподобной глупости“ [43: 526]. ი. ბიჭი-კაშვილმა, ცხადია ეს იცის. მიუხედავად ამისა, წერს: „... აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ სოლომონ II-ს დავით ბატონიშვილი გამოეცხადებინა მემკვიდრედ, რაზეც ასევე გვაფიქრებინებს ფილადელფინის მიერ 1853 წელს შედგენილი (თუმცა, ხარვეზებით) ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულაც, სადაც სოლომონ II-ის შვილად დავითია აღნიშნული“ [44: 220]. ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ როგორ გააყალბა ი. ბიჭიკაშვილმა ფი-ლადელფინის ხსენებული ტაბულა.

იმ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რომ 2006 წლის მემორან-დუმზე ქ-ნი ნინო ბაგრატიონის ხელმოწერა ზის ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარის გასწვრივ, ი. ბიჭიკაშვილი „ნანილობრივ“ მეთანხმება, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მეტი გაუგებრობა შემოიტანოს: „...ბატონიშვილი ნინო ხელს აწერდა მხოლოდ როგორც ბაგრატიონი, რადგან ლოგიურია, რომ მოქა-ლაქეს ხელმოწერა არ უნდა განსხვავდებოდეს პასპორტში დაფიქსირებული მისი გვარისაგან...“ [45: 217]. ანუ ი. ბიჭიკაშვილი აღიარებს, რომ ქ-ნ ნინოს პასპორტში ბაგრატიონი ენერა. შეიძლება პირმა სულ რამდენიმე ასოთი, ან რაიმე გამოსახულებით მოაწეროს ხელი, მთავარი მაინც ის არის, თუ რა გვარ-სახელის გასწვრივ სვამს იგი თავის ხელმოწერას. მემორანდუმზე კი ქ-ნი ნინო XX საუკუნის დასაწყისში გამქრალი „ბაგრატიონი-იმერეტინსკის სამეფო სახლის“ სახელით აწერს ხელს, რაც ანაქრონიზმი და ისტორიის დამახინჯება.

ბ-ნი ოსებ ბიჭიკაშვილი თვით სასამართლოს შეცდომაში შეყვანასაც არ მოერიდა. სამოქალაქო საქმეზე №2/21413-17, რომელიც ბატონიშვი-ლი ვახტანგ ბაგრატიონის ერთ-ერთმა შთამომავალმა აღძრა, ი. ბიჭიკაშ-ვილმა თავისი შესაგებელი ნარმოადგინა, სადაც დაამახინჯა 6. მახარა-ძის ნაშრომში მოყვანილი, 1819 წელს შედგენილი, რუსეთის მთავრობის ერთგული თავადების და აზნაურების სია. დოკუმენტში ერთად არიან დასახელებული: „Князь Давид Багратион Батонишвили 2. село Вангети. Князь Вахтанг Багратион Батонишвили. Со всеми крестьянами не участвовали в мятеже и всячески старались об удержании их в спокойствии, усердствуя к российскому правительству“ [46: 235]. ი. ბიჭიკაშვილს არ სურს, რომ ნათქვამი დავითსაც ეხებოდეს, რისთვისაც მან თვითნებულად ამოაგდო მისი სახელი, ხოლო ზმნები „არ მონაწილეობდნენ“ და „ცდილობდნენ“ – მრავლობითი რიცხვიდან მხოლობით რიცხვში გადაიყვანა: „Князь Вахтанг Багратион Батонишвили. Со всеми крестьянами не участвовал в мятеже и всячески старался об удержании их в спокойствии, усердствуя к российскому

правительству“. აი, ასეთ გაყაბებულ დოკუმენტს დააფუძნა თავისი მც-დარი დასკვნები, მაგრამ ეს სიყალბეც დაუსჯელი დარჩა, რადგან არ არსებობს შესაბამისი მუხლი, რომლითაც საისტორიო დოკუმენტის გაყალბება ისჯება.

ი. ბიჭიკაშვილი ირონიულად წერს: „ქ-ნ მანანას, როგორც ჩანს, ძალიან აწუხებს ის ფაქტი, რომ მე, 2006 წელს, ხელი მოვაწერე ბაგრატიონთა მემორანდუმს როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“, თავმჯდომარის მოადგილემ, რადგან მისი მტკიცებით, თურმე, 2004 წლიდან უკვე აღარ ვითვლებოდი აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ...“ [47:220]. ჩემი მტკიცება ემყარება ოფიციალურ დოკუმენტს – „ამონანერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საიდენტიფიკაციო კოდი 205021313. სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 14. 02. 2004.“ ი. ბიჭიკაშვილს მოჰყავს 2004 წლის შემდგომი წლების დოკუმენტები, სადაც ის თავმჯდომარის მოადგილის რანგში აწერს ხელს და მე მთხოვს ამ ფაქტის ახსნას. მე აღნიშნული საზოგადოების წევრი არ ვყოფილვარ და არ ვარ პასუხისმგებელი იმაზე, თუ რა და რატომ მოხდა. ერთი რამ კი უდაოა: მე ვემყარები არა ვარაუდს, არამედ ოფიციალურ, 2004 წელს რეესტრში გატარებულ დოკუმენტს, რომელიც გაუქმებული არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, შემდგომი წლების ყველა დოკუმენტი, რომელშიც ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის რანგში ფიგურირებს – იურიდიული ძალის არმქონეა.

დაბოლოს, ი. ბიჭიკაშვილი ცდილობს სეპარატისტად და ფაქტობრივად სამშობლოს მოღალატედ შემრაცხოს, რაც პასუხსაც არ იმსახურებს, მაგრამ მაინც განვმარტავ: მე საქართველოს დაყოფის არავითარი გეგმა არ შემომითავაზებია. 2006 წლის „მემორანდუმში“ ვკითხულობთ: „ისტორიული და პოლიტიკური ტრადიციების მნიშვნელობის მომდევნო მეფური შტო არის – იმერეთის ბაგრატიონთა შტო...“ [48:231] მე კი მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებებთან დაკავშირებით შემაქვს შესწორებები, რაც დოკუმენტებზე დაყრდნობით, ცალკე ნაშრომში მაქვს განხილული [49].

<b>ალექსანდრი 1784</b>  <hr/> <b>Feopriა</b>	<b>Mapia ა. 3 ასტრიონ</b>  <hr/> <b>Feopriა</b>	<b>Barparion ა. 3 ასტრიონ</b>  <hr/> <b>Feopriა</b>	<b>Barparion ა. 3 ასტრიონ</b>  <hr/> <b>Feopriა</b>
  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>
  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>
  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>
  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>	  <hr/> <b>ალექსანდრი</b>

სურ. ა. ფილადელფინის მიერ შედგენილი ბაგრატიონთა გენელოგიური ტაბულის ფრაგმენტი, რომელიც ი. ბიჭიკაშვილმა დამაღა და სხვა ფრაგმენტით ჩაანაცვლა.

### **ლიტერატურა დ წყაროები:**

1. ი.ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, „მაცნე“, 2018 წ., № 1.
2. „ბაგრატოვანთა სახლის“, 2006 წლის მემორანდუმი“, წიგნ-ში: კ. ქორიძე, ი. ბიჭიკაშვილი, „საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია, ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016.
3. фонд ВУА, дело 4270(1813 г.)\_докладная записка Главноуправляющего Грузией генерал-лейтенанта Н. Ф. Ртищева.
4. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018.
5. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237.
6. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018.
7. Российская родословная книга, издаваемая князем Петром Долгоруковым, часть третья, Спб., 1856.
8. „ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტობების გენეალოგია“, თბ., 2016, გვ. 322.
9. სეა, ფონდი 2, აღწერა 2, საქმე 109.
10. მ. ხომერიკი, „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“, თბ., 2018.
11. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018, გვ. 221.
12. Генеалогичная таблица Грузинского Царского Дома с Баграти III, составленная А. Филаделфинным. „Кавказский календарь на 1853 год.“ Тифлис, 1852.
13. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018.
14. П. Юдин. "Судьба князей Багратионов-Имеретинских в России", журн. „Русский Архив“, Спб, 1897, книга третья, октябрь.
15. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018, გვ. 214.
16. სეა, ფონდი 416, აღწერა 3, საქმე 169.
17. მ. ხომერიკი, „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების

- აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“
18. სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე №1641.
  19. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018. გვ. 216.
  20. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018. გვ. 216.
  21. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განმტოებები“, თბ., 2016.
  22. ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განმტოებების გენეალოგია“, თბილისი, 2016, ტაბულა №19. გვ.330.
  23. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018. გვ. 216.
  24. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018.
  25. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417.
  26. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417.
  27. ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417.
  28. Списки титулованным родам и лицам Российской Империи. Спб, 1892.
  29. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018.
  30. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Hd-5454.
  31. ი. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018.
  32. ი. ბიჭიკაშვილი, პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაცნე, №1, 2018.
  33. სეა, ფონდი 16, აღწერა 1, საქმე №153.
  34. Н. К. Имеретинский, Багратиды в России, СПБ. 1885. ხელნაწერთ ეროვნული ცენტრი, ხელნაწ. ROS-637.
  35. Н. К. Имеретинский, Багратиды в России, СПБ. 1885. ხელნაწერთ ეროვნული ცენტრი, ხელნაწ. ROS-637.
  36. სეა, ფონდი 16, აღწერა 1, საქმე №153.
  37. Акты, т. II, №820 №492.

38. о. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაც-ნე, №1, 2018.
39. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე №496.
40. о. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაც-ნე, №1, 2018.
41. о. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაც-ნე, №1, 2018.
42. Акты, т. IV, №445.
43. Акты, т. IV, №445.
44. В. Потто, Утверждение Русского Владичества на Кавказе, т. 3.
45. о. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაც-ნე, №1, 2018.
46. о. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაც-ნე, №1, 2018.
47. სეა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 906.
48. о. ბიჭიკაშვილი, „პასუხი მანანა ხომერიკის სტატიაზე „იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“, მაც-ნე, №1, 2018.
49. კ. ქორიძე, о. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, დოკუმენტი №4.
50. მ. ხომერიკი, „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“, თბ., 2018.

## **Manana Khomeriki**

### **REGARDING MR. I. BICHIKASHVILI'S RESPONSE ARTICLE**

#### **Summary**

I. Bichikashvili published the article "Answer to Mrs Manana Khomeriki on the Article "About Inaccuracies in Regard with the Imereti Branch of Bagrations". He tried to justify the signature of the Head of the House of Bagrationi, Ms. Nino Bagrationi, on behalf of the currently non-existent family name and the Royal House of Bagration-Imeretinsky, while this branch ceased to exist at the beginning of the 20th century. The article by M. Khomeriki proved that I. Bichikashvili distorted the essence of a number of historical documents and forged documents. In his response article, I. Bichikashvili confirmed that after signing the "Memorandum" he changed his point of view on two important issues. These new versions are as unbounded as previous ones. However, in any case, new versions debunk the versions that are recorded in the "Memorandum".

I. Bichikashvili is trying to refute M. Khomeriki's following statement: since 2004 he has not been deputy chairman of the Georgian Genealogical Society and as such had no right to sign the 2006 Memorandum of "the Bagration House". He cites documents of 2006, 2009 and 2015, in which he appears as a deputy and asks M. Khomeriki a number of questions about this.

M. Khomeriki, not being a member of the "Georgian Genealogical Society", refers to an official document: "Extract from the Register of Entrepreneurs and Non-Commercial (Non-Commercial) Legal Entities. Identification code 205021313. Date of state registration: 14. 02. 2004." Since this document has not been canceled, all subsequent documents signed by I. Bichikashvili as a deputy do not have legal force.

**Манана Отаровна Хомерики**

## **ПО ПОВОДУ ОТВЕТНОЙ СТАТЬИ Г-НА И. Л. БИЧИКАШВИЛИ**

### **Резюме**

И. Л. Бичикашвили опубликовал статью "Ответ Манане Хомерики на статью "О неточностях в связи с Имеретинской ветвью Багратиони". Он постарался оправдать подпись предводительницы Дома Багратиони г-жи Нино Багратиони от имени несуществующей на сегодняшний день фамилии и Царского Дома Багратион-Имеретинских, тогда как эта ветвь прекратила существование в начале XX века. В статье М. Хомерики доказано, что И. Бичикашвили исказил суть ряда исторических документов и подделал документы. В своей ответной статье И. Бичикашвили подтвердил, что после подписания "Меморандума" изменил свою точку зрения по двум важным вопросам. Эти новые версии такие же необоснованные, как и предыдущие. Однако в любом случае, новые версии развенчивают версии, которые зафиксированы в "Меморандуме".

И. Бичикашвили старается опровергнуть утверждения М. Хомерики о том, он с 2004 года не является заместителем председателя "Грузинского Генеалогического Общества" и в качестве заместителя такого не имел права подписания "Меморандума Дома Багратионов" 2006 года. Он приводит документы 2006, 2009 и 2015 годов, в которых фигурирует в качестве заместителя и задает М. Хомерики ряд вопросов по этому поводу.

М. Хомерики, не будучи членом "Грузинского Генеалогического Общества", ссылается на официальный документ: "Выписка из Реестра предпринимателей и некоммерческих юридических лиц. Идентификационный код 205021313. Дата государственной регистрации: 14. 02. 2004 г." Поскольку этот документ не был аннулирован, то все последующие документы, подписанные И. Бичикашвили в качестве заместителя – не имеют юридической силы.

## დაცართი, რომელიც „მაცნეში“ გამოქვეყნებული არ ყოფილა

ვაქევეყნებ ილუსტრაციებს, რომლებიც უურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნებული არ ყოფილა (იხ. სურ. №1 და სურ. №2).

ასევე, მინდა ერთ საინტერესო მომენტზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება: როგორც ჩანს, დავით ბატონიშვილმა დოკუმენტის გაყალბება ფარსადან წერეთელს იმიტომ დაავალა, რომ ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად, ყველაზე მეტი შესაძლებლობა საჩერებელი არსებობდა. ფარსადანი ჭალელი აზნაური იყო (ჭალა – სოფელი საჩერის მუნიციპალიტეტში).

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, როდესაც ქუთაისის სტამბამ მუშაობა შეწყვიტა, თავადმა ზურაბ წერეთელმა და მის შვილმა, გრიგოლმა, სტამბა საჩერებელი გადაიტანეს, სადაც ის 1815-1822 წლებში ფუნქციონირებდა. სწორედ აქ მოხდა ერთი სიგელის გაყალბების გახმაურებული ფაქტი, რომელიც დავით ბატონიშვილის ბრძანებით სიგელის გაყალბებასთან დაკავშირებული არ არის, მაგრამ თითქმის ანალოგიურია. მომყავს ამონარიდი ზურაბ წერეთლის ძმისშვილის, იოანე წერეთლის ჩვენებიდან: „...მესტამბე დავით ზუბაშვილი დავითანხმე სამეფო ბეჭედის დამზადებაში, რომელიც ორივემ გამოვჭერით სპილენზე. ბეჭედს ვაჩვენებდით არქიმანდრიტ ზაქარიას: იგი გვიწუნებდა, ვერ ხედავდა მსგავსებას ნამდვილ სამეფო ბეჭედთან. ბოლოს, როცა ბეჭედს მიეცა საჭირო სახე, წავედი იერომონას ოსე გაბაშვილთან, რომელსაც მანამდეც არაერთხელ ვთხოვე დაეწერა ყალბი სიგელი, რადგან დედანი ჩემს ნათესავებთან ინახებოდა, [რომელიც] დაწერილი იყო მისივე ხელით. ოსე გაბაშვილმა ბევრჯერ მითხრა უარი, მაგრამ ბოლოს დათანხმდა და დაწერა ჩემს მიერ მომზადებული შავის მიხედვით. მან არ იცოდა, რომ მე მაქვს სამეფო [ყალბი] ბეჭედი“ [ლალი ქუთათელაძე, „რამდენიმე ცნობა ზაქარია გაბაშვილის ბიოგრაფიიდან“, „მაცნე“, 1980, №1, გვ. 68]. ახლა კი გავეცნოთ ამონარიდს დავით ზუბაშვილის ჩვენებიდან: „...მთხოვდნენ მე გამეკეთებინა ზემოთ ხსენებული ბეჭედი, ზუსტად ისეთი, როგორიც განსვენებულ მამაჩემს ჰქონდა გაკეთებული მეფისთვის...“ ცნობისათვის, დავითის მამა იყო რომანოზ ზუბაშვილი, მეფე ერეკლეს სტამბაში ნამუშევარი მესტამბე, რომელიც მეფე სოლომონ II-მ მოზდოკიდან მიიწვია ქუთაისის სტამბაში სამუშაოდ.

როგორც ჩანს, დავით ბატონიშვილის დავალებით სიგელის გაყალბების ფაქტი არ გამომუდაგნებულა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისიც დაისჯებოდა, როგორც გამყალბებელი იოანე წერეთელი დაისავა. სულ ახლახან გამოიცა ან გარდაცვლილი ბ-ნი იური ჩიქოვანის ნაშრომი, რომელშიც ნუსხა 7-ის კომენტარებში იოანე წერეთლის შესახებ საინტერესო ინფორმაციაა მოყვანილი : „2/1. ივანე ბერის (ბორისის) ძე წერეთელი (1796-01. 06. 1833). 1817 წ-ს გასამართლებულ იქნა სამხედრო სასამართლოს მიერ თაღლითობისთვის (ბრალად ედებოდა იმერეთის ბოლო მეფის, სოლომონ II -ის ბეჭდის გაყალბება“ [იური ჩიქოვანი, „მეფე სოლომონ I და მისი შთამომავ-

ლობა“, თბ., 2020].

ვაქეყყნებ წერილის ასლს (იხ. სურ. №3), რომელშიც სიგელის გამყალ-ბებლები დავით ბატონიშვილს მისი დავალების შესრულების შესახებ უპა-ტაკებენ. აი, ამ წერილს (რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაც-ული) და თავად გაყალბებულ სიგელს (რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია) ურევდა ერთმანეთში ი. ბიჭიკაშვილი, გაუგებრობის შექმნის მიზნით.

**ГЕНЕАЛОГИЧЕСКАЯ ТАБЛИЦА**  
**ГРУЗИНСКАГО ЦАРСКАГО ДОМА,**  
**съ Благрата III,**  
**составленная**  
**А. Шиладзе, хранящемъ.**

**Арчилъ**  
**Па Вснѣ, дочери Ираклія II\*1785**

СОЛОМОНЪ II 1792—1810  
\*1815 въ Трапезунтѣ  
За жену: Мария Каціевна  
дочь Адамана, \*1841 въ С.П.б.

Марія  
За 1.) Кн. Церетелі  
2.) Кн. Малхадзе  
Андрониковіца отъ 1783

Давидъ

(2) Патрикъ

Васильевъ

სურ. 2. ა. ფილადელფინის მიერ შედგენილი  
ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულის ფრაგმენტი.


- 67 -

სურ. №1. ა. ფილადელფინის მიერ შედგენილი ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულის ფრაგმენტი, რომლითაც ი. ბიჭიკაშვილმა ის ფრაგმენტი ჩაანაცვლა, სადაც დავით ბაგრატის ძე ბაგრატიონი და მისი შვილი — ივანე ბაგრატიონი არიან შეყვანილი.

КНЯЗЬЯ  
БАГРАТИОНЫ-ДАВЫДОВЫ.

Подъ именемъ «кнізей Багратіоновъ—Давыдовыхъ» разумѣются по-  
томки: 1) царевича Имеретинскаго Давыда Багратовича (№ 45); 2) сы-  
новей Царя Имеретинскаго Давыда (№ 39): а) Вахтанга и б) Тарила,  
и 3) потомки сына Царя Соломона II (№ 40), Давыда Соломоновича.  
Они признаны въ княжескомъ достоинствѣ 6-го декабря 1850 года.

სურ. №2. ბაგრატიონ-დავიდოვების სხვადასხვა შტოები პ. დოლგორუკოვის მიხედ-  
ვით. ამონარიდი წიგნიდან „Российская Родословная Книга, Издаваемая Князем Петром  
Долгоруковым, часть третья“.



სურ. №3. პ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი Hd-5454

## **ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის სადამსჯელო ქადაგები ჩემ მომართ**

ი. ბიჭიკაშვილმა, ყოვლად უსამართლოდ, დამადანაშაულა, თითქოს-და, მე დოკუმენტი დამახინჯებულად ვთარგმნე [„ბაგრატიონთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016, გვ. 30]. ვფიქრობ, ბ-ნმა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ რუ-სული საკმაოდ კარგად იცის იმისთვის, რომ ჩემი თარგმანი შეეფასები-ნა და ი. ბიჭიკაშვილის უსამართლობას მიმხვდარიყო, ან თუნდაც ეკითხა მისთვის: ამ „დამახინჯებით“ მ. ხომერიკი რას ისახავდა მიზნად? იმერეთის აჯანყების მონაწილეობისთვის რუსეთში გადასახლებულ თავის წინაპარ როსტომ ბაგრატიონს სტატუსი მოუმატა? როსტომი „იმერეთიდან“ იქნე-ბოდა, თუ „იმერეთის მცხოვრები“ – ეს მის სტატუსს ცვლიდა? სიტყვა „ურожენეც – „მცხოვრებს“ როდიდან ნიშნავს? ნაცვლად ამისა, ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ ი. ბიჭიკაშვილის მიერ ჩემ მომართ გამოვლენილი არაკეთილსინდისირება მოიწონა და აიტაცა, რის გამოც, 2018 წლის 20 თებერვალს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე წერილი:

„ლია წერილი ბატონ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენი ოჯახის ოფიციალურ ვებგვერდზე „საქართველოს სამეფო სახლი“ (<http://www.royalhouse.org.ge/>დანარ-თი-№7) განთავსებულ საქართველოს სამეფო სახლის კანცელარიის 2010 წლის განცხადების დანართში №7, გაუგებარი გზით აღმოჩნდა ციტატა ჩემი მონოგრაფიიდან „იმერეთის სამეფოს გაუქმება, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, რომელიც 2012 წელს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოვეცი. გარდა წლებთან დაკავშირებული კურიოზისა, წაყენებული მაქვს აბსურ-დული ბრალდება: თითქოსდა, დავამახინჯე დოკუმენტი, რომელიც როს-ტომ ბაგრატიონს შეეხება: „თუ შევადარებთ რუსულ ორიგინალ ტექსტს, მის ქართულ თარგმანთან, რომელიც ქ-ნ მ. ხომერიკს ეკუთვნის, ნათლად ვლინდება „მთარგმნელის“ მიერ ორიგინალი ტექსტის დამახინჯება, რადგან ურожენეც იმერეთის კონსტიტუციის მიხედვით განვითარებულ ტექსტს, მის ქართულ თარგმანთან, რომელიც ქ-ნ მ. ხომერიკს ეკუთვნის, ნათლად ვლინდება „მთარგმნელის“ მიერ ორიგინალი ტექსტის დამახინჯება, რადგან ურожენეც იმერეთის სამთავროს მცხოვრები და არა „იმერეთის სამთავროდან“, თან, რა-ტომდაც ბრჭყალებში?!“ ვფიქრობ, ძნელი არ არის (თუნდაც რუსულ-ქა-რთული ლექსიკონის მეშვეობით) დარწმუნდეთ, რომ სიტყვა უროგენეც – „მცხოვრებს“ არ ნიშნავს. გარდა ამისა, პიროვნება, რომელიც დოკუმენტშია დასახელებული, წარმოშობით იმერეთიდან იყო, მაგრამ წლების მანძილზე და ამ მოცემული დოკუმენტის შედეგების დროისათვის პეტერბურგში ცხ-ოვრობდა, რადგან იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებაში მონაწილეობის გამო, სამშობლოში დაბრუნება აკრძალული ჰქონდა. რუსი ჩინოვნიკების მიერ შეთითხნილ დოკუმენტში იმერეთის სამეფო „იმერეთის სამთავროდ“ იწოდება. მე ჩემი პროტესტი ბრჭყალებში ჩასმით გამოვხატე, რამაც თქვენი

აღშფოთება გამოიწვია. საინტერესოა, თქვენ როგორი რეაგირება მოახდინეთ იმერეთის ისტორიის ასეთ უხეშ დამახინჯებაზე? ალბათ, ჩემი შეხსენება არ უნდა იყოს საჭირო, რომ იმერეთის ისტორია სრულიად საქართველოს ისტორიის ნაწილია. იმერეთის სამეფოს სამთავროდ გამოცხადება და დაკანინება ზოგიერთი ვაი-მკვლევარის ინტერესებშია. ამჯერად არ შევეხები იმერეთის სამეფოს და იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებულ სხვა უზუსტობებს, რომელთა ერთი ნაწილი განხილული მაქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეში (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია: № 2. 2017).

დაბეჯითებით გთხოვთ, დაავალოთ თქვენს გვერდზე ამ ტექსტის განმთავსებელს, რომ განცხადებიდან ამოიღოს ჩემი სახელი.

მანანა ხომერიკი, ისტ. მეცნ. დოქტორი,  
„იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოების“ აღმასრულებელი  
მდივანი.“

როგორც მოსალოდნელი იყო, ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ არაფერი შეისმინა. პირიქით, მთელი თავის დაჯგუფების მობილიზაცია გამოაცხადა და ჩემს წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციების ხელმძღვანელობა იკისრა. ი. ბიჭიკაშვილის წიგნისთვის „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“ დაწერა ერთგვერდიანი წინასიტყვაობა „მკითხველს“, სადაც მიუხედავად იმისა, რომ მე ბაგრატიონ-დავითიშვილების არცერთ შტოსთან არავითარი შეხება არ მქონია, მაინც საკმაო ადგილი დამითმო: „მსურს ხაზი გავუსვა იმას, რომ ბატონი იოსებ ბიჭიკაშვილის პასუხები არ სცილდება აკადემიურობას და ჭეშმარიტი მკვლევარისთვის დამახასიათ-ბელ სტილს, რისი დეფიციტიც, სამწუხაობა, შეინიშნება მბრალდებელთა (სწორი ფორმაა – „ბრალმდებელთა“ – მ. ხ.) მხრიდან, რამაც გამოიწვია კიდეც არა მხოლოდ ჩვენი დინასტიური კავშირის – „ბაგრატოვანთა სახლის“ აღშფოთება და მკაცრი პასუხით რეაგირება, არამედ ბატონიშვილი ნინო ბაგრატიონ-იმერეტინსკის ოჯახის წევრების ოფიციალური პასუხი ქ-ნი მანანა ხომერიკის მიმართ“. ამ მცირე ამონარიდში რამდენიმე უზუსტობის და არაკეთილსინდისიერების მაგალითია: 1. კავშირი „ბაგრატოვანთა სახლი“ სწორედ ნუგზარ ბაგრატიონის უნიათობის გამო, აღარ არსებობს როგორც იურიდიული პირი. მან წლების განმავლობაში საზოგადოების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება ვერ მოახერხა, რაც წინამდებარე ნაშრომში დოკუმენტურად მაქვს დამტკიცებული. 2. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ უნდა დააკონკრეტოს, თუ სად ნახა უურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნებულ ჩემს წერილში „აკადემიურობისა და ჭეშმარიტი მკვლევარისთვის დამახასიათბელი სტილის დეფიციტი“? დასახელებული წერილი მე საგანგებოდ ჩავრთე ჩემს წინამდებარე წიგნში, რათა მკითხველმა თავად შეაფასოს. 3. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი ამახინჯებს ისტორიას, როდესაც ან გარდაცვლილ ქალბატონ ნინო ბაგრატიონს XX საუკუნის დასაწყისში გამერალი, თუ ამომწყდარი ბაგრატიონ-იმერეტინსკის შტოს გვარით იხსენიებს. 4.

ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი „მკაცრი პასუხით რეაგირებას“ უწოდებს თავისი დაჯგუფების წევრების დილეტანტურ წერილს. პასკვილზე ხელმომ-წერთა შორის არ არის არც ერთი ისტორიკოსი, შესაბამისად, ისინი აპელი-რებენ არა დოკუმენტებით, არამედ იაფთასიანი, შეთხზული ბრალდებებით. ამაზე უფრო დეტალურად იხ. „ჩემი პასუხი შეჩერებული რეგისტრაციის მქონე საზოგადოება „ბაგრატიონთა სახლის“ მსწრაფლშეშფოთებად წევ-რებს“. 5. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ ან არ იცის, ან დაავინყდა, რომ „ბაგრატოვანთა სახლის“ ოფიციალური პასუხი ქ-ნი მანანა ხომერიკა“ [იოსებ ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო“, თბ., 2018, გვ. 37] „ბაგრატოვანთა სახლის“ შეჩერებული რეგისტრაციის მქონე საზოგადოების წევრებმა დამინერეს და არა „ბატონიშვილი ნინო ბაგრა-ტიონ-იმერეტინსკის ოჯახის წევრებმა“. ყველა პასკვილს მოცემულ წიგნში ვცემ პასუხს.

სამწუხაროდ, ბატონმა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ გამოავლი-ნა წიგნიერების, სამართლიანობის, ლოგიკურად აზროვნების, წაკითხულის სწორად ალექსა და დამახსოვრების უნარის სრული დეფიციტი.

## ჩემი პასუხი ქ-ნი ნინო ბაგრატიონის და არა „პაგრატიონი-იმერეტინსკის“ ოჯახის ცეკვებს

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2018 წლის 17 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეტინსკის ოჯახის წევრების პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიკს“, რომელიც შემდეგ, სხვა პასკვილებთან ერთად, შეტანილ იქნა იოსებ ბიჭიკაშვილის ავტორობით დასტამბულ წიგნში [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018].

პირველ რიგში, საკითხავია, როდის გამოიცვალა ქ-ნმა ნინო ბაგრატიონმა გვარი და როდის გახდა ბაგრატიონ-იმერეტინსკი. ჩემს ნაშრომებში დოკუმენტურად დავამტკიცე, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. ხელთ მაქვს შესაბამისი ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტიდან, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქალბატონი ნინო გარდაცვალებამდე (2009 წ.) ბაგრატიონის გვარს ატარებდა [საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქივის უფროსის ცნობა 42.19. 26/42-17. 24. 02. 2017] (იხ. სურ. №1), ისევე როგორც მისი წინაპრები. ბაგრატიონ-იმერეტინსკების გვარს კი სხვა შტო ატარებდა. მეტი დამაჯერებლობისთვის, ოფიციალურ ბრძანებულებებს დავიმოწმებ: „**Князья Багратионы-Имеретинские.** Князья Багратионы-Имеретинские происходят от Имеретинского царевича Георгия Александровича, внука царя Имеретинского Соломона I. Внуки вышеупомянутого Царевича Георгия Александровича – Александр и Дмитрий Дмитриевичи определением Пр. Сената, от 10 мая 1876 года, утверждены в титуле Светlostи, на основании Высочайше утвержденного, 20 июня 1865 года, мнения Государственного Совета“ [Списки Титулованным Родам и Лицам Российской Империи. С.-Петербург, 1892, с. 11]. ვინაიდან ქალბატონი ნინო ბაგრატიონი მეფე სოლომონ I-ის შვილიშვილის, „გიორგი ბუშის“, იგივე ზემოდასახელებული ბატონიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძის შთამომავალი არ ყოფილა, მისი შვილები, რომლებიც უკანონოდ ცდილობენ დედისთვის ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარის მიკუთვნებას, თვითმარქვიებად შეიძლება ჩაითვალონ. წერილს ხელს აწერენ გიორგი ბაგრატიონი-ჯაფარიძე და დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძე. ისიც გავიხსენოთ, რომ 2001 წელს „ბაგრატოვანთა სახლი“ აცხადებდა: „სინადვილეში ქ-ნი ნინოს მხოლოდ ერთი შვილი – გიორგი ატარებს დედის და მამის გვარს (ბაგრატიონი-ჯაფარიძე), რაც ჩვეულებრივი და გავრცელებული მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ [„ბაგრატოვანთა სახლის“ აღმანახი „ბაგრატოვანნი“, თბ., №1, 2001, გვ. 24]. როგორც ჩანს, დალი ჯაფარიძესაც გასჩენია ამბიციები და არ ვიცი, ოფიციალურად, თუ არაოფიციალურად, ორმაგი გვარის ტარება დაუწყია. ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: ტახტის მემკვიდრის სტატუსის მორგების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს – „ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვეულებრივ და გავრცელებულ მოვლენას“ ვერ ვუწოდებთ! ახლა ვნახოთ, თუ

რას წერენ ქალბატონი ნინოს ოჯახის წევრები: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნე“-ში (2017 წ. №2) (სწორია „მაცნეში“. რატომ იმეორებთ ი. ბიჭიკაშვილის ორთოგრაფიულ შეცდომებს, რომელიც ზუსტად ასე წერს, მაგალითად: „გაზეთ „ივერია“-ში“ – მ.ხ.) მანანა ხომერიკის მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ ჩვენი გაოცება და იმავდროულად აღსფოთება გამოიწვია, ჯერ იმ არაპროფესიონალიზმა და სტილმა, რომელიც უფრო ბულვარული გამოცემის მკითხელებისთვის (ტექსტში ასეა – მ. ხ.) იქნებოდა შესაფერისი, მერე კი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეტინსკისა და მისი წინაპრებისადმი ყოვლად გაუგონარი და უსაფუძვლო პასკვილებმა, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვს საისტორიო მეცნიერების კვლევებთან!“ [„ბაგრატიონანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითშვილები (აზნაურული შტო),“ თბ., 2018, გვ. 44].

უნდა აღინიშნოს, აკადემიის „მაცნეს“ ჰყავს ჩვენი ქვეყნის წამყვანი მეცნიერებისგან შემდგარი სარედაქციო კოლეგია, რომელიც მკაცრად იცავს აკადემიურ სტილს. ყოვლად გამორიცხულია, რომ ამ უურნალში ჩემთვის, ან რომელიმე სხვა ავტორისათვის, „ბულვარული დონის“ წერილი დაებეჭდათ. გიორგი და დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები ცილს მწამებენ არ მხოლოდ მე, არამედ „მაცნეს“ მთელ სარედაქციო კოლეგიას. მათ უნდა დააკონკრეტონ, რას ეძახიან არაპროფესიონალიზმს და რატომ თვლიან, რომ ჩემს წერილს საერთო არა აქვს საისტორიო კვლევებთან. რა კომპეტენცია გააჩნიათ ასეთი დასკვნის გამოსატანად? როდის გახდნენ ისტორიკოსები? გიორგი და დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები წერენ: „შესაძლოა დიდი ხანი დასჭირდეს ყველა იმ შეცდომისა და არასწორად გამოტანილი დასკვნების ჩამოთვლას, რომლებითაც უხვად არის გაჯერებული მ. ხომერიკის აღნიშნული სტატია (ვინ აჩქარებთ, ჩამოთვალონ! – მ. ხ.). უპრიანია ეს საქმე მიენდოს პროფესიონალ ისტორიკოსებს, რომელთა სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებაა ბაგრატიონთა ისტორიისა და გენეალოგიის კვლევა. ამასთან დაკავშირებით სრულიად დამაჯერებლად მიგვაჩნია ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის საპასუხო სტატია, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნე“-ში (სწორია „მაცნეში“ – მ.ხ.) (2018 წ. №1), სადაც პუნქტობრივად არის გაბათილებული ყველა ის ცრუ პოსტულატი, რომელიც მანანა ხომერიკის სტატიაშია მოყვანილი“. აქამდე, მათი მტკიცებით, უურნალ „მაცნეში“ ხომ ბულვარული დონის წერილები იბეჭდებოდა, ახლა მდგომარეობა შეცვლილა, რადგან უურნალში ისეთ დიდ „პროფესიონალ ისტორიკოსს“ დაუბეჭდეს წერილი, როგორიც ი. ბიჭიკაშვილი ბრძანდება! მართალია, მას სამეცნიერო დისერტაცია არ დაუცავს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. უნდა ვაცნობო პატივცემულ დაძმას, რომ მე, ისტორიის რიგითმა დოქტორმა, სწორედ უურნალ „მაცნეს“ 2019 წლის ბოლო ნომერში [„მაცნე“, 2019, №2] გამოვაქვეყნე წერილი „ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის საპასუხო წერილის გამო“, რომელშიც გიორგი და დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეების მიერ მოწონებული ი. ბიჭიკაშვილი დო-

კუმენტების გაყალბებაში პუნქტობრივად ვამხილე. (ჩემი წერილი შეტანილ-ია მოცემულ კრებულში).

ბ-ნი გიორგი და ქ-ნი დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები მე მომაწერენ თავიანთ უსუსურ მსჯელობას: „მანანა ხომერიკის ლოგიკას თუ გავყვებით „სამართლიანობის აღდგენისათვის“ სჭიროა 7 თაობით უკან დაბრუნება (ანუ XVIII ს-ის მეორე ნახევარში), ბატონიშვილი ბაგრატის დაქორწინება ქალზე, რომლის გვარიც კი არავინ იცის. ეს ინსინუაციები აშკარად აბსურ-დულია, მიუხედავად ჩვენი პატივისცემისა ბატონიშვილი ბაგრატის მრა-ვალრიცხოვანი შთამომავლების მიმართ“. და-ძმის ეს მსჯელობა იმდენად დაცილებულია საღ აზრს, რომ მისი შეფასება მიჭირს. მოვითხოვ, ავტორებ-მა მიგვითითონ შესაბამისი გვერდები, სად ამოიკითხეს ჩემს ნაშრომებში ეს უმწიფარი აზრები. თავად თუ იციან, რა გვარი იყო მათი წინაპარი ქალი, ლეჩეუმელი კოჩილას ცოლი, რომელიც მეფე ბაგრატ IV-სთან სიძვას ეწეო-და და უკანონო შვილი – მეფე ალექსანდრე IV შობა. ან, იქნებ, ისინი დედის მხრიდან იმერეთის უკანონოდ შობილი მეფების შთამომავლები არ ბრძან-დებიან? ასევე, მინდა შევახსენო, რომ მეფე დავით II-ის უკანონოდ შობილი ვაჟი – როსტომი, მათი უშუალო წინაპარი იყო. უკანონოდ შობილი როსტომ-ის შვილიმვილი, ელისაბედ წერეთელი ხომ ალექსანდრე ბაგრატიონის დედა და უკანონოდ შობილთა მოძულე და-ძმა ბაგრატიონი-ჯაფარიძეების დიდი ბებია იყო!

ბ-ნი გიორგი და ქ-ნი დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები ქ-ნი ნინო ბაგრა-ტიონის შეურაცხყოფაში მადანაშულებენ: „აქედან იწყება ცინიზმითა და შეურაცხყოფებით სავსე ინსინუაციები ბატონიშვილი ბაგრატის ყველა კანონიერი შთამომავლის მისამართით, მათ შორის „ბაგრატოვანთა სახლი“-ს (სწორია „ბაგრატოვანთა სახლის“ – მ.ხ.) პირველი წინამდლოლის ბატონიშ-ვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონისა (გარდაიცვალა 2009 წელს)...“ მოვითხოვ, დააკონკრეტონ, ვის რა მოვუგონე. შესაძლოა, ზოგი ფაქტი და დოკუმენტი ქ-ნი ნინო ბაგრატიონის ოჯახის წევრებისთვის სასიამოვნო არ იყო, მაგრამ ისტორია მათი სიამოვნებისთვის არ იწერება.

ბ-ნი გიორგი და ქ-ნი დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები ყოველგვარ ზღ-ვარს გადადიან, როდესაც „ფსევდომეცნიერს“ მეძახიან: „სწორედ ჩვენი დინასტიის ყველა შტოს მიერ „ბაგრატოვანთა სახლი“-ს (სწორია „ბაგრა-ტოვანთა სახლის“ – მ.ხ.) მემორანდუმზე ხელმოწერა ადასტურებს ჩვენს ერთიანობას, რომლის წინააღმდეგაც ასე აქტიურად ილაშქრებს ფსე-ვდომეცნიერი მანანა ხომერიკი“ [ი. ბიჭიკაშვილის დასახ. წიგნი, გვ. 46]. დიახ, ვილაშქრებ, რადგან ხსენებული დოკუმენტი, გარდა იმისა, რომ შეი-ცავს როგორც ფაქტებისა და დოკუმენტების დამახინჯებას, იურიდიულა-დაც გაუმათავია, რაც დავასაბუთე ჩემს წერილში „ბაგრატიონებთან დაკა-ვშირებული უზუსტონებების შესახებ“ [უურნალი „მაცნე“, თბ., 2017, №2] და როგორც უკვე აღვინიშნე, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა წინამდებარე კრებულშიც გაეცნოს დასახელებულ წერილს. გიორგი და დალი ბაგრა-

ტიონი-ჯაფარიძეებს კი უნდა შეეძლოთ იმის დასაბუთება, თუ რამ გამოიწვია მათი „ვაოცება და იმავდროულად აღმტოთება“? დააკონკრეტონ, რაში არ მეთანხმებიან. ალბათ, არ ელოდნენ, რომ რიგითი მოკვდავი გაბედავდა ბაგრატიონების და ავტორიტეტული პირების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ეჭვქვეშ დაყენებას და მათი რისხვის ობიექტად გაიხდიდა თავს. გიორგი და დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები წერენ: „მანანა ხომერიკი იმ მიზნით, რომ რამენაირად მაინც შეურაცხყოს ჩვენი ოჯახი, ჭორების შეგროვებასაც არ თაკილობს“. რადგან თავიანთ ბრალდებას არ აკონკრეტებენ, იძულებული ვარ მკითხველს ავუხსნა, თუ რა „ჭორები“ შევკრიბე. არსებობს ვერსია, თითქოსდა, საბჭოთა პერიოდში, ქალბატონი ნინო ბაგრატიონის მამამ, დავით ბაგრატიონმა გვარი შეიცვალა და ჩეკიშვილი გახდა, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მე არ მინახავს. ცნობილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერს, რომ ლვანენითში ვასო კორტმა ლირსშესანიშნავად მიიჩნია ბაგრატიონის ნაბუდარის ჩვენება და დავით ბაგრატიონის შესახებ ასეთი ცნობა მიაწოდა: „გვარიც გადიკეთაო. ამბობენ, ჩეკიშვილად დაინერაო...“ [ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წ. II თბ., 1964, გვ. 5]. დავით ბაგრატიონის ჩეკაში მუშაობის ფაქტი დასტურდება ისტორიკოს ნ. კირთაძის ნაშრომში გამოქვეყნებული მ. კოლუაშვილის 1924 წლის დაკითხვის ოქმიდან. აგრეთვე, ქალბატონი ბაბო დადიანის მოგონებებიდან და სხვა. ჩემს წერილში მხოლოდ ჩამოვთვალე დასახელებული ავტორების ნაშრომები, ამონარიდები არ მომიყვანია, რისი გამოსწორება ახლაც შემიძლია. დავიმოწმოთ ამონარიდი მ. კოლუაშვილის დაკითხვის ოქმიდან, რაც 1924 წლის აჯანყების მზადების პერიოდს შეეხება: „1923 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ზემოავჭალას ჰიდრო-ელექტროსადგურის სამუშაოებზე მოვიდა „ჩეკას“ ავტომობილი, სადაც ისხდნენ დ. ბაგრატიონი და კიდევ სხვა „ჩეკისტები“... ეძებდნენ იმნაძეს და ნიკოლეიშვილს. მეც მიკითხეს. გავიგე ეს თუ არა მაშინვე დავიმალე“ [წესტან (ელისაბედ) კირთაძე, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, ქუთაისი, 1996, გვ. 315]. ქალბატონი ბაბო დადიანი იხსენებდა: „ვცხოვრობდი კობის ქუჩაზე. დიდი ნერვიულობა და შიში გამოვიარე. დაიწყო დაკითხვები, გამომძიებელი ნოვოსელცოვი მეორედ მოვიდა ჩემთან გასაჩხრეკად. ჩემმა ძმამ, დემნამ დაინახა, რომ მანქანაში იჯდა დავით ბაგრატიონი, დიდგვაროვანი ჩეკისტი, რომელიც ბერიას ერთგულად ემსახურებოდა. მან ჩეკაში ჩაყარა მთელი ოფიცრობა და თავადაზნაურობა. ლექსიც დაიწერა მასზე და მღეროდნენ კიდეც“:

ქვითინებს მწარედ მტკვარი, რიონი...

შენ – მოლალატე ბაგრატიონი...

სანამ გამომძიებელი ნოვოსელცევი და მისი თანმხლები პირები ბინის ჩხრეკით იყვნენ დაკავებულნი, დ. ბაგრატიონი მათ მანქანაში ელოდებოდა. ჩვენთან ვერ შემოვიდა, როგორ ეყო ამდენი სინდისი“ [ბ. დადიანი, „მოგონებათა დღიურები“, თბ., 2008, გვ. 47].

გიორგი და დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები ჩემს დადანაშაულებას განავრდობენ: „და არც ჩვენი ყოფილი ისტორიული მოურავების, თავადი ხიდირბეგიშვილების მისამართითაც არ იშურებს შეურაცხმყოფელ სიტყვებს, ეძახის მათ მკვლელებსა და ბანდიტებს, რამაც ბუნებრივია გამოიწვია აღშფოთება მათ შთამომავლებში“. ცხადია, რომ ავტორებს ჩემი წერილი წაკითხულიც არა აქვთ. მოვითხოვ მიუთითონ შესაბამისი გვერდები „მაცნეში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან, სადაც ხიდირბეგიშვილების გვარი მაქვს ნახსენები. ხოლო მკითხველებს ვთხოვ, გადახედონ ჩემს ზემოხსენებულ წერილს, რომელიც ამავე წიგნში მაქვს შეტანილი და დასკვნა თავად გამოიტანონ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ხსენებულ წერილში, რომელმაც და-ძმის შეშფოთება-აღშფოთება გამოიწვია, ხიდირბეგიშვილი არ მიხსენებია! ასევე ვაცხადებ, რომ გიორგი და დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები ფსევდომკითხველები არიან. მათ წაკითხულიდან არათუ ადეკვატური დასკვნის გამოტანა არ ძალუდო, არამედ საერთოდ არ კითხულობენ და სხვების მიერ მონაყოლ ჭორებს ეყრდნობიან. მე ვიღებ მათ გამოწვევას. მართალია, ჩემს წერილში ხიდირბეგიშვილები არ ფიგურირებენ, მაგრამ ამ ხარვეზსაც ახლავე გამოვასწორებ: როდესაც ალექსანდრე ბაგრატიონის მეუღლეს, ნადიტორა წულუკიძეს თავის ბიძასთან, ლენტორ წულუკიძესთან დავა ჰქონდა, ძმები ხიდირბეგიშვილები სასტიკად გაუსწორდნენ მოხუცს. როგორც გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი წერდა, „მაშინ მიცვივდნენ და ოთხივე ძმებმა ერთბაშად დაურთეს ხანჯლები და რვა ალაგას დაჭრილი და კეტებით დამტვრეული წულუკიძე დასცეს ძირს“. წულუკიძის მომხრეები მძიმედ დასჭრეს, ხოლო ერთი, ერგემლიძე, მოკლეს [ი. გავაშელიშვილი, „ერთი სოფლის ისტორია“, თბ., 1992, გვ.32].

ბ-ნი გიორგი და ქ-ნი დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები მომიწოდებენ ვალიარო ჩემი შეცდომები და ბოდიში მოვიხადო „საზოგადოების წინაშე, მათი მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანის გამო.“ როგორ შევასრულო ამ მეფისტოლი და-ძმის ბრძანება, როდესაც ჩემი შეცდომების ერთი კონკრეტული მაგალითიც ვერ მოჰყავთ? ბ-ნი გიორგი და ქ-ნი დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეები წერენ: „ფსევდომეცნიერი მანანა ხომერიკი, მოქმედებს ცნობილი სქემით: რაც შეიძლება მეტი შეურაცხყოფა და ცილისწამება, ხოლო თქვენ მიდით და იმართლეთ თავი. რაც შეეხება თავის მართლებას, ჩვენ ეს ნამდვილად არ გვესაჭიროება“. როგორც ჩანს, აქ აღწერილი სქემით ავტორები თავად სარგებლობენ.

მინდა ერთ საინტერსერ დამთხვევაზე გავამახვილო მათი ყურადღება და მოკრძალებული კითხვა დავუსვა: რატომ ხდება, რომ ისე საგულდაგულოდ მალავენ მამის დაბადების მოწმობას, როგორც ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი მალავდა თავისი მამის დაბადების ჩანაწერს? ბ-ნ ნუგზარს მე დავეხმარე და დოკუმენტი სულ ადვილად მოვუძებნე, რომელმაც მისი ბაგრატიონობა ეჭვქვეშ დააყენა. ცხადია, არც გიორგი და დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეებს დავზარდებოდი, მაგრამ აქ საქმე უფრო

რთულად არის. მათი მამა, რომელსაც თავადად წარმოაჩენდნენ, თავადი ჯაფარიძეების წარმომადგენელი არ ყოფილა. კახეთის ერთ-ერთი სოფლი-დან ბრძანდებოდა, მხოლოდ რომლიდან – ეს გასაიდუმლოებულია. ვიცოდი რა, რომ მათი მამიდა, საკმაოდ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე გულნარა ჯაფარიძე ყვარლიდან იყო, 1917 წლის მეტრიკულ წიგნში მოვძებნე მისი დაბადების ჩანაწერი, სადაც მამამისს ჩამატებული აქვს „აზ“, ანუ აზნაური [სეა, ფონდი 489, აღნერა 47, საქმე 393] (იხ. სურ. №2). გულნარა ჯაფარიძის უფროსი ძმის, 1914 წელს დაპატიჟული ავთანდილ დავითის ძე ჯაფარიძის დაბადების ჩანაწერი კი ვერ მოვიძიე. არ არის გამორიცხული, რომ ის, როგორც უფროსი შვილი, დედის სოფელში ყოფილიყო დაბადებული და მონათლული, მაგრამ ჩვენ არც იმ სოფლის სახელწოდება ვიცით. და-ძმა დალი და გიორგი ჯაფარიძეებმა კი საკუთარ მამიდასთან ყოველგვარი ნათესაური კავშირი უარყვეს. ისინი ხომ ახლა „მათი სამეფო უმაღლესობები“ არიან და უბრალო აზნაურ მამიდას აღარ კადრულობენ. მიუხედავად ამისა, ვაცხადებ, რომ მათ შორის ნათესაური კავშირის არსებობა უტყუარი ფაქტია, რადგან ბავშვობიდან პირადად ვიცნობდი ამ სანათესაოს წარმომადგენლებს. არქივში კიდევ ერთ დოკუმენტს მივაგენი: „სასიძოს მხრით სამნი თავსმდებნი ნინო წმინდის მცხოვრებელნი საეკლესიო გლეხნი...დავით გიორგის ძე ჯაფარიძე...“ სახელები კი მეცნო, მაგრამ ისეთი დარწმუნებული ვერ ვიქნები, როგორიც ზემოდასახელებული დოკუმენტის შემთხვევაში ვარ. სანამ ზემოხსენებული და-ძმის პასუხი არ გვეცოდინება, ჩანაწერი მტკიცებულებად ვერ გამოდგება.

დასასრულ მინდა ქ-ნი დალის ერთი განცხადება გაგაცნოთ (იხ. სურ. №3). მისი ოფიციალურად დადასტურებული გვარი არ ვიცი. განცხადება დაწერილია დალი ბაგრატიონის სახელით, ხოლო ხელს ანერს დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძე. მივაქციოთ ყურადღება „ბაგრატოვანთა სახლის“ ბლანკს, რომელზედაც წლების განმავლობაში ვერ გაასწორეს – Amashenebeli. ასეთ ბლანკზე დაწერილ განცხადებებს დაჯგუფების წევრები თავანთ წიგნებში აქვეყნებდნენ. ცნობისათვის: „ამაშენებელი“ კი არა, სწორია – აღმაშენებელი – Agmashenebeli. აღარაფერს ვამბობ ქ-ნი დალის ისეთ შეცდომებზე, როგორიცაა – „მწინდა“, „გადაებული“. ორთოგრაფიული შეცდომები ნებისმიერ წიგნში შეიძლება გაიპაროს, რისგანაც არც ჩემი წიგნია დაზღვეული, თუმცა პატარა ზომის ტექსტში ავტორს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს. ქართული ენის ასეთ დამახინჯებას კი გამართლებას ვერ ვუძებნი: „მე, „ბაგრატოვანთა სახლის“ წევრმა დალი ბაგრატიონმა ვაცხადებ, რომ...“ (იხ. სურ. №3).

მკითხველს ბოდიშს ვუხდი ჩემი წერილის არააკადემიური ტონის გამო, მაგრამ ბ-ნი გიორგი და ქ-ნი დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძეების წერილში სამეცნიერო არაფერი იყო, რამაც ჩემი საპასუხო წერილის ტონი განაპირობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
არქივი

თბილისი, გ. ქოსტავას ქ. №77 ტელ. 2 36 53 25

42-19-26/42-17  
24. 02. 2017

ადვოკატ ალექსანდრე ამაშუკელს

თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილის პასუხად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქივი გაცნობებთ რომ, ნინო დავითის ასული ბაგრატიონი 1960 წლიდან 2009 წლის აპრილამდე, აღნიშნული სახელით და გვარით, მუშაობდა მსაზღველობითი გეომეტრიის კათედრაზე.

საფუძველი: პირადი საქმე №556

არქივის უფროსი

h. ითოვა



რ. თათარაშვილი

სურ. №1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქივის უფროსის ცნობა 42.19. 26/42-17. 24. 02. 2017.

18. 3. 12. Зураб.

~~NJ3285  
19/F/III-326~~

卷之三

卷之三

oym. зол. зод. I. Чубакинъ 1823  
д. Ачинскъ 1823 г. възмѣтъ  
д. Чубакинъ 1823 г. възмѣтъ  
д. Ачинскъ 1823 г. възмѣтъ

for Segm.

230326

სურ. №2. გიორგი (გია) ბაგრატიონი-ჯაფარიძის მამიდის, გულწარა ჯაფარიძის დაბადების მეტრიკული ჩანაწერი [სეა, ფონდი 489, აღწერა 47, საქმე 393].



## ბაგრატიონთა სახლი

### THE BAGRATIONI'S HOUSE

მისამართი: ვაკე ქ. ა. ბაგრატიონი სახლი 2465, 380002.  
ტე: (99532) 952703; ფაქ: (99532) 956029; ელ. ფოსტა:  
Bagrationi@hotmail.com  
65 David Agmashenebeli ave., Tbilisi, Georgia; Phone (99532)  
952703; FAX: (99532) 956029; E-mail: Bagrationi@hotmail.com

№ 66

14/10/2015.

„ბაგრატიონთა სახლის“ წევრის დალი ბაგრატიონის განცხადება

მე „ბაგრატიონთა სახლის“ წევრმა დალი ბაგრატიონმა ვაცხადებ, რომ „ბაგრატიონთა სახლის“ დამსახურით 1995 წელს, ჩვენი ისტორიული განყოფილების ხელშემდგრანელი იოსებ ბიჭივაშვილი იკვლედვა ქართველი მეფეების რეგალიების ისტორიას. „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელშემდგრანელმა იოსებ ბიჭივაშვილმა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელმა, ქალბატონმა ნიტალია ბერუბაშვილმა ერთობლივად დაწერეს სამეცნიერო სტატია „იმერეთის მეფეთა გვირგვინი“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 24 სამეცნიერო სესიის წინ ჩვენი საზოგადოების ისტორიოსმა იოსებ ბიჭივაშვილმა „ბაგრატიონთა სახლის“ წინამდებოლი და მის ოჯახის წევრებს წალკითა ამ მოსხენების ისტორიული წარილი და აჩვენა მათ მის მიერ მოპოვებული საილუსტრაციო მასალა, კერძოდ მწინდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1920 წელს გელათში გადაეტული ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახული იყო იმერეთის მეფეთა გვირგვინი, რომელიც 1991 წელს პრეზენტირდა იოსებ მეგრელიძე მის გადასცა. ამ სამეცნიერო სესიაზე იყვნენ მოწვეულები „ბაგრატიონთა სახლის“ წინამდებოლი ბატონიშვილი წინო ბაგრატიონი-იმერეტინსკი და ასევე რამდენიმე „ბაგრატიონთა სახლის“ წევრი. ბატონ იოსებ ბიჭივაშვილმა და ქალბატონმა ნატალია ბერუბაშვილმა ამ სამეცნიერო სესიაზე დასწრე საზოგადოებას მოახსენეს მათი თანაავტორობით დაწერილი მოხსენება და აჩვენეს მათ მიერ მოპოვებული საილუსტრაციო მასალა.

პატივისცემით,

„ბაგრატიონთა სახლის“ წევრი  
დალი ბაგრატიონი – ქადაგი ქ.



სურ. 78

თე

სურ. №3. ქ-ნი დალის (ჯაფარიძის, ბაგრატიონის, იგივე ბაგრატიონ-ჯაფარიძის) განცხადება. „ბაგრატიონთა სახლის“ ბლანკს შეცდომით აწერია Amashenebeli. დაჯგუფების წევრები წლების განმავლობაში, ასეთ ბლანკზე დაწერილ განცხადებებს თავანთ წიგნებში აქვეყნებდნენ.

## პ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის არაკეთილსიცდისიარი და არაკომავათენტური კასუების გამო

პ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილი გაცნობია ჩემს წიგნს „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“ და ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეხადა, თავის მართლება და აქეთ შემოდავება გადაუწყვეტია! [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“].

1. თავის საპასუხო წერილში „პასუხი მანანა ხომერიკს წიგნზე „სიმართლე ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“, ი. ბიჭიკაშვილმა ცილი დამწამა და თავისი არაკომპეტენტურობა გამოამჟღავნა. მას მოჰყავს ამონარიდი ჩემი წიგნიდან, სადაც მე სვიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონის ბატონიშვილობის დამადასტურებელ დოკუმენტს ვიმოწმებ: „იგივე დასტურდება 1830 წლის მეტრიკული ჩანაწერით: სვიმონის შვილიშვილმა ანასტასიამ (ჩემმა დიდმა ბებიამ) ლევან ბეჭანის ძე ერისთავზე დაინერა ჯვარი. საცოლის წარმომავლობა ამგვარად არის განმარტებული: „ბატონიშვილი სვიმონის ძის როსტომის ასული ანასტასია“. დამოწმებული საარქივო დოკუმენტიდან აშკარაა, რომ სვიმონი ბატონიშვილად იწოდებოდა, ისევე, როგორც მისი კანონიერი ნახევარძმა – დავით ბატონიშვილი“. ი. ბიჭიკაშვილი წერს: „აქაც ისტორიკოსი მანანა ხომერიკი მიზანმიმართულად ცდილობს ცრუ ინფორმაცია გაავრცელოს საზოგადოებაში და თავისი უშუალო წინაპარი სიმონ ბაგრატის ძე „ბატონიშვილად“ წარმოაჩინოს. როგორც ჩანს, ქ-ნ მანანას ჰერინა, რომ ეს მეტრიკული ჩანაწერი მხოლოდ მისთვის არის ხელმისაწვდომი და ამიტომ დარწმუნებულია, რომ მკითხველი მის განცხადებას არ გადაამოწმებს. სინამდვილეში კი აღნიშნულ 1830 წლის მეტრიკულ ჩანაწერში წერია შემდეგი: „პატონის შვილის სვიმონის ძის როსტომის ასული ანასტასია“ (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (სცია), ფონდი 489, აღნერა 6, საქმე №103, ფ. 492). როგორც ვხედავთ ქ-ნმა მანანა ისტორიული დოკუმენტის თავისებურად ინტერპრეტირებაც არ ითაკილა და იგი საკუთარი სურვილის მიხედვით წარმოგვიჩინა. მან ორი სიტყვა ერთ სიტყვად გააერთიანა და ისე შემოგვთავაზა, არადა ასეთ, ვითომდა მცირე ცვლილებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ისტორიისათვის. დოკუმენტში სიმონ ბაგრატის ძეს წინ უწერია შემდეგი სიტყვები: „ბატონის შვილის სვიმონის“, რაც გულისხმობს იმას, რომ სიმონი არის „ბატონის“ ანუ ბატონიშვილი ბაგრატის შვილი და არა ისე, როგორც ეს ქ-ნ მანანა ხომერიკს სურს, რომ თითქოს სიმონი არის „ბატონიშვილი“ [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, გვ. 75]. მე მკითხველის შეცდომაში შეყვანა და დოკუმენტის დამალვა რომ მდომებოდა, მაშინ ჩემი მონოგრაფიის „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“ 367-ე გვერდზე ხსენებული დოკუმენტის ასლს არ გამოვაქვეყნებდი და

ყველასთვის ხელმისაწვდომს არ გავხდიდი. ან რა მქონდა დასამალი? ი. ბიჭიკაშვილმა არ იცის, რომ საისტორიო საბუთებში უფლისწულის მნიშვნელობით გვხვდება როგორც „ბატონის შვილი“, ისე „ბატონიშვილი“. ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ იმავე სტატუსის აღსანიშნავად, ხსენებულ ორ სიტყვას შორის განცოფის ნიშნად ორნერტილიც კი იხმარებოდა – „ბატონის: შვილი“, ისეთ პირებზე, რომელთა ბატონიშვილის სტატუსი საკამათო არ არის. ასე, მაგალითად, კახეთის მეფე კონსტანტინე II თავის ძმას, თეიმურაზს (შემდგომში მეფე თეიმურაზს II-ს) ამგვარად იხსენიებს: „უფლისწულმან: ბატონი: შვილმან: ძმამან: ჩვენმან: ჯანიშინმან: პატრონმან: თეიმურაზ:“ [სეა, ფონდი 1448, აღწერა 1, საქმე 126] (იხ. სურათი №1).

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, მეტრიკულ ჩანაწერში სვიმონის წოდება ორი სიტყვით არის აღნიშნული „ბატონის შვილი“ [სეა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე №103, ფ. 492] (იხ. სურ. №2), მაგრამ იმავე სვიმონს თავისი ნახევარძმა დავით ბატონიშვილი „ბატონიშვილად“ მოიხსენიებს: „ბატონიშვილი სიმონის ძე როსატომ“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 55] (იხ. სურათი №3). გარდა ამისა, 1898 წელს, პეტერბურგში, აზიური დეპარტამენტის მთარგმნელმა დიმიტრი ჩუბინოვმა სიმონის წოდება ასე თარგმნა: „свидетелем и посредником сего был Царевича сына Симона Ростом“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 56] (იხ. სურათი №4). თარგმანი: „ამის მოწმე და შუამავალი იყო ბატონიშვილი სიმონის ძე როსატომი“. ამდენად, სვიმონის ბატონიშვილობა ეჭვგარეშეა, მაგრამ მამამისი, მეფე ალექსანდრე V-ის ძე ბაგრატი, 1771 წლის სიგელში, თავის თავს სწორედ ორი სიტყვით - „ბატონის შვილად“ იხსენიებს: „მე ბატონის შვილმან ბაგრატ და ძემან ჩვენმან სვიმონ“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 8. 8ა] (იხ. სურათი №5). მე ამ დოკუმენტის ასლიც გამოქვეყნებული მაქს ჩემი მონოგრაფიის 378-ე გვერდზე. ამასთან, მე ეჭვევეშ არ დამიყენებია ბაგრატის ბატონიშვილობა, მაგრამ თუ იოსებ ბიჭიკაშვილის ლოგიკას მივყვებით, სიმონი კი გამოდის ბატონიშვილი, ხოლო მისი და დავითის მამა, ბაგრატი – ბატონიშვილი არ ყოფილა, რადგან „ბატონის შვილი“ იყო. საბედნიეროდ, ბაგრატს ი. ბიჭიკაშვილის ლოგიკა ვერაფერს დააკლებს. ქუთაისის არქივში ინახება ბაგრატ ბატონის შვილის კიდევ ორი სხვა დოკუმენტის რუსული თარგმანი, შესრულებული იმავე მთარგმნელის მიერ, სადაც წერია: „Батонишвили Баграт и сын мой Симон...“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417, გვ. 126] (იხ. სურათი №6). თარგმანი: „ბატონიშვილი ბაგრატი და ჩემი ძე სიმონი...“ იგივე ითქმის მეორე დოკუმენტზე: „Батонишвили Баграт с сыном своим Свimonом...“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417, გვ. 184] (იხ. სურათი №7). თარგმანი: „ბატონიშვილი ბაგრატი თავის ძესთან, სვიმონთან ერთად...“ ი. ბიჭიკაშვილის ლოგიკით, თვით ქ-ნი ნინო ბაგრატიონის უმუალო ნინაპარი დავით ბაგრატის ძეც არ ყოფილა ბატონიშვილი, რადგან ის ქაიხოსრო ყიფიანისთვის ბოძებულ წყ-


ალობის სიგელში თავის წოდებას ორი სიტყვით აღნიშნავს: „ქ წყალობითა და მინდობითა ღვთისათა ჩვენ ბატონის შვილმა ბატონმა დავით...“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, საქმე №237, გვ. 16] (იხ. სურათი №8). ამ-ავე სიგელში ის მოწმედ ასახელებს თავის „ძმისწულ როსტომს“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, საქმე №237, გვ. 16] (იხ. სურათი №9). ახლა რას იტყვის ბატონი ი. ბიჭიკაშვილი – დავით ბაგრატიონთან დაკავშირებულ ამ „ვითომდა მცირე ცვლილებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ისტორიისათვის“, თუ ისტორიისთვის მხოლოდ ჩემი წინაპარი სვიმონია მნიშვნელოვანი?

არ მეგონა, ი. ბიჭიკაშვილისათვის და მისი მხარდამჭერი პაგრატიონების მთელი დაჯგუფებისთვის ასეთი ელემენტარული საკითხების ახსნა თუ მო-  
მინევდა. ისე კი, მათ უნდა იცოდნენ კიდევ ერთი მარტივი ჭეშმარიტება: მა-  
ნანა ხომერიკი რომ გადაამოწმო, ამისთვის სათანადო კვალიფიკაცია უნდა  
გაგაჩნდეს...

სურ. №1. კახეთის მეფე კონსტანტინე II-ის სიგელის ფრაგმენტი, რომელშიც თავისი ძმას, თეიმურაზს, ამგვარად იხსენიებს: „უფლისწულმან: ბატონი: შვილმან:“ [სეა, ფონდი 1448, აღნერა 1, საქმე 126].

492

სურ. №2. ანასტასია როსტომის ასულ ბაგრატიონის ჯვრისწერის ჩანაწერი [სეა, ფონდი 489, აღნერა 6, საქმე №103, ფ. 492].



სურ. № 3. დაგით ბატონიშვილის სიგელის ფრაგმენტი, სადაც ის თავის ნახევარძმას, სიმონ ბაგრატიონს, ბატონიშვილად (ერთი სიტყვით) მოიხსენიებს: „ბატონიშვილი სიმონის ქე როსტომ“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღნერა 1, საქმე 237, ფ. 55].

Барын - салындын баскысын анында табан  
басылған жаңаданында ортосында көміл аны  
жасағынан майда болып тұрып дүниене онын  
жасағында да білдір. Майда жаңадан табан  
басылған ортосында Русланбагыл - онынның  
жасағында көміл анын майда жаңадан онын жасағында  
онын майда жаңадан табан басылған ортосында  
басылған ортосында көміл анын майда жаңадан  
табан басылған ортосында онын майда жаңадан  
басылған ортосында майда жаңадан онын майда жаңадан  
басылған ортосында онын майда жаңадан табан  
басылған ортосында майда жаңадан табан басылған ортосында  
басылған ортосында онын майда жаңадан табан басылған ортосында

Онын майда жаңадан табан басылған ортосында  
басылған ортосында онын майда жаңадан табан басылған ортосында  
басылған ортосында онын майда жаңадан табан басылған ортосында  
басылған ортосында онын майда жаңадан табан басылған ортосында  
басылған ортосында онын майда жаңадан табан басылған ортосында  
басылған ортосында онын майда жаңадан табан басылған ортосында

Онын майда жаңадан табан басылған ортосында  
басылған ортосында онын майда жаңадан табан басылған ортосында

Сүр. №4. Дағынот ბატონიშვილის სიგელіс таრгმანың ფრაგмента, სადаც ის თავыს ნახე-  
ვარდმას, სიმონ ბაგრატიონს, ბატონიშვილად მოიხსენიებს „Царевича сын Симона Ростом“  
[ქუთაისის ცენტР. არქіви, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 56].

262

. 116

14 18 20



სურ. №5. მეცნ ალექსანდრე V-ის ძის, ბაგრატის სიგელის ფრაგმენტი, სადაც ის საკუთარ თავის „პატონის შეილს“ (ორი სიტყვით) უწოდებს, ხოლო სკომინს თავის ძედ მოიხსენიებს [ქუთაისის ცენტრ. აღქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 8. გა].

Христос и Пантелеймон Борисов

Сию борчную отплатекоупо и никакого  
излишков не хочу булагу подразнавани  
если Богачко Борисов и Пантелеймон  
Борисов и Симон

тебя усердношу. Рабу Симону  
Борисову Борисовадеву, и сою твоему  
басину, такъ какъ ее предкаши остан-  
ши письмъ твои о свободе сибирской  
булагу и письмъ просимъ твои обѣ



სურ. №6. ბაგრატ ბატონიშვილის სიგელის თარგმანის ფრაგმენტი, სადაც სვიმონს თავის  
ძედ მოიხსენიებს „сын мой Симон“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღნერა 2, საქმე  
417, გვ. 126]

184, 15.

Бояре и Помощи бояри

Где в сии Купчио бумаги Симонови  
и Багратиони от Симонов свидетель  
Симонов письмо Задуа Константи  
и, и свидетель Задуа Никола  
и Задуа паск рено Параскови Чре  
денице, прошою пропадиеранъ во  
Крестовиство Задуа и Месхиеву, а  
помощи брати мои царь Симонов  
и Задуа Месхиевъ,



სურ. №7. ბაგრატ ბატონიშვილის სიგელის თარგმანის ფრაგმენტი, სადაც სვიმონს თავის  
ძედ მოიხსენიებს „с сыном своим Свимоном“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა  
2, საქმე 417, გვ. 184].

10

368

۲۰۳



სურ. №8. დავით ბატონიშვილის სიგელის ფრაგმენტი, სადაც საკუთარ თავს „ბატონის შვილს“ (ორი სიტყვით) უწოდებს. სიგელი დამტკიცებულია მეფე სოლომონ II-ის მიერ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, საქმე №237].

Си документъ № 3 Шерстинскаго  
временемъ правившій отъ Могурова быв  
кипакъ ко 2<sup>м</sup> Января 1823<sup>го</sup> Года въ  
изложи поданіи икона подъ № 2687  
записанъ, въ сию сию подпись и  
присудѣствующаго иконою иконы  
холеной пестри свидѣтельствуетъ.  
Эрзебѣтъ озъ ръзъ Муз. кресторъ  
Бабинъ.

Союзом прошлого. Дальнейшее же открытие на Южном море и в Каспийском море берегов Кавказа

სურ. №9. დავით ბატონიშვილის სიგელის ფრაგმენტი, სადაც ის როსტომ ბაგრატიონს თავის ძმისნულს უწოდებს. სიგელი დამტკიცებულია მეფე სოლომონ II-ის მიერ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღნერა 1, საქმე №237].

2. ი. ბიჭიკაშვილი მეფე სოლომონ I-ის 1778 წლის სიგელთან დაკავშირებითაც ცილს მწამებს. ამავე დროს, თავისთვის არსებობას მიზანმიმართულად მაღავს. ი. ბიჭიკაშვილი ჩემს შესახებ წერს: „მთელი დამაჯერებლობით არწმუნებს მკითხველს მეფე სოლომონ I-ის სიგელის თაობაზე, რომელშიც თითქოსდა უეჭველად ყოფილიყო ნახენები სიმონ ბაგრატის ძე. საკითხში ჩაუხედავმა მკითხველმა, შესაძლოა იფიქროს, რომ ეს სიგელი დღემდე მოღწეულია, ან თუნდაც მისი განხილვის დროს, 1847 წელს, მასში მართლაც სიმონის სახელი ეწერა. მსურს ვაცნობო მკითხველს, რომ ეს დოკუმენტი დღემდე მოღწეული არ არის (მე კი მსურს ვაცნობო მკითხველს, რომ ამ დოკუმენტმა ჩვენამდე მოაღწია! – მ.ხ.), მის შესახებ ინფორმაცია მოაპოვება მხოლოდ 1853 წლის ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოს საქმეში, რომლის სათაურია „Дело Кутаисского Депутатского Собрания о дворянстве Багратионовых“. აღნიშნული საქმიდან ჩანს, რომ ეს სიგელი შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს (ზოგიერთი ადგილი ამოფხეკილი იყო), ხოლო სიმონ ბაგრატის ძის შვილიშვილი სიმონ როსტომის ძე მთელი ძალისხმევით (“домогался”) ცდილობდა თავად-აზნაურთა საკრებულოსათვის დაემტკიცებინა, რომ ერთ-ერთ (ერთ-დერთ – მ.ხ.) ამოფხეკილ ადგილას, სადაც მხოლოდ ორი ასო ვ და ი იხილებოდა, აუცილებლად მისი ბაბუის სახელი სვიმონი უნდა წერილიყო (სწორია: „უნდა ყოფილიყო დაწერილი“ – მ.ხ.), რაც არ დააკმაყოფილა იმერეთის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს კომისიამ“ [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018, გვ. 74]. ი. ბიჭიკაშვილი არ იმოწმებს დოკუმენტის ქართულ ორიგინალს, რომელშიც კომისია აღიარებდა: „ყურადღებითი განხილვისამებრ ამა ღრამატისა ანცა უკვე შესაძლო არს განრჩევად, რომელ მასშინა შემდგომ ლექსთა შენ შვილიყო დაწერილ სვიმონ“. ჩემს ნაშრომში მითითებული მაქვს შესაბამისი წყარო [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 71]. ეს ინფორმაცია ი. ბიჭიკაშვილს არ მოსწონს, ამიტომ მას მოჰყავს ამონარიდი რუსულენოვანი დოკუმენტიდან [ქსია, ფონდი 1, აღ. 1, საქმე №237, ფ. 97-97ა] და გვაცნობს იმავე დოკუმენტის 107-ე გვერდზე ჩამოწერილი იმ 13 თავადაზნაურის სიას, რომლებმაც არ დაადასტურეს სიმონის და მისი შთამომავლების თავადური წარმომავლობა. ხოლო როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავადაზნაურობის გაცილებით მეტმა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ორი ძმის შთამომავლები ერთმანეთისგან თავადის წოდების მხრივ არ განსხვავდებოდნენ. ი. ბიჭიკაშვილი განაგრძობს: „არადა, ქ-ნი მანანა ხომერივი თავის წიგნში, უეჭველ ფაქტად წარმოგვიჩენს ზემოთხ-სენებულ სიგელში „სვიმონი“-ს არსებობას. ასეთი საქციელი უბრალოდ არ ეკადრება მეცნიერებაზე პრეტენზის მქონე ადამიანს.“ ამ განცხადების შემდეგ, ვფიქრობ, ი. ბიჭიკაშვილმა თავად უნდა აიღოს ხელი მეცნიერებაზე ყოველგვარი პრეტენზის ქონაზე. მან ხომ დამალა კომისიის დასკვნა: „იყო დაწერილ სვიმონ“. გარდა ამისა, ი. ბიჭიკაშვილი აშკარა ტყუილსაც არ

ერიდება და ამტკცებს, თითქოსდა მეფე სოლომონ I-ის 1778 წლის სიგელს ჩვენამდე არ მოუღწევია და ცილს მწამებს, ვითომდა მე შეცდომაში შემყავს მკითხველი, მალავს, რომ ხსენებული დოკუმენტის რუსულმა თარგმანმა დღემდე მოაღწია. დოკუმენტში ვკითხულობთ: „Мы Царь царей Соломон, Вам брату нашему царевичу Баграту, сыну вашему: здесь замарано: и другим сыновьям и потомкам Вашим...“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღნერა 2, საქმე 417, გვ. 121] (იხ. სურ. №10 და სურ. №11). თარგმანი: „ჩვენ, მეფეთ მეფე სოლომონ, თქვენ, ჩვენს ძმას ბატონიშვილ ბაგრატს, თქვენს ვაჟს /: აქ დასვრილია:/ და თქვენს სხვა ვაჟებსა და შთამომავლებს...“ ამონარიდიდან ჩანს, რომ წამლილი იყო ბაგრატ ბატონიშვილის იმ ვაჟის სახელი, რომელიც მას 1778 წელს უკვე ჰყავდა, ასეთი კი მხოლოდ 1771 წელს დაბადებული სვიმონი იყო. სხვა შვილი ბაგრატს იმ დროს ჯერ არ ჰყოლია. დავით ბატონიშვილი მას ამ სიგელის დაწერიდან მხოლოდ 3 წლის შემდეგ შეეძინა. თავად ო. ბიჭიკაშვილი თავისივე შედგენილ ტაბულებში სვიმონის დაბადების წლად 1771 წელს ასახელებს, ხოლო მისი ნახევარდმის, დავითის დაბადების წლად – 1881 წელს. ამოცანა გვეკითხება: ვინ შეიძლებოდა დასახელებული ყოფილი ბაგრატის შვილად 1778 წელს, თუ მისი ორი შვილიდან უმცროსი შვილი, დავითი, იმ დროს ჯერ დაბადებული არ ყოფილა? ო. ბიჭიკაშვილს ამ მარტივი ამოცანის ამოხსნა გაუჭირდა. პასუხს მე ვუკარნახებ: სვიმონი და მხოლოდ სვიმონი! დიახ, 1778 წელს სიგელში სვიმონის სახელი ჩაინერა, რომელიც შემდგომში, რატომდაც, დაზიანებული აღმოჩნდა. სწორედ ამის გამომჟღავნება არ სურდა დავით ბატონიშვილის ვაჟს, ივანეს, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ თავადის წოდება 1830 წლიდან უკვე აღდგენილი ჰქონდა და საქმის გამოძიებას ხელი შეუშალა, რის მტკიცებულებაც მოვიპივე. ქუთაისის არქივში ინახება ივანეს მიერ დაწერილი თხოვა: „я покорнейше прошу Ваше Высоко благородие не возлагая ни накого означенного следствия произвестъ вам самыи спросом знатных князей и дворян Кутайского уезда“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღნერა 2, საქმე 417, გვ. 21] (იხ. სურ. №12 და სურ. №13). თარგმანი: „უმორჩილესად ვთხოვ თქვენს მაღალ კეთილშობილებას აღნიშნული გამოძიება არავის არ დაავალოს, თავად ჩაატაროს, ქუთაისის მაზრის წარჩინებული თავადების და აზნაურების გამოკითხვით...“ ამ თავადაზნაურთა შორის ველარ იქნებოდნენ ის პირები, რომელიც 1778 წელს სიგელის დამტკიცებას ესწრებოდნენ და ნახსენები არიან სიგელში. სიმართლის გამომჟღავნება არ სურდა ჯერ თავად ივანე ბაგრატიონს, ახლა კი ბ-ნ ო. ბიჭიკაშვილს.

Перевод с архивных.

120

Был в атмосфере того что касалось по-  
становки боя на реке реки Курб  
Карел Симоновъ, так как боя не было  
Чаревичу Баграту, скончавшемуся. Итак  
записано, что в атмосфере Симонова и  
помощника Касимира Симонова, то  
последний оказался Георгием  
Иоанновичем наша предупредил,  
что если это, каких-то ошибок или  
ошибок Багратионова Ставрополь  
Крестовска погибнет, занимавшего себя  
въ флотѣ, посланный Бенни, и въ  
столице был въ Симоновъ, что если если буде-  
тъ погибнетъ, то Симоновъ, и если если буде-  
тъ погибнетъ, то

სურ. №10. ფრაგმენტი მეფე სოლომონ I-ის 1778 წლის სიგელისა (რუსული თარგმანი), რო-  
მელსაც ი. ბიჭიკაშვილის მტკიცებით, ჩვენამდე არ მოუღწევია [ქუთაისის ცენტრ. არქივი,  
ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417, გვ. 120].

Абб  
ЗЧР

Ноябрь 21 года 1884 г.



Своему Высокочинному  
Губернатору Кутаисскому Населению,  
Генеральному Тимуровскому Губернатору  
Кутаисскому Населению.

Указа Ивана Барятинского

### Противоположное

Преждевременно при сию възвещанное имена  
Губернатора Чиретинского Депутатским  
собраниемъ черезъ посредство Всемилостиваго  
рода Конс.: въ уязва упомянутаго Чиретинского  
правосудия къ Генеральному Кутаисскому Охранителю  
Населению и губернатору Президентчику Всемилостиваго  
Охриди Чиретинское Губернское Правосудие томъ  
В. сихъ прошлаго года № 2885. посвѣдчение предъ  
му Всемилостиваго Губернатора Видѣть имена бы  
имѣютъ тѣмъ же Конс. за подчиненіемъ въ  
имѣнъ Губернаторствованіи на установлении  
губернскій бывшаго губернатора будеъ имена предъ  
ставлены. по мѣстобыванію суда правосудіемъ въ  
упомянутомъ Депутатскомъ собрании, различа  
ющихся права именъ на Кутаиское губерн  
ство. Прощеніе сіи сократить и начинать  
имѣющими въ Губерніи и Ставрополье

Санкт-Петербургъ 29 декабря  
Губернаторъ Кутаисскому губернатору  
и Губернатору Ставропольскому

სურ. №12. ივანე ბაგრატიონის თხოვნა [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 2,  
საქმე 417, გვ. 21].

Семинаре, Академии же эти правила  
содействии при соблюдении его дела,  
суперфicialного дара, об упоминании предме-  
тий по ежемесячному на меня подпоручи-  
щим комитетом Чарльзом известия  
состоит именем ежесеманной ясновельможности  
Удивительное подтверждение, и покорители  
всеми Всесвятой благородие не вознаград  
ни малого означеннаго заслуги, производим  
Родине ганимъ, исполнить взысканныхъ  
и зборы купеческого урожая, посыпавши  
весьма Всевѣтъ Маркесъ, булавами и меза-  
кою разбрасыватъ туда простираясь семена  
Барбариса. Премисловіе сіе шансонъ  
и падено переписываетъ Александъ  
Богадордъ зъв. 1778 г. 28 дн.

114 Года  
Кирсанъ 28 дн.



სურ. №13. ივანე ბაგრატიონის თხოვნა (გაგრძელება), რომლითაც მან შეაფერხა გამოძიე-  
ბა მეფე სოლომონ I-ის მიერ თავისი ძმისთვის, ბაგრატ ბატონიშვილისთვის, 1778 წელს  
ბოძებულ სიგელში სვიმონ ბაგრატის ძის სახელის ამოფხევის თაობაზე [ქუთაისის ცენტრ.  
არქივი, ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417].

3. ი. ბიჭიკაშვილს მოჰყავს შემდეგი ამონარიდი ჩემი ნაშრომიდან: „თავადი ივანე ბაგრატიონი არაფერზე იხევდა უკან თავისი ნათესავების დასამცირებლად. ასე მაგალითად, მან წარადგინა გენეალოგიური ნუსხა, რომელიც აღნიშნული იყო: სოლომონ I-ის ძე „ბატონიშვილი ალექსანდრე გარდაცვალებული უშვილოდ“, იმ დროს, როდესაც სინამდვილეში, ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟის, „გიორგი ბუშის“ შვილები რუსეთში თავადი ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით აგრძელებდნენ სოლომონ I-ის შტოს. უკანონოდ შობილი „გიორგი ბუშის“ ხსენება ივანე ბაგრატიონისათვის ხელსაყრელი არ იყო, ვინაიდან მისი მაგალითი როსტომისა და სიმონის პოზიციებს გაამყარებდა. კომისიამ კი თვალი დახუჭა, ან უმეცრება გამოავლინა.“ ი. ბიჭიკაშვილი ცდილობს ჩემს მიერ გადმოცემული ფაქტის უარყოფას, რისთვისაც ყოველგვარ სიცრუეს კადრულობს. გავეცნოთ მის პასუხს: „ქ-ნ მანანას 1847 წლის კომისიის დადგენილება კარგად რომ შეესწავლა, აღმოაჩენდა, რომ მანდ (1847 წელს) არანაირი გენეალოგიური ტაბულა წარდგენილი არ ყოფილა. კომისიაზე მხოლოდ „Посемейный список“ (საოჯახო სია) იყო წარდგენილი (იხ. დელი კუთაისკის და დებულების კავშირის სამეცნიერო და მისი განშტოებები. თბ., 2016, გვ. 257). თუ დააკვირდებით, აღნიშნულ ტაბულას არა აქვს თარიღი, შესაბამისად გაუგებარია, საიდან მოაქვს ქ-ნ მანანა ხომერიკს ის მტკიცებულება, რომ 1847 წლის კომისიისათვის ბატონიშვილ ივანე დავითის ძეს წარდგენილი ჰქონდა სწორედ ეს გენეალოგიური ტაბულა“ რომელშიც გიორგი „ბუში“ არ არის მოყვანილი?“ [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, გვ. 75]. ი. ბიჭიკაშვილმა იმდენი ტყუილი დაახვავა, რომ იძულებული ვარ პუნქტობრივად გავცე პასუხი: ა). ჩემს მონოგრაფიაში „იმერეთის სამეცნიერო გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, რომელიც 2012 წელს გამოვეცი, ვკითხულობთ: „ივანემ წარადგინა გენეალოგიური (ნათესაური) სია, რომელშიც აღნიშნული იყო: სოლომონ I-ის ძე, „ბატონიშვილი ალექსანდრე გარდაცვალებული უშვილოდ“ იმ დროს, როდესაც სინამდვილეში, ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟის „გიორგი ბუშის“ შვილები რუსეთში ბაგრატიონ-იმერეტინსკების გვარით განაგრძობდნენ სოლომონ I-ის შტოს...“ [მანანა ხომერიკი, იმერეთის სამეცნიერო გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012, გვ. 347]. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი ნაშრომი 2012 წელს გამოიცა, ხოლო ი. ბიჭიკაშვილი ნაშრომი – 2016 წელს. როგორ უნდა მესარგებლა მისი ნაშრომით 4 წლით ადრე, ვიდრე ის გამოიცემოდა? ბ). ინფორმაციას ზემოდასახელებული გენეალოგიური ნუსხის შესახებ გავე-

ცანი ქუთაისის არქივში დაცულ საქმეში „Дело Кутаисского Дворянского Депутатского Собрания о Дворянстве Багратионовых“, რომელშიც სწორედ კომისიის მიერ განხილული მასალებია თავმოყრილი [ქსია, ფონდი 1, აღ. 1, საქმე №237, ფ. 73] (იხ. სურ. № 14). ანუ, ეს ნუსხა კომისიაზე განსახილველად იყო წარდგენილი. გ). მე გარკვევით მაქვს მითითებული დასახელებული საარქივო საქმის ფურცლის ნომერი – 73. ი. ბიჭიკაშვილი კი გაუგებრობის შექმნის მიზნით წერს, ვითომდა, არანაირი გენეალოგიური ტაბულა წარდგენილი არ ყოფილა და „კომისიაზე მხოლოდ „Посемейный список“ (საოჯახო სია) იყო წარდგენილი“. ამასთან, ამ საოჯახო სიის ფურცლის ნომრად მითითებული აქვს 102-ე ფურცელი, რაც არასწორია. აღნიშნული საარქივო საქმის ი.ბიჭიკაშვილის მიერ მითითებულ 102-ე ფურცელზე არავითარი სია არ არის მოყვანილი [ქსია, ფონდი 1, აღ. 1, საქმე №237, ფ. 102]. ამ უთარილო ტაბულამ, სანამ 1847 წელს, თავად-აზნაურთა წოდებების დამდგენელ კომისიაში მოხვდებოდა, გრძელი გზა განვლო. იძულებული ვარ ი. ბიჭიკაშვილს წვრილად ავუხსნა: რუსეთიდან დაბრუნებულმა პოდპორუჩიკმა სიმონ როსტომის ძე ბაგრატიონმა 1843 წლის 2 ნოემბერს სამაზრო სამმართველოში შეიტანა არზა, რომელიც მეფე სოლომონ I-ის 1778 წლის სიგელში მისი ბაბუის, სვიმონის, სახელის განზრას წაშლას ეხებოდა [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღნერა 1, საქმე 237, ფ. 70]. ივანე ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა სიმონის გათავადებას. მან სათავად-აზნაურო საკრებულოში ჯერ კიდევ 1843 წელს, თავის თხოვნასთან ერთად, წარადგინა თავადი ბაგრატიონების გენეალოგიური ნუსხა და საოჯახო სია, რომლებიც მას უკან დაუბრუნდა, მაგრამ შემდეგ კვლავ მოსთხოვეს ამ დოკუმენტების გასწორება და საკრებულოში სასწრაფოდ წარდგენა. ამის შესახებ მისთვის ქუთაისის სამაზრო უფროსს უნდა გამოეცხადებინა: „объявить тамошнему жителю Ивану Давидову сыну Багратионову чтобы он озабочился скорейшим исправлением и доставлением в сие Собрание при своем прошении возвращенных ему: поколенной росписи и Семейного списка роду князей Багратионовых без коих собрание неможет приступить к совершенному оканчанию дела о княжестве их“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღნერა 2, საქმე 417] (იხ. სურ. №15). ვფიქრობ, ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი ახლა მაინც გაიგებს, თუ როდის და რატომ აღმოჩნდა დასახელებული ნუსხა კომისიის მასალებში. ე). ი. ბიჭიკაშვილს სურს მკითხველი დააჯეროს, რომ ივანე სულაც არ იყო ისეთი ბოროტი „როგორადაც მას ქ-ნი მანანა ხომერიკი გვიხატავს“. როგორც ჩანს, მას სიკეთედ მიაჩნია ივანეს საქციელი. მან ხომ გადასახლებიდან დაბრუნებულ, ნატანჯ ნათესავებზე უარი თქვა. სხვათამორის, ივანე ნათესაობას დიდად არ დაგიდევდათ. საკმაოდ ახლო ნათესავზე, თავადი ბეჟან წერეთლის ასულ ელისაბედზე დაქორწინდა. ივანეს პაპა – ბაგრატ ბატონიშვილი და ბეჟან წერეთლის ბებია ხორეშანი – მეფე ალექსანდრე V-ის შვილები, ანუ და-ძმა იყვნენ. ამის გამო, შორაპნის მაზრის ბლალოჩინს იმერეთის ეპისკოპოსი სოფრო-

ნისთვის მოუხსენებია: „ამგვარის ნათესაობისამებრ გვირგვინი ბატონისშვილის იოანესა ასულისათანა ბეჟანისა ელისაბედისა კანონთამებრ ბერძენთ ეკლესიისა არს უჯერო...“ [სეა, ფონდი 489, აღწერა 1, საქმე 3441, ფ. 1]. ზემოხსენებული ნათესავების შესახებ კი ივანე ტყუილსაც არ მოერიდა. მან განაცხადა, რომ პოდპორუჩიკი სიმონი და მამამისი, გადამდგარი ჯარისკაცი როსტომ ბაგრატიონი, იყვნენ შთამომავლები ბაგრატ ბატონიშვილის უკანონოდ შობილი ძის, სვიმონისა, რომელიც ვითომდა, „არ იწოდებოდა ძედ ანუ რომელიმე ნათესავად ბატონისშვილის ბაგრატის“ [ქსია, ფონდი 1, აღ. 1, საქმე №237, ფ. 71ა]. ეს იყო სიცრუე: ჩვენ უკვე გავეცანით საბუთებს, რომლებშიც ბაგრატ ბატონიშვილი სვიმონს თავის ძეს უწოდებს, ხოლო ივანეს მამა – დავით ბატონიშვილი როსტომს თავის ძმისშვილად ასახელებს, მეფე სოლომონ II კი ამ სიგელს ამოწმებს, რაც მეფის მიერ, როსტომ სვიმონის ძის, ბაგრატიონთა ოჯახის წევრად ცნობას ნიშნავს.

ივანემ კი სვიმონის შვილსა და შვილიშვილზე განაცხადა, თითქოსდა ისინი იყვნენ „გარეშე პირი და არა მქონებელი მასთანა არა ვითარ ნათასაობის კავშირისა“. ივანე ბაგრატიონის მსგავსად, ზემოჩამოთვლილ დოკუმენტებს ი. ბიჭიკაშვილიც მალავს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ მათ და ივანეს „სიკეთეში“ დავრწმუნდებით.

სურ. № 14. საარქივო საქმის ფირაგმენტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ბაგრა-ტიონთა გენერალუგიური ნუსხის შესახებ [ქსია, ფონდი 1, ალ. 1, საქმე №237, ფ. 73]

11/65  
16/26

Уголовный

43.

Примо Иларии Т. Кумакову уездному  
и по Сорокскому гарнизону.

Депутатского  
Собрания

Лета 1833 года

№ 506.

штаб-ректо  
р гвардии

Депутатское Собрание

Покорнейшии просить Ваше  
Всевознаное сияние оное вице-  
губернатору и генералу  
Генералу Давиду Елину Гариа  
милосты вздомимое всено  
желания исправить на  
поступающими волею Собрания  
же и по всему губернатору  
все отечественные и гражданские  
заботы и заботы о земельном  
имуществе твоему  
и земельного имущества  
и по Сорокскому гарнизону  
все отечественные и гражданские  
заботы и заботы о земельном  
имуществе твоему



Сур. №15. საარქივო საქმის ფრაგმენტი [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 2, საქმე 417], საიდნაც ჩანს, რომ ივანე ბაგრატიონს კომისიისთვის გენეალოგიური ტაბულაც ჰქონია წარდგენილი და სავაჭრო სიაც.

4. ჩემს ნაშრომში აღვნიშნე, რომ ივანე ბაგრატიონის ვაჟი, ალექსანდრე, ყუბულაშვილისათვის მიცემულ სიგელში მოსაზღვრე ბატონს, როსტომ ბაგრატიონს, თავადს უწოდებს და გამოვთქვი მოსაზრება, რომ ივანესთან შედარებით, თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი ბევრად უფრო კეთილსინდის-იერი ჩანს. სამწუხაროდ, თავის ოჯახში ის ინიციატივას ვერ იჩენდა და თავისი მოურავი ხიდირბეგიშვილების ძლიერ გავლენას განიცდიდა. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „კ-ზ ბაგრატიონი ბევრის თვალში მოსაწონ ყმანვილად ითვლება, მაგრამ ამ ხიდირბეგიშვილების გამო ბევრი კაცი ემდურის. ორგზის მოინდომა უეზდის მარშლობა და საზოგადოებას თითქმის სურდა ამოერჩია, მაგრამ რადგან მარშალი ხიდირბეგიშვილები იქნებოდნენ და არა ბაგრატიონი, ამისთვის ორჯერვე ააცილეს ამ საქმეს“. ციტატა ივანე გავაშელაშვილის წიგნიდან დავიმოწმე, რაც მითითებული მაქვს. ი. ბიჭიკაშვილი იცნობს ივანე გავაშელაშვილის ნაშრომს „ერთი სოფ-ლის ისტორია“, მაგრამ ურჩევნია ალექსანდრე ბაგრატიონის არცთუ სახარ-ბიელო დახასიათება მე მომაწეროს. ის ამგვარ ბრალდებას მიყენებს: „ქ-ნი მანანა არ ცხრება და აგრძელებს ბატონიშვილი ნინოს უშუალო წინაპარ-თა დამცირება-შეურაცხყოფას, მან ეხლა უკვე ალექსანდრე ბატონიშვი-ლი ამოილო მიზანში, რომელსაც უნიათო, უსუსურ პიროვნებად გვიხატავს, რომელიც თურმე ხიდირბეგიშვილების დიქტატურის ქვეშ იმყოფებოდა, რის გამოც მას „მარშლობაც“ კი არ ღირსებია. არადა მსურს მკითხველმაც იცოდეს, რომ ალექსანდრე ივანეს ეს ბაგრატიონ-იმერეტინსკი იყო უგანათ-ლებულესი თავადი (და არა უბრალო თავადი) და შორაპნის ოლქის (**уезд – ოლქი კი არა არის, მაზრაა – მ. ხ.**) თავადაზნაურთა წინამდლოლი (მარშალი) [ი. ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო), თბ., 2018, გვ. 78]. ჯერ უნდა დავაზუსტოთ, ვის იცავს ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი. მე ვწერ ალექსანდრე ივანეს ეს ბაგრატიონზე და არა ალექსანდრე ივანეს ეს ბაგრა-ტიონ-იმერეტინსკიზე. ასეთ პიროვნებას ისტორია არ იცნობს, რაც ჩემს სხვა ნაშრომებში დაწვრილებით მაქვს განმარტებული. ამჯერად, იმ დოკუ-მენტებს გადავხედოთ, რომლებსაც ი. ბიჭიკაშვილი იმოწმებს. მას მოჰყავს ამონარიდი 1888 წელს, რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე III-ის ქუთაისში ყოფნისას, ოფიციაურ სადილზე მიპატიუებულთა სიიდან: „...Шорапанский уездный предводитель дворянства, Светлейший Князь Александр Иванович Багратиони (Кутаисский комитет по приему и встречи Их Величеств. ქუთაი-სის სახელმწიფო ისტორიული არქივი (ქსია), ფონდი 1, ალ. 1, საქმე №156, ფ. 17-18(4.08. 1888 ნ.)“. ვფიქრობ, ი. ბიჭიკაშვილის მიერ მოხმობილი ცი-ტატიდან მკითხველი თვალნათლივ ხედავს, რომ დასახელებული პირის გვარი ბაგრატიონი იყო და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი. ი. ბიჭიკაშვი-ლი აქვე იმოწმებს სხვა ამონარიდებს: „По прошению светлейшей княгини Нидиторы Багратион, о сопричислении сына ея Давида к роду и семейству отца его, светлейшего Князя Александра Ивановича Багратиона. (ქსია, ფონ-დი 1, ალ. 1, წიგნი 5, საქმე №59396)“. მკითხველს ვთხოვ დააკვირდეს,

რომ უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ივანეს ძეც და მისი მეუღლეც ბაგრატიონის გვარით არიან მოხსენიებული. თავადის მეუღლე ითხოვს, რომ მისი ვაჟი, დავითი, მიკუთვნებული იქნას მამის – ზემოხსენებული უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონის საგვარეულოსა და ოჯახს და არა სოლომონ I-ის შთამომავალი ბაგრატიონ-იმერეტინსკების ოჯახს, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა და იმერეთში დარჩენილ ბაგრატიონებთან ურთიერთობას არ ინარჩუნებდა. ი. ბიჭიკაშვილი ასევე იმოწმებს აკაკი წერეთლის ლექსს, რომელიც მან ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონს მიუძღვნა. ლექსის სათაურია: „სამძივარი (ბატონიშვილის ალექსანდრე ბაგრატიონის დასაფლავებაზე წარმოთქმული ლექსი)“ [გაზ. „კვალი“ №11, თბ., 1895 წ.]. ახლა კი გავეცნოთ რამდენიმე ამონარიდს ღვანკითის სამების ეკლესის მეტრიკული წიგნებიდან. 1871 წლის წიგნიდან: „ღვანკითს მცხოვრები თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი“, „კნიაზი ალექსანდრე იოვანეს ძე ბაგრატიონი“ [სეა, ფონდი 489, აღწერა 27, საქმე 924]. 1872 წლის წიგნიდან: „თავადის იოვანე ბაგრატიონის ცოლი ელისაბედ ბეჟანის ასული“ [სეა, ფონდი 489, აღწერა 27, საქმე 9525]. როგორც ვხედავთ, ისევ და ისევ „ბაგრატიონი“, რასაც ი. ბიჭიკაშვილი ვერ აღიარებს, რადგან „ბაგრატიონთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმში თავად შეიტანა ყალბი ინფორმაცია, თითქოსდა, ზემოდასახელებული უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონის შვილიშვილი – ქალბატონი ნინო გვარად ბაგრატიონ-იმერეტინსკი იყო. სიმართლის აღიარების ნაცვლად, ის თავადი ალექსანდრე ივანეს ძის დამცირებას მაბრალებს. რა აძლევს ამის საფუძველს? მე, როგორც უკვე განვმარტე, ივანე გავაშელაშვილის წიგნიდან მოვიყვანე ციტატა. ამასთან, მე არ მითქვამს, რომ ალექსანდრე ბაგრატიონს მარშლობა საერთოდ „არ ღირსებია“. მე იმ მომენტზე შევაჩერე ყურადღება, რომ თავადი ალექსანდრე თავისი მოურავის ძლიერ გავლენას განიცდიდა, როგორც ამას გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი წერდა. რამე მოვიგონე? ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი რომ უგანათლებულესი თავადი იყო, ეს მე ი. ბიჭიკაშვილისგან არ მესნავლება. საქმე პირიქით არის. ჩემს წერილში „ბაგრატიონებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ“ [ჟურნალი „მაცნე“, თბ., 2017, №2] ი. ბიჭიკაშვილს პირველად მე ავუხსენი, თუ როდის მიენიჭა ალექსანდრეს უგანათლებულესი თავადის წოდება. ი. ბიჭიკაშვილი იმერეთის ბაგრატიონთა სამი შტოსათვის უგანათლებულესი თავადის წოდების მინიჭების წლად, მცდარად, ერთსა და იმავე 1865 წელს ასახელებდა. სინამდვილეში, 1865 წელს უგანათლებულესი თავადის წოდება იმერეთის ბაგრატიონების უმთავრეს შტოს, იმერეტინსკებს მიენიჭათ, ბაგრატიონ-იმერეტინსკებს კი 1876 წელს. ხოლო ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპარი თავადი ივანე დავითის ძე ბაგრატიონის შესახებ, 1871 წლის 1 ნოემბერს, მეფისნაცვალს სამთავრობო სენატიდან გამოეგზავნა იმპერატორის ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ ხსენებული ტიტულის მიღების უფლება საქართველოს და იმერეთის ყოფილი სამეფო სახლების მხოლოდ

იმ შთამომავლებს ჰქონდათ, რომლებიც რუსეთის მთავრობის მიერ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული „ხოლო ამგვარი შთამომავლების რიცხვს თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი არ მიეკუთვნება...“ [სეა, ფონდი 416, აღწერა 3, საქმე 169]. ყურადსალებია, რომ იმპერატორი თავად ივანეს ბაგრატიონის გვარით იხსენიებს. ივანეს შვილმა, ალექსანდრე ბაგრატიონმა ტიტულისათვის ბრძოლა განაგრძო. 1881 წლის 15 ივლისის დადგენილებით, თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონს „უგანათლებულესობის“ ტიტული ეპოძა. გვარი კი იგივე დარჩა – ბაგრატიონი და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი. საგულისხმოა, რომ ი. ბიჭიკაშვილმა „მაცნეში“ გამოქვეყნებულ თავის საპასუხო წერილში ჩემოთ მოყვანილი შენიშვნა უპასუხოდ დატოვა. ახლა კი მოჰყავს რა ის დოკუმენტები, რომლებშიც, როგორც ვნახეთ, ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონად მოიხსენიება და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკად (როგორც მას სურს), სიმართლეს მაინც არ აღიარებს. მალავს, რომ მე ინფორმაცია გაზეთ „დროებიდან“ მაქვს ალებული და ჩემი მისამართით ყოვლად უტიფრად წერს: „აქედან გამომდინარე ქ-ნი მანანა ხომერიკის მცდელობა ხელოვნურად დააკანინოს ბატონიშვილი ნინოს ბაბუა, უბრალოდ მოკლებულია ყოველგვარ ზნეობას...“ საინტერესოა, რატომ არ გააპროტესტა მან ივანე გავაშელაშვილის მიერ გაზეთ „დროებიდან“ ზემოთ მოყვანილი ციტატის მოხმობის ფაქტი?

5. ი. ბიჭიკაშვილი იმოწმებს ამონარიდს ჩემი ნაშრომიდან: „სადლეისოდ, მეფე სოლომონ II-ის მიერ ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული კონსტანტინე ბატონიშვილის შთამომავლებიდან მხოლოდ ერთი ქალბატონი, თამარ იმერეტინსკია ცოცხალი, რომელიც ინგლისში ცხოვრობს“. ვფიქრობ, გასაგები ქართულით მიწერია, მაგრამ ი. ბიჭიკაშვილი განზრახ ამახინჯებს ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაციის აზრს: „საინტერესოა, რას ეფუძნება ქ-ნი მანანა ხომერიკის ეს დასკვნა, იმის თაობაზე, რომ მეფე სოლომონ II-ის მიერ ტახტის მემკვიდრედ თურმე „სადლეისოდ“ გამოცხადებული ყოფილა კონსტანტინე ბატონიშვილის შთამომავლობა?“ მე ვთქვი, რომ კონსტანტინე ბატონიშვილის შთამომავლებიდან სადლეისოდ მხოლოდ ერთადერთი ქალბატონია ცოცხალი და არა ის, რომ კონსტანტინე ბატონიშვილის შთამომავლი თამარ იმერეტინსკი „სადლეისოდ“ ტახტის მემკვიდრედ არის გამოცხადებული. ჩემს ნათქვამსა და ი. ბიჭიკაშვილის ინტერპრეტაციას შორის ძირეული განსხვავებაა, რასაც მკითხველი ადვილად მიხვდება. მეფე სოლომონ II-ის მიერ ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული კონსტანტინე ბატონიშვილის შთამომავლებიდან უკანასკნელი მამაკაცი 1978 წელს გარდაიცვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ „სადლეისოდ“ ამ შტომ ტახტის მემკვიდრის სტატუსი დაკარგა. სოლომონ მეფე ელაზნაურის ტრაქტატის მე-2 პუნქტში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კონსტანტინე ბატონიშვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მისი მემკვიდრე, თუ ღმერთი მეფეს მამარობითი სქესის შვილს არ მისცემდა. ეს კი ნიშნავს, რომ თუ მეფე სოლომონს

ქალიშვილი გაუჩნდებოდა, ის ტახტის მემკვიდრე ვერ იქნებოდა. აქედან გამომდინარე, იმერეთის ტახტის მემკვიდრე ვერც ზემოთ დასახელებული ქალბატონი თამარ იმერეტინსკი იქნება და მით უფრო ვერც სხვა ქალბატონები იქნებოდნენ. ი. ბიჭიკაშვილი განაგრძობს მსჯელობას: „ყველასათვის ცნობილია, რომ 1804 წელს მეფე სოლომონ „იძულებული გახდა“ ხელი მოეწერა „ელაზნაურის“ ხელშეკრულებისთვის, გაფორმებულს რუსეთის იმპერიასთან, „რომელიც ითვალისწინებდა მის გადაქცევას რუსეთის იმპერიატორის... მარიონეტად“ (საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), ტ. IV (საქართველო XIX-XX საუკუნეებში). სარედაქციო კოლეგია: აკად. მარიამ ლორთქიფანიძე (მთ. რედ.), აკად. ოთარ ჯაფარიძე, აკად. დავით მუსხელიშვილი, აკად. რონი მეტრეველი. ტომის რედაქტორი პროფ. მაყვალა ნათმელაძე. თბ., 2012, გვ. 17-18). ისტორიკოს თედო უორდანიას ცნობის თანახმად „...სოლომონმა... ფიცი მიიღო რუსთ ერთგულობაზე 24 აპრილს, მაგრამ იმ პირობით, რომ რუსებს დაებრუნებინათ მისთვის ლეჩებუმი. ციციანოვმა ფიცი მისცა. ეს პირობა მთავარმართველმა ვერ შეასრულა, და სოლომონ მეფემაც მიცემული ფიცი უარყო“ (თ. თედო უორდანია. სოლომონ II, მეფე იმერთა. ჟურნ. „მოამბე“ №1, ტფ., 1899, გვ. 5)“. მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს იმ ფაქტს, რომ ი. ბიჭიკაშვილის მიერ მოხმობილი ციტატები კონსტანტინე ბატონიშვილს უშეულოდ არ ეხება. ზემოთ ჩამოთვლილ ცნობილ ისტორიკოსთა სახელებს ამოფარებული ი. ბიჭიკაშვილი არარსებულ ფაქტს რეალობად ასაღებს: „ანუ სოლომონ II-მ უარყო 1804 წლის ელაზნაურის ხელშეკრულება, აქედან გამომდინარე, უარყოფილ იქნა რუსთა დაუინებული მოთხოვნით და ზენოლით ამავე ხელშეკრულებაში სოლომონ მეფის მემკვიდრედ დასახელებული კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელზეც რუსები დიდ იმედებს ამყარებდნენ“. ი. ბიჭიკაშვილი იმოწმებს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეგროვილ აქტებში გამოქვეყნებულ იმ პერიოდის დოკუმენტებს, როდესაც რუსები კონსტანტინეზე იმედებს ამყარებდნენ. ი. ბიჭიკაშვილი მალავს, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. ჯერ ერთი, ელაზნაურის ხელშეკრულების ანულირების დოკუმენტი არ არსებობს, რადგან ასეთი რამ არ მომხდარა. ახლა განვიხილოთ, თუ რაში გამოიხატებოდა მეფე სოლომონის მიერ მიცემული „ფიცის უარყოფა“. მე ეს საკითხი უკვე ახსნილი მაქვს ჟურნალ „მაცნეში“ [2019, №2] გამოქვეყნებულ წერილში, მაგრამ ვინაიდან ი. ბიჭიკაშვილი თავის ორივე საპასუხო წერილში ერთსა და იმავე ყალბ ინფორმაციას ავრცელებს, იძულებული ვარ გავიმეორო: სინამდვილეში, სოლომონის მიერ რუსეთის მიმართ ფიცის უარყოფა სწორედ იმაში გამოიხატა, რომ ის კონსტანტინეს ალარ თმობდა. მეფე სოლომონმა კონსტანტინე ბატონიშვილისადმი თავისი ძველი დამოკიდებულება მამა-შვილური ურთიერთობით შეცვალა. კონსტანტინე ბატონიშვილი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან თავიდანვე მოიაზრეოდა, როგორც იმერეთის მეფეზე ზემოქმედების იარაღი. მუხურის ციხიდან გან-

თავისუფლების შემდეგ ის დროებით თბილისში გადმოიყვანეს. როგორც ჩანს, კონსტანტინე ბატონიშვილმა გააცნობიერა, რომ მისი „კეთილისმყოფელი“ იმპერატორი მის გამეფებაზე კი არ ზრუნავდა, არამედ იმერეთის სამეფოს გაუქმებაზე, როგორც მან ეს ქართლ-კახეთის სამეფოში ჩაიდინა. ამიტომ კონსტანტინემ სოლომონთან შერიგება და მისი ერთგულება არჩია. კონსტანტინემ იმერეთში გაქცევა მოახერხა, სადაც მეფე მას ფარულად შეხვდა და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა. **სწორედ, ამის გამო აღნიშნავდა ლიტვინოვი თავის მოხსენებაში, რომ მეფე არლვევდა რუსეთის ერთგულებაზე დადებულ ფიცს** [სეა, ფონდი 16, აღნერა 1, საქმე №153, ფ. 4]. შემდგომში, კონსტანტინე ბატონიშვილის შვილი, ნიკოლოზ იმერეტინსკი, მამის შესახებ წერდა: „მან არ ისურვა იმ ძლიერ ხელზე დაყრდნობა, რომელმაც გაათავისუფლა ხუნდებისაგან, შეეცადა საერთოდ დაელნია თავი რუსული გავლენისაგან და მეფე სოლომონთან გაიქცა“ [Н. К. Имеретинский, Багратиды в России, СПб. 1885. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწ. ROS-637, ფ. 29ა]. 6. იმერეტინსკი ასევე ასახელებს გენერალ ტორმასოვის 1810 წლის 30 მაისის წერილს, რომელშიც დადასტურებულია სოლომონ II-ის მიერ კონსტანტინე ბატონიშვილის ტახტის მემკვიდრედ აღიარების ფაქტი [Н. К. Имеретинский, Багратиды в России, СПб. 1885. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწ. ROS-637, ფ. 37]. გენერალ-ლეიტინანტ ვოლკონსკის მიერ ციციანოვის სახელზე გაგზავნილი პატაკიდან ვიგებთ, რომ კონსტანტინე ბატონიშვილმა შეკრიბა რამდენიმე კაცი და იმყოფებოდა ტაძარში, სადაც ჩავიდა მეფე სოლომონი მის სანახავად და მათ ერთმანეთს ურთიერთდახმარება შეფიცეს [37: 9]. 1804 წლის 17 დეკემბერს ციციანოვი მეფე სოლომონს სწერდა: „Итак должен повторить, что высыпкою царевича Константина в Тифлис в. в. оказать изволите Г. И. покорность и себе сделаете полезное, ибо рано или поздно сей гость, при жизни вашей в Имеретии пребывавший не своим произволом, но научением неблагонамеренным, обратится в. в. на пагубу, вместо того, что он бы, удаленный от праздной жизни, приобрел бы добродетели, воспитанием поселяемыя“ (Акты, т. II, №492). კონსტანტინეს მაშინაც არ უნდოდა იმერეთის დატოვება, როდესაც ტახტიდან ჩამოგდებული მეფე სოლომონი ოსმალეთში გადაიხვენა. სიმონოვიჩი ტორმასოვს მოახსენებდა, რომ თუ კონსტანტინე ბატონიშვილს იმერეთში დატოვებდნენ, როგორც ტახტის მემკვიდრეს, მაშინ ხალხში კვლავ გაიღვიძებდა საკუთარი მეფის ყოლის ოცნება და „ის პატივისცემა, რომელსაც ხალხი განიცდიდა ბაგრატიონთა მიმართ“, რაც რუსეთისთვის საზიანო აღმოჩნდებოდა [სეა, ფონდი 2, აღნერა 1, საქმე №496, 111-113ა]. აქედანაც კარგად ჩანს, რომ ტახტის მემკვიდრედ ისევ კონსტანტინე ბატონიშვილი ითვლებოდა.

ი. ბიჭიკაშვილს და მის მხარდამჭერებს უნდა შევახსენო გიორგი XII-ის შვილის, ბატონიშვილი დავით ბაგრატიონის ნაშრომი „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“, რომელშიც ვკითხულობთ, რომ არც ქვრივი დედოფალი და არც საქართველოს სამეფო სახ-

ლის სხვა მდედრობითი სქესის წევრები ტახტის მემკვიდრე ვერ იქნებიან: „13. Вдовствующая царица, ни другие особы женского пола, к царскому грузинскому дому принадлежащие, престола наследовать не могут“ [დავით ბაგრატიონი, „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“, თბ., 1959, გვ. 115].

ამდენად, ი. ბიჭიკაშვილის მიერ ჩემდამი წამოყენებული ბრალდება უსაფუძლოა და ჩემს მიერ აღნიშნული ფაქტის დამახინჯებულ ინტერპრეტაციას ემყარება.

6. ი. ბიჭიკაშვილს მოჰყავს შემდეგი ამონარიდი ჩემი წიგნიდან: „2001 წელს, „ბაგრატოვანთა სახლის“ ალმანახში „ბაგრატოვანნი“ დაბეჭდა წერილი „ბაგრატოვანთა სახლის“ შენიშვნები სტატიაზე „სრულიად საქართველოს“ გამო“, რომელშიც მიუხედავად იმისა, რომ წერილზე მხოლოდ ერთერთ ბაგრატიონს მოაწერინეს ხელი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მთელი „ბაგრატოვანთა სახლის“ (და ცხადია, მისი ისტორიულის) პოზიცია იყო გაცხადებული. ირაკლი დავითის ძე ბაგრატიონის წინაპრების დამცირებამ ისინი ისე გაიტაცა, რომ აზნაურობაც ვერ გაიმეტეს მათთვის და რაც კიდევ უფრო უარესია, ქართველ მეფეთა და ყველა ბაგრატიონის საერთო წინაპარს – დავით ულუსაც გადაუსვეს ხაზი: „აზნაურის პრეტენდენტობის გასამართლებლად მოჰყავთ ალექსანდრე IV (იმპერიის) და დავით ულუ, ის კი ავიწყდებათ, რომ ალექსანდრე IV და დავით ულუ მეფის ქორწინების გარეშე შვილები იყვნენ და ამიტომ თავადის (და არა აზნაურის) ტიტულს ატარებდნენ.“ დავიწყოთ იმით, რომ დავით ულუს დროს თავადის ტიტული ჯერ კიდევ არ არსებობდა. თანაც, ამგვარი მსჯელობით გამდის, თითქოსდა, საქართველოს მეფე დავით ულუ ბატონიშვილიც კი არ ყოფილა! ეს თუ მართალია, მაშინ მისი მომდევნო არც ერთი მეფე არ ყოფილა სამეფო ღირსების მატარებელი. ქართველებს სამეფო ღინასტია არ გვყოლია! მადლობა ღმერთს, რომ ამ განცხადებას საერთო არაფერი აქვს სიმართლესთან!“ ი. ბიჭიკაშვილი მპასუხობს: „ის, რომ მასში დაფიქსირებული პოზიცია სრულებით გამოხატავდა „ბაგრატოვანთა სახლის“ ერთობლივ პოზიციას ამაში გასაკვირი არაფერია, მაინცდამაინც მთელ საგვარეულოს უნდა მოეწერა ხელი?“ [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო),“ თბ., 2018, გვ. 73]. მე მსგავსი მოთხოვნა არ წამომიყენებია, პირიქით, ამ საკითხში ვეთანხმები ი. ბიჭიკაშვილს: სრულიად არ იყო საჭირო მთელი საგვარეულოს ხელმოწერა. ისედაც ცხადია, რომ ეს მათი ერთობლივი პოზიციაა: მათ დავით ულუ თავადი ჰგონიათ! ი. ბიჭიკაშვილი ვერ უარჲყოფს, რომ დავით ულუს და ალექსანდრე IV-ს „უნარჩუნდებოდათ ბატონიშვილის წოდება და არა თავადის, რასაც შეცდომით უთითებს ქ-ნი ირინე ამ სტატიაში და რასაც სიხარულით იმეორებს ქ-ნი მანანა...“ უნდა განვმარტო, რომ „სიხარულით“ კი არ ვიმეორებ ბაგრატიონთა უხეშ შეცდომას, არამედ ისტორიის ელემენტარულ ცოდნას მოვითხოვ იმ პირები-

სგან, ვისი „ერთობლივი პოზიციაც“ იყო გამოხატული აღნიშნულ სტატიაში. ისიც აღსანიშნავია, რომ უფრო უპრიანია დავით ულუს და ალექსანდრე IV-ს, მათ გამეფებამდე, უფლისწული ვუწოდოთ და არა ბატონიშვილი, „თავადი“ ხომ საერთოდ გამორიცხულია! ი. ბიჭიკაშვილი განმარტავს, რომ „ბაგრატოვანთა სახლის“ წინამდლოლი, „ბატონიშვილი ნინო აღმშოთებული დარჩა იმ არაკვალიფიციური პასუხების გამო, რომლებიც იური ჩიქოვანს მიუცია „ახალი ქართული გაზეთისათვის“ 1998 წელს (№107, 27 ნოემბერი), რომლის პასუხებიდან ჩანს, რომ მისი, როგორც „ბაგრატოვანთა სახლის“ მკულევარის მიერ გამოხატული მოსაზრებები, არ ეთანხმებოდა „ბაგრატოვანთა სახლის“ პოზიციას. კერძოდ, ბ-ნი იური ჩიქოვანის პასუხებიდან, მკითხველს დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ბაგრატოვანთა დინასტიაში კანონიერ და უკანონო შტოებს შორის განსხვავება არ არის, რაც ქართული დინასტიური სამართლის დამახინჯებაა და რის თაობაზეც არაერთი ნაშრომი მაქვს მე პირადად გამოქვეყნებული“ [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2016, გვ. 74]. **ახლა კი ვნახოთ, სინამდვილეში რას ამბობდა ბ-ნი იური ჩიქოვანი:** „მაგრამ თუ მეფე გადადის უძეოდ და უმემკვიდრეოდ, ასეთ შემთხვევაში, ან პირადად მისი, ანდა „რჩეულთა“ ინიციატივით ტახტზე უხმობენ არასაეკლესიო ქორწინებით შობილ ვაჟ მემკვიდრეს მეფისას! მაგალითად, დღეს უკლებლივ ყველა ბაგრატიონი არის შთამომავალი უცნობი ველისციხელი ქალის და მეფეთ-მეფე გიორგი ლაშას დიდი სიყვარულისა! ანალოგიური „გამონაკლისები“ არაერთია იმერელ ბაგრატიონთა ისტორიაშიც“ [„ახალი ქართული გაზეთი“ 1998 წელი, №107, 27 ნოემბერი]. მერედა, რა არის აქ არასწორი?! სხვა საკითხია, რომ გარკვეულ დაჯგუფებას სიმართლე იმდენად სძულდა და სძულს, რომ მაშინვე აღმშოთდებიან ხოლმე. ი. ბიჭიკაშვილის აღიარებიდანაც ჩანს, რომ „ბაგრატოვანთა სახლის“ ზემოხსენებული „საპასუხო სტატიის მიზეზი“ სწორედ აღმშოთება გამხდარა. ბატონი იური „არაკვალიფიციურად“ მიუჩინევიათ, თავად კი ისეთი „კვალიფიციური“ პასუხი გაუციათ, რომლისაც სკოლის მოსწავლესაც კი შერცხვებოდა!

7. ი. ბიჭიკაშვილი ცდილობს საკუთარი ახსნა მოუძებნოს ჩემს მიერ აღნიშნულ ფაქტს, რომ იმერეთში ოთხევრ იყო შემთხვევა, როდესაც უკანონოდ შობილი ბაგრატიონი გამეფდა და რომ უკანონოდ შობილ ძეებს კანონიერ ქალიშვილებზე წინ აყენებდენ. როგორც არ უნდა ეცადოს, ი. ბიჭიკაშვილი ისტორიას ვერ გადაწერს. მისი აზრით, გიორგი III-ის და სიმონ ბაგრატის ძის მაგალითების ერთმანეთთან შედარება ძალიან შეუსაბამოა, რადგან გიორგი III-ის გამეფებისას, 1605 წლისათვის, იმერეთის სამეფო შტოში, არც კანონიერი და არც უკანონო კაცი ან ქალი არ არსებობდა, ხოლო სიმონ ბაგრატის ძის დროს, მის პარალელურად არსებობს სამი ლეგიტიმური ბატონიშვილური შტო [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018, გვ. 72]. ი. ბიჭიკაშვილი ვერ ითვალისწინებს, რომ მე ვსაუბრობ

გიორგი III-ის და სიმონ ბაგრატის ძის ერთნაირ წარმომავლობაზე და არა იმაზე, რომ სიმონ ბაგრატის ძე უნდა გაემეფებინათ.

8. ი. ბიჭიკაშვილს გაახსენდა, რომ როდესაც „ბაგრატიონთა სახლი“ არ-სებობდა, მე მისი თანამდგომი წევრი და ალმანახში რედკოლეგის წევრი ვიყავი. მას უნდა, რომ ალმანახში დაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებლობა მე დაამაკისროს. სულ ტყუილად! მას კარგად მოეხსენება, რომ მე ჩემი ერთი დასაპეჭდად გამზადებული წერილი უკან დავიპრუნე, რისთვისაც პირადად მასთან სახლში მისვლა და წერილის წამოლება მომიხდა. თუ რა იყო ჩემი გვერდზე გადგომის მიზეზი, ამას არ მოვყვები, რადგან იმ უსიამოვნო ინციდენტის მონაწილენი ჩემს მონაყოლს ვერც დაადასტურებენ და ვერც უარყოფენ: ისინი ცოცხალი აღარ არიან. მე კი ძველი ამბის გახსენების არც სურვილი გამაჩინია და არც მტკიცებულება, რის გარეშეც საუბარი ჭორაობას დაემსგავსება. ვიტყვი მხოლოდ, რომ საკითხი ჩემ მიერ აჭარაში ჯვრის აღმართვას ეხებოდა და მე კმაყოფილი ვარ, რომ ჩემ მიერ არჩეულმა გზაშ გაამართლა: დღეს აჭარაში უკვე 30 ნათლული მყავს. ი. ბიჭიკაშვილი წერს: „აღნიშნულ ალმანახში არაერთხელ დაიბეჭდა სტატიები რომლებიც ეხებოდა მანანა ხომერიკის წინაპართა შტოს, კერძოდ სიმონ ბაგრატიონის შთამომავლობას, რომლებიც ყოველთვის აზნაურებად მოიხსენიებოდნენ. რატომლაც ქ-ნ მანანას, როგორც რედკოლეგის წევრს, არც ერთხელ ამაზე პროტესტი არ განუცხადებია, საინტერესოა რამ და როდის გაუჩინა ქ-ნ მანანას აღნიშნული პრეტენზიები? [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო),“ თბ., 2018, გვ. 80]. უნდა დავაზუსტო: აღნიშნულ აღმანახში დაბეჭდილ ზემოხსენებულ წერილში „ბაგრატოვანთა სახლის“ შენიშვნები სტატიაზე „სრულიად საქართველოს“ გამო“, სიმონ ბაგრატიონის შთამომავლები აზნაურებად კი არ მოიხსენიებოდნენ, არამედ „აზნაურის პრეტენდენტობის“ მქონე პირებად! „ბაგრატოვანთა სახლმა“, როგორც ზემოთ დავიმოწმეთ, მათ შესახებ ამგვარი „ერთობლივი პოზიცია“ გამოხატა: „აზნაურობის პრეტენდენტობის გასამართლებლად მოჰყავთ ალექსანდრე IV (იმერეთის) და დავით ულუ...“ პროტესტის გამოთქმა აღარ დამჭიდა, რადგან ასეთმა ზღვარგადასულმა უსამართლობამ სიმონ ბაგრატიონის უშუალო შთამომავალი, ბ-ნი ირაკლი ბაგრატიონი, აიძულა ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისთვის მიემართა და თავისი წარმომავლობის შესახებ კომპეტენტური დასკვნა მოეთხოვა. ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილს რეზოლუციის საფუძველზე, დასკვნის დაწერა ინსტიტუტის ორ თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ რ. თოფრიშვილს და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ ე. ბუბულაშვილს დაევალა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა 2002 წლის 8 თებერვალს გასცა დასკვნა №06. 01 662, რომელშიც ვეითხულობთ: „იმერეთის ბაგრატიონთა XIX ს-ში გააზნაურებული შტოს მამამთავარი არის არა სიმონ ბაგრატის ძე

ბაგრატიონი, არამედ მისი ვაჟი – როსტომ სიმონის ძე, რომელმაც 1819-20 წლების იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო. სიმონ ბაგრატის ძის აზნაურობის დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ არსებობს. საეკლესიო სამეტრიკო წიგნში ის დაფიქსირებულია როგორც ბატონიშვილი (სსცსა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 103); რუსეთის იმპერატორის სახელით გამოცემულ ბრძანებულებაში სიმონ ბაგრატიონი თავადის ტიტულით მოიხსენიება (სსცსა, ფონდი 2, აღჭერა 1, საქმე 6858, ფ. 5), ისევე როგორც იმპერატორის მთავარი შტაბის მორიგე გენერლის პატაკში (სსცსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 2232, ფ. 7). სოლომონ II-ის ქვრივმა, მარიამ დედოფალმა 1831 წელს განმარტა, რომ სიმონ ბაგრატის ძე, მისი შვილი როსტომი და შვილშვილები „იმერეთის მეფების დროს“ სარგებლობდნენ „თავადის ღირსებით (სსცსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 2232, ფ. 6). სიმონ ბაგრატიონის აზნაურად მიჩნევა ისტორიის დამახინჯებაა. 1820 წელს, იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, რუსეთში იყვნენ გადასახლებული როსტომ სიმონის ძე და მისი რვა წლის შვილი – სიმონი. როსტომს ეკრძალებოდა საქართველოში დაბრუნება, ცხოვრობდა მარიამ დედოფალთან, როგორც ნათესავი, ჩამორთმეული ჰქონდა ყოველგვარი წოდება. ცარისტული პოლიტიკის ვერაგობა იმაშიც გამომჟღავნდა, რომ როსტომი გამოაცხადეს „თავადი სიმონ ბაგრატიონის უკანონოდ შობილ ვაჟად“ (სსცსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 6858, ფ. 5.). ეს იყო სიცრუე, რაც თვითონაც იცოდნენ, როგორც ეს სხვა დოკუმენტებიდან ჩანს. როსტომის შვილს, სიმონს რუსეთის მთავრობამ შემდგომში აზნაურობა დაუკანონა. იქამდე იმერეთში აზნაური ბაგრატიონები არ არსებობდნენ. უკანონოდ შობილი ბაგრატიონებიც კი ბატონიშვილებად ითვლებოდნენ, რომ აღრაფერი ვთქვათ იმაზე, რომ იმერეთის სამეფოში ოთხი უკანონოდ შობილი მეფეა ცნობილი: გიორგი III, ალექსანდრე IV, სვიმონ I და გიორგი VI (აღსანიშნავია, რომ გიორგი III კონსტანტინე ბატონიშვილის უკანონო შვილი იყო და არა მეფის), როსტომ ბაგრატიონის შთამომავლობის გააზნაურება უსამართლობა იყო, მით უფრო, რომ როსტომი, როგორც ამას მარიამ დედოფალი ადასტურებს, კანონიერი ქორწინების შედეგად იყო შობილი (სსცსა, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 2232, ფ. 6).

ამრიგად, როსტომ ბაგრატიონს სრული უფლება ჰქონდა ესარგებლა თავისი კანონიერი მამის – სიმონ ბაგრატის ძის თავადის ტიტულით. დღეს წოდებები აღარ რსებობს, მაგრამ რუსეთის ხელისუფლების მიერ განზრას დაშვებული შეცდომა უნდა გამოსწორდეს და თავადად ჩაითვალოს სიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონის ყველა ის შთამომავალი, რომელიც აზნაურად იყო მიჩნეული.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ხელმოწერა) რ. თოფჩიშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
უფროსი მეცნიერი (ხელმოწერა) ე. ბუბულაშვილი  
(ინსტიტუტის პეტედი).“

დასკვნა გამოქვეყნდა გაზეთში [„სამეფო გვირგვინი“, 2003 წლის 16-23 ღვინობისთვე-ოქტომბერი]. დავძინთ, რომ დასკვნის ორივე ავტორი უკვე დიდი ხანია, რაც პროფესორია (ბ-ნ ი. ბიჭიკაშვილს კი დღემდე დისერტაცია არ დაუცავს და სამეცნიერო ხარისხი არ გააჩნია). მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ 2002 წლის დასკვნაში აღნიშნულია: „როსტომი, როგორც ამას მარიამ დედოფალი ადასტურებს, კანონიერი ქორწინების შედეგად იყო შობილი (სსცსა, ფობდი 2, არწერა 1, საქმე 2232, ფ. 6)“. და ამის შემდეგ, 2016 წელს ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი „აღმოჩენას“ გვთავაზობს: „მკვლევართათვის აქამდე ცნობილი იყო, მხოლოდ როსტომის მამის – სიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონის უკანონოდ შობილება...“ [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები, თბ., 2016, გვ. 50]. ბ-ნმა ი. ბიჭიკაშვილმა იმერეთის ბაგრატიონთა დასახელებულ შტოს წინააღმდეგ უსამართლო ბრძოლა წამოიწყო და როსტომ ბაგრატიონი უკანონოდ შობილად გამოაცხადა. აი, მაშინ კი საჭიროდ ჩავთვალე პოლე-მიკაში ჩაბმა და მისთვის საკადრისი პასუხის გაცემა. ეს მე მევალებოდა კიდეც, რადგან ამ დროისთვის უკვე გაცილებით მეტ მასალას ვთლობდი, რომელიც ჩემს მონოგრაფიაზე [მანანა ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012] მუშაობის პროცესში მოვიძიე და შევისწავლე. დასაბუთებული პასუხი გავეცი ი. ბიჭიკაშვილს როსტომ ბაგრატიონის წარმომავლობასთან დაკავშირებულ ცილისწამებაზე (ვრცლად იხ. ჩემს წიგნში „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“, თბ., 2018, გვ. 23, 24). ასევე, ისტორიის ინსტიტუტის დასკვნაში დასახელებული დოკუმენტის გარდა, სადაც სიმონი ბატონის შვილად მოიხსენიება, წარმოვაჩინე კიდევ ორი დოკუმენტი, სადაც ანალოგიური წოდებაა დაფიქსირებული: „ბატონიშვილი სიმონის ძე როსტომ“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 55]. (იხ. სურათი №3) და „Царевича сыи Симона Ростом“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 56]. (იხ. სურათი №4). სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიტანე რიგი დოკუმენტებისა, რომლებსაც ი. ბიჭიკაშვილი საგულდაგულოდ მალავდა.

ძირითადად ამით ამოინურება ი. ბიჭიკაშვილის მიერ გაცემული პასუხები. ამასთან, ის თავისი კვლევის არაკეთილსინდისიერ მეთოდებს მე მომანერს: „სამწუხაროა, რომ ისტორიკოსი მანანა ხომერიკის ასეთ მოხერხებულ ფანდებზე, შესაძლოა წამოეგოს არაპროფესიონალ მკითხველთა დიდი ნაწილი, ამიტომ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ გვეძლევა იმის საშვალება, (სწორია „საშუალება“ – მ. ხ.) რათა გამოვაშკარავოთ მისი ცრუ დებულებები“ [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო), თბ., 2018, გვ. 77].

წერილში „პასუხი მანანა ხომერიკის წიგნზე „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“ ი. ბიჭიკაშვილმა უპასუხოდ დატოვა ჩემი არაერთი სერიოზული შენიშვნა. ყველა შენიშვნის გამეორება მართებულად არ მიმაჩნია: პასუხს გამცემი მაინც არ ჩანს, ხოლო მკითხველს შეუძლია

ჩემი ნაშრომის [მანანა ხომერიკი, „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ის-ტორიკოსის პირისპირ, „თბ., 2018] ელექტრონულ ვერსიას გაეცნოს. [<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/267091>].

მოვიყვან მხოლოდ ორიოდ მაგალითს იმის ნათელსაყოფად, რომ ბ-ნი ი. ბიჭიკაშვილი სამტროდ ამოჩემებული ბაგრატიონთა ოჯახის წევრებზე მხოლოდ მათი პატივისა და ლირსების შემლახავ დასკვნებს სთავაზობს მკითხველს, ხოლო ჩემს შენიშვნებს უპასუხოდ სტოვებს. ასე მაგალით-ად, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, როსტომ ბაგრატიონი, ავადმყოფობის გამო, 1829 წლის 25 სექტემბერს იქნა განთავისუფლებული სამხედრო სამსახურიდან, „მაგრამ მას ეკრძალებოდა საქართველოში ცხოვრება“ [სეა, ფონდი 2 აღნერა 2, საქმე 6414, ფ. 2]. ი. ბიჭიკაშვილი კი მალავს, რომ როსტომს აკრძალული ჰქონდა სამშობლოში დაბრუნება, ვინაიდან ის, როგორც ბაგრატიონი, რუსეთის მთავრობისთვის გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენდა. როსტომი სრულებით არ ყოფილა ისეთი უმნიშვნელო პიროვნება, როგორადაც მას ი. ბიჭიკაშვილი წარმოაჩენს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთისთვის როსტომ ბაგრატიონი არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენდა, რისთვისაც იმოწმებს თბილისის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტის ბროიკოს პატაკს რუსეთის იმპერიის სამხედო მინისტრთან, სადაც წერია: „...не имею ни малейшего повода к сомнению, чтобы возвращение его Багратиона в Имеретию могло иметь какое-либо влияние на Имеретинский народ“ [ი. ბიჭიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51]. თარგმანი: „...არ მაქვს მცირედი საბაბიც კი ეჭვისთვის, რომ მისი, ბაგრატიონის, იმერეთში დაბრუნებას შეუძლია რაიმე ზეგავლენა იქონიოს იმერელ ხალხზე“. განვმარტავ: ბროიკო თავის პატაკში ეყრდნობა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის 1841 წლის 2 მაისის პატაკს, რომელიც ი. ბიჭიკაშვილს არ მოჰყავს, ვინაიდან იმ დოკუმენტში გარკვევით არის დასახელებული მიზეზი, რის გამოც როსტომ ბაგრატიონის იმერეთში დაბრუნება რუსეთის მთავრობისათვის საშიში აღარ იყო, სახელდობრ: по известной преданности Имеретинского народа ко Всероссийскому престолу“. [სეა, ფონდი 2, აღნერა 1, საქმე 6858, ფ. 76]. თარგმანი: „იმერელი ხალხის სრულიად რუსეთის ტახტისადმი ცნობილი ერთგულებისა გამო“. იმერლები, რომლებმაც 1810 და 1819-1820 წლების აჯანყებაში გაღებული მსხვერპლის შემდეგ, რუსეთის იმპერიასთან ბრძოლა იძულებით შეწყვიტეს – რუსეთის ოფიციოზმა, 1840-იან წლებში, უკვე იმპერატორის ტახტისადმი ერთგულებად მიიჩნია.

ჩვენ უკვე გავეცანით რამდენიმე დოკუმენტს, რომელთა არსებობა ი. ბიჭიკაშვილმა დამალა, მაგრამ დამალული დოკუმენტების სია ამით არ ამოინურება.

ი. ბიჭიკაშვილი მიზანმიმართულად მალავს თავადებისა და აზნაურების მოწმობებს, რომლებიც ირაკლი ბაგრატიონის ნინაპრების თავადურ წარმომავლობას ადასტურებდნენ. 1853 წლის 31 იანვარს დაიწერა შემდეგი

მოწმობა: „მიეცა ესე ჩუენ ქვემორე ამისა ხელის მომწერელთ თავადთა და აზნაურთაგან შორაპნის უეზდის ჩხარის უჩასტკის სოფელსა ღვანკითს მცხოვრებს თავადს სიმონ როსტომის ძეს ბაგრატიონს მას შინა რომელ ვითარ მამა ხსენებულს სიმონ ბაგრატიონისა როსტომ, აგრეთვე ბაბუა მისი სვიმონ ბაგრატიონი დროსა იმერეთის მეფეთა ირიცხებოდნენ სათავადთა შორის. სარგებლობდნენ ყოვლის სიმართლით შეერთებულთა ამა ხარისხისათანა. ეგრეთვე შემდგომ განხსნისა რუსეთის მმართელობისა ითვლებოდნენ ამა წოდებაშიდ დასამტკიცებლად, რაისა ჩუენის საკუთარის ხელის ვაწერთ“ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 7].

**მოწმობას ხელს აწერს თავადაზნაურობის 23 წარმომადგენელი.** მათ შორის სამი მღვდელი: „აზნაური მღვდელი დავით ოქრიტიშვილი, მღვდელი აზნაურთაგანი ბესარიონ იშხნელი, მღვდელი აზნაური იესე შოთაძე“. ხელმოწერები დამოწმებულია შორაპნის მაზრის თავადაზნაურთა წინამდლოლის – თავადი წერეთელის მიერ. დოკუმენტში ნათქვამია, რომ იგივე დაადასტურა ორმოცდაათმა თავადმა და აზნაურმა, რომელთა ჩვენებები თავადაზნაურობის სამაზრო წინამდლოლის მიერ იყო დამოწმებული. რატომ სდუმს ამის შესახებ ი. ბიჭიკაშვილი? თუ თავადაზნაურობის 50 წარმომადგენლის აზრს არაფრად აგდებს? ის ასევე მალავს, რომ 1880 წლის 6 მარტს თავადაზნაურობის 12 წარმომადგენელმა დეპუტატთა საკრებულოს თანდასწრებით, ფიცის ქვეშ დაადასტურა აღნიშნული ოჯახის წევრების თავადური ღირსება [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 40] და ის ფაქტი, რომ ბაგრატ ბატონიშვილის ორი ვაჟის შთამომავლები ერთმანეთისგან თავადური ღირსებით არ განსხვავდებოდნენ [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. ფ. 22, 27]. გავეცნოთ „ფიცით აღთქმის“ ნიმუშს: „ფიცითი აღთქმა... მე ნამდვილ უწყი, რომ მაძიებელი თავადობის ღირსებისა და ეხლად დამტკიცებული უმაღლესად აზნაურობის ღირსებაშიდ სიმონ როსტომის ძე ბაგრატიონი წარმოებს ცარევიჩის ბაგრატ ბაგრატიონისაგან, მარადის მეფეთა დროშიდ და შემდგომ გახსნისა რუსეთის მთავრობისა იმერეთშიდ ვითარცა მას თანასწორ მამა ბაბუასა მისას უსარგებლია თავადობის ღირსებით და არა ვითარი განსხვავება მასსა და მონათესავეთა მისთა კნიასთა ივანე და თეომურაზ დავითის ძეთ ბაგრატიონთა თავადობის ღირსებაშიდ არა ყოფილა. სათავადო მამულსა ფლობდა ბოძებულთა მეფეებთაგან, მის მიერ წარმომადგენილი საქმეშიდ პირნი საბუთისა ეკუთვნოდა მას და არავითარსა ეჭვსა არა ექვემდებარების...“ საქმეში ჩაკერებულია რამდენიმე „ფიცით აღთქმა.“ ერთზე 1881 წელს, ხელს აწერს თავადი ნიკო ივანეს ძე აბაშიძე, 75 წლის [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 22]. მეორეზე – თავადი ალექსანდრე დიმიტრის ძე აბაშიძე, 50 წლის [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 22]. მესამე დოკუმენტი შედგენილია 1880 წელს. ხელს აწერენ აზნაურები საჩინო და დიმიტრი კურცხალიები, მელიტონ, დიმიტრი და ზურაბ წერეთლები [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 23]. მეოთხეს

ხელს აწერს აზნაური საჩინო დავითის ძე კურცხალია, 70 წლის [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 23]. მეხუთეს ხელს აწერენ აზნაურები: დიმიტრი გრიგოლის ძე კურცხალია, 65 წლის, ილია ივანეს ძე წერეთელი, 52 წლის, სიმონ ბესარიონის ძე წერეთელი, 45 წლის, ზურაბ გიორგის ძე წერეთელი, 70 წლის, მელიტონ ბესარიონის ძე წერეთელი, 40 წლის, დიმიტრი კაციას ძე წერეთელი, 55 წლის, ბერი იასონის ძე წერეთელი, 32 წლის, სანდორ ილიას ძე წერეთელი, 30 წლის, კაცია ლუარსაბის ძე კურცხალია, 50 წლის [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 27]. (იხ. სურ. №16, სურ. №17, სურ. №18). ხუთივე დოკუმენტს ერთვის მინაწერი: „ჩვენების ჩამორთმევას ესწრებოდა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამდლოლი“. ყველა „ფიცით აღთქმას“ ჩვენამდე არ მოუღწევია. ი. ბიჭიკაშვილმა ის ფაქტიც დაუმალა მკითხველს, რომ 1846 წლის 30 მარტის უზენაესი ბრძანებულების საფუძველზე კავკასიის მეფისნაცვლის მიერ ქუთაისში დაარსებული კომისიისთვის მიცემული ინსტრუქციის მე-17, 41-ე, 43-ე და 54-ე პუნქტების თანახმად, ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრების წოდება განხილვას არ ექვემდებარებოდა, რადგან მათი თავადური წარმომავლობა ისედაც ცხადი იყო: „Род Багратионов и роды лиц, соприсягавшихся с Царем Соломоном, разсмотрению не подлежат, так как первый происходит от Имеретинских Царей, а последние Высочайше утвержденным 23 Октября 1844 года положением Комитета по делам Закавказского края, признаны уже безусловно княжескими;“ [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 2129] (იხ. სურ. № 19). კერძოდ, ინსტრუქციის 43-ე პუნქტში ნათქვამი იყო, რომ კომისიამ არ უნდა იმსჯელოს იმ პირთა უფლებებზე, რომლებიც იმერეთში ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნიან, ხოლო გურიაში გურიელების საგვარეულოს [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ.ფ. 43]. აქედან გამომდინარე, კომისია უკანონოდ მოიქცა, როდესაც სვიმონის შთამომავლები აზნაურებად სცნო და არა თავადებად. ჩვენ უკვე დოკუმენტებზე დაყრდნობით, ვიცით, რომ ამ საქმეში ლომის წილი ივანე ბაგრატიონს მიუძღვის. სათავად-აზნაურო საკრებულომ მხოლოდ ივანე ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ მიაქცია ყურადღება ინსტრუქციის ამ პუნქტს და როსტომის თავადობა აღიარა.

ი. ბიჭიკაშვილმა დამალა უმნიშვნელოვანესი ფაქტი: ბოლოს თავად-აზნაურთა საკრებულომ დაადგინა, რომ როსტომ სიმონის ძე ბაგრატიონი ცნობილი ყოფილიყო თავადის ლირსებაში და ეს ოქმი საქმესთან და საგვარეულო ნუსხასთან ერთად გაგზავნილი ყოფილიყო სამთავრობო სენატში განსჯისათვის: „По Указу Его Императорского Величества Кутаисское Дворянское Депутатское собрание слушали дело о княжестве Ростома Симонова Багратиона“ „...инструкции Бывшей Кутаисской Дворянской Комиссии §43 в коем сказано роды Багратионов в имеретии и Гуриев в Гурии так как первыя происходя от имеретинских царей а последние от Гурийских владетелей и без того уже должны пользоваться правами княжеских

родов, поэту определило просителя из дворян титулярного советника Ростома Багратиони признать в княжеском достоинстве и протокол сей в месте с делом и родословною росписью представить на благоусмотрение правительствуещего Сената по Департамету Геральдии“ [ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ.ფ.43, 44] (იხ. სურ. №20 და სურ. №21).

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ როსტომმა სიცოცხლის ბოლოს მიაღწია თავისი კუთვნილი წოდების ცნობას, მაგრამ სწორედ ეს ფაქტი გახდა მისთვის საბედისწერო. ამ დადგენილების გამო, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. როსტომის თავადად ცნობას სასტიკად ენინააღმდეგებოდა გაზეთ „დროებაში“ აღწერილი მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილის ვაჟი, თავადი ნესტორ ხიდირბეგოვი, რომელიც უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ, მისი მამულისა და მცირენლოვანი ვაჟის, დავითის, მეურვე გახდა. როდესაც ნ. ხიდირბეგოვისთვის საკრებულოს გადაწყვეტილება გახდა ცნობილი, ის ძმებთან და თავის კაცებთან ერთად დაუხვდა ქუთაისიდან ღვანკითში მომავალ როსტომ ბაგრატიონს, რომელსაც მხოლოდ ორი მცველი მოაცილებდა – პორფირე გავაშელაშვილი და ალექსანდრე რობაქიძე. თავდამსხმელებმა მათ სასტიკად სცემეს, ხოლო ნაცემი როსტომ ბაგრატიონი საკირეში ჩააგდეს და მიმაღწენ, როგორც ეს როსტომის შვილიშვილის, ირაკლი გრიგოლის ძე ბაგრატიონის მონაყოლზე დაყრდნობით, ჩემს მონოგრაფიაში მაქვს აღწერილი [მანანა ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012, გვ. 363]. როსტომი საკირეში არ ჩამნვარა, მისი ამოყვანა მოასწრეს, მაგრამ მიღებული დამწვრობის შედეგად, დაავადმყოფდა და 1898 წლის 25 სექტემბერს, 53 წლის ასაკში გარდაიცვალა, მისი თავადობის საქმეს კი გაგრძელება აღარ ჰქონია.

ი. ბიჭიკაშვილისთვის როსტომ ბაგრატიონის (უმცროსის) გარდაცვალების თარიღიც უცნობია. მიუხედავად ასეთი ზერე ცოდნისა, ის თავს უფლებას აძლევს ყოველმხრივ დაამციროს ბაგრატიონთა აღნიშნული ოჯახის წარმომადგენლები. თავისთავად ცხადია, ი. ბიჭიკაშვილი არც იმ ფაქტს ახსენებს, რომ 1937 წლს დახვრიტეს როსტომ ბაგრატიონის შვილი – გრიგოლი, რომელიც პნი ირაკლი დავითის ძე ბაგრატიონის დიდი ბაბუაა.

ვაქევყნებ როსტომ ბაგრატიონი (უმცროსის) ფოტოს (იხ. სურ. №23).

ი. ბიჭიკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ იცნობს ჩემს ნაშრომს „იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“ (რაც იმით მტკიცდება, რომ უსამართლოდ მედავება ჩემს წიგნში დამოწმებული ერთი დოკუმენტის თარგმანის გამო – სიტყვა „уроженец“ მცხოვრებს ნიშნავს), ბაგრატიონთა იმერული შტოს წარმომადგენლების შესახებ არსებული ლიტერატურის ნუსხაში არ მიუთითებს. შესაბამისად, ის მისთვის ცნობილ ინფორმაციას არ ავსებს ჩემს ხსენებულ ნაშრომში

მოცემული ახალი მონაცემებით და მკითხველს ისევ მოძველებულ ცნობებს სთავაზობს. აი, რამდენიმე მაგალითი:

ი. ბიჭიკაშვილი: „124/13. მარიამ (მაია) დავითის ასული (1812-1839 შემდეგ). იოანე ანტონის ძე ერისთავი (რაჭის) (1812-1858)“. სინამდვილეში: ი. ბიჭიკაშვილმა უკვალიოდ გააქრო მაია ბაგრატიონის პირველი ქმარი, ლევან გიორგის ძე დადიანი, რომელიც იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებაში დაიღუპა. მისი არსებობა მკვლევრებისთვის უცნობი იყო, ვიდრე მე არ მოვიძიე უტყუარი მასალა.

ი. ბიჭიკაშვილი: „39/19. ვახტანგ როსტომის ძე (? -1845 შემდეგ)“. სინამდვილეში: ვახტანგი 1850 წელს, ტრაპიზონის ახლოს მდებარე ქ. პლატანაში გარდაიცვალა.

ი. ბიჭიკაშვილი: „36/19. ტარიელ (ჰაიდარ-ბეგ) როსტომის ძე (?-1843)“ სინამდვილეში: ტარიელი 1840 წელს, თურქეთში გარდაიცვალა. ჰქონდა სერასკირის ანუ გენერლის ჩინი.

ი. ბიჭიკაშვილი: „3/2. სიმონ როსტომის ძე (1812-?)“. სინამდვილეში: სიმონი 1853 წელს გარდაიცვალა.

ი. ბიჭიკაშვილი: „9/3. როსტომ სიმონის ძე (21. 02. 1845-?)“. სინამდვილეში: როსტომი 1898 წლის 25 სექტემბერს გარდაიცვალა.

ი. ბიჭიკაშვილი: „14/9. პეპო როსტომის ასული“. სინამდვილეში: პელაგია 1878 წელს დაიბადა.


ი. ბიჭიკაშვილი: „17/9. გრიგოლ როსტომის ძე (1885-1937)“ სინამდვილეში: გრიგოლი დაიბადა 1892 წელს.

ი. ბიჭიკაშვილი: „18/9. აგრაფენა როსტომის ასული (? 1990)“. სინამდვილეში: აგრაფენა (Αγριπίνα) 1894 წელს დაიბადა.

ი. ბიჭიკაშვილი: „6/2. ეფროსინა (პახუა) როსტომის ასული (1818-?)“. „7/2. ანასტასია როსტომის ასული (1820-?)“ სინამდვილეში: ი. ბიჭიკაშვილი ორად ხლეჩს და ორ დამოუკიდებელ პიროვნებად წარმოაჩენს ერთ პიროვნებას, რომელსაც ორი სახელი ერქვა და 1898 წელს გარდაიცვალა. თუ ი. ბიჭიკაშვილს დავუჯერებ, ერთი ბაგრატიონი ბებიის ნაცვლად, ორი ბაგრატიონი ბებია მყოლია!

ნიშანდობლივია ისიც, რომ ი. ბიჭიკაშვილმა საჭიროდ არ ჩათვალა ტაბულაში მიეთითებინა ირაკლი დავითის ძის პაპის, ირაკლი გრიგოლის ძის გარდაცვალების წელი და მხოლოდ დაბადების წელი მიუთითა: „29/17. ირაკლი გრიგოლის ძე (დ. 6. 04. 1925).“ მან თავი არ შეიწუხა და 2016 წლის ბოლოს დასტამბულ წიგნში, 2013 წლის 20 იანვარს გარდაცვლილი პიროვნება, ფაქტობრივად, ცოცხლად გამოაცხადა.

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმული ნათლად მიუთითებს ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის არაკეთილსინდისიერებასა და არაკომპეტენტურობაზე, რასაც ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი და მისი დაჯგუფების ბაგრატიონები აღტაცებაში მოჰყავს.



სურ. №16. ნიმუში „ფიციო ალთქმის“, რომლითაც თავად-აზნაურობის წარმომადგენლები იფიციებენ, რომ „თავადობის ღირსებაშიდ“ ბაგრატ ბატონიშვილის შვილების შთამომავლებს შორის „არა ვითარი განსხვავება“ არ ყოფილა [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 20].

თბილისი მუზეუმ  
 საქართველოს მთავრობის  
 მინისტრის მიერ  
 ა მდგრადი მდგრადი  
 მდგრადი მდგრადი  
 კინ თავისი  
 უწყისი ვიზუალ  
 მართვა ჯავახი  
კურ უჩხარას  
აკურან უჩხარას,  
ა მა კიდე კიდე  
ხვილა ჭირ აკა.  
ნიდები გარე გარე  
კური აკურან  
უჩხარას ის  
კურ უაკურან  
უაკურან აკურან  
კურ ა კურ ა  
კური ა კურ ა  
კურ ა კურ ა

სურ. №17. ნიმუში „ფიცით ალთქმის“, რომლითაც თავად-აზნაურობის წარმომადგენლები იფიცებენ, რომ „თავადობის ღირსებაშიდ“ ბაგრატ ბატონიშვილის შეილების შთამომავლებს შორის „არა ვითარი განსხვავება“ არ ყოფილა (გაგრძელება) [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237].

სურ. №18. ნიმუში „ფიცით აღთქმის“, რომლითაც თავად-აზნაურობის წარმომადგენლები იყიდებენ, რომ „თავადობის ლირსებაშიდ“ ბაგრატ ბატონიშვილის შვილების შთამომავლებს შორის „არა ვითარი განსხვავება“ არ ყოფილა (გაგრძელება) [ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237].

Комиссии исследования № 17, 43, 43 и 54, под пред-  
седательством Григория Петровича Борисова,  
расмотревшими записки,  
также как и переписку о признании отца Импера-  
торши Царей, а постановив Всероссийское  
учрежденное 23 Октября 1844 года почине-  
никою Комитета по делам Землемеров  
храма, приславшего Благодарственное Комиссии  
письмо, что для признания других родов и своих  
достижений государственного учреждения  
бывшего императорского Дворянского Чиновника Комиссии  
что оное до введенія въ Имперіи Рос-  
сійской Правительственной столицы въ годах  
Масадова, а некоторые из доказательств  
имеющие пригадываемости имею и признаю  
пому Комиссии одному члену единого  
своих отцов о том что он Член Ри-  
гской и член въ Санкт-Петербургском отделе  
он Представление и просьба о Масадовых  
родах и имянах, Всероссийское учреждение  
Комиссии приняла определение Купчих  
ской Комиссии правительственной, когда утвер-  
дование о Комиссии достижений пока  
записки о члене Комиссии Российской Дворянской  
Чиновнице, анука из Николая и Анны  
и Тимофея и Анны Мартынов, такъ какъ из

Засвидетельствовано

სურ. №19. სათავად-აზნაურო კომისიის ინსტრუქციის ფრაგმენტი, რომელშიც ნათქვამია,  
რომ იმერეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრები, განხილვის გარეშე უნდა ყოფილი-  
ყველა თავადებად აღიარებული [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 2129].

44 44 45 44.

Чтатано посет байра  
міоніцах ще не відомі  
у Угричівському  
маві такі незвичні  
привади що вони  
рекомендують їх  
а носити їх і  
ам Угричівські  
білоруські від  
мено звуть демонами  
надобається привід  
чи білоруські  
~~підвал~~ ~~підвал~~  
но відмінної обстеж  
відсюда привід  
між ~~фасадами~~  
загородами ~~малої~~  
якою склою  
між фасадами  
Сесіональна  
Білоруська  
справа № 62

სურ. №20. თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს სხდომის ოქმის ფრაგმენტი [ქუთაი-სის გენტრალური არქივი, ფონდი 1, აღნიშვნა 1, საქმე 237, ფ. 44].

Кончекомъ засланъ  
должъ упротивъ  
еси винамъ  
съмъ съмъ аѣда  
съмъ росмъ  
представъ и мѣ  
на дѣлъ въ усамъ  
піоніе рѣзанъ  
мѣдъ съ бѣзъзъ  
Съмъ не денъ  
мѣдъ зъмъ Тѣло  
и съмъ -

სურ. №21. თავადა-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს სხდომის ოქმის ფრაგმენტი, რომელიც ჩანს, რომ როსტომ ბაგრატიონი თავადად სცნეს, რასაც ი. ბიჭიკაშვილი მაღავდა (გაგრძელება) [ქუთაისის კუნტრალური არქივი, ფონდი 1, ალნერა 1, საქმე 237, ფ. 44ა].



სურ. №23. როსტომ ბაგრატიონი (უმცროსი) (1845-1898).

**P.S.** იმ მიზნით, რომ ისტორიას შემოვუნახოთ პატიოსანი ადამიანების სახელები, რომლებმაც 1853 წლის 31 იანვარს ხელი მოაწერეს მოწმობას და როსტომ ბაგრატიონის თავადობა აღიარეს, ვაქევენებ ხელმომწერთა ერთი ნაწილის სის:

„ტიტულარნის სოვეტნიკი სიმონ აბაშიძე  
კინაზი ნიკო წულუკიძე  
კინაზი ვახტანგ წულუკიძე  
კინაზი ზურაბ აბაშიძე  
აზნაური მღვდელი დავით ოქრიტიშვილი  
მღვდელი აზნაურთაგანი ბესარიონ იშხნელი  
მღვდელი აზნაური იესე შოთაძე  
აზნაური ბეჟან კახიძე  
აზნაური გიორგი ჩინჩალაძე, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ გოგია ახახრაძე (ალბათ, ახრახაძე – მ. ხ.)  
აზნაური როსტომ ჩინჩალაძე  
აზნაური ნიკოლოზ ბექას ძე მაჭავარიანი, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ აზნაური მერაბ ლეჟავა  
აზნაური ბეჟან ლლონტი, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ ლეჟავა აზნაური  
აზნაური თეიმურაზ საყვარელიძე  
აზნაური მერაბ საყვარელიძე  
აზნაური სიმონ დიგანი, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ ძე მისი ნარიმან დიგანი  
აზნაური ელისე იშხნელი, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ ძე მისი პრაპორჩიკი ივანე იშხნელი  
სიმონ ჯანელიძე  
გიორგი ქავთარაძე, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ აზნაური დიმიტრი ელაკაძე  
აზნაური ლევან საყვარელიძე, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ ძე მისი ბერი საყვარელიძე  
აზნაური როსტომ ჭაჭიაშვილი, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ აზნაური იოსებ ჭაჭიაშვილი  
აზნაური ლევან აბაშიძე, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ აზნაური სიკო აბაშიძე  
აზნაური დავით აბაშიძე, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერ ძე მისი შმაგი“ [ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 237, ფ. 7].

222

347

6

Sept 10



Dans ce sens

სურ. №1. როსტომ ბაგრატიონის თავადური წარმომავლობის მოწმობის ნიმუში, ხელმოწერილი იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენელთა შიერ [ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღნიშვნა 1, საქმე 237, ფ.6].

3-67c weight 157.2 g. Nominales legato brachialis  
3-67d 67.2 g. cedimbasanum nascens possum  
cavus elongatus embolus lat.  
epo. 31 quis 1553 reddo  
oppositum longum lat. rotund  
gaster long. niger  
gaster pubes 67.53  
gaster 47.3 32.63  
26.4 25.22m 13-8 effusor  
25.22m 22.4 possum latius rotund  
25.22m 22.4 13.903  
26.4 25.22 53.3  
26.4-22.4 26.83 13.903  
26.4-22.4 25.22 13.903  
26.4 25.22 53.3  
26.4 25.22 13.903  
26.4 25.22 13.903  
26.4 25.22 13.903

სურ. №2. როსტომ ბაგრატიონის თავადური წარმომავლობის მოწმობის ნიმუში, ხელმოწერილი იმერეთის თავადუზნაურობის წარმომადგენლობა მიერ (გაგრძელება) [ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღნერა 1, საქმე 237, ფ. 6ა ].

სურ. №3. როსტომ ბაგრატიონის თავადური წარმომავლობის მოწმობის ნიმუში, ხელმოწერილი იმერეთის თავადზნაურობის წარმომადგენლობა მიერ (გაგრძელება) [ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღნერა 1, საქმე 237, ფ.7].

19

Aug 20 1972.

სურ. №4. ფიციოთი აღთქმის ნიმუში [ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, სამუშაო 237, ფ. 19].

## 306 მუნიციპალიტეტის გამორჩევის – ლავრენტი ბერია თუ მაქსიმ გორგაძე

(გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2016, 14 მაისი)

ესპანეთში მცხოვრები ირაკლი ბაგრატიონის ოჯახის შესახებ სენსაციური წერილი გამოქვეყნა ფილმის, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა რუსი ემიგრანტის, ანასტასი ვონსატსკის ორი წერილიდან ამოკრებილ ინფორმაციის: ოჯახის მამა – გიორგი ბაგრატიონი 1957 წელს გარდაიცვალა. გარდაცვლილის მამა ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკის მეთაური იყო. მან სახლიდან გამოაგდო საკუთარი ვაჟი, რომელმაც მამის სურვილის საწინააღმდეგოდ ცოლად შეირთო ელენე ზლოტნიცკაია, ვლადიკავკაზის რკინიგზის რევიზორის ქალიშვილი. აქედან იწყება ტყუილების მთელი ციკლი. სინამდვილეში ელენეს მამა სიგიზმუნდ ზლოტნიცკი რკინიგზის რევიზორი კი არა, მომრიგებელი მოსამართლე იყო. ცოლად ჰყავდა დიდებული თავადის, 1832 წლის შეთქმულების ცნობილი მონაწილის, ელიზბარ ერისთავის ასული მაიკო, იგივე მარიამ ერისთავი, რომელიც როგორც მამის, ისე დედის მხრიდან მეფე ერეკელეს შთამომავალი იყო. ვონსატსკი მოგვითხრობს, რომ მამისეული სახლიდან გამოგდებული გიორგი პატერბურგიდან „კავკასიაში“ ყოველგვარ საარსებო საშუალებას მოკლებული გაემგზავრა, მაგრამ საბედნიეროდ იმ დროს კავკასიაში გარდაიცვალა მისი დეიდა, თუ მამიდა, შერვაშიძე და მემკვიდრეობა დაუტოვა მას. არავითარი დეიდა შერვაშიძე ბაგრატიონების ამ ოჯახს არ ჰყოლია! გიორგი ბაგრატიონს და ელენეს შემდგომში ეყოლათ შეილები: ირაკლი, მარიამი და ლეონიდა. გიორგი ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სამაზრო წინამდლოლი იყო. ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაკავების შემდეგ, მუხრანელები უცხოეთში გაემგზავრნენ. ვონსატსკის თქმით, გიორგი ცოლთან, ირაკლისთან და ლეონიდასთან ერთად ჩავიდა კონსტანტინოპოლიში, ანუ მარიამი, ვითომდა, თან არ წაუყვანიათ. ოჯახი მდიდრულად ცხოვრობდათ, რაც ავტორის აზრით, წითლებთან კავშირზე მიანიშნებს. მარიამი (1910-1992) 11 წლის იყო. ვონსატსკის აბსურდული მტკიცებით, ის 1921 წელს იმიტომ დარჩა, რომ ბერიაზე გათხოვდა! მდიდრული ცხოვრების თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ გამგზავრებამდე ბაგრატიონებმა გაყიდეს ვეებერთელა ზურმუხტი და საგვარეულო სამკაული – ლალებით და ზურმუხტებით გაწყობილი ყელსაბამი, რომელიც მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მუზეუმისთვის შეიძინა. ვონსატსკიმ ისიც არ იცის, რომ ოჯახი სტამბოლში დიდ ხანს არ გაჩერებულა და ბერლინში გაემგზავრა. 11 წლის მარიამს ბერლინში ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი სამუდამოდ დაამახსოვრდა. პირველი იყო შეხვედრა თავისი ოჯახის ძველ მეგობართან, დაღესტნელ მხატვარ პალილ-ბეგ მუსაევთან (მუსაიასულთან), რომელიც მიუნხენიდან ბერლინში ჩავიდა ბაგრატიონების ოჯახის სანახავად და ფოტოც გადაიღო მარიამთან ერთად (იხ. სურ. №1). (მის მიერ შესრულებული

ირაკლი ბაგრატიონის პორტრეტი ქ-ნმა მარიამმა მე მიანდერძა, მე კი 1995 წელს ხელოვნების მუზეუმს გადავეცი საჩუქრად). ბერლინში მარიამი თვით-მხილველი გამხდარა, თუ როგორ მორბოდნენ ქუჩაში რუსი ემიგრანტები და ყვიროდნენ: „ნაბოკოვი მოკლეს!“ ცნობილია, რომ მნერალ ვლადიმერ ნაბოკოვის მამა, ბერლინის ფილარმონიის შენობაში, სწორედ 1922 წელს მოკლეს. ბაგრატიონებმა ბერლინშივე გაიცნეს მაქსიმ გორკი, რომელიც იმ-დენად მოიხიბლა ელენე ზლოტნიცკაია-ბაგრატიონის სილამაზით, რომ მთე-ლი ცხოვრება მფარველობდა ამ ოჯახს. 1922 წელს დაეხმარა მათ საქართ-ველოში დაბრუნებაში, ხოლო 1926 წელს ირაკლი ბაგრატიონის საფრანგეთში გამგზავრებაში. ვონსატსკი გორკის საერთოდ არ ახსენებს და ოჯახის მფარველის როლში ბერია გამოჰყავს. ის მოგვითხრობს, რომ 1922 წლის ბოლოს გიორგი ისევე ადვილად ჩამოვიდა საქართველოში, როგორც ერთი წლის წინ წავიდა, მისი ოჯახი კი კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. ჩქარა გიორგიმ, ვითომდა, მეორედ დატოვა საქა-რთველო და თავის იჯახს შეუერთდა საფრანგეთში. ქართველების (დაკონკ-რეტებული არ არის) მონაყოლის მიხედვით, გიორგი 1927 წელს კიდევ ერთხ-ელ დაბრუნდა საბჭოთა კავშირში, რათა ენახა თავისი უფროსი ქალიშვილი მარია, რომელიც მოარული ხმების თანახმად, ბერიას გაჲყვა ცოლად და საქართველოში ცხოვრობდა თავის საკუთარ სახლში, ბოლშევიკებმა თავა-ზიანად რომ დაუბრუნეს გიორგი ბაგრატიონს. სინამდვილეში, გიორგის სახ-ლი კი არ დაუბრუნეს, არამედ 1928 წელს ჩამოართვეს. (მჭადიჯვრის მამუ-ლი კი ოჯახს 1919 წლის 10 ავისტოს ჩამოერთვა). ვონსატსკი მოგვითხრობს, რომ 1934 წელს გიორგი საფრანგეთში დაბრუნდა. სინამდვილეში კი გიორგი ბაგრატიონი 1930 წელს 2 წლის ვადით დააპატიმრეს. ოჯახი რეალური სა-ფრთხის წინაშე დადგა და უცხოეთში წასვლა გადაწყვიტა. მფარველად კვლავ მაქსიმ გორკი მოევლინათ. ის დაპირდა მათ, რომ როგორც კი გიორ-გი ბაგრატიონი ციხიდან გამოვიდოდა, მასაც დაეხმარებოდა გამგზავრება-ში. მარიამს გამგზავრება არ უნდოდა, რადგან შეყვარებული ჰყავდა, რომე-ლიც 3 წლით იყო დაპატიმრებული. დედამ იმ პირობით დაიყოლია გამგზავრებაზე, რომ ჯერ საფრანგეთში ესწავლა და 3 წლის შემდეგ, თუ მოისურვებდა, დაბრუნებულიყო. ეს იყო 1931 წელს. მაქსიმ გორკიმ პირობა შეასრულა. ორი წლი შემდეგ გიორგი ბაგრატიონსაც დაეხმარა საფრანგეთ-ში გამგზავრებაში. ა. ვონსატსკი მოგვითხრობს, რომ ლეონიდა ბაგრატიონმა მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ მოდურ სამოდელო სახლში. ლეონიდამ კი არა, მარიამმა დაიწყო მუშაობა. სამოდელო სახლი მას თავისი კოლექციით ამარ-აგებდა და რეკლამის მიზნით, პრესტიულ კურორტებზე უშვებდა დას-ასვენებლად, რაც მუშაობაში ეთვლებოდა. ლეონიდას შესახებ ავტორი მოგვითხრობს, რომ მან თავის მეგობარ რაშევსკაიასთან მოახერხა ამერიკე-ლი ქვრივი მილიონერის, კირბის, მოხიბლვა და ცოლად გაყოლა. კირბი ლეონიდამ მეგობართან კი არა, თავის საკუთარ ოჯახში გაიცნო. ის ირაკ-ლის მეგობარი იყო და ძალიან უნდოდა მის რომელიმე დაზე დაქორწინება.

უფრო მარიამზე ფიქრობდა. მარიამმა კი ერთხელ, როდესაც ლეონიდა (იხ. სურ. №2) და კირბი საუბრობდნენ, ხატი გამოიტანა და დალოცა ისინი. ასე შედგა მათი ნიშნობა. კირბის პირველ ცოლთან ზრდასრული ქალიშვილი ჰყავდა, გლორია. ლეონიდასთანაც ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც ბების სახელი, ელენე დაარქვეს. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ კირბის გერმანიაში მოუსწრო, ის დაპატიმრეს და ბანაკში ჩასვეს. ა. ვონსატსკი ირნმუნება, რომ 1950 წელს ერთი „რუსი“ კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით მისულა ამერიკის საელჩოში მაღრიდში. ამერიკის კონსულს მასთან უჭორავია, ვითომდა, კირბი ნაცისტებმა ირაკლის დასმენით დაპატიმრეს. კირბი, ვითომდა, ამერიკის მთავრობის მოთხოვნით იქნა გათავისუფლებული ბანაკიდან, რის შემდეგ, მალევე გარდაიცვალა. საინტერესოა, რომ წინამდებარე პუბლიკაციის ავტორი ფიოდორ ბარმინი იძულებულია დაურთოს შენიშვნა: „ბ-ნ ვონსატსკის ეშლება, კირბი 1945 წელს გადრაიცვალა გერმანულ ბანაკში, გამოფიტვისაგან“. აქედან ცხადია, რომ ა. ვონსატსკის მონათხრობი ამერიკის მთავრობასთან და კონსულთან დაკავშირებით – მისი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია. გარდა ამისა, მე პირადად ვიცნობდი კირბის ქალიშვილს – გლორიას (იხ. სურ №3). ესპანეთში ყოფნისას მან მიამზო, რომ ყველაფერი გაყიდა ამერიკაში და ესპანეთში დასახლდა, რათა თავის ყოფილ დედინაცვალთან, ლეონიდასთან ახლოს ყოფილიყო, ვინაიდან მის ოჯახს საკუთარ ოჯახად თვლიდა და დიდ მზრუნველობას გრძნობდა მისი მხრიდან (რაც მე ჩემს თავზეც მაქვს გამოცდილი). ცხადია, მამამისი ამ ოჯახის დაღუპული რომ ყოფილიყო, ქ-ნი გლორია მათ შესახებ ასეთი სიყვარულით არ ისაუბრებდა. ა. ვონსატსკი ირნმუნება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ერთ-ერთმა რუსმა იცის, თუ რას საქმიანობდა ერთ დროს ირაკლი ბაგრატიონი კაიროში. არ ვიცით, ვინ არის ეს რუსი, მე კი ამ პერიოდის შესახებ ალპანეთის ყოფილი დედოფალი ჯერალდინი მესაუბრა (იხ. სურ №4), რომლისგანაც ინტერვიუ ჩავიწერე და გამოვაქვეყნე. ექს-დედოფალი აღტაცებით ყვებოდა ირაკლი ბაგრატიონზე, რომელიც მეუღლემ კაიროში ყოფნისას გააცნო [მანანა ხომერიკი, „წერილები“, თბ., 2006, გვ. 184]. ა. ვონსატსკი ლეონიდას უბრუნდება და ჰყვება, რომ ესპანეთში დასახლდა თავადი ვლადიმირ კირილის ძე რომანოვი (იხ. სურ. №5). იგულისხმება რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაური, დიდი მთავარი, რომლის მამაც ნიკოლოზ მეორის ბიძაშვილი იყო. ვონსატსკი წუხს, ეს გამოუცდელი ახალგაზრდა ლეონიდა ბაგრატიონმა კარგად დაგებულ მახეში გააბაო. 1948 წელს ვლადიმერმა და ლეონიდამ ლოზანაში დაიწერეს ჯვარი. ლეონიდა, თითქოსდა, ქმარზე უფროსი იყო 8 წლით. ფიოდორ ბარმინი აქაც იძულებულია შესწორება შეიტანოს: „სამი წლით“. ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ ვონსატსკი ან ჩახედული არ არის რომანოვების ოჯახის ცხოვრებაში, ან განზრახ ამახინჯებს ფაქტებს. ავტორი მოგვითხრობს: 1951 წელს თავადის და, მარია კირილის ასული, ლეიინინგდენის ჰერცოგინია, სრულიად ჯანმრთელი ჩავიდა ძმის სანახავად, მაგრამ გაურკვეველ ვითარებაში გარდა-

იცვალა. მინიშნება კეთდება იმაზე, რომ მის სიკვდილში ლეონიდას ხელი ერია. რატომ უნდა ჩაედინა მთავრინას ეს მკვლელობა? ჰერცოგინიას ხომ თავისი ოჯახის წევრები ჰყავდა და მისი მემკვიდრეობიდან ლეონიდას არაფერი ერგებოდა. ისმის მეორე კითხვაც: ვონსატსკის გარდა ვერავინ ვერაფერს მიხვდა? მე პირადად ვიცნობდი ჰერცოგინიას დისპვილს, გერმანიის საიმპერიატორო სახლის მეთაურის, ლუი ფერდინანდ პრუსიელის ქალიშვილს, კირა პოპენცოლერნს. 1969 წელს ის თავის საქმროსთან ერთად ეწვია თბილისში მარიამ ბაგრატიონს (იხ. სურ №6), ერთად ვიყავით ხელოვნების მუზეუმში, სადაც ისინი განსაკუთრებით ხახულის ხატით მოიხიბლნენ. კირა პოპენცოლერნი ელენე ბაგრატიონის თხოვნით, მჭადიჯვარში გაემგზავრა, რათა ფირზე აღებეჭდა ბაგრატიონების ყოფილი მამული. კირამ ისკვი მითხრა, რომ ირაკლი ბაგრატიონი მისი საუკეთესო მეგობარი იყო. მარიამ ბაგრატიონის შესახებ ვონსატსკი წერს, თითქოს ის საბჭოთა კავშირში დარჩა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მარიამი 1931 წელს გაემგზავრა საფრანგეთში. ის ნიცასა და პარიზში ეუფლებოდა სამხატვრო ოსტატობას. 3 წლის შემდეგ, თავისი შეყვარებულის ციხიდან გამოსვლის დროისთვის, მან დაბრუნება გადაწყვიტა. მისმა მეგობარმა, მხატვარმა ვანო ენუქიძემ წერილი გამოატანა თავის ბიძასთან, აბელ ენუქიძესთან, რომელსაც სსრკ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის თანამდებობა ეკავა. ვანო ბიძას სწერდა, ვითომდა, მარიამი მისი საცოლე იყო და სთხოვდა ბინით მის უზრუნველყოფას. აბელმა ეს დაიჯერა და მარიამს მოსკოვში გამოუყო ბინა. აბელი იმ დროს თეატრების ხელმძღვანელობის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე იყო, ამიტომ იმ სახლში ძირითადად მასთან დაახლოებული ბალერინები ცხოვრობდნენ. ერთხელ, როდესაც მარიამი სახლში მიდიოდა, დაინახა, რომ ბალერინები შეშინებულები გამორბოდნენ. თურმე, ენუქიძე დაუპატიმრებიათ. შემდეგ ის დახვრიტეს. მარიამმაც თავს უშველა და თბილისში ჩამოვიდა. ბაგრატიონების ყოფილ სახლში, გადატიხრული ოთახის ერთ ნაწილში ცხოვრობდა მარიამის უახლოესი ნათესავი, ნინა ჯორჯაძე, რომელმაც ის შეიკედლა. 1948 წელს მარიამ ბაგრატიონი დააპატიმრეს და 8 წლით მაგოდანში გადასახლეს. მიზეზი ის გახდა, რომ მისი და, ლეონიდა, ცოლად გაჰყვა დიდ მთავარ ვლადიმირ რომანოვს. მარიამის დაპატიმრების ფაქტიც გამორჩა ყოვლისმცოდნე ვონსატსკის. მარიამის მეუღლეს, ცნობილ თეატრალურ მხატვარ სოლიკ ვირსალაძეს მიჰენდა ხოლმე გარკვეული თანხა ნინა ჯორჯაძესთან, რომელიც ამ ფულს მაგოდანში გზავნიდა. შემორჩენილია მისი ჩანაწერების ნაწილი (იხ გვ. 78). ა. ვონსატსკის პუბლიკაციიდან ვიგებთ, რომ 1953 წლის 17 ივნისს, ბერიას ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, იტალიურ გაზეთში „კორერა დე ლა სერა“ გამოქვეყნებულა ვრცელი სტატია პეტრო კვარონის ავტორობით, რომელიც იტალიის კონსული იყო თბილისში 1926 წელს და პირადად იცნობდა ბერიას. ის მარიამ ბაგრატიონს ბერიას ცოლობას აბრალებს. წერილის ბოლოს იყო ასეთი ფრაზა: „... ბერიას ცოლი – ქართველია, რუსეთის ტახტის ამჟამინდელი პრე-

ტენდენტის ცოლის და. საინტერესოა, იმის გამორკვევა, ფიგურირებს თუ არა ეს ფაქტი ბერიასადმი წაყენებული ბრალდებებს შორის.“ ამ წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, პეტრო კვარონიმ, რომელსაც იმ დროს საფრანგეთში იტალიის ელჩის თანამდებობა ეკავა, მიიღო ირაკლი ბაგრატიონის წერილი, სადაც განცხადებული იყო, რომ მის დას არასოდეს დაუწერია ჯვარი ბერიაზე. ა. ვონსატსკი ფიქრობს, რომ შესაძლებელია, ბერიასნაირ კომუნისტს არ დაეწერა ჯვარი ეკლესიაში, რაც საბჭოთა კავშირში სავალდებულო არ იყო. მისთვის „ფაქტი ფაქტად რჩება“, რადგან ენდობა სინიორ კვარონის, რომელიც ამტკიცებდა: მარია ბაგრატიონი ირაკლისა და ლეონიდას და იყო ლავრენტი ბერიას ცოლი (ჯვარდაწერილი თუ ჯვარდაუწერელი, ეს სულერთია). მარიამ ბაგრატიონის მამამ, გიორგი ბაგრატიონმაც მიმართა შეკითხვით კვარონის, რომელმაც უპასუხა, რომ მისი ქალიშვილის კავშირი ბერიასთან მისთვის ცნობილი იყო ყველაზე საიმედო წყაროებიდან. მივაქციოთ ყურადღება, რომ თავად მას ისინი ერთად არ უნახავს. ვიღაცამ მიაწოდა ეს ცნობა, როგორც ჩანს, გარკვეული მიზნით. იმავე წელს ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ბიულეტენში №179 გამოქვეყნდა ვრცელი წერილი ბერიაზე, სადაც მითითებული იყო, რომ მისი ცოლი რუსეთის ტახტის პრეტენდენტის ლვიძლი დაა. ანუ, მარიამი ვლადიმირ რომანოვის ლვიძლი და ყოფილა! პუბლიკაციაში მოყვანილ „რუსეთის სპეცნაზის“ კომინტარებში აღნიშნულია, რომ „კვარონი მხოლოდ იმას აღწერს, რისი მოწმეც იყო თბილისში იტალიის გენერალურ კონსულად ყოფნის დროს. მან თავის მაშინდელ პირად დაკვირვებებზე დაყრდნობით, გააკეთა მცდარი დასკვნა მარია ბაგრატიონ-მუხრანსკაიას შესახებ, რომელთანაც, როგორც ჩანს 1920-იან წლებში ბერია ცხოვრობდა და რომელიც შემდეგშიც მის ცოლად რჩებოდა“. ჩვენი მხრივ აღვინიშნავთ, რომ კვარონი პირად დაკვირვებებზე დაყრდნობით კი არ აკეთებს დასკვნას, არამედ მას ეს ცრუ ინფორმაცია დეზინფორმატორებმა მიაწოდეს. გაკვირვებას იწვევს სპეცნაზის არაკომპეტენტურობა. ისინი წერენ: „ჩვენ გვაინტერესებს მუხრანსკების ბერიასთან კავშირის თავად ფაქტი. მხოლოდ ამ კავშირის არსებობით შეიძლება აიხსნას მუხრანსკების თავისუფალი მიმოსვლა საბჭოთა საქართველოდან დასავლეთით და პირიქით. და არა ერთხელ.“ როგორც უკვე ვთქვით, ბაგრატიონების ოჯახი პირველად 1921 წელს გაემგზავრა უცხოეთში. გამოდის, რომ 1921 წელს ბერიას 11 წლის მარიამი შეურთავს ცოლად! მთელი ეს ჭორები 1953 წელს აგორდა, მაშინ როდესაც მარიამ ბაგრატიონი გადასახლებაში იტანჯებოდა და ამის შესახებ არაფერი თქმულა! ამაზე მეტი ცინიზმი წარმოუდგენელია! მუხრანსკების შედარებით თავისუფალი მიმოსვლის ფაქტი მაქსიმ გორკისთან სიახლოვით აიხსნება. ბაგრატიონები მთელი სიცოცხლის მანძილზე ემადლიერებოდნენ მას. მე პირადად მინახავს რომანოვების ვილაში, სენ-ბრიაკში, მაქსიმ გორკის დიდი პორტრეტი, რომელიც მის საიმპერატორო უმაღლესობას, ლეონიდას ჰქონდა გამოფენილი. მარიამ ბაგრატიონს გორკის ოჯახთან, პეშკ-

ოვებთან, დიდი მეგობრობა აკავშირებდა. მწერლის რძლის გარდაცვალების შემდეგ, ეს მეგობრობა მისი ძმის ოჯახთან, ვეძენსკებთან გაგრძელდა, რისი თვითმხილველიც ვარ და ჩავსულვარ კიდევაც მათ აგარაკზე მოსკოვის შემოგა-არენში. ხელთ მაქვს მარიამ ბაგრატიონის განცხადების ასლი, სადაც ნათქ-ვამია, რომ ის 1934 წლის ივნისში დაპრუნდა პარიზიდან, სადაც წასული იყო „აღექსი მაქსიმის ძე გორკის დახმარებით, უმაღლესი სამხატვრო განათ-ლების მისაღებად“ (იხ. გვ. 79). მარიამი წერს, რომ მან გაუზიარა გორკის უცხოეთში ყოფნის შთაბეჭდილებები და მოუყვა ჩამოსვლის მიზეზების შეს-ახებ. მწერალმა მონათხრობის ქაღალდზე გადატანა ურჩია. მარიამმა გაითვალისწინა ეს რჩევა. როდესაც ხელნაწერი მზად იყო, ყირიმში გაუგზავნა მწერალს. მწერალმა ხელნაწერს თავისი შენიშვნები დაურთო და დაუბრუნა. ჩეკარა გორკი ავად გახდა. 1948 წლის 14 დეკემბერს მარიამი დააპატიმრეს. სხვა ქაღალდებთან ერთად წაიღეს ეს ხელნაწერიც და გორკის ნაჩუქარი ორი ფოტოსურათი. მარიამს კი უთხრეს, რომ ამ ყველაფერს გორკის მუზეუმს გადასცემდნენ. ალსანიშნავია, რომ მარიამმა გადასახლებაში დაწერა პოემა, რომელშიც აღნერს გადასახლებაში ყოფნისას მიღებულ შთაბეჭდილებებს. პოემას ქ-ნი მარიამი არავის აჩვენებდა. ბოლოს, თავის არქივთან ერთად მე გადმომცა. უკვე მარიამის გარდაცვალების შემდეგ, მისი დაბადებიდან 100 წლის თავზე, ეს პოემა მცირე ტირაჟით გამოვეცი. ასევე მიანდერძა თავისი ნახატი, რომელზეც თავად არის გამოსახული ტაი-გაში, ზურგზე პატიმრის ნომრით. ამრიგად, ანასტას ვონსატსკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც ჩემთვის ცნობილია, სიყალბერა. არ არის გამორიცხული, რომ დანარჩენი ე. ნ. „ფაქტებიც“ იმავე პრინციპით იყოს შეთითხნილი. მისი წერილებიდან ნათელი გახდა, თუ ვის-გან მოდიოდა ბერიასთან დაკავშირებული ცილისწამება, რაც სხვებმაც აი-ტაცეს. 1990-იანი წლების დასაწყისში გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ“ დაბეჭდა ედუარდ გრაფოვის ფელეტონი, რომელშიც იგი, „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ ვ. ნ. ემელიანოვის წერილზე დაყრდნობით წერ-და, თითქოსდა მარიამ ბაგრატიონი „თავის დროზე ლ. პ. ბერიას ცოლი იყო“. ქალბატონმა მარიამმა საპროტესტო წერილი გაუგზავნა „ნეზავისიმაია გაზეტას“, სადაც მთელი პასუხისმგებლობით აცხადებდა, რომ ბერია არა-სოდეს უნახავს, მაგრამ გაზეთმა არაფერი უპასუხა, რადგან სიმართლის დადგენა ავტორების ინტერესებში არ შერდიოდა. დაბოლოს დავძენთ, რომ ფ. ბარმინის პუბლიკაცია შესულია ბ-ნი კახა ქორიძის და ბ-ნი იოსებ ბიჭი-კაშვილის მიერ შედგენილ კრებულში „ბაგრატიონები. სამეფო ტახტის მემ-კვიდრე“ (2016).

**მანანა ხომერიკი,**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
„იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოების“ ნამდვილი წევრი



სურ. №1. 11 წლის მარიამ ბაგრატიონ-მუხრანსკი დალესტნელ მხატვარ ჰალილ-ბეგ ბუ-საევთან (მუსაიასულთან) ერთად, ბერლინი, 1921 წ.



სურ. №2. მისი საიმპერატორო უმაღლესობა ლეონიდა რომანოვა (ქალიშვილობის გვარი: ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი)



სურ. №3. გლორია კირბი, მარიამ ბაგრატიონ-მუხრანსკი და მანანა ხომერიკი.



სურ. №4. მისი სამეფო უმაღლესობა ალბანეთის ყოფილი დედოფალი ჯერალდინ ალბანელი და მისი საიმპერატორო უმაღლესობა ლეონიდა რომანოვა. მადრიდი, 1990 წ. ფოტო მანანა ხომერიკის.



სურ. №5. რუსეთის საიმპერატორო სახლის მეთაური, დიდი მთავარი, ვლადიმირ კირილის ძე რომანოვი (1917-1992) და მანანა ხომერიკი. პარიზი, 1990.



სურ. №6. გერმანიის საიმპერეატორო სახლის მეთაურის, ლუი ფერდინანდ პრუსიელის ქალიშვილი, კირა ჰოპენცოლერი მეუღლესთან ერთად.

## **КТО ПОКРОВИТЕЛЬСТВОВАЛ СЕМЬЕ БАГРАТИОНИ – ЛАВРЕНТИЙ БЕРИЯ ИЛИ МАКСИМ ГОРЬКИЙ?**

**(было опубликовано в газ. „Сакартвелос республика”, 14 мая 2016  
года, на груз. Яз.)**

Сенсационную статью о проживающей в Испании семье Ираклия Багратиони опубликовал Фёдор Бармин, который, в свою очередь, опирался на информацию, извлеченную из двух статей русского эмигранта Анастасия Вонсятского: глава семьи, Георгий Багратиони, скончался в 1957 году. Отец покойного был командиром Лейб-гвардии Его Императорского Величества Конного полка. Он выгнал из дома собственного сына, Георгия, женившегося вопреки воле отца на Елене Злотницкой, дочери ревизора Владикавказской железной дороги. Отсюда начинается целый каскад вымысла и лжи. На самом деле отец Елены, Сигизмунд Злотницкий, был не ревизором на железной дороге, а мировым посредником. Женат он был на дочери активного участника заговора 1832 года, знатного князя Элизбара Эристави – Маико (той же Мариам Эристави), которая и по отцовской, и по материнской линиям являлась потомком грузинского царя Ираклия II. Согласно рассказу А. Вонсятского, изгнанный из отцовского дома Георгий отправился из Петербурга на Кавказ без всяких средств к существованию, но к тому времени, на его счастье, на Кавказе скончалась его тетя – то ли по материнской, то ли по отцовской линии – княгиня Шервашидзе, оставившая ему все наследство. Никакой тети Шервашидзе у этого семейства Багратиони не было!

У Георгия Багратиони и Елены Злотницкой в дальнейшем родились трое детей: Ираклий, Мария (Мариам) и Леонида. Георгий был уездным предводителем дворянства Тифлисской губернии. После прихода в Грузию к власти большевиков Багратион-Мухранские отправились за границу. Со слов Вонсятского, Георгий с супругой, Ираклием и Леонидой прибыли в Константинополь, а Марию якобы они не взяли с собой. Семья жила в роскоши, ни в чем не нуждалась, что, по мнению автора, указывало на их связь с «красными». Согласно категорическому утверждению Вонсятского, она не эмигрировала потому, что в 1921 году вышла замуж за Берия! Марии (1910-1992) на то время было 11 лет!

По поводу роскошной жизни семьи Багратиони в эмиграции следует заметить, что до отъезда они продали фамильные драгоценности – огромный изумруд и ожерелье, богато украшенное рубиновыми и изумрудными камнями, которые в годы независимости Грузии приобрел художник Дмитрий Шеварднадзе для создаваемого им музея. Вонсятский даже ничего не знает о том, что семья Багратиони недолго пробыла в Стамбуле и вскоре отправилась в Берлин. 11-летняя Мария навсегда запомнила несколько эпизодов из берлинской жизни. Первый эпизод – это встреча со старым другом их семьи, дагестанским художником-эмигрантом Халил-Беком Мусаевым (Мусая-

сулом), специально приехавшим из Мюнхена в Берлин, чтобы повидаться с семьей Багратиони. Он даже снял фото с маленькой Марией (см. кар. №1, с.). (выполненный же им портрет Ираклия Багратиони г-жа Мария завещала мне, я же в 1995 году передала его в дар Национальному музею искусств Грузии). В Берлине Мария была очевидцем того, как по улицам бежали русские эмигранты с криками: «Набокова убили!» Известно, что отца писателя Владимира Набокова убили в здании Берлинской филармонии именно в 1922 году. Здесь же, в Берлине, Багратиони познакомились с Максимом Горьким, который настолько был сражен красотой Елены Злотницкой-Багратиони, что всю жизнь покровительствовал этой семье. В 1922 году писатель помог им вернуться на родину, а в 1926 году содействовал отправлению Ираклия Багратиони во Францию. Вонсятский вообще не упоминает Горького и покровителем семьи называет Берия. Автор повествует о том, что в конце 1922 года Георгий так же легко приехал в Грузию, как год назад уехал оттуда, а его семья из Константинополя перебралась на жительство во Францию. Вскоре Георгий якобы во второй раз покинул Грузию и присоединился к своей семье во Франции. Со слов грузин (Вонсятский не конкретизирует, кого именно), в 1927 году Георгий вновь вернулся в Советский Союз с тем, чтобы повидаться со старшей дочерью Марией, вышедшей, по слухам, замуж за Берия и жившей в Грузии в собственном доме, который большевики «любезно» вернули законному владельцу – Георгию Багратиони. В действительности же Георгию не вернули, а, напротив, в 1928 году у него отняли родовой дом (а имение Мчадиджвари было экспроприировано еще 10 августа 1919 года). Вонсяцкий повествует о возвращении Георгия во Францию в 1934 году. На самом же деле в 1930 году Георгия Багратиони арестовали на 2 года. Над семьей нависла реальная угроза, и она решила эмигрировать. И на сей раз в качестве покровителя семьи выступил Максим Горький, обещавший Елене, что как только Георгий выйдет из заключения, ему тоже поможет перебраться за рубеж. Мария уезжать не хотела, т. к. у нее на родине был возлюбленный, приговоренный тогда к 3 годам заключения. Матери удалось уговорить дочь на отъезд с условием, что та сначала поступит на учебу во Франции, а спустя 3 года при желании сможет вернуться. Это было в 1931 году. Максим Горький обещание выполнил: через 2 года он и Георгию Багратиони помог уехать во Францию. А. Вонсятский далее рассказывает, что Леонида Багратиони начала работать в одном из модных домов моделью. Не Леонида, а Мария стала моделью. Дом мод предоставлял ей модную одежду и с целью рекламирования своей коллекции отправлял ее отдыхать на самые престижные курорты, что засчитывалось ей за работу. По поводу Леониды автор пишет, что она у своей подруги Зинаиды Ращевской познакомилась с американским миллионером-вдовцом Кирби, прельстила его и вышла за него замуж. С Кирби Леонида познакомилась не у подруги, а в своей собственной семье – Кирби был другом ее брата

Ираклия и хотел жениться на одной из его сестер, скорее всего, имел виды на Марию. Но однажды, когда Кирби гостил у Багратиони и мило беседовал с Леонидой (см. кар. №2, с. ), Мария неожиданно вынесла икону и благословила их. Так состоялась их помолвка. У Кирби от первого брака была взрослая дочь, Глория (см. кар. №3, с. ). С Леонидой у них тоже родилась дочь, которую в честь бабушки называли Еленой. Вторая мировая война застала Кирби в Германии, его арестовали и отправили в концлагерь. Вонсятский утверждает, что в 1950 году некий «русский» по каким-то коммерческим делам был в посольстве США в Мадриде и что американский консул посплетничал с ним, сказав, что якобы нацисты арестовали Кирби по доносу Ираклия, а освобожден он был благодаря вмешательству американского правительства, после чего он вскоре и скончался. Примечательно, что автор публикации Федор Бармин вынужден пояснить: «Г-н Вонсятский заблуждается: Кирби скончался в немецком лагере в 1945 году от истощения». Отсюда следует, что «рассказни» Вонсятского об американском правительстве и беседе с консулом есть не что иное, как плод его воображения. Кроме того, я лично была знакома с дочерью Кирби – Глорией (см. кар. №4, с. ). Во время моего пребывания в Испании мне довелось встретиться с ней. Глория поведала мне, что продала все свое имущество в Америке и поселилась в Испании, чтобы быть ближе к своей бывшей мачехе, поскольку ее семью она считала собственной семьей и чувствовала большую заботу со стороны ЕИВ Леониды (ее чуткость и внимание мне знакомы по собственному опыту). Несомненно, если бы к аресту ее отца нацистами была причастна семья Багратиони, г-жа Глория вряд ли с такой теплотой и любовью отзывалась бы о ней.

А. Вонсятский утверждает, что некий живущий в США русский наверняка знает, чем одно время занимался Ираклий Багратиони в Каире. Кто этот русский – неизвестно. Я об этом же периоде беседовала с бывшей королевой Албании Джеральдиной, даже записала и опубликовала интервью с ней. Экс-королева с нескрываемым восторгом отзывалась об Ираклии Багратиони, с которым ее познакомил муж во время пребывания в Каире. А. Вонсятский вновь упоминает Леониду и рассказывает о том, что в Испании поселился князь Владимир Кириллович Романов (см. кар. №5, с. ). Имеется в виду глава Российского Императорского дома, Великий князь, отец которого был двоюродным братом последнего русского императора Николая II. Вонсятский сетует на то, что этого неопытного молодого человека Леонида Багратиони заманила в ловко расставленные сети. В 1948 году Леонида и Владимир обвенчались в церкви в Лозанне. Она якобы на 8 лет была старше мужа. Федор Бармин вынужден и здесь внести поправку: она была старше «на 3 года». Это обстоятельство свидетельствует о том, что Вонсятский либо не знаком с жизнью семьи Романовых, либо намеренно искажает факты. Автор рассказывает: в 1951 году сестра князя, Мария Кирилловна, герцогиня Лейнингенская,

совершенно здоровая приехала навестить брата, но внезапно скончалась при невыясненных обстоятельствах. Здесь автор намекает, что в этом деле замешана рука Леониды. Для чего это было нужно княгине? У герцогини была своя семья, и из ее наследства ЕИВ Леониде ничего не полагалось. Напрашивается и второй вопрос: неужели, кроме Вонсяцкого, ни у кого не возникли сомнения на этот счет? Лично я была знакома с племянницей (дочерью сестры) герцогини, Кирой Гогенцоллерн, дочерью главы Германского императорского дома принца Луи Фердинанда Пруссского. В 1969 году вместе со своим женихом она приезжала в Тбилиси навестить Марию Багратиони (см. кар. №6, с. ). Мы вместе побывали в Музее искусств, где их особенно поразила Хахульская икона Божьей Матери. По просьбе Елены Багратиони Кира Гогенцоллерн отправилась в Мчадиджвари, чтобы запечатлеть на пленку бывшее родовое имение Багратион-Мухранских. Кира сказала мне в беседе, что Ираклий Багратиони является ее лучшим другом. О Марии Багратиони Вонсятский пишет, что она осталась в Советском Союзе. Я уже говорила выше о том, что в 1931 году она отправилась во Францию, где в Ницце и Париже изучала художественное мастерство. Спустя 3 года, ко времени освобождения своего возлюбленного, Мария решила вернуться в Союз. Её друг, художник Вано Энукидзе, отправил с ней письмо к своему дяде, Авелью Энукидзе, занимавшему тогда должность секретаря Центрального исполнительного комитета (ЦИК) СССР. В письме Вано сообщал дяде о том, что якобы Мария – его невеста, и просил обеспечить ее жилплощадью. Авель поверил этому известию, и выделил Марии квартиру в Москве. В то время Авель был председателем Правительственной комиссии по руководству Большими и Художественными театрами, поэтому в доме, где поселилась Мария, жили преимущественно его знакомые балерины. Однажды, возвращаясь домой, Мария увидела, как испуганные балерины бежали сломя голову. Как оказалось, Авеля Энукидзе арестовали. Позже его расстреляли. Мария решила «уйти от греха подальше» и переехала в Тбилиси. В бывшем доме Багратиони, в одной части перегороженной комнаты, жила ближайшая родственница Марии, Нина Джорджадзе, которая и приютила ее. В 1948 году Мария Багратиони была арестована и на 8 лет сослана в Магадан. Причиной ареста послужило то обстоятельство, что ее сестра Леонида вышла замуж за Великого князя Владимира Кирилловича Романова. Факт ареста Марии также «выпал» из поля зрения «всезнающего» Вонсятского. Супруг Марии, известный театральный художник Солико Вирсаладзе, периодически приносил определенную сумму денег Нине Джорджадзе, которая пересыпала их Марии в Магадан. Сохранилась часть ее заметок. Из публикации Вонсятского мы узнаем, что 17 июня 1953 года, в связи с ликвидацией Лаврентия Берия, в итальянской газете «Каррера де ла Сьерра» была опубликована пространная статья за подписью Пьетро Кварони, бывшего в 1926 году консулом Италии в Тбилиси и лично знавшего Лаврентия Павлови-

ча. Кварони называл Марию Багратиони женой Берия. Статья заканчивалась фразой: «...Супруга Берия – грузинка, сестра жены нынешнего претендента на российский престол. Было бы любопытно выяснить, фигурирует ли этот факт в числе обвинений предъявленных Берия». Спустя несколько недель после опубликования данной статьи Пьетро Кварони, занимавший в то время пост посла Италии во Франции, получил письмо от Ираклия Багратиони, в котором тот сообщал, что его сестра никогда не венчалась с Берия. Вонсяцкий полагает, что такой коммунист, как Берия, мог и не венчаться в церкви, т. к. в Советском Союзе это было необязательно. Для него «факт остается фактом», поскольку он полностью доверяет синьору Кварони, утверждающему: Мария Багратиони была сестрой Ираклия и Леониды и супругой Лаврентия Берия (все равно – венчанной или невенчанной). Отец Марии, Георгий Багратиони, также обратился с вопросом к Кварони, который ответил ему, что он знал о связи его дочери с Берия из весьма доверительных источников. Обратим внимание на то обстоятельство, что сам Кварони вместе их никогда не видел, но кто-то передал ему это сведение, видимо, с определенной целью.

В том же году в официальном бюллетене (№179) Министерства иностранных дел Испании была опубликована большая статья о Л. Берия, в которой говорилось о том, что супруга последнего являлась кровной сестрой претендента на российский престол. Т. е. получается, что Мария была родной сестрой Владимира Романова! В комментариях «российского спецназа», приведенных в публикации, отмечено, что «Кварони описывает только то, очевидцем чего он являлся лично в бытность его Генеральным консулом Италии в Тбилиси. Опираясь на личные наблюдения, он сделал ошибочное заключение относительно Марии Багратион-Мухранской, с которой в 1920-е годы, по-видимому, жил Берия и которая в дальнейшем оставалась его женой». Со своей стороны заметим, что Кварони делает заключения не исходя из собственных наблюдений, а ему специально «подсунули» эту дезинформацию. Поражает некомпетентность спецназа. Они пишут: «Нас интересует сам факт связи Мухранских с Берия. Только наличием этих связей можно объяснить свободное перемещение Мухранских из Советской Грузии на Запад и обратно, причем неоднократное». Как мы уже говорили выше, семья Багратиони в первый раз выехала за границу в 1921 году. Выходит, что в 1921 году Берия женился на 11-летней Марии! Все эти сплетни возникли в 1953 году, тогда, когда несчастная Мария Багратиони мучилась в ссылке. А об этом ничего не сказано! Большего цинизма невозможно представить! Относительно свободное же перемещение Мухранских объясняется близостью с Максимом Горьким, которому они были глубоко благодарны на протяжении всей жизни. На вилле Романовых в Сен-Бриаке я сама лично видела большой портрет Горького, который Её Императорское Величество Государыня Леонида Георгиевна повесила на видном месте.

Тесная дружба связывала Марию Багратиони с семьей Горького (Пешковыми). После смерти невестки писателя эта дружба продолжилась с семьей ее брата, Введенскими. Я была очевидцем их отношений и даже гостила на даче Введенских в Подмосковье. У меня имеется копия заявления Марии Багратиони, в котором она пишет о том, что в июне 1934 года вернулась из Парижа, куда она ездила «благодаря содействию Алексея Максимовича Горького для получения высшего художественного образования». Мария пишет также, что поделилась с Горьким впечатлениями от пребывания за границей и о причинах своего возвращения. Писатель посоветовал ей записать все рассказанное, и она вняла этому совету. Готовую рукопись Мария отправила Горькому в Крым, который, прочитав, сопроводил мемуары своими замечаниями и вернул ей. Вскоре Горький заболел. 14 декабря 1948 года Марию арестовали и наряду с другими бумагами забрали и эту рукопись, и подаренные Горьким две фотографии. Марии же сказали, что все это передадут в дар музею Горького.

Примечательно, что в ссылке Мария Багратиони написала поэму, в которой описала все перипетии ссыльной жизни. Свое произведение она никогда никому не показывала. В конце жизни вместе со всем своим архивом она передала мне и эту поэму. Уже после смерти Марии, к ее 100-летнему юбилею, я издала поэму малым тиражом. Кроме того, она завещала мне выполненный ею же рисунок – автопортрет в тайге, с номером заключенного на спине. (Я передала его в дар музею литературы им. Г. Леонидзе).

Таким образом, та часть представленной Анастасием Вонсятским информации, которая мне достоверно известна, представляет собой чистый вымысел. Не исключаю, что и остальная часть так наз. «фактов» сфабрикована по тому же принципу. Из статей автора яствует, от кого исходил «заказ» оклеветать имя Марии Багратиони в связи с Лаврентием Берия, а потом эту клевету подхватили и другие «доброжелатели». В начале 1990-х годов газета «Советская культура» напечатала фельетон Эдуарда Графова, в котором он, опираясь на статью В. Н. Емельянова в «Независимой газете», писал, что якобы «Мария Багратиони «некогда была женой Л. П. Берия». Г-жа Мария сразу же отправила письмо протesta в редакцию «Независимой газеты», в котором категорически заявляла, что она ни разу в жизни даже не видела Л. Берия. Но ответа не последовало, т. к. установление истины не входило в интересы авторов пасквиля.

В завершение хочу сказать, что публикация Ф. Бармина вошла в сборник «Багратиони. Наследник царского престола» (2016), составленный г-ном Кахой Коридзе и г-ном Иосифом Бичикашвили.

Манана Хомерики, доктор исторических наук,  
действительный член “Общества потомков Имеретинских царей”.

## ახალი პატიონები

### 1. ბაგრატიონ-ბაბადიშებთან დაკავშირებული უზუსტობებისა და მათი Y-დნმ ტესტის შედეგის შესახებ

ბაგრატიონ-ბაბადიშების საგვარეულოს წარმომადგენლებმა, ყოველგვარ კოლექტიურ განცხადებებზე თავიანთი ხელმოწერებით, ბოლოს მაინც მიიქცის ჩემი ყურადღება. ვნახოთ, რა წერია მათ შესახებ „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმში: „ბაგრატიონ-ბაბადიშები მომდინარეობენ მეფე ერეკლე I-ის უმცროსი ძმის იოსებ ბატონიშვილისაგან. მე-XVII (სწორია: XVII – გ.б.) საუკუნის მეორე ნახევარში კახეთის სამეფოს ბაგრატიონთა დინასტიას გამოეყვნენ თავადი ბაბადიშები. მათი გვარის ფუძემდებელი იყო მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილი – დავით ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი იოსებ (როსებ) ბაგრატიონი<sup>28</sup>.“ მითითებულია წყარო: „28. დ.ნინიძე, „ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებანი XVI-XVIII საუკუნეებში“ წიგნში: „ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“ თბ., 2003, გვ.44.“ ზემომოყვანილი ამონარიდიდან ისე ჩანს, თითქოსდა, პროფესორი დავით ნინიძე დარწმუნებული ყოფილა, რომ თავადი ბაბადიშები ბაგრატიონთა განშტოებას წარმოადგენენ. დასახელებული ავტორი, სრულ ნდობას იმსახურებს, რასაც „მემორანდუმის“ შემდგენელზე ვერ ვიტყვი. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, „მემორანდუმში“ დამონმებული ნებისმიერი მასალა გადამოწმებას საჭიროებს. გადავშალოთ კრებული „ბაგრატიონები“ მითითებულ 44-ე გვერდზე. ბაბადიშების გვარს ვერც აქ, ვერც წინა და ვერც მომდევნო გვერდზე ვერ ნახავთ და სიმართლეს ვერ გაიგებთ, მაგრამ თუ ძიებას განაგრძობთ, 47-ე და 48-ე გვერდებზე აღმოაჩინთ, რომ დავით ნინიძე საკმაოდ დაეჭვებული ყოფილა ბაბადიშების ბაგრატიონებისგან წარმომავლობის თაობაზე და თავისი ეჭვი კითხვის და ძახილის ნიშნებით გამოუხატავს. მთლიანად მომყავს ამონარიდი, რომელიც დასახელებულ საგვარეულოს ეხება: „ბაბადიშები – კიდევ ერთი განშტოება?! ბუნებრივი მოვლენაა, რომ საგვარეულო განშტოებები თავისი სიძლიერით არ იდგნენ ერთ სიბრტყეზე; „მსხვილი განშტოებები“ სამეფო კარს იყვნენ დაახლოებულნი და, ამდენად, მაღალი „საჭე-ლოები“ ეკავათ, წვრილი კი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო კნინდებოდნენ – ისინი მეორე და მესამე „ხარისხის“ თავადებად ყალიბდებოდნენ. იოანე ბატონიშვილი ბაბადიშების – თავად ბაბადიშების შესახებ აღნიშნავს, რომ „ამათი წინაპარი არის ბაგრატიონთა შთამამავლობის იმამ ყულისაგან და არიან თავადნი მესამისა ხარისხისანი“ [5, 43]. 1783 წ. ტრაქტატს დართული ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურთა ნუსხით არავითარი მათი კავშირი ბაგრატიონებთან აღნიშნული არ არის [17, 484]. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული თავადაზნაურობის წარ-


მომადგენლები “სათავადაზნაურო საკრებულოში” (Тифлисское Дворянское Депутатское Собрание) სხვადასხვა დოკუმენტებს წარადგენდნენ იმპერიის წინაშე მათი გვარის წარჩინებული წარმომავლობის დასამტკიცებლად. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია „Дело Тифлисского Дворянского Депутатского Собрания о княжеском происхождении Захария Григориевича Бабадышева“ [18]. მას გარკვეული საბუთები წარუდგენია მისი თავადური წარმომავლობის დასამტკიცებლად, მათ შორის გვარის გენეალოგიაც. მართალია, მათ თავადობა დაუმტკიცეს, მაგრამ ამ და სხვა ცნობებშიც არსად ბაბადიშების ბაგრატიონებიდან მომდინარეობის შესახებ ლაპარაკი არ არის. ამდენად, ამ მოსაზრების დასამტკიცებლად დამატებითი არგუმენტებია საჭირო“ [დ. ნინიძე „ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარულო განმტოებანი XVI-XVIII საუკუნეებში“, წიგნში: „ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“, თბ., 2003, გვ. 47-48]“. ამასვე იმეორებს 2018 წელს დასტამბულ წიგნში [ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018, გვ. 89] (იხ. სურ. №1)

როგორც ვხედავთ, დავით ნინიძე დამატებით მტკიცებულებებს ითხოვდა. „ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმში, მისი წაზრევი შეცვლილია. დ. ნინიძეს ბაბადიშების ბაგრატიონებისგან წარმომავლობის მტკიცება მიაწერეს, რაც მას არ ეკუთვნის. დ. ნინიძის წაზრევის გარდა, „მემორანდუმში“ ითანა ბატონიშვილის წაზრევიც შეცვლილია: ითანა ბატონიშვილის თანახმად, ბაბადიშები იმამ ყულისაგან მომდინარეობენ. „მემორანდუმის“ თანახმად კი როსებ ბატონიშვილისგან (იმამ ყული ხანის მამის, ერეკლე პირველის, ძმისაგან). 2016 წელს, ი. ბიჭიკაშვილი თავის ნაშრომში აქვეყნებს ნარკვევს „თავადი ბაგრატიონ-ბაბადიშები“, სადაც წერს: „XVII ს-ის II ნახ-ში ბაგრატიონთა კახეთის სამეფო დინასტიას ახალი თავადური შტო – ბაგრატიონ-ბაბადიშები გამოეყო“ [იოსებ ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016, გვ. 45]. ბაბადიშები, მართლაც, ბაგრატიონების შთამომავლები რომ ყოფილიყვნენ, იმის მტკიცება, თითქოსდა, კახეთის სამეფო დინასტიას ბაგრატიონ-ბაბადიშების სახელით გამოეყო თავადური შტო – ისტორიის დამახინჯება. ასეთი შტო ისტორიამ არ იცის! ბაბადიშებმა მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაიმტკიცეს ორმაგი გვარი. ამის შემდეგ, ქალბატონებს ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, უფლება მიეცათ შვილებისთვისაც გადაეცათ თავისი გვარი. (შესაბამისად, ბაგრატიონების კოლექტიურ პასკვილებზე ხელმომწერთა რიცხვმაც იმატა). ეს გასაგებია, მაგრამ რომელი კანონის უკუმოქმედების ძალა აძლევთ იმის უფლებას, რომ დიდი ხნის წინ გარდაცვლილ პირებს, რომლებიც ბაბადიშებად გაჩნდნენ და ბაბადიშებად გარდაიცვალნენ, დღეს თვითნებურად გვარი შეუცვალონ? ი. ბიჭიკაშვილის დასახელებულ წიგნში გამოქვეყნებულია ბაბადიშების XIX და XX საუკუნეებში გადაღებული ფოტოები. ყველა მათგანს აწერია „ბაგრატიონ-ბაბადიში“. ეს იგივეა, რომ ბატონი იოსებ ბიჭიკაშვილის

შთამომავლებმა ერთი, ან ორი საუკუნის შემდეგ გვარი შეიცვალონ და უკანა რიცხვით, მასაც ახალი გვარი მიანიჭონ! ამაზე მარტივად და გასაგებად ვეღარაფერს ავუხსნი. ი. ბიჭიკაშვილი იძულებულია აღნიშნოს, რომ ამ საგვარეულოს შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. თავად ცდილობს, როგორმე, მეცნიერულად დაამტკიცოს, რომ ბაბადიშები ბაგრატიონები არიან. დავითიშვილებთან შედარებით, ბაბადიშების გვარის ისტორიაში უფრო შეიძლებოდა ბაგრატიონებთან მათი კავშირის მიმართებით რაიმე ხელშესახების გამოიქცნა, მაგრამ მათი დნმ-ის ტესტი საწინააღმდეგოზე მეტყველებს. მკითხველს შეუძლია „ქართული გვარების ჰაპლოჯგუფებში“ თავად ნახოს ბაბადიშების Y-DNA ტესტის შედეგი: „ბაბადიში – R1b1a2.“ იგივე შედეგია ამერიკულ საიტზე – Family Tree. როგორც ვხედავთ, რეალურად, ბაბადიშებს გენეტიკურად არაფერი აქვთ საერთო ბაგრატიონებთან. მათ ეს კარგად იციან, მაგრამ ქალბატონი ბაბადიშების სხვადასხვა გვარის წარმომადგენელი შთამომავლებიც კი აღარ თმობენ ბაგრატიონობას და ბაგრატიონი-ბაბადიშის გვარს ატარებენ.

P.S. ბაბადიშებთან დაკავშირებით მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო. „ბაგრატიონთა სახლის“ წინამდლოლმა ქალბატონმა ნონო ბაგრატიონმა, როგორც ამ სახლის თანამდგომ წევრს, მთხოვა ქ-ნ ლეილა ბაბადიშს მივყოლოდი ისტორიკოს ანრი ბოგვერაძესთან, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. ჩემთვის ამ თხოვნის შესრულება ძნელი არ იყო, რადგან ამ ინსტიტუტში ვმუშაობდი. მიზეზი არც მიკითხავს. დათქმულ დროს დავიწყე ქ-ნი ლეილას ლოდინი, გავიდა 40 წელი, მაგრამ ის არ ჩანდა. ინსტიტუტიდან გამოვედი თუ არა, ქუჩაში შემხვდა. მეგონა დაგვიანების მიზეზს ამიხსნიდა, მან კი ეს საჭიროდ არ ჩათვალა. მე მას ბ-ნ ანრისთან შევყევი, წარვუდინე და მაშინვე დავტოვე კაბინეტი, რადგან აღმფოთებული ვიყავი ქალბატონის საქციელით. გავიდა ხანი. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ბ-ნ ანრის ბაბადიშების წარმომავლობის შესახებ დასკვნის დაწერა ჰქონია დავალებული. ის არ იზიარებდა „ბაგრატიონთა სახლის“ ვერსიას ამ საგვარეულოს ბაგრატიონებისგან წარმომავლობის თაობაზე და ხელს არ უწერდა. ჩემი მასთან შესვლა ისე აღუქვამს, როგორც თავისი კოლეგის უსიტყვო დასტური. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი ფაქტორი აღმოჩნდა ის ბოლო წვეთი, რომელმაც სასწორი ბაბადიშების სასარგებლოდ გადაწონა. ამას გვიანდა მივხვდი, მაგრამ არაფერი მეთქმოდა, რადგან ამ საგვარეულოს წარმომავლობა არ მქონდა შესწავლილი. დუმილი კი ძვირად დამიჯდა. დღეს უკვე ძირითადად ქალბატონების ხარჯზე გაზრდილი „ბაგრატიონ-ბაბადიშების“ საგვარეულოს წარმომადგენლები ჩემს საწინააღმდეგო პასკვილებზე აწერენ ხელს.

## გახ ეთის მევევები XV-XVII სს.



- 89 -

სურ. №1. ამონარიდი ი. ბიჭიკაშვილის წიგნიდან. ბაგრატიონებიდან გამოყოფილია ბაგრატიონ-ბაბადიშვილის შტო, რომელიც ისტორიისათვის ცნობილი არ არის [„ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო“, თბ., 2018, გვ. 89].

## 2. რამდენიმე შეკითხვა ე. ნ. ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურულ შტოსთან დაკავშირებით

იოსებ ბიჭიკაშვილის წიგნში „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, რატომლაც 4 წერილი ჩემს განქიქებას ეძღვნება (წინამდებრე წიგნში ოთხივეს ვცემ პასუხს), რის გამოც, იძულებული გავხდი მის ნაშრომში ჩამეხედა და ბაგრატიონთა ამ ახალ განშტოებას გავცნობოდი. „ბაგრატიონთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმში ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტო ნახსენები არ არის. თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების შესახებ ვკითხულობთ: „ბაგრატიონ-დავითიშვილები კახეთის მეფის, ალექსანდრე I-ის, შთამომავლები არიან. მეფე გიორგი II-ის მიერ თავისი უმცროსი ძმის – დემეტრეს კახეთის სამეფოდან გაძევებას მოჰყვა დემეტრეს შთამომავლების ქართლში გადასვლა, სადაც იწოდნენ ბაგრატიონ-დავითიშვილებად. გაძევების გამო მათ დაკარგეს სამფლობელო და ჩვეულებრივ თავადებად იქცნება.<sup>27</sup> (27. დ. ნინიძე, „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა“, თბ., 1999)“. [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“ „ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 232]. „მემორანდუმს“ სხვებთან ერთად, „ბაგრატიონ-დავითიშვილების თავადური შტოს“ ორმოცმა წარმომადგენელმა მოაწერა ხელი, მაგრამ 2014 წლიდან ჩნდება ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტო. მემრანდუმის შემდგენელ-გამგრძელებლები სწორედ მათ უნდა გულისხმობნენ: „2014 წელს მემორანდუმს შეუერთდა ბაგრატიონთა აზნაურული შტოს 67 წარმომადგენელი“ [„საქართველოს სამეფო სახლის კანცელარია“, „ბაგრატიონები, სამეფო ტახტის მემკვიდრე“, თბ., 2016, გვ. 236]. ამ 67 დავითიშვილისგან დიდი ნაწილს ბაგრატიონობა ჯერ კიდევ დამტკიცებული არ ჰქონდა, მაგრამ მათ მაინც დავითიშვილი-ბაგრატიონის გვარით მოაწერინეს ხელი, რითაც „მემორანდუმს“ იურიდიული ძალა საბოლოოდ დააკარგვინებს.

ი. ბიჭიკაშვილის ნაშრომის გაცნობის შემდეგ, ამ შტოსთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები დამებადა. უპირველეს ყოვლისა, მომყავს ამონარიდი პროფესორი დავით ნინიძის ნაშრომიდან, რომელშიც აზნაური დავითიშვილებისა და თავადი ბაგრატიონ-დავითიშვილების ნათესაობის ვერსია გაზიარებული არ არის: „იოანე ბატონიშვილის სიტყვებით, ქართლში მცხოვრები აზნაური დავითიშვილები – „ამათი შთამომავლობანი არიან თავადის დავითისშვილის მონათესავენი და მისვე დროსანი აზნაურად მიღებული მეფეთაგან, რომელიც დასწერეთ დავითის შვილისთვის და არიან მეფეთაგანცა მიღებულ და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ“ [75, 5; 1] (მითითება ტექსტისა – მ. ხ.). 1783 წ. ტრაქტატს დართულ თავადთა და აზნაურთა ნუსხაში აღნიშნულია: „სახასო აზნაური ამას ქუმით დაინერებიან“, მათ შორისაა „აზნაური დავითისშვილი“ [64, 485] (მითითება ტექსტისა – მ. ხ.). უნდა ითქვას, რომ იოანე ბატონიშვილის ეს მოსაზრება ბაგრატიონ-დავითიშვილთა და აზნაურ დავითიშვილების ნათესაობის შესახებ

მხოლოდ სახელწოდებათა დამთხვევას ემყარება. სინამდვილეში არავითარი ისტორიული ცნობა, რომ ისინი ერთმანეთის „მონათესავენი“ არიან, ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტაციაში არ დასტურდება“ [დავით ნინიძე, „აქა ან-ბავი თვალდამწვრიანთა“, (ბაგრატიონ-დავითიშვილები), თბ., 1999, გვ. 68].

დ. ნინიძის ზემოთ მოყვანილ ტექსტზე ი. ბიჭიკაშვილი თვალს ხუჭავს, ტექსტის მიმდევნო ნაწილს კი დამახინჯებული სახით იმოწმებს: „ამ პერიოდის, კერძოდ, XVIII საუკუნის საბუთებში არაერთი დავითიშვილი გვხვდება, რომელიც სწორედ აზნაური დავითიშვილი უნდა იყვნენ: („ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ბერი და ლევანიკა დავითიშვილი ან“ – გამოტოვებულია ი. ბიჭიკაშვილის მიერ – მ. ხ.) მათი მთელი შტო – 1728 წ. ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული „ბატონი“ დავით და მისი შვილები: იოთამი, იასე და ქრისტეფორე; 1800 წ. არზით, „დავითიშვილს („ჩელტია“ – გამოტოვებულია ი. ბიჭიკაშვილის მიერ – მ. ხ.) იასეს „ჰყავს შვილი გლახა, რომელიც სხვა საბუთშიც იხსენიება.“ შემდეგ, მართალია ი. ბიჭიკაშვილი დ. ნინიძის ტექსტის შინაარსს არ ცვლის, მაგრამ თავისი სიტყვებით გადმოგვცემს და ციტატის სახით მოჰყავს: „მათი შტო ასეთ სახეს იღებს: დავით, მისი შვილები: იოთამი, იასე, ქრისტეფორე და შვილიშვილი – იასეს ძე გლახა“. თავისთავად ცხადია, რომ ი. ბიჭიკაშვილი არ იმოწმებს ი. ნინიძის დასკვნას: „ამდენად, ისინი აზნაური დავითიშვილები არიან და მათ თავად ბაგრატიონ-დავითიშვილებთან არაფერი აქვთ საერთო [დავით ნინიძე, „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა“, (ბაგრატიონ-დავითიშვილები), თბ., 1999, გვ. 68].

კერ კიდევ იქამდე სანამ ი. ბიჭიკაშვილი აზნაურ დავითიშვილებზე ნაშრომს გამოაქვეყნებდა, ცნობილმა გენეალოგმა იური ჩიქოვანმა წიგნში „ისევ დოკუმენტები ცხადყოფენ“ სხვა საკითხებთან ერთად, გარკვევით განმარტა, რომ დ. ნინიძე „უარყოფს ბაგრატიონ-დავითიშვილთა და აზნაურ დავითიშვილთა ნათესაურ კავშირს და აღნიშნავს, რომ მის მიერ დასახელებულ აზნაურ დავითიშვილებს არაფერი აქვთ საერთო ბაგრატიონ-დავითიშვილებთან“ [იური ჩიქოვანი, „ისევ დოკუმენტები ცხადყოფენ“, თბ., 2018, გვ. 20]. ბატონმა იურიმ ასევე გამოაქვეყნა იმ ორი საარქივო დოკუმენტის – აზნაური დავითიშვილების გენეალოგიური ტაბულების ასლები, რომლებსაც ჩემს მოცემულ ნაშრომში დამატებით გაცნობთ. ამავე დროს ვახდენ მათ შეჯერებას ტაბულებთან №6 და №7 ი. ბიჭიკაშვილის ნაშრომიდან, რომელიც მან ბატონი იურის ზემოხსენებული წიგნის გამოსვლის შემდეგ გამოსცა, ანუ არაფერი გაითხვალისწინა. აქვე მინდა განვაცხადო, რომ საბოლოოდ ბატონმა იური ჩიქოვანმა დოკუმენტების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად უარყო აზნაურ დავითიშვილებსა და თავად ბაგრატიონ-დავითიშვილებს შორის ნათესაური კავშირი. მკითხველს შეუძლია ონ-ლაინ გაეცნოს მის ნაშრომს, რომლის განხილვაც ჩემი წიგნის ფორმატში არ შედის.

ი. ბიჭიკაშვილი წერს: „XVIII ს-ის 20-იან წლებში, ბაგრატიონთა საგვარეულოში არსებობს მხოლოდ ერთი თავადი დავით ელიზბარის ძე დავითიშვილი, რომლის შესახებაც ჩვენამდე მოღწეულია მრავალი ისტორიული

დოკუმენტი“. ასევე ცდილობს დაამტკიცოს, რომ „XVIII ს-ის I ნახევარში, ბაგრატიონ-დავითიშვილების თავადური სახლიდან წარმოიშვა აზნაურული განშტოება, რომლის ფუძემდებელი იყო ბოქაულთუხუცესის ელიზ-ბარის ძე დავით ბაგრატიონ-დავითიშვილის ვაჟი – იქსე“. ი. ბიჭიკაშვილი არ განმარტავს მთავარს: **თავად დავითს რატომ ჰყავდა აზნაური შვილი?** თუ დავუშვებთ, რომ იასე იყო თავადი დავითის უკანონო შვილი, მაშინ ისინი წყვეტილი ხაზით უნდა იყვნენ ერთმანეთან დაკავშირებული. ბ-ნი ბიჭიკაშვილი ხომ ამ წესს მკაცრად იცავს მისთვის არასასურველ პირებთან მიმართებით. ახლა, მის მიერ შედგენილ ტაბულაში №6 „აზნაურ დავითიშვილების გენეალოგიური ტაბულა (კარბის ხაზი)“ თავადი დავით ელიზბარის ძე დავითიშვილი და მის შვილად ნაჩვენები აზნაური იქსე, დაკავშირებული არიან სწორი ვერტიკალური ხაზით [„ბაგრატოვანთა სახლი“ იოსებ ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018] (იხ. სურათი №1). იგივე მეორდება იმავე წიგნში გამოქვეყნებულ ტაბულაში №7 „აზნაურ დავითიშვილების გენეალოგიური ტაბულა (კოშკის ხაზი)“ (იხ. სურათი №2). თუ იასე თავადი დავითის კანონიერი შვილი იყო, მაშინ, ვის ჰქონდა თავადის ვაჟისთვის თავადობის ჩამორთმევის უფლება? ეს მნიშვნელოვანი საკითხი განმარტებას მოითხოვს.

ყველაზე დიდ მნიშვნელობას ი. ბიჭიკაშვილი შემდეგ ფაქტს ანიჭებს: „აზნაურ გლახა იქსეს ძე დავითიშვილის მეორე სახელი დავითი იყო, როგორც ჩანს ბაბუის საპატივცემულოთ: (სწორია: „პატივსაცემად“ – მ. ხ.) აზნაური დიმიტრი გლახას ძე. იგივე დავითის ძე დავითოვი...“ მითითებული აქვს წყარო: [საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (სცია), ფონდი 489, აღწერა 18, საქმე №242]. აქვე აღნიშნავს, რომ ეს კონკრეტული ისტორიული საბუთი პროფესორ დავით ნინიძისათვის მისი ცნობილი წიგნის „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა“ გამოცემისას (1999 წ.), ცნობილი არ იყო. ვფიქრობ, ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. აზნაურ გლახას რამდენი სახელიც არ უნდა რქმეოდა, ის საარქივო დოკუმენტების თანახმად, აზნაური დავით დავითიშვილის შთამომავალია და არა თავადი დავითის. ი. ბიჭიკაშვილი ახლაც აყალბებს იმ ინფორმაციას, რომელსაც საარქივო დოკუმენტები იძლევიან და საკუთარ ფანტაზიებზე დაყრდნობით ადგენს გენეალოგიურ ნუსხებს. დავითი აზნაური გლახას (იმავე დავითის) ბაბუა კი არა – დიდი ბაბუა იყო, რაც გარკვევით ჩანს არქივში დაცულ გენეალოგიურ ტაბულებში [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 1990] (იხ. სურ. №3 და სურ. №4). ორივე ტაბულაში ვხედავთ, რომ აზნაური დავით დავითიშვილის შვილი იყო არდაშელი, არდაშელის შვილი – ზაზა, ხოლო ამ უკანასკნელის შვილი გლახა. გლახას შვილია – დიმიტრი. ი. ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილ ტაბულებში კი ეს ხსენებული გლახა (რომელსაც ჰყავს შვილი – დიმიტრი) გაუგებარი გზით, ხდება ვინმე აზნაური იესეს შვილი, რომელიც თავის მხრივ, კიდევ უფრო გაუგებარი გზით, თავადი დავით ელიზბარის ძე დავითიშვილის შვილია! ისმის კითხვა: გლახა-დავითს რატომ წართვეს თავისი მშობელი მამა

– ზაზა და პაპა – არდაშელი? რა სამეცნიერო, კორექტული ტერმინით უნდა შეფასდეს ი. ბიჭიკაშვილის ქმედება?

რადგან გლახა დავითიშვილზე შევაჩერეთ ყურადღება, ისიც უნდა ვთქვა, რომ მას ჰყავდა ძმა, ფირანა, რომელიც ასლამაზ ივანეს ძე დავითიშვილმა ხანჯლით მოკლა. ეს ფაქტი ი. ბიჭიკაშვილს აღნიშნული არ აქვს. გლახას მეფე ერეკლესათვის მკვლელის გასამართლება უთხოვია. მეფე ერეკლე წერს: „Асламаз Давидов убил Пирана Давидова и брат сего Пирана, Глаха жалуясь о том просил учинить судопроизводство. По сему мы всея Грузии Царь Ираклий второй в присутствии собрания Грузинских судей сих обоих в суде нашем много-кратно допрашивал“ [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 1990, ფ. 1]. (იხ. სურ. 5). გლახა ჰვება, თუ როგორ დაიყვირა მისმა დაჭრილმა ძმამ, ამ მოღალატემ მომკლაო: – „и пронзил его брата моего саблею сквозь и раненный закричал, о сей вероломный убил меня“ [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 1990, ფ. 1]. საინტერესოა, იციან თუ არა თავადმა ბაგრატიონ-დავითიშვილებმა ასლამაზის და ფირანას ამბავი, რომლებიც თუ ი. ბიჭიკაშვილს დავუჯერებთ, ბაგრატიონთა ამ განშტოების წარმომადგენლები ყოფილან.

ახლა რაც შეეხება „თავადი დავითის“ შვილს, იქსეს. თუ ის თავადის შვილი იყო, თითონაც თავადი იქნებოდა, რომელიც აზნაურ იქსეებში არ უნდა აგვერიოს. 1850 წელს, რუსულად გამოცემულ ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახების სიებში, შტოს მითითების გარეშე, კიდევ ორი იქსე დავიდოვია დაფიქსირებული: იქსე ასლამაზის ძე და იქსე გოგიას ძე [ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები (ფოტოტიპიური გამოცემა), თბ., 2005, გვ. 128-129]. არც ესენი არიან დაკავშირებული თავად დავით ელიზბარის ძე დავითიშვილთან.

ი. ბიჭიკაშვილის მტკიცებით, „ბაგრატიონ-დავითიშვილთა აზნაურული შტო ნამდვილად მომდინარეობს ბაგრატიონ-დავითიშვილთა თავადური ხაზიდან. ხოლო მამუკა ბეჭანის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი ნამდვილად არის თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის პირდაპირი შთამომავალი, ასევე როგორც დანარჩენი ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტოს წარმომადგენლები“ [„ბაგრატიოვანთა სახლი“ იოსებ ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018, გვ. 54]. ი. ბიჭიკაშვილი განზრახ ქმნის გაუგებრობას. მკითხველმა შეიძლება ითიქროს, რომ ბაგრატიონ-დავითიშვილთა თავადური ხაზის პარალელურად, ისტორიულად, არსებობდა მისივე მონათესავე ბაგრატიონ-დავითიშვილთა აზნაურული შტო, რაც ასე არ არის.

ისტორიულად არსებობდა დავითიშვილების აზნაურული შტო, რომლის წარმომადგენლებმაც მხოლოდ XXI ს-ის 10-იანი წლებიდან დაიმტკიცეს ორმაგი გვარი, ან პირდაპირ ბაგრატიონები გახდნენ. ი. ბიჭიკაშვილი აცხადებს, რომ ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტოს (აზნაური დავითიშვილების) ყველა წარმომადგენელი ბაგრატიონ-დავითიშვილთა თავადური ხაზიდან მომდინარეობს, მაგრამ არ ამბობს, თუ რა ნიშნით მოხ-

და აზნაური დავითიშვილების ნაწილის გაბაგრატიონება, ხოლო ნაწილის არსებობის მიჩქმალვა. ი. ბიჭიკაშვილმა ერთნაირი წარმომავლობის ყველა დავითიშვილი კი არ შერაცხა ბაგრატიონ-დავითიშვილად, არამედ თვითნებურად მოახდინა მათი დიფერენციაცია, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

ზემოხსენებული გაბაგრატიონებული მამუკა დავითიშვილი კი თავის ლექსში უკვე წოდებრივი ნიშნით დასცინის კიდეც მისთვის არასასურველ პირებს, არისტოკრატობენო: „არისტოკრატობს“ მტერი!“ ბ-ნმა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ თუ ი. ბიჭიკაშვილი თავადი გახადა, მამუკა ბაგრატიონს აზნაური ბაგრატიონ-დავითიშვილობა არ აკმარა და ბრნყინვალე თავადობა უბოძა. აქვე გაცნობთ მისი წინაპრების ფოტოებს, რომლებიც ქართული უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენლები ყოფილან [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016]. (იხ. სურ. №6, სურ. №7). თუ ამ ფოტებზე გამოსახული პირების შესახებ ი. ბიჭიკაშვილის ორტომეულში და ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტოს შესახებ მისივე ნაშრომში მოცემულ ინფორმაციებს შევაჯერებთ, სრულ განუკითხაობას წავაწყდებით, რაც სერიოზულ გამოძიებას მოითხოვს. სახეზეა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების (როგორიცაა დაბადება, გარდაცვალება) უხეში დამახინჯება და გაყალბება. დავიწყოთ რომანოზით. ი. ბიჭიკაშვილის ორტომეულის II ტომში [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია“, თბ., 2016, გვ. 266] ვკითხულობთ:

„19/16. რომანზ დავითის ძე (28.12. 1880-?)

=ბარბარე, აზნაურ ალექსანდრე დიდებულიძის ასული (1890-?).

#### წყაროები:

1. სცია, ფ. 489, აღწერა 18, საქმე №34, ფ. 9 ვ.
2. სცია, ფ. 489, აღწერა 18, საქმე №140, ფ. 45 ვ.(იქვე მეუღლის შესახებ).
3. სცია, ფ. 489, აღწერა 18, საქმე №1769, ფ. 8ვ.

#### ლიტერატურა:

1. ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონთა გენეალოგია. თბ., 1991-2015 (ხელნაწერი).“

**მითოებული საარქივო საქმეები არის ი. ბიჭიკაშვილის მოგონილი. სინამდვილეში, რომანოზის დაბადების ჩანაწერი იძებნება სხვა საარქივო საქმეში [სეა, ფ. 489, აღწერა 18, საქმე №1775]. ამავე დროს, ავტორი „ეყრდნობა“ საკუთარ ხელნაწერს, რომლის ნახვის საშუალებას მიკლებული ვართ!**

თავის ნაშრომში [„ბაგრატოვანთა სახლი“ იოსებ ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018, გვ.98]. ი. ბიჭიკაშვილი აცხადებს, რომ რომანოზი 1880 წელს დაიბადა: „რომანოზის დაბადების ჩანაწერი სოფელ შინდისის ნათლისმცემლის ეკლესის მეტრიკული ჩანაწერი: 1880 წ. დაბადება 28 დეკემბერი, ნათლის-დება 30 დეკემბერი“. გარდა

ამისა, ის აქვეყნებს სოფელ შინდისის, ვითომდა „ნათლისმცემლის ეკლესიის“ მეტრიკული წიგნის ჩანაწერის ასლს, საიდანაც ჩანს, რომ რომანოზი 1914 წელს, თავისი ჯვრისწერის დროს 25 წლის ყოფილა. ეს კი ცხადჰყოფს, რომ ის 1880 წელს ვერ იქნებოდა დაბადებული. გარდა ამისა, იმანაც დამატვა, რომ შინდისის ნათლისმცემლის ეკლესის მეტრიკული წიგნები არ არსებობს. მომიხდა შემოწმება. როგორც გაირკვა, რომანოზი დაბადებული ყოფილა 1888 წელს! [სცა, ფონდი 489, აღწერა 18, საქმე 1775] (იხ. სურ. №8 და სურ. №9). რომანოზის დაბადების და ჯვრისწერის ჩანაწერები შინდისის წმ. გიორგის ეკლესის მეტრიკულ წიგნებში აღმოჩნდა. როგორც ვხედავთ, ი. ბიჭიკაშვილმა ახლაც არ უდალატა თავისი კვლევის მეთოდს - გაყალბებას. 2014 წელს, ბაგრატიონის გვარის „ალდგენის“ დროს, სწორედ ეს გაყალბებული მინაცემები წარუდგინეს კომისიას. მამუკა ბაგრატიონის მამის, ბეჟან დავითიშვილის გვარის აღდგენასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის დირექტორმა, ანტონ ვაჭარიძემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგანტოს სამოქალაქო აქტების მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილეს, მირნდა არაბიძეს, მიმართა წერილით, რომელშიც განმარტა, რომ მოცემული საქმის ნომერია - ფონდი 489, აღწერა 18, საქმე №1775 და არა №34 (იხ. სურ. №10). და ამის შემდეგ, 2018 წელს დასტამბულ წიგნში, ი. ბიჭიკაშვილი აქვეყნებს რომანოზის დაბადების ჩანაწერის ასლს, სადაც კვლავ საქმის მცდარი ნომერია მითითებული (იხ. სურ. №11). მართალია, არქივის დირექტორმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმის სწორი ნომერი აცნობა, მაგრამ რომანოზის დაბადების თარიღი არავის შეუსწორებია. რომანოზი 1888 წელს დაიბადა! [სცა, ფონდი 489, აღწერა 18, საქმე №1775]. არადა, კომისიას არასწორი ცნობა მიაწოდეს. ამ ცნობას დაეფუძნა დასკვნა, რომელშიც მითითებულია რომანოზის დაბადების ყალბი თარიღი - 28. 12. 1880 წ. ახლა, როდესაც ცნობილი გახდა ახალი გარემოება - რომანოზ დავითიშვილის დაბადების თარიღის გაყალბების ფაქტი, ვფიქრობ, კომისიის დასკვნა გაუქმებას ექვემდებარება. ახლა კი რამდენიმე დავითიშვილის მომაცემებს გადავხედოთ. ასე, მაგალითად, იაკობ რომანოზის ძე - ზემოხსენებული მამუკას პაპა გახლავთ.

#### **, „27/19. იაკობ (იაშა) რომანოზის ძე (2. 02. 1921-1989).**

=I. ანგელინა ათანასეს ასული გორდაძე; = II. ანნა სიმონის ასული ბეზალაძე.

#### **წყაროები:**

მოქალაქის პასპორტი (სერია VII-TI №607665) გაცემული ქ. გორის რაის-პოლკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1978 წლის 6 დეკემბერს (ასლი).

#### **ლიტერატურა:**

1. ს. ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონთა გენეალოგია. თბ., 1991-2015 (ხელნაწ-

ერი). (იქვე მეუღლების შესახებ).“

საქმე ის არის, რომ მისი დაბადების მოწმობა არ არსებობს, რაც შესაბამისი ცნობით მტკიცდება: „9. საქართველოს ეროვნული არქივის წერილი №10/618 (16. 01. 2014 წ.) იაკობ (იაშა) რომანზის ძე დავითიშვილის დაბადების აქტის ჩანაწერის არ აღმოჩენის შესახებ“. მამტკიცებელ წყაროდ მოაქვთ იაკობის სახელზე, საბჭოთა პერიოდში, 1978 წელს გაცემული პასპორტი. ი. ბიჭიკაშვილს მითითებული აქვს იაკობის გარდაცვალების წელი – 1989. ვიცოდი რა, რომ ი. ბიჭიკაშვილი სწორ ინფორმაციას არ გაასაჯაროებდა, 2020 წლის ივლისში გადასამოწმებლად მივმართე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ინფორმაციის გამოთხვის უფლებას ის ფაქტი მაძლევდა, რომ აუცილებელი 30 წელი 1989 წლიდან, ანუ იაკობ დავითიშვილის გარდაცვალებიდან უკვე გასული იყო, მაგრამ უარი მივიღე. ზედმეტი ახსნა-განმარტებების გარეშე მითხრეს, რომ მხოლოდ 2020 წლის 1 ოქტომბრიდან შემეძლო აღნიშნულ პიროვნებაზე არსებული ცნობები მომეთხოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იაკობ (იაშა) დავითიშვილი გარდაიცვალა არა 1989 წელს, არამედ 1990 წელს. მისი გარდაცვალების წელი, ი. ბიჭიკაშვილმა გარკვეული მიზნით შეცვალა, ანუ გააყალბა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი! ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მონაცემები წარდგნილი იყო კომისიაზე, რომელიც აზნაური დავითიშვილების ბაგრატიონობის საკითხს განიხილავდა!

იმის გათვალისწინებით, რომ იაკობის მამის, რომანზის მონაცემებიც გაყალბებულია, თავად იაკობის დაბადების აქტი არ გვინახავს, გადავწყვიტე მისი დების და ძმის, ი. ბიჭიკაშვილის მიერ წარმოდგენილ დაბადების ჩანაწერებს გავცნობოდი, მაგრამ აქაც არევ-დარევას წავაწყდი:

„25/19. ალექსანდრე რომანზის ძე (1916-1973).=სონია გიორგის ასული N.

#### წყაროები:

სცია, ფ. 489, ალწერა 18, საქმე №1780, ფ. 18 ვ.

#### ლიტერატურა:

1. ს. ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონთა გენეალოგია. თბ., 1991-2015 (ხელნაწერი). (იქვე მეუღლის შესახებ).“

როგორც ვხედავთ, ალექსანდრეს მეუღლის, სონიას გვარი ავტორისთვის უცნობია! გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ თავისი ორტომეულის I ტომში ამ ქალბატონის ფოტოს ანერია მისი სახელი და გვარი - სონია კოკოზაშვილი. გაუგებარია, შემდეგ რა შეიცვალა? **თავად ალექსანდრეს დაბადების ჩანაწერის საარქივო საქმის ნომერი გაყალბებულია!** მითითებული საარქივო საქმე აღმოჩნდა სოფ. შინდისის წმ. გიორგის ეკლესიის 1893 წლის მეტრიკული წიგნი! საქმის მცდარი ნომრის გარდა, ი. ბიჭიკაშვილი გვამცნობს ალექსანდრეს დაბადების წელს - 1916, რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს: „გორის რაიონის სოფელი შინდისის წმ. გიორგის ეკლესიის 1915 წლის მეტრიკული წიგნით დასტურდება, რომ ალექსანდრე რომანზის ძე დავითიშვილი დაიბადა 1915 წლის 19 მარტს“ [საქართვე-

ლოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივი საისტორიო ცენტრალური არქივი, ცნობა №AA2020008145-04; 04.08.2020]. არქივმა მომაწოდა მოკლე ინფორმაცია ალექსანდრეს შესახებ: „ალექსანდრე რომანოზის ძე დავიდოვი ეროვნებით არის ქართველი, არასრული საშუალო განათლებით, უპარტიო, სამართალში ნამყოფი /დავითიშვილზედ/. მუშაობს შინდისის საბჭოთა მეურნეობაში მუშად, ცხოვრობს გორის რაიონის სოფ. შინდისში“. მისი მოთხოვნით, შესწორდა მისი „სახელი შურა ალექსანდრეთ, მამის სახელი რონკა-სონკა და სოლომონი რომანოზად“ (იხ. სურ. №12).

ი. ბიჭიკაშვილი ამავე 1893 წლის მეტრიკული წიგნის ამავე მე-18 ვ. ფურცელს იყენებს დავითიშვილების კიდევ სამი, სხვადასხვა წლებში დაბადებული წარმომადგენლის დაბადების მოწმობად:

„22/18. დიმიტრი დავითის ძე (1899-1940).= თამარ სრესელი.

#### წყაროები:

სცია, ფ. 489, აღწერა 18, საქმე №1780, ფ. 18 ვ.

#### ლიტერატურა:

1.ს. ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონთა გენეალოგია. თბ., 1991-2015 (ხელნაწერი). (იქვე მეუღლის შესახებ).

23/18. ალექსანდრე დავითის ძე (1901-1923).= სალომე გიორგის ასული N.

#### წყაროები:

სცია, ფ. 489, აღწერა 18, საქმე №1780, ფ. 18 ვ.

#### ლიტერატურა:

1.ს. ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონთა გენეალოგია. თბ., 1991-2015 (ხელნაწერი). (იქვე მეუღლის შესახებ).

24/18. გიორგი დავითის ძე (1903-1941).

#### წყაროები:

სცია, ფ. 489, აღწერა 18, საქმე №1780, ფ. 18 ვ.

#### ლიტერატურა:

1. ს. ბიჭიკაშვილი. ბაგრატიონთა გენეალოგია. თბ., 1991-2015 (ხელნაწერი).“

როგორც ვხედავთ, ი. ბიჭიკაშვილს 4 სხვადასხვა პიროვნებაზე ერთი და იგივე საარქივო საქმე აქვს მითითებული და ერთი და იგივე ფურცელი -18 ვ. (ისიც უნდა ითქვას, რომ მეტრიკულ წიგნებში ფურცლების ნუმერაციაში ასო „ვ“ არსად არ არის გამოყენებული). ავტორი კვლავ თავის საკუთარ ხელნაწერს იმოწმებს, რომელიც არ გვინახავს, მაგრამ სავარაუდოდ, იქაც იგივე საარქივო საქმეები უნდა ჰქონდეს მითითებული.

ეს ამოჩემებული საარქივო საქმე №1780, ი. ბიჭიკაშვილს კიდევ სამ სხვადასხვა დროს დაბადებულ პიროვნებასთან აქვს მითითებული. ესენი არიან: 6/3. დიმიტრი გლახას (დავითის) ძე (ჩანს 1820-1850), 14/6. ევსტათი დიმიტრის ძე (1840-1863) და 17/14. იოსებ ევსტათის ძე (1. 04. 1863-?). ამჯერად ფურცელი 18 ვ.-ს ნაცვლად, მითითებულია – ფ. 6ვ. შეიძლება

ითქვას, რომ ყოველი დასახელებული საარქივო საქმე გულდასმით გადა-  
მოწმებას საჭიროებს. არ ვიცი, რამდენად მოსწონთ დავითიშვილებს მათი  
გვარის მიმართ ასეთი ზერელე და აგდებული დამოკიდებულება. მათვის  
ხომ მთავარია, ი. ბიჭიკაშვილს არავინ გაუბედოს კრიტიკა. ის კი ბედავს  
და მთელ მკითხველ საზოგადოებას აბუჩად იგდებს. იცის, რომ ნუგზარ  
ბაგრატიონი-გრუზინსკის კლასტერი ნებისმიერი თაღლითობის უფლებას  
აძლევს!

ახლა იაკობის დეპის მონაცემებს გავეცნოთ. რომანოზს ორი ქალიშვი-  
ლი ჰყოლია. ი. ბიჭიკაშვილი აქვეყნებს იაკობის ორი დის ფოტოებს: „523.  
მარიამ რომანოზის ასული ბაგრატიონ-დავითიშვილი (ტაბ. 16, №26/19)“  
და „527. მარო რომანოზის ასული ბაგრატიონ-დავითიშვილი (ტაბ. 16,  
№27ა/19)“ [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქა-  
რთველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, თბ., 2016] (იხ. სურ.  
№6, სურ. №7). ამათგან, ერთი ჩიხტი-კობს ატარებს, მეორე კი თანა-  
მედროვე ქალია. ორივე ქალიშვილს მარიამი რქმევია. თუ ი. ბიჭიკაშვილის  
ორგომეულის I ტომში ფოტო-სურათებზე ერთ დას მარიამი აწერია, ხოლო  
მეორეს - მარო, II ტომში მარო უკვე მარიამად (მარგოდ) არის წარმოდგე-  
ნილი. ტაბულაში №16 მხოლოდ ერთ ქალიშვილს მივაგენი:

„26/19. მარიამ (მარგო) რომანოზის ასული (15. 04. 1918-10.02. 1970).

= ნოდარ გიორგის ძე კოკაური.

#### ნეაროები:

1. დაბადების მოწმობა, გაცემული მოქალაქეობრივი მდგომარეობის  
აქტების ჩამწერი გორის რაიონის ს. შინდისის მმაჩის განყოფილების მიერ  
1987 წლის 24 ივლისს, ჩანაწერი №7 (ასლი).“

(აქვეა დასახელებული მისი 1957 წელს გაცემული პასპორტის, ქორ-  
ნინების მოწმობის და გარდაცვალების მოწმობის ასლები).

ერთი რამ ნათელია: მარიამ (იგივე მარო, იგივე მარგო) 1970 წელს ისე  
გარდაიცვალა, რომ ბაგრატიონის გვარის „აღდგენა“ არც უცდია. მიუხე-  
დავად ამისა, მისი შთამომავლები ბაგრატიონებად იქცნენ (იხ. სურ. №15).  
ქართულ არისტოკრატიას ახალი წევრები ემატებიან და ემატებიან. 100  
წლის შემდეგ ნახევარი საქართველო ბაგრატიონი იქნება!

ისმის კითხვა: სად არის რომანოზის მეორე ქალიშვილი? ფოტოზე მი-  
თითებული ნომერი - „ტაბ.16, №27ა/19“ – ტაბულაში ვერ ვნახე, ხოლო  
ნომერზე „ტაბ.16, 27/19“ ქალიშვილის ნაცვლად, დაგვხვდა – „იაკობ (იაშა)  
რომანოზის ძე (2.02. 1921-1989)“ [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი. ბიჭიკაშვილი,  
„ბაგრატიონები საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების  
გენეალოგია“, თბ., 2016] (იხ. სურ. №13 და სურ. №4). თავის სხვა ნაშრომში  
[„ბაგრატოვანთა სახლი“ იოსებ ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები  
(აზნაურული შტო)“, თბ., 2018], გამოქვეყნებულ ტაბულაში №7 ი. ბიჭიკაშ-  
ვილს რომანოზ დავთიშვილის დასახელებული ქალიშვილებიდან არც ერთი  
არ ჰყავს შეყვანილი (იხ. სურ. №2).

ი. ბიჭიკაშვილის მიერ გაყალბებული დოკუმენტების სია ზემოთ მოყვანილი მაგალითებით როდი ამოიწურება. ზოგი საქმის ნომერია არას-წორად მითითებული, ზოგი საქმის აღნერა, ზოგის – ფურცელი. მის მიერ მითითებულ ერთ-ერთ საქმეში, დასახელებული პირის ნაცვლად მივაკვლიე მამა-შვილ დავითიშვილებს, რომელთა არსებობას ის რატომდაც მალავს. ჩემ მიერ აღმოჩენილი ჩანაწერი ცხადყოფს, რომ აზნაურ მიხეილ დიმიტრის ძე დავიდოვს შეეძინა ვაჟი – ბაგრატი [სეა, ფონდი 489, აღნერა 18 საქმე 1769, ფ. 8, მეორე მხარე] (იხ. სურ. №16). ამ პიროვნებებს ი. ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილ ნუსხებში ვერ ნახავთ!

ზემომოყვანილი ფალსიფიკაციის ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ უნდა ჩატარდეს გამოძიება, რომელიც გამოავლენს დოკუმენტების მიზანმიმართული გაყალბების ფაქტებს და დაადგენს ამ ანტიეროვნული საქმიანობის მიზანს! დავითიშვილებისთვის გვარის „აღდგენის“ დროს, კომისიაზე წარდგენილი იყო ისტორიკოსების ცნობები ბაგრატიონ-დავითიშვლების გვარის შესახებ, რაც ფაქტობრივად თავადი ბაგრატიონ-დავითიშვლების გვარის ისტორიაა, კარგად არის შესწავლილი და საკამათო არ არის. მაგრამ ჩვენ სხვა საკითხზე ვამახვილებთ ყურადღებას: ცნობილ ისტორიკოსებს, აზნაური დავითიშვილების ბაგრატიონ-დავითიშვილების თავადური ხაზიდან მომდინარეობის ვერსია, თუნდაც ერთი დოკუმენტით რომ გაემყრებინათ, ი. ბიჭიკაშვილი მას აუცილებლად გამოიყენებდა. ჩვენ კი ვნახეთ, რომ აღნიშნული საკითხი მის ნაშრომში ღიად რჩება. ასევე, ისმის კითხვა: თუ დავითიშვილებმა ბაგრატიონის გვარის დამტკიცება 2014 წელს მოახერხეს, რომელ კანონს აქვს უკუქმედების ძალა? რა უფლებით გააბაგრატიონეს რომანზი და სხვა პირები, რომლებიც აზნაურ დავითიშვილებად დაიბადნენ და ამ გვარითვე გარდაიცვალნენ?

აუცილებელია შეიქმნას კომისია, რომელიც ყველა ბაგრატიონის დოკუმენტებს შეისწავლის. ჩემი მოკრძალებული აზრით, ბაგრატიონებმა უნდა წარმოადგინონ ბოლო 3 თაობის წინაპრების ვინაობის დამადასტურებელი მოწმობები. ვინც ბების გვარზეა, უნდა დაამტკიცოს, რომ ბებია ნამდვილად ბაგრატიონის გვარს ატარებდა.

ახლა კი გასომხებული დავიდოვების საკითხი უნდა წამოვწიო, რომელიც ი. ბიჭიკაშვილის ნაშრომში მიჩქმალულია. მე მას იმაში ვეთანხმები, რომ 1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის სისტემის დამყარების შემდეგ, აზნაური დავითიშვილების გვარის დაბოლოება შეიკვეცა და მათ მოიხსენიებდნენ როგორც აზნაურ დავითოვებს ან დავიდოვებს. (დავითიშვილების გვარმა ისეთივე უღერადობა შეიძინა, როგორიც სხვა ეთნიკური წარმომავლობის დავიდოვებს ჰქონდათ რუსეთის იმპერიაში. ცნობისათვის, რუსეთში დავიდოვების 76 შტოა, რომელთაგან უფროსი XV საუკუნიდან მოდის...)

p s : / / r u . r o d o v i d . o r g / w k / % D 0 % 9 7 % D 0 % B 0 % D 0 % B - F%D0% B8% D1% 81% D1% 8C:642562

მისი მამამთავარია თათართა მურზა (მმართველი) მინჩაკი. ამ შტოდან იყო რუსი გენერალ-ლეიტენანტი და პოეტი, პეტრე ბაგრატიონის თანა-მებრძოლი დენის ვასილის ძე დავიდოვი, ვისი შუამდგომლობითაც მოხდა პეტრე ბაგრატიონის ბოროდინოს ველზე გადმოსვენება. რუსეთში არიან აგრეთვე ქართული წარმომავლობის დავიდოვები. ჩვენი ამოცანაა მხოლოდ საქართველოს მკვიდრი დავიდოვების, იგივე დავითიშვილების შესწავლა). როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, XIX საუკუნეში, დავიდოვების აზ-ნაურებად ცნობის დროს, კომისიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მათი გვარი 1783 წელს, ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახე-თის თავადების და აზნაურების სიაში აზნაურის სტატუსით იყო შეყვანილი. მეფე ერეკლეს მიერ. ეს იყო აზნაურობის დამტკიცების მთავარი კრიტერიუმი და არა მათი აღმსარებლობა. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში უკვე ჩანან სომეხი დავოდოვები. მათი გასომხება, სავარაუდოდ, აღა მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ უნდა მომხდარიყო. სწორედ მაშინ, როდესაც ქვემო ქართლსა და თბილისში გასომხებას მასობრივი სახე მოუღია, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში იმით არის ახსნილი, რომ მტკრი მხოლოდ ქართველებს ხოცავდა, სომხებს კი ინდობდა [მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, „ქართლ-კახეთის ქართველთა გასომხება“, 1999, გვ. 48]. საყურადღებოა, რომ სპარსელები, დასახელებული შემოსევის დროს სომხებს არ ერჩოდნენ, რის მიზეზებსაც ახლა არ განვიხილავთ. ქართველების 20-ზე მეტი ეკლესია დაანგრიეს. სომხეთა ეკლესიები კი უვნებელი დარჩა [ქეთევან აფციაური, „ქართულ-სომხური ურთიერთობები XVIII- XIX სს-ში“. [http://old.gruni.edu.ge/uploads/content\\_file\\_1\\_33.pdf](http://old.gruni.edu.ge/uploads/content_file_1_33.pdf)]. თუ ქართველი, მართლმადიდებლური რწმენის გარდა, სხვა სარწმუნოებას აღიარებდა, ის მოსახლეობის შეხედულებით ქართველი აღარ იყო. ასე მოინათლენ სომხებად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მაგალითად, „სოფელ კავთისხევში, სომხურ-გრიგორიანული რწმენის გამო, სომხური ეროვნებისადმი არიან მიკუთვნებული ნანიკაშვილები, ქსოვრელები, ირემაშვილები, ბასიაშვილები, ბიჭიკაშვილები“ [მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, „ქართლ-კახეთის ქართველთა გასომხება“, 1999, გვ. 42]. ასევე, თელავის 1873 წლის კამერალური აღწერის მასალებში ჩანს ვინმე არუთინ (იგივე ბეკაცია) ბიჭიკაშვილი, ეროვნება - სომხეთი „Народность – армянин“ [სეა, ფონდი 254, აღწერა 3, საქმე 106, გვ. 6].

წოდებების დამდგენელი კომისიის 1821 წლის მასალებიდან უნდა დავი-მონმო აზნაური დავიდოვების ერთი შტო, რომელიც ი. ბიჭიკაშვილის ყურადღების მიღმა დარჩა, თუმცა ის აქვეყნებს „ბაგრატიონ-დავითიშვილების საგვარეულოს ბიბლიოგრაფიას“, სადაც საარქივო მასალის ნუსხაში მე-12-ე ნომრით შეტანილია „სცია, ფონდი №213, აღ, 1, საქმე №250 (1824 წ.) – Дело по прошению Давидовых Х. и Я. О признании их в дворянском достоинстве, ხოლო მე-18-ე ნომრით - „სცია, ფონდი №213, აღ, 1, საქმე №1223 (1856 წ.) – Дело о дворянском происхождении Давидовых Х. и И.“

ცხადია, რომ ი. ბიჭიკაშვილი ამ მასალებს იცნობს, მაგრამ მათი არსებობის ფაქტს ჩქმალავს. საქმე ეხება აზნაურებს: ტერ-ხეჩატურსა და მის ძმებს - იაკობ და თუმან ივანეს ძე დავიდოვებს. ტერ-ხეჩატურს და იაკობს ეძლევათ მოწმობა, იმის თაობაზე, რომ ნამდვილად წარმოსდგებიან დავიდოვების იმ აზნაურული ოჯახიდან, რომელიც ტრაქტატშია ნაჩვენები მეოქენების მიერ: „Свидетельство. Дано сие тер-Хечатуру и брату его Якову Дворянам Давидовым в том, что действительно они происходят из той самой дворянской Давидовской фамилии, которая показана в трактате Российским Императорским Двором с Грузинским царем Ираклием 1783 года заключенно, во уверение чего подписуемся собственными руками нашими 1821 года и 10 дня. Подлинное подпишиали Коллежский советник Князь Сумбатов, Дворянин Иван Давидов, Подполковник Князь Аслан Орбелианов, Губернский секретарь Вахтанг Баратов, Князь Иван Цицианов, Губернский секретарь Князь Яковь Баратов, Князь Давид Абашидзе, Коллежский секретарь Князь Иосиф Магалов, Князь Заза Сологов, Князь Бежан Херхеулидзе“ [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 1223, ფ. 7] (იხ. სურ. №15). როგორც ვხედავთ, ხელს აწერენ: კოლეგიის მდივანი თავადი სუმბათოვი, აზნაური ივანე დავიდოვი, პოლკოვნიკი თავადი ასლან ორბელიანოვი, გუბერნიის მდივანი ვახტანგ ბარათოვი, თავადი ივანე ციციანოვი, გუბერნიის მდივანი თავადი იაკობ ბარათოვი, თავადი დავით აბაშიძე, გუბერნიის მდივანი თავადი იოსებ მალოვი, თავადი ზაზა სოლომოვი, თავადი ბეჭან ხერხეულიძე.

მეორე მოწმობა ეძლევათ თუმან (იგივე თომა) და ტერ-ხაჩატურ ივანეს ძეებს მასზედ, რომ ისინი ნამდვილად აზნაური დავიდოვები არიან [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 1223, ფ. 8] (იხ. სურ. №18).

დავიდოვების დასახელებული შტოს გენეალოგიური ტაბულის ბოლოს ჩამოთვლილი არიან დასახელებული აზნაურული ოჯახის ნევრები: „Из сей Поколенной Ростиславии показано: Иван Давидов имел трех сыновей: Хечатура, Фому и Якова. Из них Хечатур имел четырех сыновей, прaporщика Иоанна, священика Лазаря, Степана и Иосифа. Яков имеет одного сына Николая, а священик Лазарь имеет сына Хечатура - верно секретарь Добровольский“ [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 250, ფ. 10] (იხ. სურ. №19). საქმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახი ყოფილა. რა ნიშნით დაინუნა ისინი ი. ბიჭიკაშვილმა? საარქივო მასალები არ იძლევა დანარჩენი დავიდოვებისგან მათი განცალკევების საფუძველს. ი. ბიჭიკაშვილი წერს, რომ დავიდოვები ორ ნაწილად გაიყვნენ: XIX საუკუნიდან აზნაურ დავითიშვილების საგვარეულო გაიყო ორ ნაწილად, რომლის ერთი შტო ცხოვრობს სოფელ კარბში, ხოლო მეორე – სოფელ შინდისში (კოშკში) [„ბაგრატოვანთა სახლი“ იოსებ ბიჭიკაშვილი, ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო), თბ., 2018, გვ. 16].

საარქივო მასალების მიხედვით, როგორც ვნახეთ, დავიდოვებს ერთი და იგივე კრიტერიუმით დაუმტკიცდათ აზნაურობა და ამ საგვარეულოდან გასომხებული შტო გარიყული არ ყოფილა. იმისდა მიუხედავად, სოფელში

ცხოვრობდნენ, თუ არა, ისინი ისეთივე ქართლელი აზნაურები იყვნენ, როგორც მათი საგვარეულოს სხვა წარმომადგენლები. ჩვენ მიერ ზემოთ დამონაბეჭდულ დოკუმენტებში ამ შტოს სომხობაზე არაფერია ნათქვამი. მართალია, ტერ-ხაჩატურის სახელი ნათლად მიუთითებს მის სარწმუნოებაზე, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალე უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება. საქართველომ, თავის დროზე, საქართველო-იმერეთის სომხურ-გრიგორიანული ეპარქიის საარქივო მასალები სომხეთს გადასცა. ამიტომ სომხეთის ეროვნულ არქივს მივმართე. ამჟამად, ხელთ მაქეს დეკანოზი ლაზარე ტერ-ხეჩატურის ძე დავიდოვის ნამსახურობის ორი ნუსხა – 1842 წლისა [სომხეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღწერა 12, საქმე 471, ფ. 62] (იხ. სურ. №20) და 163 წლის [სომხეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღწერა 1, საქმე 4006] (სურ. №20). ჩანს, რომ ის წოდებით იყო აზნაური, მსახურობდა თბილისში, მოღნის წმ. გიორგის სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიაში, ჰყავდა სამი ვაჟი [სომხეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღწერა 12, საქმე 471, ფ. 62] (იხ. სურ. №22).


1863 წლის მონაცემებით, ხაჩატური იყო 29 წლის, ლაზარე – 26 და დავითი – 14 წლის [სომხეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღწერა 1, საქმე 4006] (იხ. სურ. №23, სურ. №24 და სურ. №25),

სომხეთის ეროვნულ არქივში დაცული აღმოჩნდა ინფორმაცია კიდევ ერთი გასომხებული დავიდოვის შესახებ. საქართველო-იმერეთის სომხურ-გრიგორიანული ეპარქიის თეთრი სამღვდელოების ნუსხებიდან ჩანს, რომ 1842 წელს, ტფილისის გუბერნიის ელისავეტოპოლის მაზრის სოფელ ზაკის ეკლესიაში მსახურობდა მღვდელი კარაპეტ დავიდოვი, 49 წლის. მას ჰყავდა 23 წლის ვაჟი – იაკობი და 6 წლის ქალიშვილი. ეს შტო სახასო გლეხებს უნდა მიეკუთვნებოდეს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ ნახსენებ გასომხებული აზნაურ დავიდოვებთან რაიმე კავშირი ჰქონდათ. (საყურადღებოა, რომ ორივე ოჯახში გვხვდება სახელი იაკობი). ჩვენი მსჯელობა ვარაუდის დონეზე რომ არ დარჩეს, მოგვყავს დოკუმენტის ასლი [სომხეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღწერა 12, საქმე 471] (იხ. სურ. №26).

ი. ბიჭიკაშვილმა უნდა დაასაბუთოს, რატომ დამალა აზნაური დავიდოვების გასომხებული შტოების არსებობა და რატომ არ მიაკუთვნა ბაგრატიონ-დავითიშვილებს, ისევე როგორც სხვები. ჩვენ ხომ უკვე გავეცანით ი. ბიჭიკაშვილის განცხადებას, რომლის თანახმად აზნაურული შტოს ყველა წარმომადგენელი – თავადი დავით ელიზბარის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის პირდაპირი შთამომავალია, რის დასამტკიცებლადაც მან თავად დავითს – აზნაური დავით დავითიშვილის შთამომავალთა ნაწილი მიაწერა [„ბაგრატიოვანთა სახლი“ იოსებ ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018, გვ. 54]. თუ გასომხებული შტოს სხვა აზნაური დავიდოვებისგან განმასხვავებელი რაიმე ნიშანი არსებობდა, ეს განმარტებული უნდა ყოფილიყო. მართალია, მან ვერ დაასაბუთა აზნაური


დავითიშვილების ბაგრატიონებისგან წარმომავლობის ვარაუდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც უნდა დავუსვა ასეთი შეკითხვა: რატომ, რა ნიშნით გამოაცალკევა გარკვეული შტოები საერთო საგვარეულოდან? თუ სხვა დავიდოვები ბაგრატიონების შთამომავლებად გამოაცხადა, გასომხებული შტოს მიმართ რატომ მიმართა დისკრიმინაციას?

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ აზნაური დავითიშვილები დნმ ტესტის ჩატარებაზე ჯიუტად არ თანხმდებიან.




სურ. №1. ტაბულა № 6, ი. პიჭიკაშვილის წიგნიდან „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული ტრილი“), თბ., 2018.

**აზნაურ დავითიშვილების  
გმინელობიური ტაბულა  
(ქაშების ხაზი)**



სურ. №2. ტაბულა № 7, ი. ბიჭიკაშვილის წიგნიდან „ბაგრატიონ-დავითიშვილები (აზნაურული შტო)“, თბ., 2018.


Родословная и доказательство о членстве рода Давидовых.



1. Родословие дворян Давидовых показана в списке, приложенном при trattatite, заключенном в 1783г.  
2. Российских Императорских дворов со временем Царя Николая II.
3. Определение Грузинской дворянской Собрания 19 Сентября 1826г. подк. Давидовых признали в дворянском достоинстве. Объявление Давидовы Грузина села Давидова 82980-ржеское достоинство и о бывшем его роде в первом Уставе государственной Книги - последовавшему Решению соответствующего Сената Указ от 10 Января 1828 года № 54883.
4. Родословие: первый в Декабре 1834г., второй 20 марта 1857г. и третий 30 Декабря 1893г., согласно ктогому роду состояло в звании Российской Империи  
5. Дворянского Собрания 31 Марта 1905 года.

სურ. №3. აზნაური დავითიშვილების გენეალოგიური ტაბულა [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, საქმე 1990].

На конференции посвященной  
Земле Забайкальской.



სურ. №4. აზნაური დავითიშვილების გენეალოგიური ტაბულა [სეა, ფონდი 213, აღწერა 1, სამუშაო 1990].

Алчансар Дадиашвили убийца Николая Дадиашвили искривил  
Никола Гурия и изменил оное преступление в содомию  
безделью. — Поэтому мы все грузине Игорь Чхакелии спаси  
Богородицкий Собор и Грузинскую Святую святыни отъят  
никем не чисто крепко Богоизбранными; Гурию Дадиашвили за  
издевки над нами: за то что Гурий, (здесь за наименование же —  
его) изучил у нас спор, от которого Алчансар поднял  
Христу на брачную ложу Николая Дадиашвили, брачную ложу обидел  
ону и этого Алчансара также изучили и пропалило по Гурии  
наш Святой Святой храм, греческий храмик; а сей воровски  
нам убийщик, убийца и сие поднял в храм алчану  
занес на него садко иранца по Гурии же первыи поднял  
тихини храчу со всему нашему по свидетельству по землю  
изучавши, имена твои Гурийско постыдилово воров же  
занес помиди отца и матери за землю спасибо, а Алчансар  
изгнал из него путь отца и матери, то пока Гурийский  
помилен прибояло из деревни брачной твои же члены и то  
избогатили прибояло от жестоких убийственных Святой ман  
ии, тиличено. — Гурий изучало помиди по Святой  
Мане. — А Алчансар отца и матери, Христу Святому же в то  
же время твои члены садко ранили, а потом же избогатил  
и изгнал из него брачную мать садко от членов, — Их  
приговорили от Алчансара садко члены Гурий оправданы воры  
бы, искажен оне восстановлены садко члены твои изгнаны из храма.



**XII. აზნაური ბაგრატიონ-დავითიშვილები  
და მათი შთამომავლები**



520. რომანოს დავითის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (ტაბ. 16, №19/16).



521. რომანოს დავითის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (ტაბ. 16, №19/16) მეუღლეჭ.  
ბარბარე ალექსანდრეს ასული დიდებულიძე.



522. შალვა დავითის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი (ტაბ. 16, №20/16).



523. მარიამ რომანოსის ასული ბაგრატიონ-დავითიშვილი (ტაბ. 16, №26/19).



524. იაკობ რომანოზის ძე  
ბაგრატიონ-დავითიშვილი  
(ტაბ. 16, №27/19).



525. იაკობ რომანოზის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი  
(ტაბ. 16, №27/19) მეუღლესთან, ანგელინა გორდაძესთან  
ერთად.



526. ალექსანდრე (ჭურა) რომანოზის ძე ბაგრატიონ-და-  
ვითიშვილი (ტაბ. 16, №25/19) მეუღლესთან, სონია  
კოკოზაშვილთან ერთად.



527. მარო რომანოზის ასული  
ბაგრატიონ-დავითიშვილი  
(ტაბ. 16, №27/19).

საქართველოს ცენტრალური  
არქივი  
ფონდი № 959 სახელი № 18  
ლაპტ. № 1775

3 m h n

kmaz. გ. 6 გ. ა ბ ს

62 კონცენტრაციული

1888 წელი

სურ. №8. რომანოზ დავითიშვილის დაბადების ჩანაწერი გაკეთებულია შინდისის წმ. გიორგის ეკლესიაში, 1888 წელს და რა ნათლისმცემლის ეკლესიაში 1880 წელს [სუა, ფონდი 489, აღწერა 18, საქმე 1775].

სათეალაურ დამატებულ- თა.		თ თ გ ი დ ღ ვ დ ღ ვ	სახელი	შოლება, სახლი, მშის სახლი და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.
ვერა ს კურია. ფიცია	ფიცია ს კურია.	დ ღ ვ დ ღ ვ ა ს ა	ნიმუში	
33	"	1131 წელ 28 30	12062 8.	ზოგი და გარე მარტი 1862 წელი და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.
25	15	30	1662	ზოგი და გარე მარტი 1862 წელი და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.
26	3	31	129301	ზოგი და გარე მარტი 1862 წელი და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.
27	1	31	1662	ზოგი და გარე მარტი 1862 წელი და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.
34	"	1131 წელ 31	126	ზოგი და გარე მარტი 1862 წელი და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.
35	"	1131 წელ 26 31	126	ზოგი და გარე მარტი 1862 წელი და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.
28	31 წელ 24	31.	129301	ზოგი და გარე მარტი 1862 წელი და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.
" ვერა ს კურია.				შოლება და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.
" ვ. დ პარასკევი ცხრილი				შოლება და გერი შემძლოა და რომელისა საწმინდოებისა არიან.

სურ. №9. რომანოზ დავითიშვილი დაბადებულია 1888 წელს და არა 1880 წელს [სეა, ფონდი 489, აღწერა 18, საქმე 1775].



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ეროვნული არქივი



KA011958217299514

საისტორიო ცენტრალური არქივი

№ 11/1367

30 / იანვარი / 2014 წ.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს,  
საზოგადო აქტებისა და მისახლების რეგისტრაციის  
სამსახურის უფროსის მოადგილეს. ქალაქის მიმართ არქივის  
არქივის

ქალაქის მირანდა,

თქვენი წერილის (N01/17041; 30.01.2014) პასუხად გატოვებთ, რომ მოქალაქის წერილში N1,2,3,4,5,7,8,9 პუნქტებში  
წარმოდგენლი ასლები შესაბამება საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივისა და ულ  
მეტრიკულ წიგნების არსებულ აქტებს.

ამავე წერილის პუნქტებში: N6 და N10, შედომითაა მოთითებული მეტრიკულ წიგნების საქმის წამრები, თუმცა  
ჩვენ მოვიძიოთ ალექსი შესაბამისი ჩანაწერები სხვა ნომერ მეტრიკულ წიგნებში (წიგნები N1760, N1780-ის ნაცვლად  
და წიგნები N1775, N34-ის ნაცვლად).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე ვადასტურებთ, რომ მოქალაქის მიერ მოწოდებული აქტები წამდგილად  
დაფუქსირებულა საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ მეტრიკულ წიგნებში.

დანართი: 10 ფაილად.

პატივისცემით,


ცენტრალური არქივის დირექტორი

ანტონ ვაჭარაძე

სურ. 18. 30.01.2014 წლის, საქართველოს ეროვნული არქივის, საისტორიო ცენტრალური  
არქივის დირექტორის ანტონ ვაჭარაძის წერილი №11/1367 საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო აქტების  
მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსის მოადგილეს, მირანდა არაბიძეს, ბეჭან  
დავითიშვილის ისტორიული გგარის აღდგენასთან დაკავშირებით.

- 117 -

სურ. №10. არქივის დირექტორის, ანტონ ვაჭარიძის წერილი.



სურ. 30. აზნაურ დავით ნიკოლოზის ძე დავითოვის (დავითიშვილის) შვილის, რომანოზის დაბადების ჩანაწერი სოფელ შინდისის ნათლისმცემლის ქალების მეტრიული ჩანაწერი: 1880 წ. დაბადება 28 დეკემბერი, ნათლის-დება 30 დეკემბერი. რომანოზ, მშობლები: სოფელ შინდის მცხოვრები აზნაურ დავით ნიკოლოზის ძე დავითოვი [დავითიშვილი, ი.ძ.] და სჯულიერი ცოლი მისი ალექსანდრა დავითის ასული ორნივე მართლადიდებელი სარწმუნებისანი არან. მღვდელი სიმონ ყიფშიძე.

- 9/4. ლუარსაბ ასლამაზის ძე (?-1867).  
= 1. ანასტასია დავითის ასული N. (?-1877), ჩანს 1835-1877;  
= 2. ეფემია N., ჩანს 1848.
- 10/5. ოგანე არსენის ძე (?-1837).
- 11/6. ალექსანდრე დიმიტრის ძე, (1836-?).  
= 1. ეკტერიხ N. (?-1859);  
= 2. ბარბარე სოლომონის ასული N., ჩანს 1864-1866.
- 12/6. ქაითხოვ დიმიტრის ძე (1837-?).  
= 1. ოველა ლუარსაბის ასული N., ჩანს 1864;  
= 2. ნენე მაქელის ასული N. (?-1872);  
= 3. მარიამ სვიმონის ასული N., ჩანს 1880.
- 13/6. ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1839-1868).  
= ევდუქისა გომრგის ასული N., ჩანს 1859-1866.
- 14/6. ევსტათი დიმიტრის ძე, ჩანს 1840-1863.  
= ელისაბედ სტეფანეს ასული N., ჩანს 1863.
- 15/11. დიმიტრი ალექსანდრეს ძე (1862-?).  
= მარიამ ასლანის ასული N., ჩანს 1888.
- 16/13. დავით ნიკოლოზის ძე (1859-?).  
= ბარბარე დავითის ასული N.
- 17/14. ოსებ ევსტათის ძე (10.04.1863-?).
- 18/15. დავით დიმიტრის ძე (1881-?).
- 19/16. რომანოზ დავითის ძე (28.12.1880-?).  
= (1.06.1914) = ბარბარე, აზნაურ ალექსანდრე დიდებულიძის ასული (1890-?).
- 20/16. შალვა დავითის ძე (1908-1991).
- 21/17. ირაკლი ოსების ძე (1909-1991).  
= კლიმე იღვას ასული N.
- 22/18. დიმიტრი დავითის ძე (1899-1940).  
= თამარ სრესელი.
- 23/18. ალექსანდრე დავითის ძე (1901-1928).  
= სალომე გომრგის ასული N.
- 24/18. გომრგი დავითის ძე (1903-1941).
- 25/19. ალექსანდრე რომანოზის ძე (1916-1973).  
= სონი გომრგის ასული N.
- 26/19. მარამ (მარგო) რომანოზის ასული (15.04.1918-10.02.1970).  
= ნოდარ გიორგის ძე ქოქაური.
- 27/19. იაშობ (იაშა) რომანოზის ძე (2.02.1921-1989).  
= 1. აზეკლიძე ათასანეს ასული გორდაძე;  
= 2. ანას სომონის ასული ბეჭალაძე.
- 28/20. ოთარ შალვას ძე (1939-2001).  
= (24.10.1966) = ლამრა თიმოჟირის ასული მებადური (დ.1946).
- 29/20. დავით შალვას ძე (დ.10.04.1944).
- 30/21. ვენერა ირაკლის ასული (დ.2.01.1944).  
= (27.11.1969) = ჯგმალ შალვას ძე წემსაძე (დ.1946).
- 31/21. დალი ირაკლის ასული (დ.10.05.1948).
- 32/21. ნანუდა ირაკლის ასული (დ.27.09.1953).  
= (24.02.1979) = ბორის ანგონის ძე ჯაველიძე (დ.7.03.1948).
- 33/22. დავით დიმიტრის ძე (7.07.1924-31.01.1985).  
= ქანო არშაკის ასული N.
- 34/22. სერგე დიმიტრის ძე (1927-1977).
- 35/22. გურამ დიმიტრის ძე (1935-1985).  
= ცალა გომრგის ასული ქახიანი.
- 36/23. ოთარ ალექსანდრეს ძე (16.01.1927-1970).
- 37/23. გიგი ალექსანდრეს ძე (დ.23.08.1928).

- = (25.08.1954) = ლილი გიორგის ასული ზაქიძე (დ.1933).
- 38/24. აკაკი გიორგის ძე დავითიშვილი (დ.1931).
- = მერი არჩილის ასული N.
- 39/24. ვიქტორ გიორგის ასული (დ.1938).
- 40/25. ფატი ალექსანდრეს ასული (დ.23.08.1948).
- = (26.09.1970) = ჯამალ ნუცებიძე (დ.30.09.1937).
- 41/25. მედეგა ალექსანდრეს ასული (დ.19.03.1950).
- = (5.03.1971) = გალერი ვახტანგის ძე ხიზანიშვილი (დ.1945).
- 42/25. ზურაბ ალექსანდრეს ასული (დ.14.05.1956).
- = (18.11.1977) = ნათელა ქრისტოსის ასული კარპეტაშვილი (დ.21.07.1957).
- 43/25. ლიანა ალექსანდრეს ასული (დ.21.08.1958).
- = (20.05.2013) = ივანე ჩხიკვაძე (დ.27.07.1947).
- 44/27. ბეჭან იაკობის ძე (დ.20.02.1948).
- = (16.01.1972) = ნუნუ გრიგოლის ასული სუპრაშვილი (დ.19.11.1949).
- 45/27. რომან იაკობის ძე (დ.1.06.1950).
- = (17.07.1976) = ნარგიზა ვლადიმერის ასული ხოხაშვილი (დ.9.08.1956).
- 46/27. ილია (გურამ) იაკობის ძე (დ.30.01.1958).
- = (5.07.1981) = ციური თემურის ასული ნებიქრიძე (დ.7.02.1962).
- 47/27. მერი იაკობის ასული (დ.26.04.1959).
- = (3.08.1979) = კობა გარეთის ძე გულაძე (დ.7.03.1961).
- 48/27. ნუნუ იაკობის ასული (დ.29.06.1962).
- 49/27. გამოზ იაკობის ძე (დ.15.07.1969).
- = (26.07.2007) = ლელა გივის ასული მახმიშვილი (დ.10.03.1972).
- 50/28. თამაზ თოთარის ძე (5.11.1966-2011).
- = (22.12.1988) = ირინე ამირანის ასული ლამბაშიძე (დ.20.06.1970).
- 51/28. ლალი თოთარის ასული (დ.10.11.1968).
- 52/28. ტარიელ თოთარის ძე (დ.8.05.1973).
- = (26.03.1992) = ინგრა გურამის ასული მახარობლიძე (დ.2.10.1974).
- 53/29. გოჩა დავითის ძე (დ.16.07.1968).
- = (4.07.1989) = ირუბა თემურაზის ასული ზაქარევიშვილი (დ.2.05.1970).
- 54/29. მამუკა დავითის ძე (დ.31.12.1970).
- 55/29. შალვა დავითის ძე (დ.17.07.1979).
- 56/33. თამარ დავითის ასული (დ.2.09.1950).
- = გერა ვახტანგიშვილი.
- 57/33. ზურაბ დავითის ძე (დ.29.11.1952).
- = (26.05.1979) = ქეთევან შოთას ასული გნოლიძე (დ.10.10.1956).
- 58/33. დიმიტრი დავითის ძე (დ.12.08.1954).
- = (7.04.1979) = ანა გორგის ასული რისტომაშვილი (დ.2.05.1957).
- 59/33. მარინე (მარიამ) სერგოს ასული (დ.27.08.1952).
- 60/34. თამაზ სერგოს ძე (11.05.1954-31.12.1997).
- = (2.03.1986) = ნარგიზა ჯორგოს ასული ლუკავა (დ.26.06.1961).
- 61/34. ამზე სერგოს ასული (დ.28.05.1960).
- 62/35. მარინე გურამის ასული (დ.27.12.1963).
- 63/35. ნინო გურამის ასული (დ.5.08.1965).
- = (1.06.1991) = რენო შალვას ძე ფირცხალავა (დ.7.09.1952).
- 64/35. დავით გურამის ასული (10.08.1967-2001).
- 65/36. ალექსანდრე თოთარის ძე (10.10.1951-16.10.2010).
- = (19.01.1980) = ნანა ტრისტანის ასული ბრეგვაძე (დ.13.03.1960).
- 66/36. დიმიტრი თოთარის ძე (დ.16.06.1954).
- = (19.02.1977) = ნანა ნიკოლოზის ასული ივანიძე (დ.7.12.1956).
- 67/37. მანანა გივის ასული (დ.21.04.1955).
- 68/37. ქეთევან გივის ასული (დ.6.05.1959).
- 69/38. გიორგი აბაკის ძე (23.03.1959-20.02.2010).

- 2 -

2. გურია აღესანდრეს ძე გავითიშვილი გაბარე ური 1956 წლის  
14 მაისს ქორის რაიონი სოფელ შინებიში გაბარების აქტი რეგისტრირებულია  
ქორის რაიონის სასოფლო საბჭო შინებიში 1956 წლის 22 მაისს სააქციო ჩანაწერი  
№60, რომელის პირველი ეტაპის დროისანი ინახება ქორის რაიონის მიმართ არქივის  
ფონდში ნიგნი 1/2, ხოლო მეორე საქართველოს რესპუბლიკის მიმართ არქივის  
ფონდში ნიგნი 7-60

3. ღიანა აღესანდრეს ასული გავითიშვილი გაბარე ური 1958 წლის  
21 აგვისტოს ქორის რაიონში სოფელიში: გაბარების აქტი რეგისტრირებულია  
ქორის რაიონის სასოფლო საბჭო შინებიში 1958 წლის 6 სექტემბერი, სააქციო  
ჩანაწერის №67, რომელის პირველი ეტაპის დროისანი ინახება ქორის რაიონის  
არქივის ფონდში ნიგნი 7-67

აღესანდრე რომანიშვილის ძე გავითოვი ერთვნების არის ქართველი არა  
ხელური სამუალი ტანკისტი, უპარტიო, სამართლები რამდენი /გავითიშვილიზე/.  
მუშაობს ტინერის საბჭოთა მეცნიერებაში მუშა, ასოციაციას ქორის რაიონი  
სოფელიში.

ა.შ. გავითოვი მიითხოვს გვარის გამოცემას გავითოვი გავითიშვილი  
იმ მოყვით, რომ მას ყველა საბუთობი აუსვარტი, ამხედვი წიგნები,  
ქართველის მომზობა რა მცირების გაბარების სააქციო ჩანაწერები სწრია  
გავითიშვილი, /მისი სახელი და მამის სახელიც ზოგ საბუთობი უწერის შერა  
სოხუმის სონკა-სოლომონის ძე/. აგრეთვე მისი შვილების და ქორინების  
სააქციო ჩანაწერები შემსწორებული იქნეს სახელი შერა აღესანდრეთ მამის  
სახელი რონკა-სონკა და სოლომონი რომანიზარ, რაგაც მისი სახელი და მამის  
სახელი არის აღესანდრე რომანიშვილის ძე რა გავმვებს კი მეცნიობით უწერის  
გაბარების სააქციო ჩანაწერში შერა რონკა.

საქმეში ჩანაწერებილია საქართველოს სსრ ქართველის და რაიონის მიმართ  
ბიუროში მოქადაჭილობით მოცომიარობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ,  
იმსახურების № 137 და 146 პუნქტით გადავალისჩინებული და სხვა საჭირო სამუ-  
ჟები, მათ შორის ქორის ქორის იმის შესახებ, რომ მოქადაჭილობით უწერის  
მასამართობა აქცის.

სურ. №14. საარქივო ინფორმაცია აღექსანდრე (შურა) დავითიშვილის შესახებ.



540. მარიამ რომანოზის ასულ  
ბაგრატიონ-დავითიშვილის (ტაბ. 16,  
№26/19) შვილი, თამაზ ბაგრატიონი,  
შვილიშვილთან, ნატალისთან ერთად.

სურ. №15. ამონარიდი წიგნიდან [„ბაგრატოვანთა სახლი“, ი.ბიჭიკაშვილი, „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განმტოვებები,“ თბ., 2016]. 1970 წელს გარდაცვლილი მარიამ დავითიშვილის შთამომავალი ბაგრატიონები.



საერთო  
ციფრული  
არქივი

Перевод с грузинского № 11

20-00  
16. 4



Свидетельство

Дано еисъ Тверь-губернатору

и брату его Якову Дворянину

Давыдовичу въ томъ, что дѣйствительство оно  
произойдетъ изъ той самой Дворянской Давы-  
довской грамоты, которая показана въ пра-  
вительствѣ Россійской империи торжествен-  
но въ Грузинскомъ городе Тбилисъ 1703. года за  
кингиспекъ, во удѣлъ того подписаніемъ въ  
имѣнии руками Нашими. 1821. года наше  
10. мая. подписано подписаніемъ.

Комиссарій советника Князя Симбатова.

Дворянинъ штабъ Давыдовъ.

Подполковникъ Князь Асанъ Дробишевъ.

Губернскій секретарь Князь Вадимъ Баратовъ.

Князь штабъ Чичіановъ.

на  
столъ Губернскій личный архивъ Баратовъ.

Князь Георгій Величковъ.

Подпоручикъ Георгій Чордаковъ.

Князь Давидъ Абашідзе.

Комиссарій Секретарь Князь Георгій Ша-  
лашовъ. —

Князь Захаръ Конаковъ.

Князь Геннаидъ Хераскідзе. — Demys



საქართველოს National  
არქივის Archives of  
Georgia

Переводъ изъ французскаго

8



Ми такъ свидѣтельствуемъ  
турецкому и британскому что турк-хегамурумъ Иса-  
 но-виль склонивъ въ тоикъ, что суть они дѣлъ  
 ствительности дворцемъ Давидовъ, которые  
 показаны въ трахтамъ, во извращеніе чьихъ под-  
 знаний собственными ружаны нашими.  
 1812. года мы и они подписаны  
Грузинскій Камаишхосъ Мирза-бекъ Али-онъ.  
приложено письмо Камаишхоса Али-онъ.  
 Переводъ изъ Переводника въ Конце


Сочин  
Богдан

—правъ



საქართველოს National  
Archives of  
Georgia

სურ. №18. თუმან და ტერ-ხაჩატურ დავიდოვების აზნაურობის მონმობა [სცე, ფონდი 213,  
აღწერა 1, საქმე 1223, ფ. 8].



Подписав Всесвітній священик ласкою та  
херувимом єпископ Гавайдов. — від підписання  
Богоявленського Содрозівства  
всіх понадшістю греків піддавши. Нічай  
Гавайдов підписав таємно відповіді: Харлуков  
Фрому, і Якова. Із яких Харлуков піддавши  
також іншіх свідків, Проповідника Іоана, Священика  
Лазарія, Симеона, Йоандрія. Якож піддавши однов  
єдна Миколаїв, і Священика ласкою піддавши  
єдна Харлукова. — Від підписання Содрозівства

National  
Archives of  
Georgia

სურ. №19. აზნაური დავითოშვილების გენეალოგიური ტაბულა [სეა, ფონდი 213, აღწერა 1,  
საქმე 250, ფ. 10].

Дорицкие Синехи.

Синехи  
святого подосташинства Грузино-  
Духовенства, Грузино-Чиркетской  
Армяно-Григорианской Епархии.

Родыги Тоге!

290 рпп

სურ. №20. საქართველო-იმერეთის სომხურ-გრიგორიანული ეპარქიის თეთრი სამღვდე-  
ლოების სამსახურის და ღირსების ფორმულარული ნუსხები, 1842 წლისათვის [სომხეთის  
ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღწერა 12, საქმე 471].

## ФОРМУЛЯРНЫЙ СПИСОКЪ

о

СЛУЖБЪ И ДОСТОИНСТВЪ:

Членъ Чурчно-Императорской Епархиальной управы  
ищескай Кончиностория Примаса Епархии  
Давидова!

Составленъ 22 " Июня 1863 года.

სურ. №21. ლაზარე ტერ-ხაჩატურის ძე დავითოვის ნამსახურობის ნუსხა. 1842 წელი [სომხ-  
ეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღწერა 12, საქმე 471, ფ. 62].

Протоиерей Иаков Федорович Карамышев	43	Украинец	Во духовной земли состоящую в 1823 году построенную в Рязани гоподческого супружества брата построившего Рязань гоподческого супружества брата построившего Евгения Ильинична	искусство и письмо	Письма сочинения Христомир ра - 8 и Богороди ца - 5 листа
Добровольческое общество			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична	1. Ильиничево	
Каменец-Подольский			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична	Финансовому ведомству	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична	Министерству Внутренних дел	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична	1833 года.	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична от 10 Ноября 1837 года.	2. На первом	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична от 10 Ноября 1837 года.	искусство и письмо	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична от 10 Ноября 1837 года.	2. Декабрь 1835	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична от 10 Ноября 1837 года.	году при Патриархии Успенской	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична от 10 Ноября 1837 года.	помощи. и т. д.	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична от 10 Ноября 1837 года.	финансовому ведомству	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична от 10 Ноября 1837 года.	искусства при Патриархии	
Киев			Добровольческое общество определением брата Иакима Ильинична от 10 Ноября 1837 года.		

სურ. №22. ლაზარე ტერ-ხაჩატურის ძე დავიდოვის ნამსახურობის ნუსხა. 1863 წელი [სომხეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღნერა 1, საქმე 4006].

Имя Отчество и фамилия	Номер паспорта	Секретарь	Где жил и чему обучался?	Когда вступали в Луховицкие земли где и в каком времени, и какие исправляли духовные должности, и получали ли повышение в Луховицких церкви?	Не пытаясь ограничиться службой духовной, и не пользуясь ее способностью привлекать внимание и изъяснять пограждения и взыскания предъявляемые?	Не было ли вынуждено возвращаться к старым занятиям, и если было то за что именно тогда, и чрез сколько времени?	Способен ли виновник на предъявление отвращения к должностям?	Имеет ли этих земель и сколько лет?
Протоиерей Григорий Федорович Степанов и его сыновья Николай и Василий	Чи 24	56.	Соучленялся в Михайловском духовном училище в 1825 году и в 1830 году в Училище святой Троицы в Рязани.	Во Духовную службу поступил в 1825 году в Михайловское духовное училище в Рязани и в 1830 году в Училище святой Троицы в Рязани.	Задолженность по службе духовной, и не пользуясь ее способностью привлекать внимание и изъяснять пограждения и взыскания предъявляемые?	Не было ли вынуждено возвращаться к старым занятиям, и если было то за что именно тогда, и чрез сколько времени?	Способен ли виновник на предъявление отвращения к должностям?	Имеет ли этих земель и сколько лет?

სურ. №23. ლაზარე ტერ-ხაჩატურის ძე დავიდოვის ნამსახურობის ნუსხა. 1863 წელი [სომხეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღნერა 1, საქმე 4006].

სურ. №24. ლაზარე ტერ-ხაჩატურის ძე დავითოვის ნამსახურობის ნუსხა. 1863 წელი [სომეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღნერა 1, საქმე 4006].

Имя Отчества и Фамилия?	Имя какого архиерея?	Соц. иных акты?	Где когда и чему обучалась?	Когда вступила из духовное звание где и в каком времени, и какая направляла духовные должности, и получила ли повышение из духовных чинов?	Насколько отдала она службе делам и если есть ли особенно заслуги чинов: чьим награждением и в какое время?	Насколько в штрафах в налогах и если были то за что именно когда, и что было кончено?	Способом ли в виде отправления предъявления должности?	Иметь ли детей этого пола и сколько лет?
				<p>По Кондаку Нампирарда казакинская венка в родах по приходу Троицкому Мурзек селе 23-го ноября 1877 года Нампирарда Биакосинский Маркинешвар в 1855 году шербий отца Калюко донес уволнительный помощь по прокоту села и по шинобине из призывника по манжинскому приходу из Кондака по роду Калюко Воробьевич Нампирарда Биакосинский казакинская венка в родах по приходу Троицкому Биакосинская селе 23-го декабря 1863 года из 44-го прихода членов из Кондака воробьевича наследство донесено отец ничего не писал.</p>	<p>кондака Нампирарда Биакосинская венка в родах по приходу Троицкому Биакосинский казакинская венка в родах по приходу Троицкому Биакосинская селе 23-го декабря 1863 года из 44-го прихода членов из Кондака воробьевича наследство донесено отец ничего не писал.</p>			
				<p>Синайский Архимандрийский Георгий архимандрит Савватий архимандрит митрополит Земохородский.</p> <p>Бр. о. Савватий с. митрополит</p>				

სურ. №25.[სომხეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღწერა 12, საქმე 471.

			Синайский С. Чирка с. епископ Архимандрит Константинос Чирка.					
Священник из Карачиана Михаил Добжанский	19	обучался в Барбадос семинарии и изучал занятия в Константинопольском Училище святого Праведного Онуфрия	В Барбадосе Ильин 19 мая 1874 года в семинарии Барбадосе рукоположен в диакона и изучал занятия в Константинопольском Училище святого Праведного Онуфрия	богослужебные делы в Барбадосе в гимназии в Константинопольском Училище святого Праведного Онуфрия				Членство в синоде 23-го года при Патриархии Константино- Платоновском 22 декабря 1882 года из 43-го.
Священник из Карачиана Ариадна Хорола супруга Екатерины Елизаветы	61	обучался в Константинопольском Училище святого Праведного Онуфрия и изучал занятия в Константинопольском Училище святого Праведного Онуфрия	В Константинопольском Училище святого Праведного Онуфрия 1874 года и изучал занятия в Константинопольском Училище святого Праведного Онуфрия	богослужебные делы в Константинопольском Училище святого Праведного Онуфрия				Членство в синоде 23-го года при Патриархии Константино- Платоновском

სურ. №26.[სომხეთის ეროვნული არქივი, ფონდი 56, აღწერა 12, საქმე 471].

